

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა თვალავაძე

ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები გრიგოლ
ორბელიანის წერილებისა და დღიურების შესახებ

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი

თელავი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I	
გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა, მისი გამოცემისა და კვლევის ისტორია	9
§ 1. გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები და მათი კრიტიკული მიმოხილვები.....	10
§ 2. მწერლის გარდაცვალების შემდგომი გამოცემები	15
§ 3. კვლევები გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.....	20
თავი II	
დოკუმენტური ჟანრების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა	24
§ 1. დოკუმენტური ჟანრების სპეციფიკა და წარმომავლობა	24
§ 2. დოკუმენტური ჟანრი, როგორც ინფორმაციის წყარო.....	29
§ 3. გრიგოლ ორბელიანის დოკუმენტური ნაწერების მიმართება მხატვრულთან.....	32
თავი III	
გრიგოლ ორბელიანის წერილებისა და დღიურების ტექსტოლოგიური კვლევა	36
§ 1. ხელნაწერი წყაროები და მათი ამოკითხვის სირთულეები.....	36
§ 2. გამოუქვეყნებელი წერილები და დღიურები	45
§ 3. ჟანრის იდენტიფიკაციის მნიშვნელობა აკადემიური გამოცემისთვის.....	51
§ 4. წერილების დათარიღება.....	53
§ 5. ადრესატებისა და მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია.....	66
§ 6. გეოგრაფიულ სახელთა ამოკითხვა და იდენტიფიკაცია	91
§ 7. საკომენტარო მასალის მომზადება.....	94
§ 8. ავტორისეული შეცდომები და მათი ამოკითხვის სირთულეები.....	102
§ 9. სხვა პირთა მიერ გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილებში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობა.....	103
თავი IV	
წერილებისა და დღიურების პუბლიკაციასთან დაკავშირებული საგამომცემლო კვლევები	108

§ 1. გრიგოლ ორბელიანის ცალკეული წერილების პუბლიკაცია	108
§ 2. გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეული.....	111
§ 3. ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა და მისი მეცნიერული კონცეფცია	116
§ 4. გრიგოლ ორბელიანის წერილების აკადემიური გამოცემის ისტორიულ- კულტურული ღირებულება	121
§ 5. დღიურების გამოცემის პრაქტიკა	130
§ 6. გრიგოლ ორბელიანის დღიურების გამოცემის ისტორია.....	131
§ 7. დღიურების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია და მისი მეცნიერული ღირებულება	136
დასკვნები	141
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	153
საარქივო მასალები	166

შესავალი

გრიგოლ ორბელიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა მჭიდრო კავშირშია XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. იგი იყო არა მხოლოდ სახელოვანი გენერალი და სახელმწიფო მოხელე, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. შესაბამისად, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ირეკლება ქართული ყოფის არაერთი ისტორიულ-კულტურული ასპექტი.

პირადი წერილები და დღიურები ისეთი სახის დოკუმენტური წყაროებია, რომლებიც ყველაზე მრავალმხრივად წარმოაჩენს ავტორის შინაგან სამყაროს, მის დამოკიდებულებას როგორც ახლობლების, ნაცნობებისა და კოლეგებისადმი, ისე სხვადასხვა თემის, ისტორიული პირებისა და მოვლენებისადმი. ისინი გვაწვდის ყველაზე სარწმუნო ინფორმაციას ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, ბიოგრაფიისა და ბიობიბლიოგრაფიის შესადგენად, ცხოვრებისა და შემოქმედების საკვლევად. მეორე მხრივ, წერილებსა და დღიურებში იკვეთება არა მხოლოდ ავტორის, არამედ ეპოქის სახეც. ამიტომ მათით ინტერესდებიან როგორც კონკრეტული ავტორის მოღვაწეობის მკვლევრები, ისე წყაროთმცოდნეები და ისტორიკოსები.

ტექსტის სწორად ამოკითხვა და ზუსტი ტრანსკრიპტის შედგენა ერთ-ერთი უმთავრესი ტექსტოლოგიური ამოცანაა. გარდა ამისა, ტექსტოლოგი იკვლევს დათარიღების საკითხს, ახდენს მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციას და კომენტარს ურთავს რთულად გასაგებ თითოეულ პასაჟს. წერილებისა და დღიურების მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება, როცა მათი ტექსტები მეცნიერულად დაზუსტებული და დათარიღებულია, მოხსენიებულ პირთა ვინაობა გარკვეული და ყველა რთულად გასაგები პასაჟი კომენტირებული. ამგვარი კვლევები ფუნდამენტური ხასიათისაა და მათი თავისთავადი ღირებულების გარდა, საფუძვლად ედება ისტორიულ-კულტურული ხასიათის შემდგომ ძიებებსაც.

გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა განსაკუთრებით მდიდარია ეპისტოლური ჟანრის თხზულებებით. ილია ჭავჭავაძე წერდა: „გრ. ორბელიანს აუარებელი წერილები და მიწერ-მოწერა დაჰრჩა. არა გვგონია, ჩვენში იმისთანა კაცი იყოს, რომ იმოდენა მიწერ-მოწერა ჰქონოდას, რაც გრ. ორბელიანს ჰქონია. ზოგი დიდხარისხოვან კაცებთან მინაწერია სხვადასხვა საზოგადო საქმეთა გამო, ზოგი

მახლობელთან, შორეულთან, მეგობართან“ [ჭავჭავაძე, 1991, 414]. გრიგოლ ორბელიანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პირადი თუ ოფიციალური ბარათების წერას. მან საინტერესო და ენობრივ-სტილური თვალსაზრისით დახვეწილი ეპისტოლური მემკვიდრეობა დატოვა. ეს წერილები სავსეა განცდებით, ემოციებით, პირადი შეხედულებებითა და იმ პერიოდის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული მსჯელობებით.

ეპისტოლური მემკვიდრეობის ისტორიულ-კულტურული ღირებულება მე-19 საუკუნეშიც კარგად ესმოდათ. როგორც ჩანს, იონა მეუნარგიამ თავისი ცნობილი ლექციები და მოგონებები გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უმთავრესად სწორედ მისი პირადი წერილებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე ააგო. გაზეთ „ივერიის“ სტატიაში, რომელიც ამ ლექციების ციკლს ეხებოდა, ვკითხულობთ: „...ბ-ნმა მეუნარგიამ ვრცლად ილაპარაკა და ცხოვლად დაგვიხატა სურათი გრ. ორბელიანისა, როგორც მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწისა. ამ მხრივ გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერამ, რომელიც ლექტორმა წარმოგვიდგინა, უხვი საბუთი მოგვცა, შეგვეტყო ზედმიწევნით პოეტის აზრი და გრძნობანი ყოველი საყურადღებო საგნისა და საქმის შესახებ ჩვენში. წესი ქვეყნის მართვისა და გამგეობისა, წინანდელი და აწინდელი მდგომარეობა ჩვენი თავადაზნაურობისა, სასულიერო სემინარიისა და ეკლესიისა, შემოერთება აჭარ-ქობულეთისა, აღზრდა ახალ თაობისა, ჩვენებური სასამართლოები, გამიჯვნის საქმე, - ყოველივე ეს განსჯილია და განბჭობილი ისეთი ნიჭიერებითა და გონიერებით, ისეთი ზედმიწევნილი ცოდნითა და სიბრძნით, რომ გიკვირთ და ამბობთ მხოლოდ: ბრძენი კაცი ყოფილა...“ [„ივერია“, 1888, 1-2].

ალექსანდრე ნანეიშვილი გაზეთ „ივერიაში“ გრიგოლ ორბელიანის წერილების შესახებ აღნიშნავს: „ორბელიანი თავის წერილებში ეხება ყოველს საზოგადო საქმეს და იმისი ნათელი და მართალი გონება მართლა რომ ნათელსა და სხივსა ჰფენს ყოველიფერს, რასაც პოეტი დაჰკვირვებია. ამ წერილებში მარტივად და ნათლად განმარტებულია ყველა ის საკითხი, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ავი და კარგი და რომლის გარჩევა და გამორკვევა ჯერ-ჯერობით მწერლობასაც ვერ მოუხერხებია, თუმცა ეს იმისი პირდაპირი მოვალეობაა. რომელი საგანიც უნდა აიღოთ, ომი თუ მშვიდობიანობა, ხალხის გაძლოლა და მართვა, საეკლესიო თუ

სასწავლო საქმე, თავად-აზნაურობის მდგომარეობა თუ სასამართლოები, ყველას შეჭებია პოეტის გონება...“ [ნანიეშვილი, 1888, 1].

იონა მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის შესახებ წერდა: „წერილები, რომელთაც უფრო საზოგადო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე კერძო, ნამდვილ მოთხოვნილებად შეექმნა იმას მოხუცებულებაში. ყოველს ღირს შესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სიტყვიერის სჯისა იგი სჯიდა კალმით. სხვა კაცი, სხვა პირობაში მყოფი, ან მემუარებს დაუწყებდა წერას მის ადგილზე, ან გაზეთების სტატიებს. ეს კი ცოცხალ კაცს სწერდა ცოცხალ საგანზე. არც ერთი მაღალ ხარისხზე მდგომი პირი არ დარჩენილა, არც კავკასიაში და არც პეტერბურგში, რომელთანაც იმას არ ჰქონოდა პირ-ახსნილი მიწერ-მოწერა. და ვინ არ იცნობდა იმას, ვის არ უმსახურნია იმის ხელქვეით კავკასიაში, ვინ არა გრძნობდა მისდამი ღრმა პატივის-ცემას. მისნი ახლო ნათესავნი და მეგობარნი, იმის წერილებით განებივრებულნი, ავგაროზივით ატარებდნენ მის ბარათებს“ [მეუნარგია, 2010, 208-209].

მწერალი ახლობლებისგანაც ითხოვდა ვრცელ წერილებს და წუხდა, როცა პასუხს უგვიანებდნენ ან მოკლედ სწერდნენ. „ილიას წიგნი მომივიდა“, - სწერდა მმას, ზაქარიას, უმცროსი ძმის შესახებ, - „რომელიც ისევ უკან გაუგზავნე, ამიტომ რომ ერთი თაბახი დაბლარჯული სულ ცარიელი ხოხოროს და ბოხოროს იყო... თითქოს არც სახლი გვექონდეს, არც საქმეები, რომლისაც შეტყობა ჩემთვის საჭირო არ იყოს“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 171]. ილიასადმი საყვედური ჩანს რძლის, ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებშიც. ერთგან ვკითხულობთ: „ერთხელ არ მახსოვს, რომ ჩემის წერილის პასუხი მოეწეროსო“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 121]; მმას სთხოვს: „ნუ დამიგვიანებ ხოლმე შენს წერილსა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 81]. ასევე ხშირად ითხოვს მისთვის წერილების გაგზავნას სხვადასხვა ახლობლისგან. მაგალითად, კონსტანტინე თარხნიშვილს სწერს: „ნუ დამაკლებ შენს წერილსა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 14]; ზოგან თავადაც იბოდიშებს წერილის დაგვიანების გამო. ქეთევან ორბელიანს სწერს: „მე მართლაც დანაშაული მაქვს, რომ ბატონიშვილს წერილი არ მოვართვი“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 144]. მწერალი გამოხატავს მაღლიერებას მათდამი, ვინც ბარათებს უგზავნის. „რა სიხარულს მანიჭებს თქუენის წერილების კითხუა“. - სწერს ივანე ჟილიხოვკის [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 40].

ამასთან ერთად, გრიგოლ ორბელიანს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა

დღიურების წარმოებაც. იგი თავადაც წერდა დღიურებს და სხვებსაც ურჩევდა ამის გაკეთებას. ძმას - ილია ორბელიანს სთხოვდა, რომ ყოველდღიურად ჩაეწერა მიმდინარე მოვლენები: „ჩემო უსაყვარლესო ძმაო ილიკო!.. გააკეთე პახოდნის ჟურნალი, რომელშიც ჩასწერე ყოველ დღე ცხოვრება შენი, ესე იგი როგორ გაატარე დღე იგი, რა ილაპარაკე, რა გააკეთე, რა გაიგონე... ესე შენთვის დიახ სასარგებლო და სასიამოვნო იქნება შემდეგ. პირველად რომ გონება შენი უმეტეს და უმეტეს გაიხსნება და შეეჩვევა გამსჯელობასა და მეორედ რომ რამდენსამე წელს უკან შენი წარსული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით ჰსცნობ, თუ რაოდენნი დღენი უბრალოდ ფუჭად განგიტარებია“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 87-88].

გრიგოლ ორბელიანის ერთ წერილში რძლისადმი, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი, მოცემულია დარიგება ადრესატის ვაჟის, გიორგი ორბელიანისთვის დღიურების წერასთან დაკავშირებით და ზედმიწევნით ნათლად ჩანს, რატომ მიაჩნდა მწერალს მნიშვნელოვნად დღიურების წარმოება: „ჰკითხე მას, რა იქნა მისი დღიური? ეხლა დაიწყოს, საკუთრივ თავისთვის, და ჩაიწეროს ყველაფერი, რაიც გადაჰხდება დღისით, ჩმახიცა, წვრილმანიცა, აი, თუნდაც მაგ.: „დღეს ცუდად ვიცოდი გაკვეთილი ლათ: ენაში, ვისადილე მავანთან, ვისეირნე მავანთან, ვნახე ისა და ესა და სხვ: შემდგომში ის ამ ჩანაწერებში დაინახავს საკუთარ თავს, ვითარ სარკეში, და მას უმალ, ცოცხლად წარმოუდგება მთელი მისი განვლილი ცხოვრება, და ეს მოჰგვრის დიდს ტკბობას, და რაც მთავარია, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, ისინი ასწავლიან მას მსჯელობასა და თვისი ჰაზრების ქაღალდზედ გადმოცემას“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 163-164]. ჩვენთვის უცნობია, შეასრულეს თუ არა ძმამ და ძმისშვილმა პოეტის დარიგება და აწარმოეს თუ არა დღიურები, მაგრამ, საბედნიეროდ, თავად გრიგოლ ორბელიანი ამას პირნათლად აკეთებდა და მისი დღიურები არა მხოლოდ ავტორის ცხოვრების, არამედ ეპოქის მატიანეებია.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, აშკარაა, რომ წერილებისა და დღიურების კვლევა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და აქტუალური.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ფუნდამენტურად შესწავლილი და აკადემიურად გამოცემული იყო გრიგოლ ორბელიანის წერილების 6 ტომი. ასევე გამოქვეყნებული იყო დღიურების უდიდესი ნაწილიც, მაგრამ შესასწავლი და გასარკვევი რჩებოდა კიდევ ბევრი რამ და საჭირო

იყო კვლევის გაგრძელება. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადდა გრიგოლ ორბელიანის წერილების კიდევ ორი (VII-VIII) ტომი და დღიურები მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემისთვის. ამოკითხულ იქნა არაერთი ტექსტის რთულად გასაშიფრი ადგილი, დათარიღდა წერილები, მოხდა პირთა იდენტიფიკაცია და სხვა.

ჩვენ მიერ შესწავლილი წერილობითი წყაროები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კვლევისათვის გამოვიყენეთ უახლესი ციფრული ტექნოლოგიები, ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნებითი მეთოდები. ხელნაწერებზე მუშაობისას რთულად ამოსაკითხი ადგილების დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივმა მეთოდმა. პირთა იდენტიფიკაციისთვის ძირითადად ვიყენებდით ისტორიულ-შედარებით და კორპუსული კვლევის მეთოდებს, საკომენტარო მასალის ანალიზისათვის - ინდუქციურ, დედუქციურ და შემოქმედებით მეთოდებს.

დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევები და მათ საფუძველზე გამოცემული ტომები ხელს შეუწყობს დიდი ქართველი რომანტიკოსის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის - გრიგოლ ორბელიანისა და მისი ეპოქის შემდგომ სიღრმისეულ შესწავლას.

თავი I

გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა, მისი გამოცემისა და კვლევის ისტორია

გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა მოიცავს როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ჟანრის ტექსტებს და ასახავს ავტორის არა მხოლოდ შემოქმედებით მოღვაწეობას, არამედ სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ამ ნაწერებშიც, ისევე როგორც წინააღმდეგობებით აღსავსე მის ცხოვრებაში, ერთდროულად ირეკლება ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის ნოსტალგია, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა, ქვეყნის განათლებასა და კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა; მეორე მხრივ, რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობაში მონაწილეობა და იმპერიის ერთგული სამსახური.

გრიგოლ ორბელიანის ორიგინალურ მხატვრულ მემკვიდრეობას შეადგენს რამდენიმე ათეული ლექსი და პოემა „სადღეგრძელო“. მხატვრული პროზა მას არ შეუქმნია, მაგრამ თარგმნილი აქვს როგორც ლექსები, ისე რამდენიმე მოთხრობა: უცნობი ავტორების „აღლელორია“ [ხუციშვილი, 1947, 93-94] და „საღამოს ჩაიზედ“ [ორბელიანი, 1959, 382-432], იოჰან ჰერდერის „სამნი მეგობარნი“ [ხუციშვილი, 1945, 4] და იოჰან-ჰაინრიხ-დანიელ ცმოკეს „მაცთუნებელი“. რაც შეეხება დოკუმენტურ ნაწერებს, აქვს ძალიან მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა, დღიურები, საქმიანი ქაღალდები, პუბლიცისტური წერილები და ჩანაწერები [ორბელიანი, 1959, 335-382].

გრიგოლ ორბელიანის პუბლიცისტური ხასიათის დოკუმენტური ტექსტებია: [ცნობები ლეკების შესახებ] [ორბელიანი, 1959, 296-298], კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“ [ხუციშვილი, ტატიშვილი, 1941, 300-301], „ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენის პლანეტის შექმნისათვის, ანუ მიწისა“ [ორბელიანი, 1959, 296-298], [სხვადასხვა შენიშვნა] [ორბელიანი, 1959, 301-304], „ჩემი ჰაზრი ბატონ-ყმობის საქმეზე“ [სოფია, 1952, 73-90], „განთავისუფლებისათვის გლეხთასა მებატონეთ ყმობისგან...“ [ორბელიანი, 1959, 308-310] და „შენიშვნები თბილისის ამქართა მღელვარების შესახებ“ [ორბელიანი, 1959, 301-311]. მასვე ეკუთვნის, „ძველი

სემინარისტის“ ფსევდონიმით ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „მგზავრობა სვანეთისკენ გ: წ:“, სადაც მიმოიხილავს გიორგი წერეთლის მოთხრობის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ ნაწილს [ორბელიანი, 1874, 188-195].

შემორჩენილია გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ზეპირი გამოსვლის ტექსტიც, რომლებიც წარმოთქმულია: 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე [ხუნდაძე, 1933, 4], 1867 წლის 26 მარტს მიხეილ ვორონცოვის ძეგლის გახსნის ცერემონიაზე [„დროება“, 1867, 1, 3], 1878 წლის სექტემბერში რუსეთ-ოსმალეთის ომიდან დაბრუნებული ქართული მილიციის პატივსაცემად თბილისის ბაღში გამართულ [„დროება“, 1878, 1] და იმავე წლის ნოემბერში ახალშემოერთებული აჭარის ქართველთა პატივსაცემად გამართულ [„დროება“, 1878, 1] წვეულებებზე, 1881 წელს ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გამოსათხოვებლად გამართულ სადილზე [„დროება“, 1881, 2].

გრიგოლ ორბელიანი ავტორია მრავალი საქმიანი და პირადი წერილისა, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია ბარათებმა 1832 წლიდან გარდაცვალებამდე, 1883 წლამდე. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც გრიგოლ ორბელიანმა დაიწყო მოღვაწეობა, დოკუმენტური ჟანრებიდან ყველაზე პოპულარული იყო სწორედ პირადი მიმოწერა და დღიურები. საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველი ინტელიგენციის დოკუმენტური ნააზრევის არეალმა გადაინაცვლა პუბლიცისტიკაში, მანამდე კი, როდესაც ქვეყანაში ჟურნალ-გაზეთები ან საერთოდ არ გამოდიოდა, ან მათი ნაკლებობა იყო, პირადი წერილები და დღიურები იკავებდა ამ ნიშას.

§ 1. გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები და მათი კრიტიკული მიმოხილვები

ავთენტური ტექსტის დასადგენად ბეჭდურ წყაროთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს. მათი აღნუსხვა ხდება აკადემიურ გამოცემებში და მათზე დაყრდნობით წარმოებს როგორც ტექსტოლოგიური, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემები არ იბეჭდებოდა და ქართველ მწერალთა ტექსტები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

პავლე ინგოროყვას ცნობით, 1833 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეებმა შეადგინეს ხელნაწერი ალმანახი, რომელშიც სხვა ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებებთან ერთად შეიტანეს გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალის“ [ინგოროყვა, 1928, 232-233].

გრიგოლ ორბელიანის ლექსებისა და თარგმანების ბეჭდვა პირველმა ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა“, გიორგი ერისთავის რედაქტორობით, დაარსებიდან მალევე, 1852 წელს, დაიწყო. თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ლექსები: „ეკატერინა ჭავ...“ („წინანდლის ვარდო...“), „ჰე, საყუარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე!“, „ღამე“ და „გამოსალმება“ [ორბელიანი, 1852, 2-8]. 1857 წლიდან ივანე კერესელიძემ განაახლა ჟურნალი „ცისკარი“, სადაც სხვა ძველი თუ ახალი თაობის მწერლების ნაწარმოებებთან ერთად ინტენსიურად ბეჭდავდა გრიგოლ ორბელიანის ლექსებსა და თარგმანებს (იხ. დანართი N1).

ჟურნალ „ცისკრის“ გარდა, გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლეში მისი ლექსები ქვეყნდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში. ჟურნალ „საქართველოს მოამბე“ დაიბეჭდა ლექსი „ლოთური მუხამბაზი“ [ორბელიანი, 1863, 187-188]; კირილე ლორთქიფანიძის შედგენილ კრებულში „ჩონგური“ - ლექსები: „ლოთური მუხამბაზი“ და „იარალისადმი“ [ორბელიანი, 1864, 101-103, 124-127]; საეკლესიო ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარებელიში“ სათაურით „ეპიტაფია“ - ლექსი „ჩემი ეპიტაფია“ [ორბელიანი, 1868, 64]; ჟურნალ „კრებულში“ - პოემა „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოეთ“ [ორბელიანი, 1871, 1-28]; გაზეთ „ივერიაში“, „ქსნისხეველის“ ფსევდონიმით, - ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში“, „მუშა ბოქულადე“ [ორბელიანი, 1877, N7, 5-6, 8-9] და „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ [ორბელიანი, 1877, N18, 6]; ჟურნალ „ივერიაში“ - ლექსი „ფსალმუნი“ [ორბელიანი, 1879, 151] და ვასილი ჟუკოვსკის ლექსის „ჰეი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?“ თარგმანი [ორბელიანი, 1882, 62].

პერიოდულ ორგანოებში პუბლიკაციების გარდა, გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლეში მისი თხზულებები სამჯერ გამოიცა ცალკე წიგნად. 1871 წელს „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ გამოსცა პოემა „სადღეგრძელო“ [ორბელიანი, 1871]. 1873 წელს პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ლექსების პირველი კრებული. გამომცემელი წინასიტყვაობაში

წერდა, რომ თავი მოუყარა პერიოდულ პრესაში გაფანტულ მის ლექსებს და „ავტორისაგან გასწორებული“ გამოაქვეყნა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით [ორბელიანი, 1873, [01].

გრიგოლ ორბელიანის ლექსების მეორე, 1879 წლის გამოცემა ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი ძირითადად იმეორებს პეტრე უმიკაშვილისეული გამოცემას, მაგრამ დამატებული აქვს 1872-1879 წლებში დაწერილი ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ [ორბელიანი, 1879, 73-76]; „მუშა ბოქულაძე“ [ორბელიანი, 1879, 76-80]; „ფსალმუნი“ [ორბელიანი, 1879, 81] და „პასუხი შვილებთა“ [ორბელიანი, 1879, 82-83]. ზაქარია ჭიჭინაძე ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „ეს მეორე გამოცემა გადმოიბეჭდა უფ. პეტრე უმიკაშვილის შვილებილი გამოცემიდან. მხოლოდ ზოგიერთი ლექსები ავტორმა ხელახლად გადაასწორა და აგრეთვე მიუმატა ოთხი სხვა ლექსი“ [ორბელიანი, 1879, 3].

1875 წელს გიორგი სკანდაროვის შედგენილ კრებულში „სალხინო საზანდარი“ დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ლექსები: „შეთხზული მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან..“), „საიათნოვას მიბაძვა“ („ჭიანურო! მაღლად ტკბილად, დაუკარ!...“), „მუხამბაზი“ („სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით...“), „დიმიტ. ონის დარდები“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ...“) [სკანდაროვი, 1875, 154-165].

გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლეში მისი ნაწარმოებების გამოცემის გარდა, მათი კრიტიკული ანალიზი და შეფასებაც ხდებოდა. 1852 წელს გაზეთში „Кавказ“ დაბეჭდილ მიხეილ თუმანიშვილის სტატიაში „ქართული თეატრი“ გრიგოლ ორბელიანი შოთა რუსთაველის გვერდით მოიხსენიება. მისი შემოქმედების შესახებ საუბარია ასევე: 1854 წელს იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ დიმიტრი ყიფიანის წერილში „რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე“, 1857 წელს დაბეჭდილ ნიკოლოზ ბერძნიშვილის სტატიაში „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, 1859 წელს ლავრენტი არდაზიანის წერილში „ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის - იანვრიდან დეკემბრამდე - გაკვრით მიმოხილვა ნ. ბერძენოვისა“ [აბაშიძე, 1977, 137] და სხვა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის „Грузинская литература, беглый обзор 12 книжек журнала «Заря» с янв. по декабрь 1858 г.“ („ქართული ლიტერატურა, ჟურნალ

„ცისკრის“ 1858 წლის თორმეტი წიგნაკის - იანვრიდან დეკემბრამდე - გაკვრით მიმოხილვა“) პირველი წერილია სალიტერატურო კრიტიკაში, რომელიც არა მხოლოდ ახსენებს პოეტს, არამედ ვრცლად განიხილავს მის ერთ ლექსს - „იარალი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ვინც ერთხელ მაინც წაიკითხავს ამ შეუდარებელად მელოდიურ ლექსს, აღტაცებაში მოვა და რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსები დაუბეჭდავადაც პოპულარულია, მის „იარალის“ მიყრუებულ სოფლებშიც კი მღერიან [„Кавказ“, 1859, 122-123].

1861 წელს ჟურნალ „ცისკარის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდილ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმნაზედა“ ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის ენას „მშვენიერს“ უწოდებს და განიხილავს მის ლექსს „ონიკოვის დარდები“ [ჭავჭავაძე, 1991, 19, 26]; 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“ მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „გამოსალმება“ [ჭავჭავაძე, 1991, 81], 1862 წლის დაუმთავრებელ წერილში „ცისკარი 1857 წლიდან - 1862 წლამდინა“ კი მას საქართველოში ევროპეიზმის გამგრძელებლად მოიხსენიებს [ჭავჭავაძე, 1991, 592].

1863 წელს ჟურნალ „ცისკარში“ „ქერელი ბექას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ლიტერატურა, საქართველოს მოამბე, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები“ ანტონ ფურცელაძე აღტაცებას გამოხატავს ლექსის „გინდ მეძინოს...“ მიმართ [ქერელი, 1863, 440-441]. იმავე წლის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მე-5 ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „ცისკარს რა აკაკანებდა“ გიორგი წერეთელი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ორბელიანის პოეზიას ახასიათებს პლასტიკური გრძნობა, რომლის გარეშე შეუძლებელია რეალური ცხოვრების განჭვრეტა [წერეთელი, 1863, 59].

1865 წელს აკაკი წერეთელი ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის შესახებ“ გრიგოლ ორბელიანსა და წინა თაობის სხვა წარმომადგენლებს ნიჭიერ მწერლებად მოიხსენიებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მათ ხალხზე არ უზრუნიათ და ქეიფის გარდა არაფერი უკეთებიათ [წერეთელი, 1865, 16].

1871 წელს „ცისკარში“ ივანე კერესელიძემ ფსევდონიმით „ბიძია დონიკე“ დაბეჭდა რეცენზია გრიგოლ ორბელიანის მის მიერვე წიგნად გამოცემულ პოემაზე

„სადღეგრძელო“, სადაც პოემა „ვეფხისტყაოსანს“ შეადარა და საქართველოს პოეზიის გვირგვინად მოიხსენია [ბიძია დონიკე, 1871, 113-131].

ამავე წელს ნიკო ყიფიანმა ფსევდონიმით „დიმიტრიძე ნ.“ გაზეთ „დროების“ ბიბლიოგრაფიაში მიმოიხილა ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“. მან უარყო მოსაზრება, თითქოს პოემა წარმოადგენს ვასილი ჟუკოვსკის თხზულების მიბადვას, რადგან ბევრად უფრო მაღალმხატვრული და აზრით გაჯერებული ნაწარმოებია [დიმიტრიძე, 1871, 1].

1872 წელს ანტონ ფურცელაძემ ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა სტატია „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“, სადაც გააკრიტიკა ნიკოლოზ ყიფიანის რეცენზია ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებულ თხზულებებზე, მაგრამ დაეთანხმა გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შეფასებაში. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ პოემა მართლაც საუკეთესო ნაწარმოებია და არ არის ჟუკოვსკის გავლენით დაწერილი, მაგრამ ეს მოსაზრება არაარგუმენტირებულად აქვს წარმოდგენილი ნიკოლოზ ყიფიანს და მკითხველს ვერ დაუმტკიცებს ამ თხზულების ღირსებას [ფურცელაძე, 1872, 169-212].

1873 წელს ჟურნალ „კრებულში“ „ნ. სკანდელის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის რეცენზია პეტრე უმიკაშვილის მიერ გამოცემულ გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულზე. ავტორი აღნიშნავს, რომ გამომცემლის მანამდე არსებულ არც ერთ ნაშრომს ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც გრიგოლ ორბელიანის ლექსების შეკრებასა და გამოცემას. სტატიის ავტორი ვრცლად განიხილავს ნაწარმოებებს და აქებს პოეტის ნიჭს [ნიკოლაძე, 1871, 145-202].

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებისა და მისი მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება ყოველთვის არ იყო ერთგვაროვანი. მის შესახებ იწერებოდა ცხარე კრიტიკაც. 1875 წელს აკაკი წერეთელმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის საპასუხოდ დაწერილი სტატია „პატრიოტის აღსარება“, რომელშიც ჩართული იყო სატირული ლექსები „ბობოლაების ბაიათი“ და „კოლო-ბუზების პასუხი“ [წერეთელი, 1875, 1-2].

1878 წელს გიორგი თუმანიშვილმა მიმოიხილა „შარმანდელ ქართულ მწერლობის გადათვალთქრება“ გაარჩია გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“. მან აღნიშნა, რომ წინა წლის ქართულ ორიგინალურ თხზულებებში ყველაზე მეტი

ყურადღება დაიმსახურა ამ ლექსმა, რადგან ამავე თემაზე შექმნილი ლექსებისგან განსხვავებით, მუშის სახის დახატვით პოეტმა წარმოაჩინა ქვეყნის საზოგადოებრივი სახე [თუმანიშვილი, 1878, 128-154].

1878 წელს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ სრულად გაიყიდა გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული და საჭირო გახდა მეორედ გამოცემა, რადგან ეს ლექსები მთელ საქართველოშია გავრცელებული და მათ მღერიან კიდეც [დროება, 1878, 1].

1882 წელს სილოვან ხუნდაძემ ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი პოეტის 50 წლის იუბილეს გამო - „ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში“. ავტორი სიხარულს გამოთქვამს, რომ ქართველმა ერმა დააფასა ღირსეული და სასიქდულო შვილი იუბილეს გადახდით; იგი განიხილავს გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებებს: „იარალის“, „სადღეგრძელო“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ [ხუნდაძე, 1882, 98-114].

§ 2. მწერლის გარდაცვალების შემდგომი გამოცემები

გრიგოლ ორბელიანის თხოულებათა შეკრებასა და მათ გამოცემაზე ზრუნვა მწერლის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. 1883 წლის 27 მარტს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ მან 1880 წელს გრიგოლ ორბელიანს მიუტანა 1879 წელს გამოცემული ლექსების მეორე კრებული, რომელიც პოეტმა გაასწორა და ამასთან ერთად, გამოუქვეყნებელი ლექსებიც გადასცა ახალ კრებულში შესატანად [დროება, 1883, N4]. ლექსების მესამე კრებული მომდევნო, 1884 წელს, დაიბეჭდა. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მომზადებულ ამ კრებულში შეტანილია 5 ახალი ლექსი: „ხალი“ [ორბელიანი, 1884, 83], „ნეტარ მას...“ [ორბელიანი, 1884, 84], „ამა სოფელს დამშთომიეს...“ [ორბელიანი, 1884, 92], „ჟუკოვსკიდან (ჰოი, სოფელო...)“ და „ახ, ვითა გშვენის“ [ორბელიანი, 1884, 93]. ვახტანგ კოტეტიშვილი ლექსების 1928 წლის გამოცემაში აღნიშნავს, რომ პირველი ლექსი წარმოადგენს სტროფს გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზისას „სულით ერთნო...“ [ორბელიანი, 1928, VI]; ლიტერატურის მუზეუმში დაცულ, გრიგოლ ორბელიანის ლექსების ხელნაწერ კრებულზე ავტორის მინაწერის მიხედვით კი, ლექსი „ნეტარ მას“ ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს [გლსქლსმ, გრიგოლ

ორბელიანის ფონდი, N16259].

ზაქარია ჭიჭინაძე ბოლოსიტყვაობაში საინტერესო ცნობებს გვაწვდის კრებულში შეტანილი ახალი ლექსებისა და წინა კრებულში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის შესახებ, რის გამოც 1884 წლის ტექსტებს, პოეტის სიცოცხლეში გამოცემული კრებულების შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური გამოცემის განხორციელებისას.

1904 წელს გამოიცა „გრიგოლ ორბელიანის რჩეული ლექსები სკოლებში და ოჯახში სახმარებელი“ და „ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“, რომელშიც სხვა ავტორებთან ერთად გრიგოლ ორბელიანის ლექსებიც დაიბეჭდა [ორბელიანი, 1904, 65-98].

1926 წელს მიხეილ ზანდუკელმა ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები [ზანდუკელი, 1926, 47-64].

1928 წელს გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“ გამოსცა გრიგოლ ორბელიანის ლექსების ახალი კრებული. მასში შევიდა 10 ლექსი, რომლებიც წინა გამოცემებში არ დაბეჭდილა. წიგნის რედაქტორი ვახტანგ კოტეტიშვილი წინასიტყვაობაში წერდა, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ არც ერთი არსებული გამოცემა არ იყო დამაკმაყოფილებელი. პირველი კრებული, პეტრე უმიკაშვილის ცნობით, ავტორისგან იყო გასწორებული, მაგრამ ამ გამოცემაში ზოგიერთი ლექსი ვერ მოხვდა, რადგან შემდეგ დაიწერა და დაიბეჭდა. ასევე აღნიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული 2 წიგნის ღირსებასა და ნაკლს [ორბელიანი, 1928, 5-7].

1930 წელს „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ მე-3 ტომში სხვა ავტორების თხზულებებთან ერთად დაიბეჭდა პოეტის ლექსები და პოემა [ორბელიანი, 1930, 26-56].

გრიგოლ ორბელიანის ლექსების მეხუთე გამოცემა 1935 წელს დაიბეჭდა მიხეილ ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებითა და კრიტიკული წერილით; წიგნში შევიდა 1873, 1879, 1884 და 1928 წლების კრებულთა ლექსები და ვარიანტები, აგრეთვე პავლე ინგოროყვას მიერ 1928 წელს გამოქვეყნებული ლექსები ლენინგრადიდან ჩამოტანილი „1832 წლის საქმის“ XII რვეულიდან და ახალი ფრაგმენტები იმავე „საქმიდან“ [ინგოროყვა, 1928, 258-267]. ამ გამოცემაში პირველად დაიბეჭდა 14

ლექსი, 5 სატრფიალო ლექსი-ოთხეული, 5 სატრფიალო ლექსი-ორეული, შოთა რუსთველზე 2 ფრაგმენტი, 9 სხვა ფრაგმენტი და კონდრატე რილეევის ლექსის „აღსარება“ თარგმანი. რედაქტორი აღნიშნავდა: „ეს შედარებით წინა გამოცემებთან უფრო სრულია. ამჟამად არსებული შესაძლებლობა თითქმის ამოწურულია, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ჩვენი მწერლების მუზეუმ-არქივებში ხელნაწერების მოუწესრიგებლობას და აგრეთვე ჩვენი პერიოდული გამოცემების შეუსწავლევლობას, ვფიქრობთ, რომ არა ვართ დაზღვეული, რომ კიდევ არ აღმოჩნდება გრიგოლ ორბელიანის სადმე მივარდნილი ლექსი ან მთელი ლექსთა კრებული. ამიტომ გრ. ორბელიანის შემოქმედების გარშემო კვლევა-ძიება სრულიადაც არ მიგვაჩნია დამთავრებულად“ [ორბელიანი, 1935, 7].

1940 წელს გამოიცა გრიგოლ ორბელიანის ლექსები აკაკი გაწერელიას რედაქტორობით. 1948 წელს „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით, ასევე აკაკი გაწერელიას რედაქტორობით დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ახალი კრებული. გამოცემა არ იყო მეცნიერული და მასში არ დაბეჭდილა ე. წ. „სადაო ლექსები“ და ვარიანტები. მოცემული იყო მხოლოდ აუცილებელი ცნობები შინაარსის იოლად გასაგებად; ამ გამოცემაში პირველად შევიდა ლექსი „დავით ორბელიანზე“ [ორბელიანი, 1948, 11-12].

შენიშვნებში აკაკი გაწერელია წერდა: „გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის სრული გამოცემისათვის მომავალში აუცილებელი იქნება ლექსებისათვის ტექსტუალურ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ამომწურავი აპარატის დართვა, რაც ნათელს გახდის მთელ რიგ ბუნდოვან საკითხებს. უნდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე გამოცემაზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსების დამაკმაყოფილებელი გამოცემა დღემდე არ გვექონია. თავისთავად ცხადია, რომ სრულიად უნაკლო გამოცემად არც წინამდებარე პუბლიკაცია ჩაითვლება“ [ორბელიანი, 1948, 125].

1951 წლის გამოცემა დაიბეჭდა აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და ვრცელი შენიშვნებით. წიგნს ერთვის ბიბლიოგრაფია. კრებულში არ შესულა ე. წ. „სადაო ლექსები“. სხვა მასალა კი დაბეჭდილია ახალი თანამიმდევრობით. ამ გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა რამდენიმე ფრაგმენტი „1832 წლის საქმის“ XXI რვეულიდან [ორბელიანი, 1951, 31] და სატირული ლექსი

„დროების ათი წლის იუბილე“ [ორბელიანი, 1951, 73-75].

1959 წელს გამოქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული. გამომცემლობისაგან აღნიშნული იყო, რომ ეს წიგნი გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის პირველი გამოცემაა, რომელშიც თავმოყრილია იმ დროისთვის ცნობილი ყველა პოეტური და პროზაული ნაწარმოები და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად გამოქვეყნდა [ორბელიანი, 1959, [599]]. პოეზია გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები დაურთო და ბიბლიოგრაფია შეადგინა აკაკი გაწერელიამ, ხოლო პროზაული ნაწილი მოამზადა და შენიშვნები დაურთო ჯუმბერ ჭუმბურიძემ. ეს კრებული გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებების აკადემიურად გამოცემის პირველი მცდელობაა და წინა გამოცემებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილი და მეცნიერულ-კრიტიკულია.

აკაკი გაწერელია ტექსტის შენიშვნებში საუბრობს გრიგოლ ორბელიანის თხზულებების გამოცემის სირთულეებზე: „მე-19 საუკუნის არც ერთი პოეტის ნაწერების უნაკლო გამოცემის განხორციელება ისე ძნელი არაა, როგორც გრ. ორბელიანის ნაწერებისა. ამის მიზეზი ისაა, რომ პოეტის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი ავტოგრაფების სახით არაა მოღწეული ჩვენამდე. 1833 წლამდე დაწერილი ლექსების ავტოგრაფებიც მხოლოდ 1928 წელს აღმოჩნდა. ბევრი ამათგანი პოეტის სიცოცხლეში გვიანდელი ასლების მიხედვით იბეჭდებოდა და აჭრელებული იყო შეცდომებით და არაზუსტი თარიღებით. ამგვარი შეცდომების მიზეზი ზოგჯერ თვითონ პოეტის სუსტი მეხსიერებაც იყო. გრიგოლ ორბელიანი თავის ლექსებს სიკვდილამდე ასწორებდა...“ [ორბელიანი, 1959, 454].

გამოცემაში დაბეჭდილია პოეტის როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებები. ლირიკის რუბრიკაში შეტანილია 45 დამოუკიდებელი ლექსი; წვრილ ლექსებში გაერთიანებულია 4 ორტაეპიანი ლექსი, სატრფიალო ლექსებში - ოთხტაეპიანი, რითმიანი 8 სტროფი, ორტაეპიანი 4 სტროფი, 15 ნაწყვეტი, რუსთაველზე კი - 3 ტაეპი. ეპოსის განყოფილებაში დაბეჭდილია „სადღეგრძელო“. თარგმანების რუბრიკაში მოცემულია პუშკინის, რილევის, ლერმონტოვის, ჟუკოვსკის, კრილოვის ლექსების 9 თარგმანი; აქვეა ლექსებისა და „სადღეგრძელოს“ („ტოლუბაში“) 9 ვარიანტი. პროზაული ნაწარმოებები დაყოფილია რუბრიკებად: დღიურები, მხატვრული ესკიზები, შენიშვნები და ჩანაწერები, კრიტიკა და

თარგმანები.

ტექსტის სქოლიოებში, გამოტანილია პოეტის შენიშვნები, რომლებიც მეტწილად ლექსების ადრესატებს, ისტორიულ პირებს, ცალკეულ ეპიზოდებსა და გეოგრაფიულ სახელებს ეხება. მასალა ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული. 1951 წლის გამოცემასთან შედარებით, შევსებულია ზოგიერთი ადგილი, გასწორებულია ცალკეული ლაფსუსები და კორექტურული შეცდომები. შენიშვნებში მოცემულია ნაწარმოებების შექმნის ისტორია და ფილოლოგიური ხასიათის სხვა ცნობები, რასაც, გამომცემლის აზრით, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შემდგომი ტექტოლოგიური კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოცემა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ერთვის პოეტის თხზულებების ბიბლიოგრაფია, ბიოგრაფიის წყაროები, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ლიტერატურა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე [ორბელიანი, 1959, 594].

1959 წელს „მოსწავლეთა ბიბლიოთეკამ“ გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის ლექსები და პოემა. 1960 წელს ლევან ასათიანმა ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა ახალმიკვლეული ლექსი „მის ბრწყინვალეობას კნეინა პელაგია წერეთლისას“ [„მნათობი“, 1960, 100].

1989 წელს, 1959 წლის გამოცემაზე დაყრდნობით, სილოვან ნარიმანიძის რედაქტორობითა და წინათქმით გამოქვეყნდა კრებული „სადამო გამოსალმებისა“, აკაკი გაწერელიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის შენიშვნებითა და კომენტარებით. წინა გამოცემისგან განსხვავებით, კრებულში არ შესულა რუბრიკა „შენიშვნები და ჩანაწერები“, ორი ვრცელი პროზაული თარგმანი, ვარიანტები და ბიბლიოგრაფია, რადგან 1985 წელს ცალკე გამოიცა ე. წ. „ბიობიბლიოგრაფია“ [ნუცუბიძე, ფიოლია, ნაკაშიძე, 1985]. აღსანიშნავია, რომ ეს გამოცემა რეალურად ბიბლიოგრაფიაა. ტერმინი „ბიობიბლიოგრაფია“ გულისხმობს ინფორმაციას ამა თუ იმ ავტორის მიერ შექმნილი და მასზე დაწერილი თხზულებების, ასევე ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ. ეს ნაშრომი კი მოიცავს მხოლოდ მწერლის ნაწარმოებთა ბეჭდურ მასალებს და მის შესახებ არსებული ლიტერატურის აღწერას, შესაბამისად, მას ბიობიბლიოგრაფიად ვერ მივიჩნევთ.

2013 წელს სერიით „ჩემი რჩეული“, ზურაბ აბაშიძის რედაქტორობით გამოიცა გრიგოლ ორბელიანის პოეზია, პროზა და წერილები.

1936-1937 წლებში აკაკი გაწერელიამ ორ ტომად გამოსცა გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, რომლებმაც ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცემა შეწყდა და მკითხველისათვის უცნობი დარჩა ეპისტოლეთა უდიდესი ნაწილი, რომელიც ამ 2 ტომში ვერ მოხვდა.

2010 წლიდან ხორციელდება პროექტი - XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა. პროექტის ფარგლებში გამოცემულია გრიგოლ ორბელიანის წერილების 7 ტომი და დარჩენილი ბარათები, სავარაუდოდ, კიდევ 3 ტომს შეადგენს. ამ გამოცემაში შესული 100 ქართული და 229 რუსული წერილი პირველად გაიცნო საზოგადოებამ, მკვლევრებმა დაათარიღეს 156 წერილი და დაადგინეს არაერთი პირის ვინაობა.

§ 3. კვლევები გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან დღემდე არ ნელდება მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ინტერესი. 1883 წელს იოსებ ბაქრაძემ, „გ. ბაღსარაშვილის“ ფსევდონიმით, გაზეთ „დროების“ ორ ნომერში გამოაქვეყნა წერილი „მასალები ცხოვრების დასაწერად გარდაცვალებულის პოეტის, თ-ის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა“ [ბაღსარაშვილი, 1883, 2-3, 2-4]; ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ეგნატე იოსელიანის წერილი „ქართული ლიტერატურა. გრიგოლ ორბელიანი“ [იოსელიანი, 1883, 70-90] და ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვა“, სადაც საუბარია გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ [ჭავჭავაძე, 1883, 96-112]. 1898 წელს ჟურნალ „მომბეში“ დაიბეჭდა კიტა აბაშიძის ნარკვევი „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან - თ-დი გრ. ორბელიანი“ [აბაშიძე, 1898, 40-69].

1904-1905 წლების „მომბის“ ნომრებში იბეჭდებოდა იონა მეუნარგიას „ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა“ [„მომბე“, 1904, 55-82, 39-64, 1-37, 1-9, 25-38, 37-39, 1-14, 20-38, 22-31; 1905, 1-14, 58-70], 1905 წელს კი, ეს მონოგრაფია ცალკე წიგნად გამოიცა [მეუნარგია, 1905]. იონა მეუნარგიას 1941 წლის გამოცემაში „ქართველი მწერლები“ შევიდა 1905 წლის წიგნში დაუბეჭდავი თავები [მეუნარგია, 1941]. 1913 წელს გამოიცა ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების

ისტორია“, სადაც გამოქვეყნდა ნარკვევი „გრიგოლ ორბელიანი“ [ხახანაშვილი, 1913, 24-32]. 1914 წელს ჟურნალ „განათლების“ 4 ნომერში დაიბეჭდა ილია ფერაძის წერილი „გრიგოლ ორბელიანი და რომანტიკული მიმართულება ქართულს პოეზიაში“ [ფერაძე, 1914, 114-120, 194-196, 281-284, 373-380]. 1926 წელს მიხეილ ზანდუკელმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა წერილი „გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება“ [ზანდუკელი, 1926, 177-209], 1932 წელს კი - წიგნში „ახალი ქართული ლიტერატურა“ ნარკვევი „გრიგოლ ორბელიანი დიმიტრის (ზურაბის) ძე“ [ზანდუკელი, 1932, 175-226]. 1934 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა სიმონ ხუნდაძის სტატია „პოეტი-სარდალი. გრიგოლ ორბელიანის პროფილი“ [ხუნდაძე, 1934, 119-139]. 1941 წელს გიორგი ნატროშვილმა კრებულში „ლიტერატურული ეტიუდები“ დაბეჭდა წერილი „გრიგოლ ორბელიანი“ [ნატროშვილი, 1941, 62-89]. 1944 წელს გამოქვეყნდა აპოლონ მახარაძის დისერტაცია/მონოგრაფია „გრიგოლ ორბელიანი“ [მახარაძე, 1944].

1946 წელს გამოიცა ლევან ასათიანის ნარკვევი „გრიგოლ ორბელიანი“ [ასათიანი, 1946] და კონსტანტინე მეძველიას მოხსენება „გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი“ [მეძველია, 1946]. ამავე წელს სერგი ჭილაიამ კრებულში „ლიტერატურული წერილები“ გამოაქვეყნა წერილი „გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის“ [ჭილაია, 1946, 3-27]. 1947 წელს გერონტი ქიქოძემ წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია, მე-19 საუკუნე“ დაბეჭდა ნარკვევი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შესახებ [ქიქოძე, 1947, 47-58]. 1954 წელს ჯუმბერ ჭუმბურიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა წერილი „გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომდერალი რუს მეომართა ბანაკში“ [ჭუმბურიძე, 1954, 51-71].

1959 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია“ გამოქვეყნდა წერილი „გრიგოლ ორბელიანი“ [კოტეტიშვილი, 1959, 80-111]. 1967 წელს გამოიცა ელგუჯა მალრაძის მონოგრაფია „გრიგოლ ორბელიანი“ [მალრაძე, 1967]. 1969 წელს სოლომონ ხუციშვილმა კრებულში „ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები“ გამოაქვეყნა ნარკვევი გრიგოლ ორბელიანზე [ხუციშვილი, 1969, 97-112]. 1995 წელს დაიბეჭდა იუზა ევგენიძის წიგნი „გრიგოლ ორბელიანი.

ცხოვრება და მოღვაწეობა“ [ევგენიძე, 1995]. 2005 წელს, თენგიზ კიკაჩიშვილის რედაქტორობით, გამოიცა კრესტომათია „გრიგოლ ორბელიანი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (1860-1899)“ [კიკაჩიშვილი, 2005].

2008 წელს გელა საითიძემ წიგნში „ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (1801-1917)“ მიმოიხილა მწერლის მოღვაწეობის ერთი ასპექტი [საითიძე, 2008, 13-19]. 2012 წელს ნინო ვახანია კრებულში „ჩვენი XIX საუკუნე“ დაბეჭდა კვლევა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ [ვახანია, 2012, 151-266], ზაზა აბზიანიძემ გაზეთ „ახალი განათლებაში“ გამოაქვეყნა სტატია „ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები, გრიგოლ ორბელიანი“ [აბზიანიძე, 2012, 6-7]. 2013 წელს მათა ნინიძემ ინტერნეტბლოგში „ტექსტოლოგიური კვლევები“ გამოაქვეყნა ნაშრომი „გრიგოლ ორბელიანის წერილების დათარიღება“ [ნინიძე, 2013], ნანა რჩეულიშვილმა ჟურნალ „ინტელექტი“ დაბეჭდა სტატია „გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების რომანტიკული ასპექტები“ [„ინტელექტი“, 2013, 102-103]. 2015 წელს თინათინ თუმბრაძიშვილმა ჟურნალში „ენა და კულტურა“ გამოაქვეყნა სტატია „დარდიმანდი გრიგოლ ორბელიანი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით“ [„ენა და კულტურა“, 2015, 146-149]. 2019 წელს ქეთევან გიგაშვილმა და გიორგი გოცირიძემ გორის სასწავლო უნივერსიტეტის შრომებში დაბეჭდეს წერილი „ძალაუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კონტექსტი გრიგოლ ორბელიანის წერილების მიხედვით“ [გიგაშვილი, გოცირიძე, 2019, 680-697].

2002 წელს შორენა ანჯაფარიძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოტივები გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“. ნაშრომში განხილულია პესიმიზმის მოტივები, ეთიკისა და მორალის საკითხები, სიყვარული და უკვდავება, ბუნება გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებაში [ანჯაფარიძე, 2002]. 2008 წელს ია ღარიბაშვილმა დაიცვა დისერტაცია გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის თემაზე. მას მიმოხილული აქვს ეპისტოლური ჟანრის სპეციფიკა, გრიგოლ ორბელიანის ეროვნულ-სოციალური ინტერესები, ეთიკურ-ესთეტიკური მრწამსი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით, წერილები როგორც კავკასიის ომების მატთან, პოეტის ბარათები ოჯახთან და ახლობლებთან. ნაშრომი არ ეხება ტექსტოლოგიურ და საგამომცემლო

საკითხებს და, შესაბამისად, ჩვენი საკვლევითი ამოცანები არც ერთი ასპექტით არ იკვეთება [ღარიბაშვილი, 2008]. 2017 წელს მაია ცერცვაძემ გამოაქვეყნა სადისერტაციო ნაშრომი „XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით“ (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი) [ცერცვაძე, 2017]. თემაში გაანალიზებულია ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობა მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების, გარემოცვის, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ყოფის შესასწავლად. მოცემულია წერილების დათარიღებასა და პირთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ძიებები და მეთოდები. თემა გრიგოლ ორბელიანს უშუალოდ არ ეხება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა, როგორც ზოგადად ეპისტოლური ჟანრის კვლევა; ამასთან ერთად, ერთი ქვეთავი ეძღვნება კონკრეტულად გრიგოლ ორბელიანს და განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის რვა წერილი ბიძისადმი [ცერცვაძე, 2017, 32-38].

ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში მრავალი კუთხით არის გაანალიზებული გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება, მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელი წერილებისა და დღიურების პუბლიკაცია და ტექსტოლოგიური კვლევა მეცნიერებს ახალ შესაძლებლობებს მისცემს ქართველი რომანტიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების კიდევ უფრო ღრმა და მრავალმხრივი ანალიზისთვის.

თავი II

დოკუმენტური ჟანრების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა

დოკუმენტურ ჟანრს მიეკუთვნება ლიტერატურის ყველა ნაირსახეობა, გარდა მხატვრული ლიტერატურისა. დოკუმენტური პროზისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტური სტილი. მასში აღწერილია რეალური ფაქტები და მონაწილეობენ რეალური პირები. ყოველივე ამის გამო, დოკუმენტური ჟანრის ტექსტებს ფასდაუდებელი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. თუ მხატვრული ნაწარმოები ხელოვნების ქმნილებაა და ამ თვალსაზრისით განეკუთვნება კულტურის სფეროს, დოკუმენტურ თხზულებებში პირდაპირ ირეკლება ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა მიმართულება: ცოცხალი სამეტყველო ენა, წიგნიერებისა და განათლების დონე, ყოველდღიური ყოფა, წეს-ჩვეულებები, რელიგიური ტრადიციები, სოციალური დიფერენციაცია, ინფორმაცია სხვადასხვა ინსტიტუციის შესახებ, ხელოვნების დარგების განვითარების მდგომარეობა, სამზარეულო, ჩაცმულობა და სხვა.

§ 1. დოკუმენტური ჟანრების სპეციფიკა და წარმომავლობა

ქრონოგრაფია: დოკუმენტური პროზა ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ჩვენამდე მოღწეულთაგან ერთ-ერთი უძველესია ბერძნული თხზულება „პაროსის ქრონიკები“ (ძვ. წ. ა. 264). ქრონოგრაფია, როგორც დოკუმენტური ჟანრი, ჩამოყალიბდა რომის იმპერიასა და დასავლეთ ევროპაში. ის დაკავშირებული იყო საეკლესიო მსოფლმხედველობასთან და კაცობრიობის საერთო ისტორიას აღწერდა. აღსანიშნავია ბიზანტიელი ქრონისტის, იოანე ლალას „ქრონოგრაფია ქვეყნის დასაბამიდან“, თეოფანე ბიზანტიელისა და გიორგი ამარტოლის ქრონიკები. ამ ტიპის უძველესი ქართული ტექსტებია: „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მითოლოგიური ცნობა ქართველთა გვარ-ტომობაზე“, „აფხაზთ მეფეთა დივანი (ქრონიკა)“, სუმბატ დავითის ძის „ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“, „მესხურნი დავითნის ქრონიკა“. ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესახებ ყველაზე ამომწურავ ცნობებს სწორედ ეს წყაროები გვაწვდის.

ჰაგიოგრაფია: ისტორიულ-დოკუმენტური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც მთავარ სათქმელთან - რელიგიურ თემასთან ერთად გვაწვდის ინფორმაციას ეპოქის ისტორიულ-კულტურული ყოფის, სოციალური ვითარებისა და სხვა დეტალების შესახებ. ჰაგიოგრაფია სათავეს იღებს ქრისტანობის უძველესი პერიოდიდან. მისი პირველი ნიმუშები ქრისტიანთა დევნის ხანას განეკუთვნება. ამ ჟანრის ერთ-ერთი უადრესი თხზულებაა აქტების სახით ჩაწერილი „მარტვილობა წმიდისა იუსტინესი და მისი მეგობრებისა“, ასევე „სკილიუმის მარტვილთა წამება“, „წამებაი წმიდისა პეტრე მოციქულისა“ და სხვა მოციქულთა ღვაწლის ამსახველი მარტვილობანი. II საუკუნიდან იქმნება წმინდანთა წამებანი, განდეგილთა და მონაზონთა ცხოვრებანი, შემდეგ კი - სვინაქსარული და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები.

იოანე საბანისძე ნაწარმოების „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი“ შექმნის მოტივს ასე განმარტავს: „მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობა, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეის მოწამეთა და დაიდვას იგიცა წმინდისა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა. მისათვისცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი ხელითა ხსართან მღვდელისა ჩემისაითა. აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვა ჩემი და ჯვარის დაწერა ხელითა ჩემითა... ხელ-ყავ გამოთქვამად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ - იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი, და აღწერე მარტვილობა წმიდისა მოწამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩუენ მოგვიძღვანე, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის...“ [საბანისძე, 1978, 57-58].

მემუარი: მემუარების არსი ავტორის მეხსიერებიდან წარსულის გაცოცხლებაა. იგი ეფუძნება თანამედროვეთა მოგონებებს იმ მოვლენების შესახებ, რომლებშიც პირადად იღებდა მონაწილეობას ან რომელთა შესახებაც სმენია თვითმხილველთაგან და, შესაბამისად, შეიცავს ბევრ ისეთ ინფორმაციას, რომელიც უცნობია არა მხოლოდ მომდევნო თაობებისთვის, არამედ თანამედროვეებისთვისაც, რომლებიც არ შესწრებიან მემუარებში აღწერილ ფაქტებსა და მოვლენებს. მემუარული ჟანრი დამკვიდრდა ევროპაში მე-17-18 საუკუნეებში. თანამედროვე მემუარების წინამორბედი უფასაუკუნეების ფრანგი ისტორიკოსების - ვილადუენის, ჟუანვილის და კომინის ქრონიკები. ამ ჟანრის თხზულებების მიზანი რეალობის

გადმოცემაა, მაგრამ ავტორთა ინდივიდუალობიდან და სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე, ყველა მემუარი არ არის ბოლომდე ზუსტი. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიების შესასწავლად მეტად საყურადღებოა თანამედროვეთა მოგონებები, რომლებშიც ხშირად ცხადდება მათი შეხედულებები, ურთიერთობები, ბიოგრაფიული დეტალები და სხვა.

ორატორია: ანტიკური ეპოქიდან იღებს სათავეს ზეპირმეტყველების ისეთი ჟანრი, როგორც არის ორატორია. უძველეს დროში კარგი ორატორული მეტყველების გამომუშავებას დიდ დროს უთმობდნენ და ბევრს ვარჯიშობდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ორატორული მეტყველების არაერთი საუკეთესო ნიმუში. ორატორული ხელოვნების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რომის რესპუბლიკის უდიდესი ორატორის - მარკუს ტულიუს ციცერონის მოღვაწეობით იწყება ლათინური ლიტერატურის ოქროს ხანა. VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწის - აიეტის მიერ მეფე გუბაზ II-ის მკვლელობასთან დაკავშირებით გამართულ ეგრისის კრებაზე წარმოთქმული სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მიიჩნევა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თხზულებების გამოცემისას ვცდილობთ, შთამომავლობას არ დავუკარგოთ მათი ზეპირი გამოსვლების ტექსტებიც, რომლებსაც ისეთივე ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს, როგორც წერილობით დოკუმენტურ ტექსტებს.

ეპისტოლე: ტერმინი ეპისტოლე თავდაპირველად ეწოდებოდა ისეთ წერილს, რომელიც არა რომელიმე ერთი პირისადმი იყო მიმართული, არამედ ფართო საზოგადოებისადმი. ამის საუკეთესო მაგალითია „ახალ აღთქმაში“ შემავალი ეპისტოლეები. მოგვიანებით მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და ეპისტოლურ ჟანრს მიეკუთვნა პირადი წერილებიც. ამ ტიპის ტექსტები ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. მისი უძველესი ნიმუშებია ინდოელი მეფის - სტრატობატის წერილი ასურეთის დედოფალ სემირამიდასადმი, სკვითების წერილი სპარსეთის მეფე დარიუსისადმი, ჰორაციუსის წერილი ძმები პიზონებისადმი პოეზიის არსის შესახებ და სხვა.

პირადი მიმოწერის მიზანი ადრესანტის მიერ ადრესატისთვის ინფორმაციის მიწოდება იყო, მაგრამ რამდენადაც წერილობითი დოკუმენტი უძლებს დროს, მოხდა

ისე, რომ ამავე ინფორმაციის მიღების საშუალება ეძლევათ საუკუნეების შემდეგ და სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ ადამიანებსაც. ამიტომ პირად წერილებს განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. მათ შეუძლია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების გაცოცხლება.

დღიური: დღიურები პირადი მიმოწერისაგან განსხვავებით, მთლიანად ერთ პიროვნებაზეა ორიენტირებული. მისი ადრესანტიც და ადრესატიც ტექსტის ავტორია, ამიტომ ის ყველაზე დიდი გულწრფელობითა და შეუზღუდაობით გამოირჩევა. დღიურში ავტორს შეუძლია, ისაუბროს ყველაზე მეტად საკრალურსა და დაფარულზე. დღიურისთვის დამახასიათებელია ყოველდღიური რეალურ-ყოფითისა და წარმოსახვით-მხატვრულის სინთეზი. ამიტომ ბუნებრივია, რომ დღიურები ფართო ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გაცოცხლების გარდა, ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული ეპოქის ადამიანთა ფსიქოტიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე, კულტურაზე, განათლებასა და ინტერესებზე.

დღიური აერთიანებს ფრაგმენტულ ჩანაწერებს, რომლებსაც ავტორი რეგულარულად აწარმოებს თავისთვის და უმეტეს შემთხვევაში მიუთითებს თარიღს. ამ ჟანრის საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ იაპონური პირადი და სამგზავრო დღიურები - ძუიხიცუ (ფუნჯის კვალდაკვალ), სადაც ყველაფერი იწერებოდა, რაზეც ავტორი ფიქრობდა. ამ დღიურებს შორის აღსანიშნავია სეი სიონაგონოს „ჩანაწერები სასთუმალთან“ (X საუკუნე), კამო ნო ჩიომეის „ჩანაწერები სენაკიდან“ (XII საუკუნე) და სხვა.

არსებობს საქმიანი და პირადი, მოგზაურობის, ყოფითი და ლიტერატურული დღიურები. მოგზაურობის დღიურებიდან ერთ-ერთ საუკეთესო კლასიკურ ნაწარმოებად მიიჩნევა ჰენრი ფილდინგის „ლისაბონში მოგზაურობის დღიური“ (XVIII საუკუნე). განსაკუთრებული ღირებულებისაა ცნობილი ადამიანების ან მათთან დაკავშირებული პირების დღიურები. ქართული ლიტერატურის ისტორიაში, დღიურების წარმოების თვალსაზრისით, ყველაზე მდიდარია გალაკტიონ ტაბიძის მემკვიდრეობა, რომელმაც მწერლის 660 ვრცელი დღიური და უბის წიგნაკი შემოგვინახა.

ჩანაწერი: დღიურების გარდა, პირად არქივებში ძალიან ხშირად გვხვდება უბის წიგნაკებში, რვეულებში, ცალკეულ ფურცლებზე გაკეთებული, თემატურად,

შინაარსობრივად, სტილურად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ჩანაწერები. ეს შეიძლება იყოს ამონარიდი წიგნიდან, თხზულების გეგმა, სხვათა გამონათქვამები, ამა თუ იმ მოვლენაში მონაწილე პირთა სია, საკუთარი ან სხვათა ნაწარმოებებისა და წიგნების ჩამონათვალი, დღის განრიგი, საყიდლების ან ვალების სია, წამლის რეცეპტი. ბუნებრივია, ეს ჩანაწერები ძირითადად ინფორმაციას გვაწვდის მათ ავტორებზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა ან თავად ჩანაწერია მნიშვნელოვანი, იგი ისტორიულ ღირებულებასაც იძენს. ამ დოკუმენტური ჟანრის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია გაიუს იულიუს ცეზარის ჩანაწერები „კომენტარები გალიის ომის შესახებ“ (ძვ. წ. I საუკუნე).

ავტობიოგრაფია: ავტობიოგრაფია პიროვნების მიერ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოვლენების აღწერაა. დღიურისგან განსხვავებით, ავტობიოგრაფიისთვის დამახასიათებელია რეტროსპექტივა და მთელი განვლილი ცხოვრების გააზრება, მემუარებისგან განსხვავებით კი - ავტორისგან თავისი და არა გარშემომყოფთა ისტორიის გადმოცემა. ავტობიოგრაფი ზოგჯერ გამოგონილ ამბებსაც მიმართავს. ამ ჟანრის ერთ-ერთი უძველესი ნაწარმოებია ნეტარი ავგუსტინეს აღსარება (V საუკუნე), რომელიც რელიგიური კრიზისისა და პიროვნების მოქცევის ფსიქოლოგიურ აღწერას წარმოადგენს.

მწერლის ავტობიოგრაფია მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ავტორი ზუსტად ვერ იხსენებს, ან გარკვეული სუბიექტური მოსაზრებით, სხვანაირად წარმოსახავს ამა თუ იმ მოვლენის არსს ან ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, ზოგადად, ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი თარიღების დადგენისა და დაზუსტებისთვის ავტობიოგრაფია ყველაზე სანდო წყაროა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემულმა XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ავტობიოგრაფიების ორტომეულმა.

ბიოგრაფია: ბიოგრაფია დოკუმენტური ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრია, რომელიც არა საკუთარი თავის, არამედ სხვა პირის ცხოვრების წერილობით აღწერას ითვალისწინებს. ბიოგრაფია ძირითადად დოკუმენტურ წყაროებს ეყრდნობა და გამოგონილი არ არის. ის კომპლექსურად აღწერს ადამიანის პერსონალურ

მახასიათებლებ და მისი გამოცდილების ინტიმურ დეტალებსაც ითვალისწინებს. ბიოგრაფია უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე უბრალოდ ფაქტების (დაბადება, განათლება, სამსახური, ურთიერთობები და სიკვდილი) ჩამონათვალს. ის ამ ფაქტებთან დაკავშირებულ ემოციურ განცდებსაც ასახავს.

ჩვენთვის ცნობილი პირველი ბიოგრაფიები ჟამთააღმწერლების მიერ იწერებოდა ანტიკური ხანის მმართველების დავალებით ძველ ასირიაში, ბაბილონში, ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. მათში აღწერილია წინამძღოლთა, მეფეთა, ტომთა, პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა ცხოვრება. კლასიკური ბიოგრაფიის საუკეთესო მაგალითებია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“, ცეზარის „ცხოვრებანი სეტონიუსის მიერ“. იოანე, ლუკა, მარკოზ და მათე მახარებლების სახარებანი ფაქტობრივად იესო ქრისტეს ბიოგრაფიებია.

პუბლიცისტიკა: ყველაზე მრავალფეროვანი დოკუმენტური ჟანრია პუბლიცისტიკა, რომელსაც თავის მხრივ არაერთი ქვეჟანრი გააჩნია: ესე, ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი, ინტერვიუ, სტატია, ღია წერილი, კორესპონდენცია, ჟურნალისტური გამოძიება, რეპორტაჟი, მიმოხილვა და სხვა. როგორც უცხოელი, ისე ქართველი კლასიკოსები მხატვრული ლიტერატურის პარალელურად აქტიურად იღვწოდნენ ამ დოკუმენტურ ჟანრშიც. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება ორი ტომის მოცულობისაა, პუბლიცისტური მემკვიდრეობა კი თერთმეტ ტომს მოიცავს.

არსებობს კიდევ არაერთი სახის დოკუმენტური ტექსტი, მაგალითად: განცხადება, რეკომენდაცია, ოქმი, აქტი, ანგარიში, შენიშვნა და სხვა, რომლებიც ხშირად გვხვდება მწერალთა არქივებში, მაგრამ ისინი „საქმიანი ქაღალდების“ კატეგორიას განეკუთვნება.

§ 2. დოკუმენტური ჟანრი, როგორც ინფორმაციის წყარო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დოკუმენტურ ჟანრებს დიდი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. ჩვენი წარმოდგენა წარსულის შესახებ იქმნება ამ ტიპის ტექსტებიდან მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე. იგივე ღირებულება, ბუნებრივია, მხატვრულ ლიტერატურასა და მის ჟანრებსაც გააჩნია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, დოკუმენტურ ჟანრებს, როგორც არაფიქციურს (non-

fiction), აქვს სანდოობის უფრო მაღალი ხარისხი. თუ მხატვრული ნაწარმოებები ეპოქას, მოვლენებს, კულტურულ ფონს მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი ფორმით ასახავს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტური ჟანრები ამ ყველაფერს პირდაპირ რაკურსში წარმოაჩენს. ავტობიოგრაფიული პროზის, მემუარებისა და პოლიტიკური ბიოგრაფიების ოცდახუთტომეულის („საოჯახო ბიბლიოთეკა“) პირველი წიგნის შესახებ ზაზა აბზიანიძე წერს: „ჩაკვირვებულ მზერას თუნდაც მხოლოდ ამ ერთ წიგნში თავმოყრილი ნიმუშებით შეუძლია მიადევნოს თვალი, როგორ ვითარდება ავტობიოგრაფიული ჩანაწერების ჟანრი XIX საუკუნის მანძილზე... მწერლის პირადი განცდები, ფიქრები და შეხედულებები აისახება როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე რეალისტურ პროზაში – დღიურებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ეს სხვადასხვაგვარი ტიპის ტექსტები გვეხმარება არა მხოლოდ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილად აღქმაში, არამედ ცალკეული შემოქმედებითი პროცესების რეკონსტრუქციაშიც“ [აბზიანიძე, 2009, 7].

გრიგოლ ორბელიანმა საინტერესო და ენობრივ-სტილური თვალსაზრისით დახვეწილი ეპისტოლური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეს წერილები საოცრად გულწრფელია და სავსეა განცდებით, ემოციებით, საინტერესო აზრებით, ღრმა განზოგადებული მსჯელობებითა და ხატოვანი სახეებით. ხშირად ძალიან მკაფიო და შესამჩნევია, როგორ სცდება ნარატივი პირადი მიმოწერის საზღვრებს და ლამობს პუბლიცისტურში ან მხატვრულში გადასვლას. გარდა ამისა, ინფორმაციული დატვირთულობა კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისთვის.

გრიგოლ ორბელიანის წერილში სალომე დადიანი-მიურატისადმი [კვსხეც. გრიგოლ ორბელიანის არქივი, N117] მოცემულია ინფორმაცია ცენზურის მიერ ლექსიდან „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ადგილების ამოღების შესახებ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსის [ორბელიანი, 1877, 5-6] შედარება გვიანდელ ნაბეჭდებთან, ცენზურის მიერ ტექსტიდან ადგილების ამოღების შესახებ ასეთ სურათს იძლევა: „...რომ განვიღვიძნეთ, / სულით განვახლდეთ, / და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..“ / და / „დამცირებულსა, / ხმა-მიღებულსა, / ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს! / ეჭვით აღვსილსა, / უსასოდ ქმნილსა, / გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..“ მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები „ივერიაში“

მრავალწერტილებით არის აღნიშნული, სავარაუდოა, რომ ლექსი ბევრად უფრო ვრცელი ყოფილა და ცენზურას კიდევ არაერთი პასაჟი აუკრძალავს. გრიგოლის სიცოცხლეში ლექსი ასეთივე სახით გამოქვეყნდა ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემაში, პირველი პუბლიკაციიდან ორი წლის შემდეგ, ავტოგრაფი კი, სამწუხაროდ, არც ის, რომელიც სალომე დადიან-მიურატს გაუგზავნა გრიგოლმა და არც სხვა, არ შემოგვრჩენია.

თამარ მეფის სახე განსაკუთრებული პატივით და ღირსებით წარმოჩნდება პოემაში „სადღეგრძელო“, რომელსაც თავდაპირველად „ტოლუბაში“ ერქვა. პოეტის პირად ბარათებში ამ თხზულების შექმნის შემოქმედებითი პროცესის შესახებაც გვხვდება ინფორმაცია. 1869 წელს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, 1832 წლის შეთქმულების მეთაურის - ალექსანდრე ორბელიანისათვის მიწერილი 5 იანვრისა და 25 თებერვლის ბარათებიდან ჩანს, რომ ადრესატი ნაწილ-ნაწილ კითხულობდა პოემის ტექსტს და რჩევებს აძლევდა ავტორს. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვები: „მომირთმევია ჩემი ტოლუბაში, პირველი თავი, გთხოვ, კარგად გადაავლო თვალი, და რაცა არ მოგეწონოს, წაშალე, და გამომიგზავნე, რომ მეორეს თავს ხელი მივპყო“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 213], და „მომირთმევია უწინდელი ტოლუბაში ახლა სახელ-გადაცულილი; წაიკითხეთ და ისევ მალე მიბოძეთ თქუჭნის სხუა და სხუა ზედ-მიწერთა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 216]. 18 ოქტომბრის ბარათით პოეტი ალექსანდრე ორბელიანს აცნობებს, რომ, რაც შეეძლო, დაწერა და დაასრულა პოემა. უგზავნის რვეულს, რომელშიც ჩაამატა ალექსანდრეს მიერ მითითებული სახელები და სთხოვს, სქოლიოებში განმარტოს მათი ვინაობა [გიგაშვილი, ნინიძე, 246]. ალექსანდრე ორბელიანი 1869 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა და, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო ორბელიანის პოემის ბოლომდე რედაქტირება.

1870 წლის 30 აპრილს გრიგოლი უკვე პლატონ იოსელიანს სთხოვს დახმარებას ისტორიული ფაქტების დასაზუსტებლად; კერძოდ, ეკითხება: „სად იყო კარნუ ქალაქი და ანუ ამჟამად რას ემახიან?“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N98]; ადრესატს უხსნის, რომ ეს ინფორმაცია თავისი „ტოლუბაშისთვის“ სჭირდება. როგორც ცნობილია, ამ პოემის წერა ორბელიანმა ჯერ კიდევ 1827 წელს დაიწყო, მაგრამ იქიდან მოყოლებული 30 წელი სულ სამხედრო სამსახურში იყო და, არც არის გასაკვირი, რომ პოემის წერისთვის ვერ იცლიდა. პლატონ იოსელიანისგან

ორბელიანმა პასუხად მიიღო, რომ კარნუ სომხური ქალაქი იყო, რომელსაც თურქებმა მოგვიანებით არზრუმი უწოდეს და მწერალმა პოემის ტაეპს „გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა, ერთის შეტევით მიღეწეს...“ სქოლიოში დაურთო განმარტება კარნუს იმჟამინდელი სახელწოდების შესახებ.

§ 3. გრიგოლ ორბელიანის დოკუმენტური ნაწერების მიმართება მხატვრულთან

ერთ-ერთ დღიურში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ გრიგოლ ორბელიანი აგვიწერს 1831 წლის ზაფხულში თბილისიდან რუსეთს გამგზავრებას. ავტორი გადმოგვცემს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, აღწერს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს, მცხეთას, დუშეთს, ანანურს; კაიშაურის და ფასანაურის, თერგისა და დარიალის ლანდშაფტებს. მცხეთაში მისვლისა და სვეტიცხოვლის ნახვის შემდეგ პოეტი წერს: „გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფის ირაკლისა, რომლისა თანა არს დამარხული დიდება და ყოველი კეთილი ივერიისაო“ [ორბელიანი, 1959, 156]. ამ სიტყვებს ეხმიანება „სადღეგრძელოს“ ცნობილი ადგილი: „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“ [ორბელიანი, 1959, 95] და იარაღისადმი მიმართვა ერეკლეს ეპოქის შესახებ: „წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოველი კეთილი თანა წარიღეს“ [ორბელიანი, 1959, 16]..

უაღრესად საინტერესო და ემოციურია ბუნების აღწერები გრიგოლ ორბელიანის დღიურში. ანანურში მისული პოეტი აღტაცებულია სანახაობით: „გზაზე დაგვიღამდა. მთოვარე მშვენივრად ანათებდა თოვლიანთა წვერთა: გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მდუმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბიოდა და აყრუებდა არესა. კაცი იხილავს რა დიდმშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებული. ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენდამი უფსკრულსა შინა, სიწყვდიადე და მდუმარება ტყეთა, ღრიალი არაგვისა, - ყოველივე ესე აძრწუნებდა გრძნობათა და ენასა ჰყოფთა უქმად“ [ორბელიანი, 1959, 157-158]. კაიშაურში ჩასული ავტორი წერს: „სადამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მათათა და უკანასკნელი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მათათა ათასფერად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორის

უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანეთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა, უფსკრულსა ზედა გარდაკიდებულსა, და ვსჭვრეტდი მდინარეთა მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა“ [ორბელიანი, 1959, 158]. ყაზბეგში ავტორი აღწერს თერგის მოძრაობას: „აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს გასაკვირველი. მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა, თერგი დუღდების, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრიალითა. ვერარასა ძალუმს წინაღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა. შეხვდებიან მას დიდრონნი, საზარელნი ლოდნი? - ჰხლტების მალა და მათზედა გარდაევლების; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევნად, ანუ მთად აღმასებრ გარდმოფანტულად“ [ორბელიანი, 1959, 160].

მწერლის მიერ დღიურში წარმოდგენილი ეს განცდები აისახა 1841 წელს დაწერილ ლექსში „სადამო გამოსალმებისა“:

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“ [ორბელიანი, 1959, 58].

პოეტი იმეორებს თავის ადრინდელ შთაბეჭდილებას, თითქოს დღიურის რამდენიმე ჩანაწერი რიტმულად გაუმართავს. თუმცა, გრიგოლ ორბელიანს „მგზავრობის“ ხელნაწერი 1833 წლის შემდეგ არ უნახავს, რადგან ჟანდარმერიამ ჩამოართვა ნოვგოროდში, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრების დროს. „სადღეგრძელოს“ უკანასკნელ რედაქციაში შეტანილ ზოგიერთ

სტროფშიც განმეორებულია ზემოთ მოყვანილი ჩანაწერების ცალკეული ფრაზები:

„სადა შევხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ლამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვართ განათებულსა!
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!
სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ღამდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი,
უფსკრულნი - ჩაბნელებულნი, კლდენი - თვალგადუწვდენელნი,
სად მონადირე სდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი“ [ორბელიანი,
1959, 100].

„ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტში (1827) ბუნების ქება არ არის მოცემული. როგორც ჩანს, საქართველოს მთების ნახვით პირველი ძლიერი შთაბეჭდილება პოეტს 1831 წელს მიუღია, 1840-იან და 1870-იან წლებში კი, როდესაც „სადამო გამოსალმებისას“ წერდა და „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციას ამუშავებდა, მის ცნობიერებაში კვლავ გაუღვიძია 1831 წელს დარიალის ხეობის ხილვით მოგვიღწეოდა შთაბეჭდილებებს.

დღიურში გადმოცემული გენერალ ივანე აფხაზის ზოგიერთი შეხედულება, კერძოდ, „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის... ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“ გამოხატულია 1832 წელს დაწერილ ლექსში „ჰე, ივერია“ [ორბელიანი, 1959, 174].

წერილებშიც გვხვდება მხატვრული პასაჟები, რომლებიც შემდგომ ლექსებში აისახება. ბარბარე ორბელიან-საგინაშვილთან გაგზავნილ უთარილო წერილში ვკითხულობთ: „ჩემო საყუარელო ბაბაღე! გუშინწინ, ესე იგი, ღუთაებობას, ვიყავ ბეთანიას. ოჰ რა მშვენიერი, დიდებული, ყოვლის პელოვნებით შემკული ეკკლესია არის! სურათები თამარ მეფასი, მის მამისა და შვილისა მდიდრად გამოსახულნი, მდუმარებით და თითქოს განკვირვებით გვიყურებდენ ჩუწნ მისულთა თაყვანისაგემად! რა ვჰსთქუა? თუმცა გზა სამაგელია, მაგრამ ჰღირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არა ერთხელ!“ [კვსხეც. გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N455]. ბარათის ადრესატი 1870 წლის 21 აგვისტოს გარდაიცვალა და ბარათს ამ პერიოდამდე ვათარილებთ. როგორც ვხედავთ, თამარ

მეფის ფრესკა ბევრად ადრე ჰქონდა პოეტს ნანახი, ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ კი მოგვიანებით, 1877 წელს დაწერა.

ზოგადად, გრიგოლ ორბელიანის დოკუმენტური ნაწერები მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით გამოირჩევა. თვით უმაღლესი წოდების ოფიციალური პირის, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისთვის მიწერილ ბარათშიც კი გამოსჭვივის ორბელიანის მხატვრული გემოვნება და რომანტიკული ბუნება: „ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ახლა ვიხილე აგვისტოს თვეში ვარდნი, ეს-ესაა გაფურჩქნულნი; ეს იყო მთის მწვერვალზე, კუდალის თავზედ. ნუთუ ამ მთებზედ აგვისტოში იწყება გაზაფხული? ამ მოვლენამ იმდენად გამაოგნა, რომ გავბედე წიგნში თქუენის ბრწყინალებისადმი სიტყუა შემეწია მისთვის“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2013, 140].

გრიგოლ ორბელიანის დოკუმენტური ნაწერები ასევე გამოირჩევა ხალასი იუმორით. 1866 წლის 5 აპრილს, სამსახურის დატოვების დღეს, ის ხუმრობით სწერდა თბილისის კომენდანტს ალექსეი ოპოჩინინს: „გთხოვთ... მიიღოთ ჩემგან საჩუქრად ორი ბუდკა (ხულა) და ერთი მოდარაჯე, რომლებიც, ნიშნად წარსულის დიდებისა, ჩემ სახლთანა სდგანან და, თუ შეიძლება, მხოლოდ ღამ-ღამობით-და უდარაჯონ ხოლმე და დაიცვან ჩემი სიცოცხლე“ [მეუნარგია, 2010, 149].

თავი III

გრიგოლ ორბელიანის წერილებისა და დღიურების

ტექსტოლოგიური კვლევა

§ 1. ხელნაწერი წყაროები და მათი ამოკითხვის სირთულეები

გრიგოლ ორბელიანის წერილების წყაროების მოძიებისა და შესწავლის მიზნით მივმართეთ იმ არქივებსა და ხელნაწერთა საცავებს, სადაც ისინი გვეგულებოდა ან შეიძლებოდა ყოფილიყო. წერილების დიდი ნაწილი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, შედარებით მცირე ნაწილი - ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რამდენიმე წერილის ავტოგრაფი, ასლი და ფოტოპირი მოსკოვის ლენინის ბიბლიოთეკიდან - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ერთი წერილი კი - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში დაცულია გრიგოლ ორბელიანის წერილები ილია და ზაქარია ორბელებისადმი, ილია ჭავჭავაძისადმი, ქეთევან და იაკინთე ალექსი-მესხიშვილებისადმი, სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი, მიხეილ ვორონცოვისადმი, მიხეილ და კონსტანტინე რომანოვებისადმი, ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი, დიმიტრი ჯორჯაძისადმი, მანანა და ანასტასია ორბელიანებისადმი, გიორგი ავალიშვილისადმი, ნიკო ჭავჭავაძისადმი, ნიკოლოზ გირსისადმი, ალექსანდრე ადლებერგისადმი, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკისადმი და არაერთი სხვა პირისადმი.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიგოლ ორბელიანის პირად ფონდში ინახება პოეტის წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, მანანა ორბელიანისადმი, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი, ზაქარია და ილია ორბელიანებისადმი, ალექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებისადმი, ალექსანდრე და ყაფლან ორბელიანებისადმი, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი, დიმიტრი ჯორჯაძისადმი, ბარბარე და გაიანე ბაგრატიონი-

გრუზინსკებისადმი, რევაზ ერისთავისადმი, კონსტანტინე თარხნიშვილისადმი, ანასტასია ოკლობჯიოსადმი, ლევან მელიქიშვილისადმი, მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი, ალექსანდრე ბარიატინსკისადმი, ალექსანდრე ნიკოლაისადმი, მოსე არლუთინსკისადმი და სხვა პირებისადმი.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება გრიგოლ ორბელიანის წერილები მარიამ დედოფლისადმი, დიმიტრი ჯორჯაძისადმი, ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილებისადმი, ზაქარია ანდრონიკაშვილისადმი, გრიგოლ დადიანისადმი, თეოდორ გელშერტისა და დიმიტრი მილიუტინისადმი.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია პოეტის პირველი ბიოგრაფის - იონა მეუნარგიას არქივი, რომელმაც შემოგვინახა გრიგოლ ორბელიანის წერილები ზაქარია, ილია, ყაფლან, სოფიო და ბარბარე ორბელიანებისადმი; ეკატერინე, ნიკო და გრიგოლ დადიანებისადმი; ლევან მელიქიშვილისადმი, ყაფლან ორბელიანისადმი, დიმიტრი ჯორჯაძისა და გრაფ ალექსანდრე ნიკოლაისადმი.

1933 წელს აკაკი გაწერელიას იონა მეუნარგიას არქივზე უმუშავია და გრიგოლ ორბელიანის მასალები ცალკე დაულაგებია, მაგრამ ქართული ბარათების ასლები მაშინ მიუღია, როდესაც ტომი უკვე მომზადებული იყო. ამიტომ ამ მასალის დაბეჭდვას წერილების მე-3 ტომის „დამატებაში“ აპირებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს ტომი აღარ გამოსულა. სოლომონ ცაიშვილი აღნიშნავს, რომ იონა მეუნარგიას წერილების ძირითადი ფონდი 1880-იან წლებში დაუგროვებია. „400-მდე კერძო ბარათი მოვიპოვეო, ამბობს ერთ ადგილას მეუნარგია, რომელსაც მთელი ამ კოლექციის პირი გადაუღია... ამჟამად პირების ეს კოლექცია (რუსული და ქართული წერილებისა) ერთად შეკრული და ზონარ-გაყრილი ზუგდიდის მუზეუმის აღნიშნულ ფონდში ინახება...“ [ცაიშვილი, 1947, 298].

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში (N1457-1-21) (მველი - ლენინგრადის ფონდი - ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივიდან გადმოტანილი 1832 წლის შეთქმულების საქმეები, რვ. XXI, ფურც. 36-46, 59-64) და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (№171, ფურც. 185-205) ინახება გრიგოლ ორბელიანის დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ (I

და II ნაწილები), რომელიც იწყება 1831 წლის 9 ივნისის და სრულდება 1932 წლის 31 აგვისტოს ჩანაწერით.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 1836 წლის დღიური, რომელიც პოეტს უწარმოებია 5 ივლისიდან 14 დეკემბრამდე, ხან სისტემატურად, ხან კი რამდენიმე დღის გამოტოვებით. აქვე ინახება უთარილო დღიურის ფრაგმენტი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის მიერ ილია ორბელიანისთვის 1839 წლის 11 მარტში გაგზავნილ წერილთან შეჯერებით, ჯუმბერ ჭუმბურიძეს ამ წლით დაუთარილებია.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია უთარილო ფრაგმენტი დღიურისა, სადაც აღწერილია პოეტის თავგადასავალი დაღესტნის ფრონტზე და 1839 წლის მოვლენები.

პირადი წერილები და დღიურები იშვიათად იბეჭდება ავტორის სიცოცხლეში. ამიტომ მათი მთავარი წყარო ავტოგრაფებია, რომელთა ამოკითხვა სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული, როგორცაა: სპეციფიკური მართლწერა, არტეფაქტის დაზიანება, უხეში გადახაზვა-ჩასწორებები და სხვა. მსგავსი სირთულეების დასაძლევად ძალზე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მიღწევებისა და ახალი მიდგომების გამოყენება.

გრიგოლ ორბელიანს კარგი კალიგრაფია აქვს, მაგრამ, რამდენადაც წერილები სხვადასხვა ვითარებასა და პირობებში იწერებოდა, ზოგჯერ ხელი გაკრულია და გრაფემები ბოლომდე ჩამოუყალიბებელი. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ მწერლის როგორც ქართული, ისე რუსულენოვანი ავტოგრაფების კალიგრაფია და, ტექსტების ზუსტად ამოკითხვის მიზნით, შევადგინეთ მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი როგორც ტიპური, ისე ატიპური მოხაზულობების ცხრილები (იხ. დანართი N2).

„ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ იქნა მეთოდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სირთულეს ითვალისწინებს და ხელნაწერის ამოკითხვის ეფექტურ ხერხს გვთავაზობს. ეს კომპლექსური მეთოდი ემყარება რთული ხელნაწერის ამოკითხვაზე ეტაპებად მუშაობას, თითოეულ სტადიაზე სხვადასხვა მიკრომეთოდისა და ტექნოლოგიის გამოყენებით. მიღებულ შედეგებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხელნაწერზე მუშაობა მაღალი რეზოლუციის ციფრული ასლის გამოყენებით, რაც

იძლევა ტექსტის გადიდების საშუალებას გამოსახულების ხარისხის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე.

როდესაც ხელნაწერი ძლიერ ნასწორებია, მასთან არაერთგზის გვიწევს მიბრუნება რთული ადგილების ამოსაკითხად. ზოგჯერ ამ საქმეს კიდევ უფრო ართულებს მწერლის მართლწერის სპეციფიკა, ან მის მიერვე დაშვებული უზუსტობები. ვიდრე მოვლენათა ქრონოლოგიურმა შეუსაბამობამ ჩიხში არ შეგვიყვანა, გრიგოლ ორბელიანის წერილების ავტოგრაფებზე მომუშავე ყველა ტექსტოლოგი მის მიერ დაწერილ ციფრ 4-ს 7-ად იწერდა, სპეციფიკური მართლწერის გამო, მაგრამ, როდესაც ავტორის ხელწერის ამ თავისებურებას მივაგენით, შევამოწმეთ ყველა ტექსტი, სადაც შეიძლებოდა, დაშვებულიყო ამ გაუგებრობით გამოწვეული შეცდომები.


მსგავსი გაურკვევლობა იყო ყაფლან ორბელიანისთვის გრიგოლის მიერ გაგზავნილ ერთ წერილთან დაკავშირებითაც. ავტოგრაფის მიხედვით, იგი თითქოს 1841 წლით დათარიღებული ჩანდა. ეს თარიღი ეწერა ზუგდიდის მუზეუმის შრომების პირველ ტომშიც, მაგრამ დაგვაეჭვა ტექსტის ერთმა აზნაცმა, სადაც ვკითხულობთ: „ძალუა ვარინკა მოდის; მოსკოვიდამ გუშინ გამოვიდოდა, თბილისში მოვა ორს-სამს კათათვესა, და ახლა აქ წავკისს ვაკონკებ სადგომსა, მაგრამ მაინც კი ვიქნებით ვიწროდ“ [ცაიშვილი, 1947, 306]. პუბლიკაციის შენიშვნებში ვარინკა განმარტებულია, როგორც ილია ბატონიშვილის ასული და ილია ორბელიანის მეუღლე. ავტოგრაფისეული დათარიღების გამო ციტირებულ ფრაზას ვერ ვაკავშირებდით გრიგოლის ძმის, ილიას მეუღლესთან - ბარბარესთან (1831-1884), რადგან ილიამ და მან 1852 წელს იქორწინეს (მანამდე გრიგოლი ძალუად ვერ მოიხსენიებდა) და 1841 წელს, თუ წერილი ამ დროს იყო დაწერილი, მხოლოდ 10 წლის იქნებოდა.

ვარინკა გრიგოლის VI თაობის ნათესავის - დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის - ცოლს, მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილ ბარბარე (იგივე ვარვარა, ვარენკა) ბაგრატიის ასულ ბაგრატიონს (1804-1879) ერქვა და წერილში შეიძლებოდა ის გვეგულისხმა, მაგრამ წარმოუდგენელი იყო, რატომ უნდა ეზრუნა მის წავკისში დაბინავებაზე გრიგოლს, როდესაც ამ ქალბატონს ოჯახის წევრები და გრიგოლზე უფრო ახლო ნათესავებიც ჰყავდა.

ავტორისეული თარიღი რომ არა, კონტექსტი ყველანაირად შეესაბამებოდა ილია ორბელიანის მეუღლეს. მას ქმარი ადრე გარდაეცვალა და გრიგოლი ყოველმხრივ ზრუნავდა თავის რძალზე. იმ გარემოებამ, რომ გაჩნდა წინააღმდეგობა წერილში მოხსენიებულ პირსა და დათარიღებას შორის, გვაიძულა, ყველაფერი ხელახლა შეგვემოწმებინა.

გრიგოლ ორბელიანის კალიგრაფიაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მის მიერ დაწერილი ციფრი 7 ძალიან ჰგავს 4-ს. როგორც ჩანს, ამის გამო სოლომონ ცაიშვილმა (რომელმაც ეს წერილი სხვა 23 წერილთან ერთად გამოაქვეყნა ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტომში 1947 წელს) 1871 წელი 1841-ად ამოიკითხა. ავტოგრაფის საგანგებოდ შემოწმების შემდეგ, დავადასტურეთ ჩვენი მოსაზრება, რომ წერილს თარიღად 1871 წელი აწერია და არა - 1841. შესაბამისად, მასში ნახსენები პიროვნება გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, მეუღლე ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანია და ტექსტის სამეცნიერო აპარატიდან ყოველგვარი წინააღმდეგობა გაქრა.

ამიტომ, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია არქივზე მუშაობის დაწყებისთანავე, ავტორის ხელწერის სკრუპულოზური შესწავლა, ტიპური და ატიპური ხელწერის ცხრილების შედგენა. გრიგოლ ორბელიანის ავტოგრაფების მიხედვით, ციფრების „4“ და „7“ ტიპური მოხაზულობების ცხრილი ასე გამოიყურება:



გარდა ამისა, მცირე გეოგრაფიული დასახლებების სახელწოდებათა სწორად ამოსაკითხად მსგავსი მოყვანილობის ასოების ყველა ვარიანტის შემოწმება გვიწევდა ინტერნეტის ბაზებსა და ჩვენ მიერვე შექმნილ ტექსტურ კორპუსებში. ეს საქმე საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ბევრი საკითხი, რომელთა გადაჭრაც შევძელით, გაურკვეველი დარჩებოდა.

ხელნაწერის სწორად ამოკითხვა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ამ მიზნის განსახორციელებლად მეცნიერები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში ციფრულმა

ტექნოლოგიებმა ბევრად უფრო გააფართოვა ხელნაწერთა ამოკითხვისა და ზუსტი ტრანსკრიპტის შექმნის შესაძლებლობები.

ხელნაწერის ამოკითხვის უახლესი, ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის არსი სხვადასხვა მიკრომეთოდის კომპლექსურ გამოყენებაში მდგომარეობს. ეს მეთოდებია: იდენტიფიცირების, გრაფიკული შედარების, კონტექსტური ანალიზის, ექსტრაქტესტური (გარეტექტური) კვლევისა და გამორიცხვის მეთოდები. სხვა დადებით მხარეებთან ერთად, მეთოდის უპირატესობა ისიცაა, რომ იგი არ მოითხოვს ყველა სირთულის ერთად დაძლევას. კომპლექსური მეთოდი შედგება ეტაპებისაგან, რომელთაგან თითოეული ითვალისწინებს სხვადასხვა მიკრომეთოდის ან მეთოდის გამოყენებით ამ კონკრეტულ ეტაპზე მისაღწევი ამოცანის შესრულებას. თითოეული ეტაპის დასასრულს იშიფრება ხელნაწერის ერთი შრე. არ ვგულისხმობთ აუცილებლად გაბმული მსხვილი მონაკვეთის გაშიფრვას. ამოკითხული ტექსტი შეიძლება მთელ ხელნაწერში იყოს გაფანტული აბზაცების, წინადადებების, ნაწყვეტი ფრაზების, სიტყვებისა და ზოგან ცალკეული გრაფემების სახითაც კი. თუ ტექსტის გამოსაცემად მომზადებას ვგეგმავთ, თითოეულ ეტაპზე კომპიუტერში ვკრეფთ ტექსტის იმ ნაწილს, რომლის იდენტიფიცირებაც ამ ეტაპზე მოხდა.

რაც უნდა გავრულები ხელით ნაწერთან გვეკონდეს საქმე, უმრავლეს შემთხვევაში, შიგადაშიგ მაინც არის შესაძლებელი გრაფემათა იდენტიფიცირება. თუ მიზნად დავისახავთ მხოლოდ იმ სიტყვების ან თუნდაც ცალკეული გრაფემების ამოკითხვას, რაც სირთულეს არ წარმოადგენს, ეს ეტაპი იოლად გადაილახება და ხელთ გვექნება მცირე მოცულობის აკრეფილი მასალა მაინც. საილუსტრაციოდ, დაწვრილებით განვიხილავთ, როგორ მიმდინარეობდა გრიგოლ ორბელიანის მიერ თავისი ბიძაშვილის - ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისთვის გაგზავნილი პირადი წერილის ბოლო 8 სტრიქონის [გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16265] (იხ. დანართი N3) ამოკითხვის პროცესი. პირველ ეტაპზე ამოვიკითხეთ ის 219 ასო და 14 სიტყვა, რომელთა დაწერილობაც ქართული ასო-ნიშნების სტანდარტულ მოხაზულობას ემთხვეოდა. იდენტიფიცირებული ტექსტი გამოიყურებოდა ასე:

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო- სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი
--

კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაივავს, მიიძინეს და წავიდნენ დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენასაც მეორეს დღეს ჰსურდ [...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა

როცა პირდაპირი იდენტიფიცირების მეთოდმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა, გადავედით გრაფიკული შედარების მეთოდზე. ამ საფეხურზე გამოვიყენეთ გრაფემათა ტიპური მოხაზულობის ცხრილი და ამოვიკითხეთ ძირითადად ის მასალა, რის იდენტიფიცირებაშიც ავტორის სპეციფიკური ხელწერა გვიშლიდა ხელს. ეს იყო 34 ასო. ამასთან ერთად, დავასრულეთ 24 სიტყვის სრულად ამოკითხვა:

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო-სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაივავს, მიიძინეს და წავიდნენ დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენასაც მეორეს დღეს ჰსურდ, [...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა

როდესაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა ავტორის ხელწერაზე და ხელთ გვექონდა ჩვენ მიერ შექმნილი „ტიპური ცხრილი“, შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ისეთი სიტყვის იდენტიფიცირებაც, რომლის დაწერილობაშიც ყველა ასო-ნიშანი იოლი ამოსაცნობი არ იყო, რადგან არ ჰგავდა ავტორისავე ტიპურ ხელწერას. ამ ეტაპზე დავიწყეთ გრაფემათა ატიპური მოხაზულობების ცხრილის შედგენა, რომელიც შემდგომ ეტაპებზეც ძალიან გამოგვადგა. მესამე ეტაპზე ამოვიკითხეთ ის სიტყვები, რომელთა იდენტიფიცირებაშიც ცალკეული გრაფემების ან ასოთა კომპლექსების თვით ამ ავტორისთვისაც კი არასტანდარტული მოხაზულობა გვიშლიდა ხელს. გრიგოლ ორბელიანის ტექსტის განსახილველი მონაკვეთიდან ამ ეტაპზე ამოვიკითხეთ 11 ასო, რომელთა საშუალებითაც დავასრულეთ 4 სიტყვის ამოკითხვა:

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო-სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაივავს, მიიძინეს და წავიდნენ დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენასაც მეორეს დღეს ჰსურდ[...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა ნატორი

კონტექსტური კვლევის ეტაპზე რთულად ამოსაკითხი სიტყვების ამოცნობაში დაგვეხმარა მათი კონტექსტი. ამ საფეხურზე ამოვიკითხეთ კიდევ 17 ასო, რომელთა

მეშვეობითაც დავასრულეთ 4 სიტყვის ამოკითხვა.

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო-სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაივეს, მიიძინეს და წავიდნენ დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნეინასაც მეორეს დღეს ჰსურდათ [...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა ღენ

ექსტრატექსტური კვლევის ეტაპზე, როდესაც ინფორმაციას ვეძებთ ტექსტს გარეთ, ამოვიკითხეთ ერთი 19-ასოიანი სიტყვა, რომლის იდენტიფიცირებაშიც ამავე პერიოდში ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკისთვის გაგზავნილი ბარათი დაგვეხმარა. წერილში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ორბელიანი, როგორც გენერალ-გუბერნატორი, თბილისში უნდა დახვედროდა მეფისნაცვალსა და მის მეუღლეს [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 186].

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო-სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაივეს, მიიძინეს და წავიდნენ დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნეინასაც მეორეს დღეს ჰსურდათ ...მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა ღენერალ-ღუბერნატორი

თითოეულ ეტაპზე გაიხსნა ტექსტის ერთი შრე, შესაძლებელი გახდა მისი ერთი ნაწილის იდენტიფიცირება და ასე ეტაპობრივად მოხერხდა წერილის თითქმის სრულად ამოკითხვა. ამოუცნობი დარჩა მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელიც ფურცლის დაზიანებულ (სავარაუდოდ, მელნისგან ამომწვარ და ამოგლეჯილ) ადგილას ეწერა და საერთოდ აღარ არსებობდა. რამდენადაც სიტყვა მთავრდებოდა ასო-ნიშნებით „მა“ და ჩვენ უკვე გვექონდა გაშიფრული ამ სიტყვის მთელი კონტექსტი, ბუნებრივია გაგვიჩნდა ვარაუდები, რა ლექსიკური ერთეული შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი ამ ადგილას. კონტექსტიდან გამომდინარე, ეს უნდა ყოფილიყო რომელიმე ზმნის „საწყისი“, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ზმნას „ჰსურდათ“ და რომელსაც უნდა ეპასუხა კითხვაზე „რის გაკეთება?“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბორჯომიდან მეფისნაცვალსა და მის მეუღლეს, თბილისში ჩამოსვლამდე, შეიძლებოდა, სურვილი ჰქონოდათ, შეჩერებულიყვნენ საგინაშვილების ოჯახში

(სადაც წინა დღეს დაისვენეს მათმა შვილებმა) და მე-19 საუკუნის ენასა და ლექსიკას, ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო „ჩამოხდომა“ (ჩამოქვეითება და დროებით გაჩერება). ასევე შეიძლებოდა გვეფიქრა ზმნაზე „დადგომა“, მაგრამ „დადგომა“ უფრო გრძელვადიან დაბინავებას ნიშნავს, რაც კონტექსტს ნაკლებად შეეფერება. მართალია, კონტექსტიდან გამომდინარე, სავსებით ნათელი იქნებოდა, სად ჩამოხდომაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, მაგრამ პირადი წერილის ენისთვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ამ „საწყისის“ წინ იქნებოდა ზმნიზედა „აქ“. ვფიქრობთ, ხელნაწერის აღნიშნულ ადგილას არის ამ ორი სიტყვის დაწერისთვის საკმარისი სივრცე. გასათვალისწინებელია, რომ გრიგოლ ორბელიანი წერილს სწერს სწორედ იმ სახლის პატრონს, სადაც, პატარა გაუგებრობა რომ არა, უნდა გაჩერებულიყვნენ იმჟამად ქვეყნის პირველი პირები - მეფისნაცვალი და მისი მეუღლე, ეს კი ადრესატისთვის სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, ბარათში ზმნიზედით „აქ“ კიდევ ერთხელ იქნებოდა ხაზგასმული, რომ ეს უნდა მომხდარიყო ადრესატის სახლში (შდრ. რამდენიმე სიტყვის წინ დაწერილს „აქვე გამომიარეს“). როდესაც სავარაუდო სიტყვების შემოწმების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს და იგი ვარაუდის სახითვე უნდა შევიტანოთ ტექსტში, მივმართავთ კონიექტურას და სავარაუდო ნაწილს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში. საბოლოოდ ტექსტმა მიიღო ასეთი სახე:

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მო-
სვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი
კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუზმეს, იჩაიავეს, მიიძინეს და წავიდნენ
დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნეინასაც მეორეს დღეს
ჰსურდათ [აქ ჩამოხდო]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვა
დენერალ-ლუბერნატორი.

ამავე მეთოდით შევძელით ხელნაწერიდან ნაწილობრივ ამოგვეკითხა 1839 წლის 14 დეკემბრის დღიურის ჩანაწერის ფრაგმენტი, რომელსაც 1959 წლის გამოცემაში მიწერილი აქვს: „დანარჩენი 13 სტრიქონის აღდგენა არ მოხერხდა“ [ორბელიანი, 1959, 283].

„Да, это досадно: что из этого, что наш подпол[ковник]: Л: до сегодняшнего дня всегда говорил: отлично 3-й дивизион, если сегодня пред Фельдмар[шалом]: не

поддержим славу. Впрочем не надо робеть, Бог милостив. Он провел фельдмарш. не левой ногою говорил мой [у...] середину, я сам понесу столы, надо немного приободрить людей, черт возьми если мы не [про...ся] на славу - მითხრა სტეფანოვმა - и вот уже корпус построился в линии. - Бат. [на..] хлопчут, приказ в [...] 21 N. - 86-й в право, влево, [се...] [...] [гад..] [...] [...] скачут [вслепую] всем забота [...]. Вдруг раздался: Смирно батальон, и эхо повторило эту команду в тысячу голосов“ [იხ. დანართი N4].

როგორც ვხედავთ, ამ უაღრესად რთული პასაჟების ამოკითხვაში დაგვეხმარა მაღალრეზოლუციიანი ციფრული ასლი, ჩვენ მიერ შედგენილი ტიპური და ატიპური ცხრილები და სწორად შერჩეული მეთოდოლოგია. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური გამოცემის მზადების დაწყებისთანავე შეიქმნას გამოსაქვეყნებელი ტექსტების სრული ციფრული ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გამოცემაზე მომუშავე ყველა პირისათვის. ეს ტექსტური კორპუსი იქნება იდეალური საკვლევი მასალა არა მხოლოდ დათარიღებისა და ატრიბუციისათვის, არამედ გრაფიკათა ტიპური და ატიპური მოხაზულობების ცხრილების შესადგენად და ტექსტის ავთენტური წაკითხვების დასადგენადაც.

§ 2. გამოუქვეყნებელი წერილები და დღიურები

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე გრიგოლ ორბელიანის 535 წერილი იყო აკადემიურად გამოცემული, ჯერ კიდევ მრავლად იყო გამოუქვეყნებელიც და ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის VII-VIII ტომების მოსამზადებლად წარმოებულ კვლევებში.

1936-1937 წლებში წერილების ორტომეულში აკაკი გაწერელიას მიერ გამოქვეყნებული წერილები 1859 წლით დასრულდა. ორტომეულში არ დაბეჭდილა რუსული წერილები, რადგან მათი ქართული თარგმანისა და 1860-1888 წლების ბარათების გამოქვეყნება იგეგმებოდა მესამე ტომში, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო აღარ გამოცემულა.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის VII ტომში დაბეჭდილია 1865-1869 წლის 104 წერილი, რომელთაგან 76 რუსულია, 28 კი - ქართული. ამ წერილებიდან მანამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ 6, 98 წერილისათვის კი ეს

გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო.

ახალ წერილებშიც, ისევე, როგორც უკვე გამოქვეყნებულეში, მრავალი საინტერესო ინფორმაციაა დაცული არა მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ იმჟამინდელი სოციალურ-კულტურული ყოფისა და ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი გაგზავნილი 29 წერილი გამოირჩევა განსაკუთრებული მზრუნველობით რძლისა და ძმისწულისადმი. რძლისადმი ბარათებში გრიგოლ ორბელიანი ხშირად მსჯელობს ძმისწულის აღზრდის საკითხებზე, რაც ცხადყოფს პოეტის დამოკიდებულებას სწავლა-განათლების სისტემისადმი. წერილები მნიშვნელოვანია თბილისის კულტურულ-საზოგადოებრივი მოვლენების გასაცნობადაც. მათში მწერალი საუბრობს იტალიური თეატრის, მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გამართული საღამოებისა და საქველმოქმედო სპექტაკლების შესახებ.

მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვთან გაგზავნილ 14 წერილში ნათლად იკვეთება გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია იმ პერიოდისთვის. ის საუბრობს ბორჯომის სასტუმროს განახლებაზე, სასახლისა და საავადმყოფოს მშენებლობაზე, კარგ მოსავალსა თუ სოფლების ზარალზე, თბილისის ამქრის ბუნტზე, ჩეჩნების გადასახლებაზე, საგლეხო საკითხებსა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ლიტერატურის მუზეუმში ახლახან მიკვლეული, რუსეთის სამხედრო მინისტრისა და სახელმწიფო საბჭოს წევრის - დიმიტრი მილიუტინისადმი მიწერილი 8 წერილის ასლიდან (მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული წერილების ფოტოპირები), 5 ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია. ამ ბარათებით ვეცნობით ადრესატისა და მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის დამოკიდებულებას აფხაზეთის სამთავროსადმი.

ზოგჯერ ხელნაწერთა არქივებში დაცული ასლები არასრულია. გრიგოლ ორბელიანის წერილების VI ტომში დიმიტრი მილიუტინისადმი 3 წერილი დაბეჭდილია საქართველოს იუსტიციის ეროვნულ არქივში დაცული, გადაწერილი ასლების მიხედვით, რომლებიც ბოლონაკლებია. ერთ-ერთი წერილი [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 155-156; სცსსა, ფონდი 4, აღ. 1, საქმე 7516, 148], სავარაუდოდ,

დათარიღებულია 1862 წლის დეკემბრამდე, მუზეუმში დაცულ ასლს კი აქვს ხელმოწერა და მყარი თარიღი: „ულრმესი პატივისცემის გრძნობითა და სრული ერთგულებით მაქვს პატივი, ვიყო თქვენი უმაღლესობის მორჩილი მსახური თ. გრიგოლ ორბელიანი. 14 დეკემბერი, 1862. თბილისი“ [გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N1309-დ].

როგორც აღვნიშნეთ, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომეულებში შეტანილია გრიგოლ ორბელიანის მრავალი გამოუქვეყნებელი წერილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაინც არ არის მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობის სრული სურათი. სავარაუდოდ, დაკარგულია რამდენიმე წერილი, რომელთა ფრაგმენტებიც მოყვანილია იონა მეუნარგიას მონოგრაფიაში „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“. აკაკი გაწერელია წერილების ორტომეულის პირველი ტომის ბოლოს დართულ შენიშვნებში წერს: „დაკარგულია ზოგიერთი ბარათი, რომელიც ი. მეუნარგიას მონოგრაფიაში და ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში დაიბეჭდა“ [ორბელიანი, 1936, 314]. სოლომონ ცაიშვილის ნარკვევში კი იონა მეუნარგიას მონოგრაფიისა და მის მიერ შეგროვებული ხელნაწერების შესახებ ვკითხულობთ: „ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის მიერ გადადებული მონოგრაფიის ნაწილი ავტორის სიცოცხლეში მთლიანად არ გამოქვეყნებულა. იგი არც მის ხელნაწერებში აღმოჩნდა მაშინ, როცა მისი ბიბლიოთეკა და არქივი ზუგდიდის მუზეუმს გადასცა სოლომონ ცაიშვილმა 1926 წელს. იონა მეუნარგიას დაცარიელებულ ოჯახში ბიბლიოთეკა და არქივი თითქმის განახევრებული იყო, გადარჩენილნი ნაწილი კი ისეთი დაზიანებული და ერთმანეთში არეული, რომ მათი გამორჩევა დიდ შრომასა და დროს მოითხოვდა... ეს არქივი მუზეუმშიც ამ მდგომარეობაში დარჩა თითქმის 15 წლის განმავლობაში, რამაც კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა მას“ [ცაიშვილი, 1965, 144-145].

ამ დაკარგულ წერილებს შორის ორი იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის მეუღლისთვის, მარიამ დედოფლისთვის არის გაგზავნილი. 1835 წლის 25 დეკემბრის ბარათში ვკითხულობთ: „ჩემს გასამართლებლად მხოლოდ ამას მოგახსენებთ მოკლედ რომ მართლ მსაჯულებათა სრულებით გამამართლეს მე... ასე რომ თვით ჩემს ფორმულიარშიაც არა სწერია, რომ იყო ჩემზე სლედსტვიე. უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობისა გამო“ [მეუნარგია,

2010, 86]; 28 დეკემბერს კი ადრესანტი დედოფალს სწერს: „ჩემი სოფიკო გაზაფხულს წამოვა პეტერბურღს თავის დედით და მგონია მამისნაცვლითა და მაშინ იხილავთ, თუ რა რიგად გააბრწყინვალეღს პეტერბურღს თავის სილამაზით და მერცხლის თვალეღბით და ეღის ბედით მეცა ვიქნეღი მხოლოდ ხუთასს ვერსზე დაახლოვეღული. მაგრამ მეღმინიან კი ძალიან, ვაი თუ მანდ გამიფრინდეს საუკუნოდ და ამდენის წლის იმედეღი ერთს წამს განმიქარვოს. წყეულნი ღვარდიის აფიცრეღი ამ შემთხვევაში ძალიან საშიშინი არიან“ [მეუნარგია, 2010, 95]. XIX-XX საუკუნეღბის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის II ტომის შესავალში მოყვანილია ეს ფრაგმენტი და აღნიშნულია, რომ წერიღს ვერ მიაკვლიეს [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 6].

დაკარგული ჩანს ლევან მელიქიშვილისადმი გაგზავნილი ხუთი წერილი. 1859 წლის წერიღში გრიგოლ ორბელიანი ადრესატს აცნობეღს: „მთავარ-მართველი მობრძანდა ვლადიკავკაზიდად, და ჩვეუღებრივ გაიმართა პრიომეღი და თეატრეღი და მეცა რაც კი შემიძლიან ვეხახუნეღი აქ-იქ. - მილიუტინი გავაციღეთ დიდის ყოფით. - აბა რეჩეღი იყო, რომ აქ ითქვა! არამც თუ აქა დუშეთშიაც წამოიძახა პლატონმა: „Жители Душета, столь знаменательнаго въ исторической жизни Кавказа...“ კიდევ: „Въ судьбѣ Кавказа, въ дѣлах кавказской Илиады читается судьба Душета“. ერთი მიბრძანეთ, ეს ჩვენს წიტიანს დუშეთზე ამბობს თუ სხვა დუშეთიც არის სადმე? მაგრამ მაინც კი მოსაწონეღელი რეჩი იყო“ [მეუნარგია, 2010, 136].

1860 წლის 8 ოქტომბრის ბარათში სწერს: „კიკო ჩოლოყაშვილი ინიშნეღა ვახვახოვის ქალზე, ამას განგეღ დიმიტრისთვის ვსწერ, რომ თვაღი დაუდგა მაგას: ეს რაც კი ლამაზნი ქალნი არიან, სულ გათხოვდნენ და ეგ მას უკან თუ გინდ მილიონის პატრონი შეიქნეს“ [მეუნარგია, 2010, 217]. 1862 წლის წერიღებში ვკითხუღობთ: „რაც შემიძლიან, ვარშიყოღ; მთავარმართვეღობას თურმე ასე სცოდნია“; „ეყოღა ვაჟი იაკინთეს ქალსა. ეყოღა ვაჟი ჩემს დისწულს ნინუცასა და სხვათა ცხრათა სულ ვაჟეღი. დიდი ომიანობა უნდა მოხდეს ამ ანგარიშით...“ [მეუნარგია, 2010, 201].

1863 წლის 23 თებერვალს დიდი მთავრის - მიხეიღ ვორონცოვის სტავროპოღში დახვედრასთან დაკავშირეღბით გრიგოლ ორბელიანი ლევან მელიქიშვიღს აცნობეღს: „ღმერთმა ნუ მოაკღოს მფარვეღობა ამ ჩვენს ახალს ბატონს ნამესტნიკს! სახე მშვენიერი, გული სავსე სიკეთითა, გონეღა განათღებული, ხასიათი დამშვიდებული,

აუჩქარებელი და ამისთანა განმზადებული გასაბედნიერებლად ამა მხარისა! მოვიდა სტავროპოლს მარტო სამის ადიუტანტითა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შვილი, დიდის ხელმწიფის ძმა ზვაობით, არა რის ვითა და არცა ძაგებით, როგორც მურავიევი, არამედ თავ-მდაბლობით, სიწყნარით, მოწყალებით! ღმერთმა აკურთხოს! მახლას, აშიკი შევიქენ“ [მეუნარგია, 2010, 142].

დაკარგული უნდა იყოს 1862 წლის 19 იანვრის წერილი პოლკოვნიკ ერმოლოვთან: „...გკოცნი შენც და შენს ბავშვებსაც, 18 წლის ქალიშვილსაც-კი. არა უშავს-რა, შეიძლება სამი ათასი ვერსის მანძილზე მხურვალე კოცნის გაგზავნა, რადგან გაცივდება, გაიყინება, ვიდრე მისს თვალებამდე მიაღწევდეს“ [მეუნარგია, 2010, 202].

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულმა, პოეტის პირველი ბიოგრაფის - იონა მეუნარგიას არქივმა შემოგვინახა დღიურის დაუთარიღებელი ფრაგმენტი. ავტოგრაფს სხვა უცნობ ხელნაწერებთან ერთად სოლომონ ცაიშვილმა მიაკვლია და სტატიაში „გრიგოლ ორბელიანის უცნობი ავტოგრაფები“ აღნიშნა, რომ ავტოგრაფი წარმოადგენს 1839 წლის დღიურის ფრაგმენტს, სადაც აღწერილია პოეტის თავგადასავალი დაღესტნის ფრონტზე [ცაიშვილი, 1953, 19]. მიუხედავად ამისა, 1959 წლის გამოცემის შემდგენლებს ეს ფრაგმენტი წიგნში არ შეუტანიათ. ამდენად ის დღიურის სახის ერთადერთი ჩანაწერია, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელია. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია სოლომონ ცაიშვილის მიერ გადაწერილი ამ ავტოგრაფის ასლი სათაურით „გრ. ორბელიანის დღიურიდან ფრაგმენტი“; 28 რიცხვის ჩანაწერის შემდეგ მიწერილი აქვს: „აქ წყდება. ეს ფრაგმენტი დაცულია ზუგდიდის მუზეუმში. ძვ. ფ. 152/6, ახალი - 132“. ასლს თარიღი არ უზის, მაგრამ 1839 წლის დღიურის ფრაგმენტისა და გრიგოლ ორბელიანის მიერ ნიკოლოზ ტიმერმანისთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით, დღიურის ჩანაწერებში ნამდვილად 1839 წლის მოვლენებია ასახული.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფრაგმენტი დაიბეჭდა 1959 წელს თხზულებათა სრულ კრებულში [ორბელიანი, 1959, 283-288]. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ზუგდიდის მუზეუმში დაცული ფრაგმენტი შეიძლებაოდა ამ დღიურის ნაწილი ყოფილიყო, ამიტომ შევამოწმეთ დედანი და ასეთი სურათი წარმოგვიდგა: დღიურის

ფურცლები 1836 წლის დღიურთან ერთად არის აკინძული ყდაში, 24-29 მარტის ჩანაწერებს მოსდევს 23 აპრილის ჩანაწერი და იმავე გვერდზე გრძელდება 17 მაისის ჩანაწერი, შემდეგ გვერდებზე კი წარმოდგენილია თარიღები 22 მაისამდე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, H-2768]. ამ ცალკეულ ფურცელზე კი - 22, 26, 27 და 28 აპრილის ამბებია აღწერილი. ჩვენი ვარაუდი გამოირიცხა და მივედით დასკვნამდე, რომ ავტორს შემდეგ აქვს ჩაწერილი ის მოვლენები, რომლებიც აღნიშნულ დღიურში არ შეიტანა.

1839 წელს გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ტიმერმანს ნაურის ექსპედიციის შესახებ სწერს: „მაისის 18-სა ჩვენი უზრუნველი დროსტარებანი აიმღვრა მოულოდნელის შეტყობინებით ლაშქრობის შესახებ ნუხაში... აი, თქვენ მოკლე ამონაწერი ჩემი დღიურიდან მჭერმეტყველების, ჩმახის გარეშე ჩვენს ქმედებათა შესახებ, რისი მოწმეც და ხშირად მოქმედი პირიც თავად გახლდით“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 112]. წერილში ავტორი დაწვრილებით აღწერს საბრძოლო მოქმედებებს 22 მაისიდან 3 ივნისამდე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დღიური მთავრდება 21 მაისის ჩანაწერით. წერილში ნახსენები დღიური, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა, სავარაუდოდ, ამ დღიურის გაგრძელებაა.

გამოუქვეყნებელი ფრაგმენტის 22 აპრილის ჩანაწერში გრიგოლი შედარებით ვრცლად აღწერს თავისი ასეულის, თბილისის ბატალიონის, თათრის მილიციისა და რუსების ქვეითი ჯარის მიერ ლეკების დამარცხებას ქალაქ ყუბასთან. იწერს, რამდენი მსხვერპლი მოჰყვა ამ ბრძოლას ორივე მხრიდან. წუხს, რომ ვერ შეიტყო, როდის და ვინ ააგო სოფელ ხაჩმაზში მაღალ გორაზე ძველი ციხე, რომელსაც თათრები გაიურყალას უწოდებენ და მაშასადამე, ქრისტიანების მიერ უნდა იყოს აგებული. 26-28 ივლისს მოკლედ იწერს, რომ გენერალმა სიმბორსკიმ თავისი ხაზის შესამოწმებლად ორი ასეული წაიყვანა შუმისკენ, სადაც დაბანაკდნენ.

ზუგდიდის მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი ფრაგმენტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ავსებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დღიურისა და ტიმერმანისადმი გაგზავნილი წერილის ინფორმაციას, რითაც იმ პერიოდის მოვლენების საერთო სურათი იქმნება.

§ 3. ჟანრის იდენტიფიკაციის მნიშვნელობა აკადემიური გამოცემისთვის

აკადემიურ გამოცემაში ტექსტებს ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით ვალაგებთ, ამიტომ ვიკვლევთ კონკრეტული ჟანრის თხზულებებს. ამ დროს აუცილებელია სწორად განისაზღვროს, რომელ ჟანრს ეკუთვნის ესა თუ ის ნაწარმოები. გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა წინა გამოცემებში, მათ შორის, 1959 წელს დაბეჭდილ თხზულებათა სრულ კრებულში, ორიგინალური პროზის რუბრიკაში ცალკე განყოფილებად არის გამოყოფილი „მხატვრული ესკიზები“, რომელშიც დაბეჭდილია ოთხი ტექსტი: „ან...დმი“, „ნ. ე. მ.“, „ზამთრისა ქარი გრიალებს“ და „ანზავი რიგის ღომპიტალში ნათქვამი“.

„ან...დმი“ და „ნ. ე. მ.“ პირველად იაკობ ბალახაშვილმა დაბეჭდა სტატიაში „გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი თაობა“. სტატიის ავტორმა „ან...დმი“ შეცდომით წაიკითხა როგორც „ნ...დმი“ და ორივე ტექსტი ნინო ჭავჭავაძისადმი მიმართულ ეპისტოლურ მხატვრულ ესკიზად მიიჩნია [ბალახაშვილი, 1940, 54-56].

„ანზავი რიგის ღომპიტალში ნათქვამის“ პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ჯუმბერ ჭუმბურიძეს 1945 წელს გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ [ჭუმბურიძე, 1945, 4], „ზამთრისა ქარი გრიალებს“ კი სოლომონ ხუციშვილმა გამოაქვეყნა 1947 წელს გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში [ხუციშვილი, 1947, 93-94].

პირველი მათგანი დაწერილია 1824 წელს და მასში გადმოცემულია გრიგოლ ორბელიანის განცდები სახლიდან წასვლასა და სამხედრო სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით. მას თავზე აწერია „ან...დმი“ და, შინაარსიდან ჩანს, რომ უნდა მიემართებოდეს მის ბიძაშვილს - ანტონ ორბელიანს. ანტონი, როგორც ჩანს, ნათესაობის გარდა, გრიგოლისთვის ბავშვობის უახლოესი მეგობარიც იყო, რადგან ამ ტექსტის გარდა, მას ეძღვნება პოეტის პირველი ლექსიც. ტექსტის სათაურად გამოტანილი მიმართვის ფორმა „ან-დმი“ და დასასრული - „ნეტარ წერილსა შენსა ძალედვას მოცემად ჩემდა წარსრულისა ბედნიერებისა და გამქრალისა ჩემისა თავისუფლებისა უკმოქცევად. მშვიდობით!“ [ორბელიანი, 1959, 290] - გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს პირადი წერილი და არა მხატვრული ესკიზი.

მეორე ტექსტს სათაურის მსგავსად აწერია „ნ. ე. მ.“ და შინაარსიდან ჩანს, რომ

მიემართება სამ ქალბატონს: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს და მანანა ერისთავ-ორბელიანის. ავტორი იმ დღეს იხსენებს, როდესაც საგანგებო დავალებით რუსეთში მიმავალი გამგზავრების წინ გამოემშვიდობა ამ ქალბატონებს და მათ თვალებზე ცრემლები შენიშნა. მიმართვის ფორმები - „გახსოვთა, დღე იგი...“, „...მომამოგონდების, ჰე, გრაციანო, ცრემლნი თქვენნი, ჩემთვის გადმოცვინულნი...“ [ორბელიანი, 1959, 292] - მიგვანიშნებს, რომ ესეც პირადი წერილია და არა მხატვრული ესკიზი. ერთდროულად სამი ადრესატისადმი გრიგოლს სხვა ბარათიც (მაგალითად, სალომე ჭავჭავაძისა და მისი ქალიშვილებისადმი) აქვს მიწერილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ორი წერილი ცალ-ცალკე ფურცელზეა დაწერილი და სხვა ბარათების მსგავსად, მოგვიანებით არის ჩაკრული 1832 წლის შეთქმულებაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობის გამოსაძიებლად შექმნილ „საქმეში“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერლის თხზულებათა სრულ გამოცემებში, „მხატვრული ესკიზების“ განყოფილებაში დაბეჭდილია კიდევ ორი ტექსტი: „ზამთრისა ქარი გრიალებს“ და „ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“.

პირველი ტექსტი უსათაუროა და იწყება სიტყვებით: „ზამთრისა ქარი გრიალებს და ფრთენი მისნი ჰბერვენ სიცივესა და ყინვას“. თავის მდგომარეობას ავტორი ასე წარმოაჩენს: „ვარ ესრეთ შემწყვდეული მარტო ოთახსა შინა ჩემსა, დაფიქრებით ვუმზერ ანთებულსა ბუხარსა და სამწუხარონი ჰაზრნი არყევენ გონებასა ჩემსა“ [ორბელიანი, 1959, 290]. ეს სამწუხარო აზრები უკავშირდება სიჭაბუკის წარმავლობას. მწერალი თავისი განცდების გადმოცემისას, პირველი პირის მრავლობითს იყენებს - „წარვალსა სიჭაბუკისა დღენი ჩვენნი“, „შეკმუხვნილსა სიბერესა ჩვენსა“ [ორბელიანი, 1959, 290] - რაც მასთან ერთად ვინმე კონკრეტულ პირს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მიგვანიშნებდეს ზოგადადამიანურ მოვლენებზე. ტექსტის სტილი მხატვრულია და ახასიათებს ლამაზი შედარებები, მაგრამ ასეთი რამ, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება გრიგოლ ორბელიანის დღიურებშიც.

მეორე ტექსტს, რომელიც „მხატვრული ესკიზების“ განყოფილებაშია დაბეჭდილი, სათაურად აწერია „ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“ [ორბელიანი, 1959, 293] და აქვს გამოკვეთილი სიუჟეტი. მიუხედავად ამისა, სათაურიც, მოქმედების ადგილიცა და სახელებიც მიგვანიშნებს, რომ მასში აღწერილია

ლიტვური ამბავი, შეიძლება, რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული ან მთლიანად შეთხზული, მაგრამ ამ გამონაგონში არ ჩანს გრიგოლ ორბელიანის წვლილი. როგორც სათაური მიგვითითებს, მან ეს ამბავი რიგის ჰოსპიტალში მოისმინა და ჩაიწერა. მსგავსი მონათხრობები უხვად არის მის დღიურებშიც და, შესაბამისად, არც ეს უკანასკნელი ტექსტი მიგვაჩნია ორიგინალურ მხატვრულ ესკიზად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ გრიგოლ ორბელიანს ორიგინალური პროზაული მხატვრული ტექსტები არ აქვს. იგი ქმნიდა მხოლოდ დოკუმენტურ პროზას. შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული ოთხი თხზულებიდან ორი უნდა იბეჭდებოდეს პირადი წერილების განყოფილებაში, ორი კი - ჩანაწერებისაში.

§ 4. წერილების დათარიღება

დათარიღება ტექსტოლოგიური კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის შედეგებიც საგულისხმოა შემდგომი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვისაც. მასალის ქრონოლოგიურად განთავსება აკადემიური გამოცემის ძირითადი პრინციპია. ამ პრინციპით ლაგდება ტექსტები და ინფორმაცია როგორც თხზულებათა სამეცნიერო კრებულებში, ისე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში და, ბუნებრივია, რომ ამგვარად განლაგება ვერ მოხდება ტექსტების დათარიღების გარეშე.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის 1936-1937 წლებში გამოცემულ I და II ტომებში შესაბამისი პერიოდის სამოცამდე წერილი გამოტოვებული იყო იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა მათი დაწერის დროის განსაზღვრა; ახალ გამოცემაში კი ხსენებული წერილების დათარიღება შესაძლებელი გახდა ციფრული კორპუსების მეშვეობით. საძიებო სისტემები დიდი მოცულობის ტექსტებშიც კი მნიშვნელოვნად აიოლებს ამა თუ იმ სიტყვის, სახელის თუ ციფრის პოვნას. ეს საშუალებას გვაძლევს, ვაწარმოთ წერილების შედარებითი ანალიზი და დავადგინოთ უთარილო ტექსტების შექმნის დრო. ამ ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელოვანი დამსახურებაა ის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხერხდა ქართველ კლასიკოსთა 400-მდე უთარილო წერილის დათარიღება. რა თქმა უნდა, კვლევის მეთოდი და ხასიათი ასეთ შემთხვევებში უმეტესად იგივე რჩებოდა,

მაგრამ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და პროგრამები გვებმარებოდა ტექნოლოგიური პროცესის უფრო მარტივად, ზუსტად და ეფექტურად განხორციელებაში.

ტექსტების დათარიღებისას ციფრულ კორპუსთან ერთად ხშირად გვჭირდება ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სამოქალაქო ან საეკლესიო კალენდარს. მაგალითად, თუ პირად წერილთან მითითებულია ზუსტი თარიღი და კვირის დღე, მაგრამ არ წერია წელი, ან წერილს მხოლოდ წელი აწერია და მასში ნახსენებია აღდგომა, ყველიერი, დიდი ორშაბათი, ან რელიგიურ მოვლენებთან დაკავშირებული სხვა დღე, ეს შეიძლება დაგვეხმაროს დათარიღებაში. ამიტომ აუცილებლად უნდა გვქონდეს მონიშნული ელექტრონული გვერდები, სადაც სანდო სამოქალაქო და საეკლესიო კალენდრებია. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ონლაინწყაროთა დიდ ნაწილში ძველი საეკლესიო სტილი სწორად არ არის დაანგარიშებული და მე-19 საუკუნის კალენდრებს არ ემთხვევა. ამიტომ სასურველია, რომ შევამოწმოთ ასეთი წყაროების ვალიდურობა.

გრიგოლ ორბელიანის ბარათების დასათარიღებლად მივმართეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის, გამორიცხვის, დედუქციურს, კორპუსულს და სხვა.

წერილების თარიღის დასადგენად ვიყენებთ შემდეგი სახის ინფორმაციას: ქალაქის ტიპს, ჰვირნიშანს, მელნის ფერს; შინაარსობრივი მონაცემების შედარებას; წერილში მოყვანილ ისტორიული ან კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებს; მოხსენიებულ პირთა დაბადება-გარდაცვალებისა და სახელობის დღეს, ქორწინებისა თუ ოჯახში მომხდარი სხვა მოვლენების თარიღს; კონკრეტული პირის მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან მისი დატოვების წლებს; ადრესატის ან ადრესანტის ადგილმდებარეობას; წერილში მოცემული ზუსტი თარიღითა და კვირის დღით წლის განსაზღვრას. დასათარიღებლად ვიყენებთ გარეშე წყაროებსაც, მათ შორის: ავტობიოგრაფიებსა და ბიოგრაფიებს, დღიურებსა და ჩანაწერებს, სხვათა წერილებს, მოგონებებს, ბიობიბლიოგრაფიებს და სხვა დოკუმენტებს.

მოვიხმობთ ჩვენ მიერ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით დათარიღებული წერილების რამდენიმე მაგალითს.

გამორიცხვის მეთოდი: გამორიცხვის მეთოდი ხშირად გვებმარება, რომ ავირჩიოთ ტექსტის რამდენიმე სავარაუდო თარიღიდან ერთ-ერთი. ვამოწმებთ

თითოეულ მათგანს და ვცდილობთ, ვიპოვოთ ის ერთი, რომელსაც ვერანაირი არგუმენტით ვერ გამოვრიცხავთ.

ბიძაშვილისადმი, ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი, 16 ივნისს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ 15 ივნისი იყო კვირა. წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანი უკვე საქართველოშია (დაბრუნდა 1858 წელს). საწყის თარიღად ავიღეთ გრიგოლის დაბრუნება საქართველოში და საბოლოო თარიღად კი - ბაბაღე ორბელიანის გარდაცვალება (1870 წელი). ამ ორ თარიღს შორის 15 ივნისი კვირა დღეს ემთხვევა 1858 და 1869 წლებში. 1858 წლის ზუსტად 15 ივნისს გრიგოლ ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს ტაბახმელიდან [გიგაშვილი, ნინიძე, 2015, 144]; რამდენადაც წერილის მიხედვით გრიგოლი თბილისშია, იგი დავათარიღეთ 1869 წლის 16 ივნისით.

რძლისადმი, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი წერილიც გრიგოლის საქართველოში დაბრუნების (1858 წელი) შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ იმ წლის 18 ივლისი ოთხშაბათია, ეს თარიღი კი ადრესატის გარდაცვალებამდე (1878 წლის 13 ივლისს) ოთხშაბათ დღეს ემთხვევა 1862 და 1871 წლებში, იგი ამ ორიდან რომელიმე წელს უნდა იყოს დაწერილი. წინამდებარე ბარათში ნახსენებია: „გამოძიება ალექსანდრეს სახლის ადგილისა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 149]. 1865 წლის 23 ივლისს იმავე ადრესატისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ალექსანდრე საგინაშვილი თბილისში აშენებდა ახალ სახლს („ალექსანდრეს ჩემ მაგიერ ურჩიეთ... დაანებოს თავი მაგის აშენებასა“) [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 45]. როგორც ჩანს, ბარათი იმ პერიოდშია დაწერილი, როდესაც საუბარი იყო ამ სახლის ასაშენებელ ადგილზე. შესაბამისად, ბარათი 1862 წლის 18 ივლისს უნდა იყოს დაწერილი.

მხოლოდ თვით და რიცხვით არის დათარიღებული გრიგოლ ორბელიანის ორი წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი. ბარათებში მხოლოდ თითო წინადადებაა და მწერალი ადრესატს სადილადად ეპატიჟება. შესაბამისად, ორივე წერილი იმ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი, როდესაც გრიგოლ ორბელიანიც და დიმიტრი ჯორჯაძეც თბილისში მსახურობდნენ - 1870-იანი წლებიდან 1883 წლამდე. რამდენადაც წერილების შინაარსიდან ჩანს ისიც, თუ კვირის რომელ დღეს არის დაწერილი, საშუალება მოგვეცა, რომ წლები უფრო დაგვეკონკრეტებინა. ბარათი, რომელსაც

აწერია 23 ივნისი და ტექსტის მიხედვით მეორე დღეს სამშაბათია, დაწერილი უნდა იყოს 1876 ან 1880 წელს, რადგან დროის ზემოხსენებულ ინტერვალში 23 ივნისი ორშაბათს მხოლოდ ამ წლებში ემთხვევა. მეორე ბარათის, რომელიც დაწერილია 1 მაისს, პარასკევ დღეს, თარიღი უნდა იყოს 1881 წელი, რადგან ეს თარიღი პარასკევ დღეს მხოლოდ ამ წელს ემთხვევა.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც წერილი თარიღიანია, მაგრამ რომელიმე ციფრი არ იკითხება. რძლის, ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში 23 ივლისი კარგად იკითხება, მაგრამ წლის მესამე ციფრი 18?6 გაურკვეველია. მივმართეთ გამორიცხვის მეთოდს და დავადგინეთ, რომ ის 1856 წელს დაწერილი ვერ იქნება, რადგან შინაარსიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანი უკვე საქართველოშია დაბრუნებული. ეს კი 1858 წელს მოხდა. ასევე ვერ იქნება 1876 წელი, რადგან გრიგოლის ბიძაშვილი - ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილი გარდაიცვალა 1870 წელს, ბარათში კი ვკითხულობთ: „საგინაანი განცხრომით არიან კოდაზე“. შესაბამისად, გამორიცხვის მეთოდით, შესაძლებელია ითქვას, რომ ბარათი დაწერილია 1866 წლის 23 ივლისს.

გრიგოლ ორბელიანის წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი დათარიღებულია 28 აგვისტოთი, მაგრამ წელი არ არის მითითებული [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 204]. 1867 წლის ოქტომბერში რძლისთვის, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ ალექსანდრეს მეუღლეს - ბარბარეს სიმსივნე აღმოაჩნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თემაზე გრიგოლი ცოლ-ქმართან ღიად არ საუბრობდა. 1868 წლის 23 აგვისტოს ის ალექსანდრე საგინაშვილს სწერს: „ბაბალესა, იმედი მაქუს, მალე გაუშვებს ციება და, ამოგვირბენს კოდისაკენ“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 203]. წინამდებარე უთარიღო წერილშიც „ციებაა“ ნახსენები და, ამასთანავე, ჩანს, რომ გრიგოლი კოდაშია, ბარბარე კი - აგვისტოს მიწურულს თბილისში. ბარბარემ 1870 წლის 28 აგვისტომდე ვერ მიაღწია. 1869 წლის 28 აგვისტოს კი ბარათი ვერ იქნება დაწერილი, რადგან ამავე წლის 17 სექტემბერს თავად ბარბარესთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი თბილისშია, ადრესატი კი - კოდაში. ავადმყოფ ადამიანს აგვისტოს მიწურულს კოდაში არავინ წაიყვანდა, რადგან იქ ამ დროს უკვე სიცივე იქნებოდა. შესაბამისად, ბარათი 1868 წლის 28 აგვისტოს უნდა იყოს დაწერილი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი: ტექსტის თარიღის დასადგენად ძალიან მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეული ანალიზი და ისეთი ეპიზოდების გამოკვეთა, რომლებიც სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარებითი ანალიზის საშუალებას მოგვცემს. ამ ხერხით როგორც ძველი, ისე ახალი მწერლობის არაერთი მხატვრული და დოკუმენტური ტექსტის დათარიღება გახდა შესაძლებელი.

მანანა ერისთავ-ორბელიანისა და მისი ქალიშვილის, ანასტასია ორბელიანისადმი მიწერილ უთარილო ბარათში ნახსენებია მიხეილ შარვაშიძის გარდაცვალება, როგორც ახალმომხდარი ფაქტი: „ვორონეჟში გარდაიცვალა მიხეილ შარვაშიძე, აფხაზეთის მთავარი, და წაასვენეს ისევ აფხაზეთში დასამარხავად. ესეც მორჩა ესოდენს მსოფლიოს ზრუნვასა, ესოდენს დავიდარაბას“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 99]. რამდენადაც მიხეილ შარვაშიძე გარდაიცვალა 1866 წლის 16 აპრილს, წერილი დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღის შემდეგ. მაგრამ ბარათის შინაარსი დროის ქვედა ზღვრის კიდევ უფრო დაზუსტების საშუალებას იძლევა. მიხეილ კოლიუბაკინისთვის 1866 წლის 17 მაისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვი 19 მაისს მიემგზავრება ბორჯომში [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 96]. საკვლევი წერილის მიხედვით კი, ის ოჯახთან ერთად უკვე გამგზავრებულია. დროის ზედა ზღვრის განსაზღვრაში დაგვეხმარა გაზეთის „Kavkaz“ 1866 წლის 69-ე ნომრის ცნობა, რომ მიხეილ შარვაშიძის დაკრძალვის შემდეგ, სადაც თავი მოიყარეს სამთავროს გაუქმებით უკმაყოფილო ადამიანებმა, 17 ივლისს რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ამდენად, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1866 წლის 19 მაისიდან 17 ივლისამდე.

როდესაც წერილს ვათარილებთ, ფაქტობრივად ვაზუსტებთ არა მხოლოდ მისი დაწერის დროს, არამედ მასში გადმოცემული ფაქტებისასაც. ამ ბარათის დათარიღება დაგვეხმარა კიდევ ერთი წერილის დაწერის დროის დადგენაში. მანანა და ანასტასია ორბელიანებისადმი გაგზავნილ წერილში ვრცლად იყო მოთხრობილი გრიგოლის საქმიანი ვიზიტის შესახებ ირანის შაჰთან: „თქვენ წახვედით დასავლეთს და ბედმან მეცა გამტყორცნა აღმოსავლეთისაკენ. წაველ მისაგებებლად დიდს ყაენთან, რომლისა წინაშე წარვჰსდევ მის ლაგირში ზღვის პირს ქერახაზბათის სიახლოეს... ვისხედით ნავში ყაენთან ერთად მე და ჩუენი პოსლანნიკი გირს...“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 97]. ნიკოლაი გირსისადმი მიწერილ უთარილო ბარათში კი საუბარია მასთან წინა წელს

მომხდარ შეხვედრაზე, რომლის დროსაც გრიგოლ ორბელიანს მისთვის დასაჯილდოებელი სამხედრო მოსამსახურეების სია გადაუცია. რამდენადაც 1863-1867 წლებში გირსი იყო რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი ირანში და იქ მოღვაწეობდა, ირანში გრიგოლის სხვა ვიზიტის შესახებ კი არაფერია ცნობილი, წერილში 1866 წელს მომხდარ ფაქტზე უნდა იყოს საუბარი და იგი მომდევნო, 1867 წელს არის დაწერილი, რადგან ტექსტში ვკითხულობთ: „მარშან მე პატივი მხვდა, წარდგენილი ვყოფილიყავ მის უდიდებულესობასთან, ირანის შაჰთან ფერიხ აბადში და მე მაშინვე მქონდა პატივი, გადმომეცა თქვენთვის, მოწყალეო ხელმწიფევ, ზოგიერთ პირთა სია, წინასწარ მოწონებული მისი უდიდებულესობის კავკასიის მეფისნაცვლის მიერ“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 138-139].

ბიძაშვილიშვილისთვის, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანისთვის გაგზავნილი უთარილო წერილი მასში ნახსენები პირის კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდით დათარიღდა. გრიგოლ ორბელიანი ადრესატს სთხოვს, რომ ილია ჭავჭავაძეს გადასცეს მისი თხოვნა. საქმე ეხება შუშის მაზრაში მოლარედ მომსახურე მის ნაცნობ გასპაროვს, რომელიც ავადმყოფობის გამო სამსახურს აცდენდა და ბაქოს სახაზინო პალატა გათავისუფლებას უპირებდა. გრიგოლ ორბელიანს სურდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ქვისლისთვის - დიმიტრი სტაროსელსკისთვის მიეწერა და ეთხოვნა ამ კაცისთვის მფარველობის გაწევა. რამდენადაც დიმიტრი სტაროსელსკი ბაქოს გუბერნატორად მსახურობდა 1872 წლის 29 მარტიდან 1876 წლის 1 ივნისამდე, წერილი ამ ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N263].

იაგორ პავლეს ძე სტარიცკისადმი მიწერილ ბარათში გრიგოლ ორბელიანი ადრესატს სთხოვს, რომ მის ყოფილ თანამშრომელს სამსახური უბოძოს მომავალი სასამართლო ადგილების ჩამოყალიბებისას. სტარიცკი 1862 წლიდან მუშაობდა კავკასიის სასამართლო სისტემაში, 1868 წლის იანვარში კი, როდესაც სასამართლო რეფორმის შედეგად დაარსდა თბილისის სასამართლო პალატა, დაინიშნა მის თავმჯდომარედ. რადგან წერილის მიხედვით ეს სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1868 წლის 1 იანვრამდე [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 169].

დიმიტრი ჯორჯაძისადმი წერილში ვკითხულობთ: „როგორცა გადაწყდება

პრიკაზის საქმე: იქნება თუ დაიკეტება?“. ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზის“ დახურვისა და გარდაქმნის საკითხი დადგა საგლეხო რეფორმის დაწყების შემდეგ (1861 წლის 19 თებერვალს, რუსეთის იმპერატორმა - ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ბატონყმობის გაუქმების მანიფესტს. 1874 წლის 7 მაისს დამტკიცდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება). 1874 წლის 17 მარტს სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში გრიგოლი წუხს: „პრიკაზი დაიკეტება და ამის ანგარიშებსა და საქმეებს გადაჰსცემენ აქაურს ღოსუდარსტ: ბანკსში. მაშინ მოხდება გაყიდვა იმ მამულებისა, რომელთაგან არ შეუტანიათ პროცენტები, ესე იგი თითქმის მთლად საქართველო გაიყიდება. შენ წარმოიდგინე ჩვენი ვაება, გოდება, მთელის ჩუჭნის ქუჭყანასა!“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N487]. ამ ბარათის მიხედვით, აღნიშნული წერილი 1874 წელს უნდა იყოს დაწერილი.

საოჯახო მოვლენების მიხედვით: ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიან-საგინაშვილი იყო გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი და მისი მეგობარი. ზოგიერთი წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი მას ბავშვობაში დედას ეძახდა. მათი ასეთი სიახლოვიდან და ხშირი კონტაქტიდან გამომდინარე, ჩვენამდე მოღწეულია ამ პიროვნებისადმი მიწერილი 10-ზე მეტი მოკლე უთარილო ბარათი, რომლებშიც ისეთი რეალია არ არის ნახსენები, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით. ასეთ ბარათებთან მიმართებით ერთადერთი ხელჩასაჭიდი იყო ბარბარეს გარდაცვალების თარიღი. ის სიმსივნით იყო ავად და გრიგოლ ორბელიანზე 13 წლით ადრე გარდაიცვალა. ბარათებს, რომლებშიც არა მხოლოდ წელი, არამედ თვე და რიცხვიც არ არის მითითებული, ვათარიღებთ 1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით. მაგრამ თუ თვე და რიცხვი 21 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს, მაშინ ვათარიღებთ 1870 წლის ამ თარიღამდე. ერთ-ერთი წერილის მიხედვით, ახალდასრულებულია ყველიერის კვირა, რომელიც 1870 წელს 22-დან 29 თებერვლამდე გრძელდებოდა, ამიტომ ბარათი დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს 1870 წლის 29 თებერვლისა [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N464]. ერთი უთარილო წერილიდან ჩანდა, რომ ის ახალი წლის დღეებში იყო დაწერილი, შესაბამისად, დავათარიღეთ 1870 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე პერიოდით [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N464].

ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსადმი ბარათის დასათარიღებლად გამოვიყენეთ მასში მოხსენიებულ პირთა ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღები. გრიგოლ ორბელიანი ბიძაშვილს აცნობებს: „დღეს დედუფალსა ჰქონდა დიდი გაჭიმული სადილი... არ იყავ შენ, არ იყო სოფიო - შენი და, არცა ძალუა ქეთევან და არცა იარანალშა ლიზა...“. იარანალშა ლიზად გრიგოლი მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძის დას - ელისაბედს, რომელიც გენერალ ალექსანდრე საგინაშვილზე დაქორწინდა 1872 წლის 20 თებერვალს. „დედუფალში“ უნდა იგულისხმებოდეს სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი - ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, რომელიც 1882 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა, შესაბამისად, ბარათი ამ დრომდეა გაგზავნილი. ამიტომ წერილს ვაძლევთ ფართო თარიღს - 1872 წლის 20 თებერვლიდან 1882 წლის 13 აგვისტომდე.

გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიანის მეუღლისადმი - ნიკოლოზ ივანოვისადმი წერილში საუბარია ორბელიანების სადავო სახაზინო მიწებზე. გრიგოლი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს 40 წლის მანძილზე ჰქონდა დავა სახელმწიფო ხაზინასთან მამულებთან დაკავშირებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წერილში ნახსენები გირავნობის მოწმობა დათარიღებულია 1826 წლით, სავარაუდოა, რომ ალექსანდრე ორბელიანის დავა ხაზინასთან ამის შემდეგ დაწყებულიყო, და ბარათი დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღიდან 40 წლის შემდეგ. ვარაუდის დასაზუსტებლად მივმართეთ მეორად წყაროს - ალექსანდრე ორბელიანის იმპერატორ ალექსანდრე II-ისადმი მიმართულ თხოვნას, რომ საქმე განსახილველად გადასცემოდა სამთავრობო სენატის სხდომას [გლსქლსმ. გრიგოლ ორბელიანის ფონდი. N16396]. დოკუმენტის მიხედვით, სახაზინო მიწებზე დავა დაიწყო 1819 წელს. 1826 წელს მამულები ორბელიანებს მიაკუთვნეს; შემდგომ კვლავ ეჭვი შეიტანეს დოკუმენტების ნამდვილობაში, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის ძალისხმევით, 1862 წელს მიწები ორბელიანებს დაუბრუნეს, თუმცა ვითარება კვლავ შეიცვალა; ალექსანდრე ორბელიანის თხოვნა 1862 წლის შემდეგ არის დაწერილი, გრიგოლ ორბელიანის წერილის მიხედვით კი, სენატის გადაწყვეტილება ორბელიანების სასარგებლოდ უკვე მიღებულია. ასევე საგულისხმოა, რომ წერილის ადრესატმა, ნიკოლოზ ივანოვმა, გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო და საბოლოოდ დამკვიდრდა კავკასიაში 1866 წელს და

ამ პერიოდში უფრო დაინტერესდებოდა მამულის საკითხით. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წერილი დაწერილია არაუგვიანეს 1870 წლის 28 მაისისა, რადგან ეს არის ალექსანდრე ორბელიანის გარდაცვალების თარიღი და წერილის მიხედვით კი, იგი ცოცხალია. წერილს ვათარილებთ 1866 წლიდან 1870 წლის 28 მაისამდე პერიოდით [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 253-254]. ამავე პერიოდით ვათარილებთ ნიკოლოზ ივანოვისადმი გაგზავნილ მეორე ბარათსაც, რომელშიც იმავე პრობლემაზეა საუბარი [გიგაშვილი, ნინიძე, 257-261].

გრიგოლ ორბელიანი რძალს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილს სწერს: „ეს წიგნი გაუგზავნეთ თქვენს სასურველ აქიმს მაჭავარიანს, რომ იმან, ან სულერთია, თქვენ გაუგზავნოთ რემერტსა“. რამდენადაც წერილში მოხსენიებული ექიმი - ადოლფ რემერტი კავკასიის მეფისნაცვლის - დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის შვილების ექიმად 1867 წელს გადმოვიდა, ბარათი მანამდე არ უნდა იყოს დაწერილი.

ყაფლან ორბელიანთან 27 ივლისს გრიგოლის მიერ გაგზავნილი წერილის მეორე ნახევარს წერს ყაფლანის ახლობელი ბავშვი, რომელიც მას ბიძას უწოდებს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N406]. ყაფლანს ჰყავდა ორი და - ანა და ეკატერინე. ანასტასია (ტასო) ერქვა ეკატერინე ორბელიანისა და შალვა რევაზის ძე ქსნის ერისთავის შვილს, რომელიც დაიბადა 1862 წელს. რამდენადაც მას უკვე გამართულად წერა შეუძლია, წერილი, სავარაუდოდ, 1870 წლამდე არ უნდა იყოს დაწერილი, ბოლო ზღვრად კი ყაფლან ორბელიანის გარდაცვალების თარიღს - 1878 წლის 13 ივლისს მივიჩნევთ.

ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსადმი 25 თებერვლის წერილი დავათარილეთ არაუგვიანეს 1878 წლისა, რადგან წერილში ნახსენებია გრიგოლის ბიძაშვილიშვილი - იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, რომელიც გარდაიცვალა 1879 წლის 3 იანვარს, ცოცხალია. იმავე ადრესატისადმი მეორე უთარილო წერილის მიხედვით ჩანს, რომ გენერალი სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოი და სოფიო ირაკლის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი უკვე დაქორწინებულები არიან, მათ კი ჯვარი 1876 წელს დაიწერეს. ბარათს ვათარილებთ ამ თარიღის შემდგომი პერიოდით.

კორპუსული კვლევა: გიორგი მუხრანსკისადმი მიწერილ ერთ ბარათში არაერთი ისეთი რეალიაა ნახსენები, რომელებიც მისი დაწერის ქვედა ზღვრის განსაზღვრაში დაგვეხმარებოდა. ასეთია, მაგალითად, ალექსანდრე საგინაშვილის

მიერ გენერალ-მაიორის წოდების მიღება (დავადგინეთ, რომ ეს მოხდა 1869 წლის 30 აგვისტოს), წერილის ადრესატის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულება (შევიტყვეთ, რომ ეს ხდებოდა 1869-1870 წლებში), ბუჭყიაშვილისა და ილია ანდრონიკაშვილის სასამართლო პროცესი (გაზეთის „Кавказ“ ერთ-ერთი ნომრიდან, სადაც წარმოდგენილი იყო ამ სასამართლო პროცესის ანგარიში, დავადგინეთ, რომ ეს მოხდა 1870 წლის 30 იანვარს). წერილის დაწერის ქვედა დროითი ინტერვალის განსაზღვრისას ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემებიდან ავირჩიეთ ყველაზე გვიანდელი. ეს არის 1870 წლის 30 იანვარი. ამ ბარათის დაწერის ზედა ინტერვალის დასადგენად გვქონდა 2 ინფორმაცია: მისი შინაარსიდან გამომდინარე, გრიგოლის ბიძაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (გარდაიცვალა 1870 წლის 28 მაისს). გარდა ამისა, ანეტა მირსკაია დაქვრივების შემდეგ მეორედ ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი (მივაგენით მისი ქორწინების თარიღს - 1870 წლის 17 მაისს). წერილის დაწერის ზედა ზღვრის დასადგენად მოპოვებული მსგავსი ინფორმაციიდან ვეყრდნობით უფრო ადრეულს, რათა მისი შექმნის ინტერვალი რაც შეიძლება ვიწრო იყოს, შესაბამისად, ამ ორი ციფრიდან ავირჩიეთ 1870 წლის 17 მაისი და საბოლოოდ წერილი დავათარიღეთ 1870 წლის 30 იანვრიდან 17 მაისამდე პერიოდით.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი უთარიღო წერილის მიხედვით ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანმა ნიკო ჭავჭავაძეს სთხოვა, რომ უშოვოს ხანჯალი თავისი რძლის დის – ოლღა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიასთვის გასაგზავნად („ნიკო... დამპირდა პატარა ხანჯალსა, რომელიცა უნდა უფემქაშო მოსკოვში ოლინკასა, ძალუა ვარინკას დასა“) [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 25-26]. 1872 წლის 16 ნოემბრის წერილიდან კი ჩანს, რომ ხანჯალი უკვე მიღებულიც აქვს და ოლღასთვის გაგზავნილიც („ნიკოს ჭემმარიტს მადლობას მოვახსენებ ხანჯალისათვის... მეორესვე დღეს გაუგზავნე ოლინკას გრუზინსკისას“) [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 117]. შესაბამისად, ეს წერილი 1872 წლის 16 ნოემბრამდეა დაწერილი. მეორე მხრივ, რამდენადაც მასში აგვისტოს თვე მომავალ დროშია ნახსენები („აგვისტოში მოელიან კომისიას“), შეგვიძლია, დაწერის სავარაუდო ზედა ზღვარი კიდევ უფრო შევამციროთ და დავათარიღოთ 1872 წლის აგვისტომდე პერიოდით.

ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიასთვის გაგზავნილი ერთი უთარიღო წერილის

შინაარსიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანი ბარათთან ერთად ადრესატს უგზავნის პატარა ხანჯალს, რომელიც მისთვის ნიკო ჭავჭავაძემ იშოვა („получив кинжал, я спешу поднести его вам“). სოფიო ერისთავ-ორბელიანისთან გაგზავნილ წერილში, რომელიც 1872 წლის აგვისტომდე პერიოდით დავათარიღეთ, ჩანს, რომ ნიკო ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანს უკვე დაჰპირებია ხანჯლის შოვნას, მაგრამ ხანჯალი ჯერ მიღებული არ ჰქონდა [ცაიშვილი, 1947, 334]. შესაბამისად, ეს ბარათი აგვისტოზე ადრე ვერ იქნება დაწერილი. წერილიდან ასევე ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანს ადრესატის დისგან არავითარი ინფორმაცია არა აქვს, მისამართიც არ იცის („не имею никакого известія... немогу писать к ней, не имея адреса“) და იმაშიც კი არ არის დარწმუნებული, პეტერბურგში გადავიდა თუ არა („действительноли она переехала в Петербург“) [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 63r]. 1872 წლის 2 ოქტომბერს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1872 წლის 2 ოქტომბერის წერილში ნათქვამია: „ვარინკა თავის შვილით გადასულა მოსკოვიდამ პეტერბურღს“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 116]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს უთარილო ბარათი 1872 წლის 2 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი და მას ვათარიღებთ 1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდით.

ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონი-ორბელიანისთვის გაგზავნილი ერთი უთარილო წერილის მიხედვით ირკვევა, რომ მისი ადრესატი წინა წელს გრიგოლ ორბელიანთან ერთად იყო წავკისში („в Цавкиси, где так хорошо было мне с вами в прошлом году“) და ჩანს, რომ იგი ჯერ არ უნდა იყოს გადასული საცხოვრებლად მოსკოვიდან პეტერბურგში („едешь в Петерб.“) [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 56r]. 1871 წლის 25 ივნისს ყაფლან ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანთან ერთად წავკისში მისი რძალი და ძმისშვილი ისვენებდნენ 1871 წელს. როგორც აღვნიშნეთ, 1872 წლის 2 ოქტომბერს ეკატერინე ჭავჭავაძისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ ბარბარე თავისი ვაჟით გადასულია მოსკოვიდან პეტერბურგში. ამდენად, წინამდებარე უთარილო ბარათი 1872 წლის 2 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი. ამავე წერილში ნახსენებია, რომ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი და მისი ცოლი უკვე გაემგზავრნენ პეტერბურგში („Вано с женою выехали“), ქეთევან ალექსიმესხიშვილისთვის 1872 წლის 29 ივნისს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ ისინი

ჯერ არ იყვნენ გამგზავრებულები. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1872 წელს 30 ივნისიდან 2 ოქტომბრამდე. რამდენადაც ადრესატის დისტოვის, ოლღა ჭავჭავაძისთვის გაგზავნილი წერილი კომპლექსური კვლევის შედეგად 1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდით დავათარიღეთ.

ყაფლან ორბელიანისადმი ბარათის მიხედვით, რომელსაც აწერია 4 სექტემბერი, მაგრამ წელი უცნობია, გრიგოლ ორბელიანი ახალჩასულია თბილისში - „გიახელ საღუსალამად სატახტო ქალაქს თბილისს“. წერილების ერთიანი კორპუსის კომპლექსური კვლევით დასტურდება, რომ 1856-1859 წლების 4 სექტემბერს გრიგოლი ან თბილისიდან შორს იყო, ან ამ რიცხვამდეც კარგა ხანს არ იმყოფებოდა თბილისში. 1856 წლის 17 აგვისტოსა და 7 სექტემბრის წერილები დაღესტნიდან არის გაგზავნილი, 1857 წლის 31 აგვისტოსა და 5 სექტემბრის წერილები კი - სალათავიიდან (სალათაურიდან). 1858 წელს გრიგოლი თბილისშია, მაგრამ, სხვა წერილების მიხედვით, აქვე იყო 29 აგვისტოსაც და 2 სექტემბერსაც; რაც შეეხება 1859 წელს, 27 ივნისის წერილიდან ვიგებთ, რომ იგი 8 სექტემბერს აუცილებლად უნდა ყოფილიყო პეტერბურგში, ამიტომ აგვისტოს პირველ დღეებში უკვე აპირებდა გამგზავრებას. 31 ოქტომბრის წერილიდან ჩანს, რომ უკან დაბრუნდა მხოლოდ 20 ოქტომბერს. შესაბამისად, ბარათი 1860 წლის 4 სექტემბრამდე ვერ იქნება დაწერილი. საბოლოო თარიღად ვიღებთ ყაფლან ორბელიანის გარდაცვალებას - 1878 წლის 13 ივლისს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N405].

დიმიტრი ჯოჯაძისადმი წერილში ვკითხულობთ: „მომირთმევია კნენას გაგარინას წერილი, რომელშიაცა გთხოვს, რომ ადელბერდის მაგიერ წიგნი დასწეროთ ხელმწიფესთან მოკლედ და მშვენივრად, რადგან უწინდელმა წერილმა ვერ გასჭრა... ივლისში ხელმწიფე მობრძანდება ყირიმში. წიგნი უნდა იყოს მზად მისული ტასოსთანა“... ქუთაისის გუბერნატორის - ალექსანდრე გაგარინის მეუღლე - ანასტასია ორბელიანი ხელმწიფესთან მიმოწერას თავის თავზე არ აიღებდა, იმ დროისათვის უკვე დაქვრივებული რომ არ ყოფილიყო. ალექსანდრე გაგარინი 1857 წლის 27 ოქტომბერს, ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა სვანეთის მთავარმა - კონსტანტინე დადემქელიანმა. შესაბამისად, ბარათი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. 1855 წლიდან 1881 წლამდე რუსეთის იმპერატორი იყო ალექსანდრე II და საუბარი უნდა იყოს მის ვიზიტზე ყირიმში. დავადგინეთ, რომ 1855 წლის შემდეგ

ალექსანდრე II ყირიმში პირველად 1859 წელს იყო და საწყის თარიღად ეს წელი უნდა მიგვეჩნია. მაგრამ რადგან წერილში შინაურულადაა მოხსენიებული იმპერატორ ალექსანდრე II-სთან დაახლოებული პირი და საიმპერატორო კარის მინისტრი, ალექსანდრე ადლერბერგი, ვვარაუდობთ, რომ ეს გამოწვეულია იმით, რომ იგი იყო ნიკო დადიანის სიმამრი, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს ხშირად სტუმრობდა სოფელ გორდში და გრიგოლიც ახლოს იცნობდა მას. ნიკო დადიანმა და მარია ადლერბერგმა 1877 წელს იქორწინეს, შესაბამისად, საწყის თარიღად ეს წელი ავიღეთ და საბოლოოდ 1879 წელი, როდესაც ალექსანდრე II უკანასკნელად იყო ყირიმში.

ზოგჯერ ეპისტოლური და მხატვრული ტექსტების კომპლექსური კვლევა გვებმარება რომელიმე მათგანის დათარიღებაში. ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე გრიგოლ ორბელიანის მიერ სალომე დადიანი-მიურატისათვის გაგზავნილი წერილის შემთხვევაშიც. ავტორმა თავისი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ პირველად „ქსნისხვევლის“ ფსევდონიმით, უთარილოდ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1877 წლის 7 აპრილის ნომერში [ორბელიანი, 1877, 5-6]. პირად წერილზე, რომელსაც გრიგოლი წავკისიდან გორდში უგზავნის ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილს – სალომე დადიანი-მიურატს, ძნელად იკითხებოდა თარიღი - 12 აგვისტო 1874 წლისა ეწერა თუ 1877-ის. ბარათში ვკითხულობთ: „ძალიან მიამა, რომ თამარ მეფის სახე ბეთანიაში მოგწონებიათ ეკატერინასაცა და შენცა, რადგანაც უნდა მოგახსენო, რომ მე გახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭვდა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N117]. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ ეკატერინეს და სალომეს გრიგოლის ლექსი ავტორის ვინაობის გარეშე და თან ცენზურის შემოკლებებით წაუკითხავთ, ცხადია, რომ ისინი მას „ივერიის“ პუბლიკაციიდან გასცნობიან და, შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს არა 1874 წლის, არამედ 1877 წლის 12 აგვისტოს.

გრაფოლოგიური ანალიზი: გრიგოლ ორბელიანი ნიკოლაი ასტაფიევს ბარათს უგზავნის კვირას, 30 მაისს, და სთხოვს, რომ სადილად ეწვიოს. ნიკოლაი ასტაფიევი კავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცრად დაინიშნა 1871 წელს, ამავე წლის მარტში დაქორწინდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილზე - ელენე ჭავჭავაძეზე და

დამკვიდრდა საქართველოში; შესაბამისად, წერილი დაწერილი უნდა იყოს ამ წლიდან გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებამდე. აღნიშნულ პერიოდში, 30 მაისი კვირა დღეს ემთხვევა 1871, 1876 და 1882 წლებში; სხვა წერილებთან შედარების საფუძველზე, ქაღალდის ტიპის, მელნის ფერისა და ხელწერის მიხედვით, ვვარაუდობთ, რომ წერილი 1882 წელს არის დაწერილი [გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16264].

თარიღის დადგენა ტექსტოლოგიური მეცნიერებისთვის მეტად აქტუალური საკითხია. იგი შემდგომი კვლევების საყრდენია და საშუალებას იძლევა, სწორად იქნეს გააზრებული როგორც მწერლის, ისე მისი შემოქმედების მნიშვნელობა თანადროულ ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ გარემოში.

§ 5. ადრესატებისა და მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია

მწერლის დოკუმენტური ნაწერებიდან მიღებული ინფორმაცია სრულყოფილი ვერ იქნება მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიცირების გარეშე. ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ ვინ იგულისხმება ამა თუ იმ წერილში ნახსენებ სახელში, გვარში, მეტსახელში, საზოგადო სახელსა თუ ნაცვალსახელში.

გრიგოლ ორბელიანის წერილების პირველი გამოცემის შემდგენელი - აკაკი გაწერელია II ტომის დამატებით შენიშვნებში აღნიშნავდა, რომ წერილებში მოხსენიებული ყველა პირის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა საკითხის სირთულის გამო: „ეპისტოლურ ლიტერატურაში ჩვენთვის უცნობია სხვა მწერლის მიმოწერა, სადაც იმდენი პირი იყოს დასახელებული, რამდენიც გრიგოლ ორბელიანის წერილების I და II ტომში, 383 ბარათის მანძილზე“ [ორბელიანი, 1937, 289]. ბუნებრივია, ამ პრობლემის წინაშე ჩვენც დავდექით, მაგრამ უახლესი ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია უკეთესი შედეგების მიღების შესაძლებლობებს გვთავაზობდა.

სანამ საკითხის შესწავლას დავიწყებდით, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის წინა ტომებში უკვე ჩატარებული იყო საფუძვლიანი ტექტოლოგიური კვლევები და, შესაბამისად, შემუშავებული იყო კვლევითი სტრატეგიები, რამაც საგრძნობლად გაგვიოლა ეს პროცესი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

პირთა იდენტიფიკაცია ძალზე მნიშვნელოვანია აკადემიურ გამოცემაში ტექსტის კომენტირებისთვის. თუ კომენტარი ეწინააღმდეგება ტექსტის თარიღს ან სხვა კომენტარს, ამ დროს გამოსავალი ამ შეუსაბამობის ახსნაშია. მსგავს შემთხვევასთან ჰქონდათ მკვლევრებს საქმე, გრიგოლ ორბელიანის მიერ დედის გარდაცვალების შემდგომ წლებში მამისეულ სახლში თავისი ძმის - ზაქარიასთვის გაგზავნილ სამ წერილში, რომლებშიც მწერალი მოკითხვას უთვლის დედას: „დედა დედაშვილურად მომიკითხე“. რამდენადაც ეს წერილები თარიღიანებია და ყველა ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მათში მწერლის მშობელი დედა ყოფილიყო ნაგულისხმები. კორპუსული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ამ „დედას“ გრიგოლ ორბელიანი ყველგან ახსენებდა ნათესავებისა და მსახურების მოკითხვებს შორის. რამდენადაც მე-19 საუკუნეში ქართველი თავადაზნაურობა მკაცრად იცავდა წოდებრივ ეტიკეტს, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აქ პოეტის ბიძაზე უნდა ყოფილიყო საუბარი.

ასევე კორპუსული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ წერილებში მოხსენიებულ „ტატოში“ ყოველთვის მისი დისწული ნიკოლოზ ბარათაშვილი არ იგულისხმება. ამ მეტსახელს ნათესავები ეძახდნენ გრიგოლის ბიძაშვილს - ანტონ გიორგის ძე ორბელიანსაც, რომელსაც ეძღვნება გრიგოლის ყველაზე ადრეული, 1824 წლის პირადი წერილი და ლექსი სათაურით „ან-ს“. ბარათაშვილი ბაგრატიონი-ორბელიანისადმი წერილებში ხშირია „მისი ბრწყინვალეობა მეფის ასულის“ მოკითხვა. კონტექსტიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საუბარი უნდა იყოს ადრესატის დედაზე - ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკაიაზე, რომელსაც ადრესანტი მეფის ასულად იმიტომ მოიხსენიებს, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფის - გიორგი XII-ის რძალია.

იმისთვის, რომ გაერკვიათ, ვინ იყო გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად მოხსენიებული „მია ალექსანდრე“, მკვლევრებს მოუხდათ ამ პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის 1936-1937 წლების ორტომეულის კომენტარებში აღნიშნულია, რომ ეს არის ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური - ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. კომპიუტერის დახმარებით

წერილების უზარმაზარი კორპუსიდან შედარებით იოლად შეკრებილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, რომ ამ „ძიაში“ ყველა წერილში ვერ იქნებოდა ნაგულისხმები ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. მართალია, იგი გრიგოლს ბიძად ეკუთვნოდა, რადგან გრიგოლი ერეკლე მეფის შვილთაშვილი იყო, ალექსანდრე კი - შვილიშვილი, მაგრამ ის ფაქტი, რომ რამდენიმე წერილში ეს ძია ხანდაზმულად მოიხსენიება („ეგ ერთიდა დაგვრჩა მოხუცი ძია“ და სხვა), უკვე გამორიცხავს იმას, რომ აქ გრიგოლზე ორი წლით უფროსი ალექსანდრე ორბელიანი იგულისხმებოდა.

„XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ III ტომში [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 276] გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მოხუცი „ძია ალექსანდრე“ უნდა ყოფილიყო ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავი, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები თითქოს ესადაგებოდა ამ წერილების შინაარსს. კომენტარების ავტორმა ასევე ივარაუდა, რომ ბარათებში, რომლებიც ალექსანდრე ერისთავის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი, „ძია ალექსანდრეში“ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი იგულისხმება, მაგრამ იმ პერიოდის ბარათებში, როდესაც ორივე „ალექსანდრე“ ცოცხალი იყო, ზოგჯერ არ ხერხდებოდა პირის ზუსტი იდენტიფიცირება და მხოლოდ ვარაუდი იყო გამოთქმული.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის VIII ტომზე მუშაობისას, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანთან 1870 წლის 10 სექტემბერს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 41v] და დიმიტრი ალექსი-მესხიშვილთან 1872 წელს გაგზავნილმა ახალმა წერილებმა, სადაც მოხსენიებულია ბიძია ალექსანდრე, აღნიშნული ვარაუდები გამორიცხა, რადგან გაირკვა, რომ ეს ალექსანდრე 1870 წელს გარდაცვლილა. ნავარაუდებ ორ პირთაგან ერთი - ალექსანდრე (თორნიკე) ერისთავი გარდაიცვალა 1860 წელს, მეორე - ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი კი, 1869 წელს.

ჩვენ გავაგრძელებთ ამ უცნობი „ძია ალექსანდრეს“ იდენტიფიცირებაზე მუშაობა. კორპუსული კვლევით დგინდება, რომ ეს პირი გრიგოლ ორბელიანის ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლობლებისთვის გაგზავნილ წერილებში თითქმის ყოველთვის უთვლიდა მას მოკითხვას. ის ასაკით

გრიგოლ ორბელიანზე უფროსი ჩანდა, რადგან „მოხუც ძიად“ მოიხსენიებდა. 1872 წლის წერილებიდან კი ვიგებთ, რომ ეს პირი იყო პოდპორუჩიკი და 1870 წლის 22 მარტიდან („ბიძია ალექსანდრე ისევ ავადობს“) 10 სექტემბრამდე („Покойный Александр - наш дядя - умирая, оставил Завещание“) ინტერვალში უნდა გარდაცვლილიყო. მას უნდა დარჩენოდა არაოფიციალური ცოლი, და ოთხი უკანონო შვილი: ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი. აღნიშნული წერილების მიხედვით უფრო სავარაუდოა, რომ ეს პირი გვარად ორბელიანი ყოფილიყო, რადგან მან მთელი მემკვიდრეობა დაუტოვა გრიგოლის გარდაცვლილი ძმის - ილიას ვაჟს, ქართველი თავადისგან კი ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა, რომ მემკვიდრეობა სხვა გვარის წარმომადგენლისთვის დაეტოვებინა, თუ ის ნაშვილები არ ჰყავდა. წერილებიდან კი ვიცით, რომ გიორგის მეურვეობას გრიგოლ ორბელიანი უწევდა.

აღნიშნული პირის გარდაცვალების წელი ემთხვევა გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის - ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანის (ბაკლანა) გარდაცვალების თარიღს, გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, 1870 წლის 28 მაისს. ემთხვევა ისიც, რომ ალექსანდრეს ორი ძმა (ქაიხოსრო და ანტონი) გარდაცვლილები და თავად მასავით უმემკვიდრეოდ დარჩენილები ჰყავდა, რის გამოც მას შეიძლებოდა, რომ თავისი მამული ბიძაშვილიშვილ გიორგი ორბელიანისთვის დაეტოვებია. მეორე მხრივ, ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს 3 რამ: ალექსანდრე გრიგოლის ბიძაშვილი იყო და არა ბიძა, ის ასაკით მხოლოდ 4 წლით უფროსი იყო მასზე და, გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, იყო პორუჩიკი და არა პოდპორუჩიკი. ასეთ ვითარებაში, სხვა დამატებითი არგუმენტების გამოჩენამდე, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით „ძია ალექსანდრეს“ ვინაობის შესახებ. რამდენადაც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეზე მუშაობისას დღემდე უცნობი ბევრი დოკუმენტი აღმოჩნდა, იმედია, რომ რაიმე სიახლე ამ პირის შესახებაც გამოვლინდება. მანამდე კი ამ საკითხს ღიად ვტოვებთ.

იდენტიფიცირება გვართა და თანამდებობით: თუ წერილში პიროვნება მხოლოდ გვართ არის ნახსენები და კონტექსტიდან ჩანს მისი პროფესია ან თანამდებობა, პირის იდენტიფიცირებაში ძალიან გვეხმარება ცნობარი „Кавказский Календарь“. შესაბამისი წლის ნომრების საძიებლებიდან ვიწერთ ყველა გვერდის ნომერს, სადაც ეს გვარია მითითებული. შემდეგ ვნახულობთ თითოეულ მათგანს და

პროფესიის ან დაკავებული თანამდებობის მიხედვით ვახდენთ პირის იდენტიფიცირებას. მაგალითად, ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისადმი 1870 წლის 21 აგვისტომდე გაგზავნილ წერილში ნახსენები ექიმი ლიბაუ აღმოჩნდა ანდრეი ანდრეის ძე ლიბაუ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N461].

როდესაც წერილებში მოხსენიებულია ისეთი უცხოური გვარები, რომელთა მსგავსი თბილისში შეიძლება ერთზე მეტი არც ყოფილიყო, იმის გათვალისწინებით, რომ გრიგოლ ორბელიანის წრეში ძირითადად წარჩინებული გვარის წარმომადგენლები და თანამდებობის პირები იყვნენ, ასეთ შემთხვევაშიც მივმართავთ ცნობარს „Кавказский Календарь“. ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1871 წლის 15 იანვარის წერილში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 53r] ნახსენებია ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალიშვილი ოლინკა ტომიჩი. 1871 წლის კალენდარში მივაკვლიეთ ინფორმაციას, რომ პეტრე ტომიჩი ამ დროს იყო ამიერკავკასიის ჯარების უფროსი, შესაბამისად, წერილში მის ქალიშვილზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ბუნებრივია, ასეთი მსჯელობა შეცდომისგან დაზღვეული არასდროს არის, სწორედ ამიტომ ვუთითებთ, რომ ეს არის ვარაუდი და არა უცდომელი მოცემულობა. ტექსტოლოგიური კვლევის გამოცდილებით ვიცით, რომ პარადოქსებსა და გამონაკლისებს, შეიძლება იქაც კი წავაწყდეთ, სადაც ამას საერთოდ არ მოველით. მაგალითად, მწერალს შეიძლება არასწორად ჰქონდეს დაწერილი გვარი, სახელი, თხზულების დაწერის წელი და სხვა.

სერგეი ტრუბეცკოისადმი 1872 წლის 16 დეკემბერს გაგზავნილ წერილში მხოლოდ გვართა და თანამდებობით მოხსენიებული პირების შესახებ კავკასიის კალენდრის მეშვეობით დავადგინეთ, რომ საუბარია ალექსანდრეს სახელობის სასწავლებლის დირექტორზე – ნიკოლოზ პეტრეს ძე ზახაროვზე და იმავე სასწავლებლის პედაგოგზე - ნიკოლოზ ისაკის ძე ცისკარიშვილზე. სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი 1872 წლის 16 ნოემბრის წერილში ნახსენები კარპეკო [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 117] კავკასიის კალენდრის მიხედვით უნდა იყოს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე - მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკა.

მას შემდეგ, რაც კალენდრის მიხედვით ვარკვევთ პირის სახელს, გვარსა და თანამდებობას, თუ ტექსტში ნახსენებია მისი ოჯახის წევრი, დამატებით საჭიროა

კიდევ ახალი ინფორმაციის მოძიება, რისთვისაც ვიყენებთ გენეალოგიურ ვებგვერდებს, მაგალითად, „rodovid“-ს. ასე გავარკვეეთ, მაგალითად, სოფიო ერისთავ-ორბელიანის წერილში მოხსენიებული ელენე ვასილის ასულ კოჩუბე-რეზინდერის ვინაობა [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 25-26].

იდენტიფიცირება თანამდებობით: წერილებში ზოგჯერ პირი ნახსენებია მხოლოდ თანამდებობით და არა გვარ-სახელით. როდესაც ეს თანამდებობა დროის ერთ მონაკვეთში მხოლოდ ერთ ადამიანს შეიძლება ეკავოს, პირის ვინაობის დადგენა ხერხდება. მაგალითად, სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი მიწერილ 1871 წლის წერილში ნახსენებია „გალავა“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 25-26] და იგულისხმება თბილისის ქალაქისთავი. რუსულენოვანი ვებგვერდის მეშვეობით, სადაც მოცემულია თბილისის მერთა ვინაობები სხვადასხვა წელში, დავადგინეთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო იასონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი. იმავე წერილში ნახსენებია სომხის პატრიარქი, ჩვენი ეგზარქოსი და მარშალი. საუბარია სომხეთის პატრიარქ ანდონ ბედროს IX ხასუნზე და საქართველოს ეგზარქოს ევსევი (ალექსი ალექსის ძე) ილინსკიზე; მარშალში იგულისხმება თბილისის თავადაზნაურობის მაშინდელი წინამძღოლი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი.

კონსტანტინე ორლოვსკისადმი 1871 წლის 4 ოქტომბერს მიწერილ ბარათში ლაპარაკია ბაქოს, ერევნისა და ელიზავეტოპოლის გუბერნატორებზე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N409]. 1871 წელს ერევნის გუბერნატორი იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინი, ელიზავეტოპოლის – ფოკიონ ევსტათის ძე ბულატოვი და ბაქოსი - მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინი (იხ. დანართი N5).

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი 1872 წლის 16 ნოემბრის წერილში ვკითხულობთ: „იყო კაცი და სახელი მისი - არ ვიცი - იყო მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად თბილისის სემინარიისა“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7517]. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო გვერდიდან „Архивы“ დავადგინეთ, რომ საუბარია ეგნატე კლიმენტის ძე ზინჩენკოზე, რომელიც მსახურობდა უწმინდესი სინოდის კონტროლის განყოფილებაში და 1872 წელს რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სემინარიაში (იხ. დანართი N6).

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისთან 1873 წლის 3 აგვისტოს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „დიდი ყაენი გაგვაბედნიერებს“. იგულისხმება ირანის შაჰი -

ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარი. ალექსანდრე კარცოვისადმი 1875 წლის 9 ნოემბრის წერილში ნახსენებ შაჰში კი იგულისხმება ირანის იმჟამინდელი მბრძანებელი ფეტხ ალი შაჰი, გუბერნატორში კი - ხარკოვის იმჟამინდელი გუბერნატორი ალექსანდრე ევგენის ძე კოვალიოვი (იხ. დანართი N7).

იდენტიფიცირება გვართა და მოვლენით: ზოგჯერ ნახსენებ გვარს უკავშირდება რაიმე მოვლენა, და მიუხედავად იმისა, რომ თვით წერილში არ ჩანს პირის ზუსტი ვინაობა, დასახელებული ფაქტი გვეხმარება მის იდენტიფიცირებაში. მაგალითად, სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი 1871 წლის წერილიდან ჩანს, რომ იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გენერალ-ადიუტანტობა მიანიჭა თავად თარხნიშვილს. იმის გასარკვევად, თუ რომელი თარხნიშვილი იგულისხმებოდა აქ, თვალი გადავავლეთ რუსეთის სამსახურში იმ დროს მყოფი რამდენიმე თარხნიშვილის ბიოგრაფიას, და იმის მიხედვით, თუ რომელს მიენიჭა 1871 წელს გენერალ-ადიუტანტობა, დავადგინეთ იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავის ვინაობა [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515ა, 25-26].

საიმპერატორო კართან, მეფისნაცვლის კანცელარიასთან ან სხვა ასეთ სახელმწიფო ინსტიტუციასთან დაკავშირებული პირის იდენტიფიცირებისთვის მოსახერხებელია ინტერნეტის საძიებო სისტემაში ამ პირის გვართან ერთად იმ პერიოდის იმპერატორის, მეფისნაცვლის ან სახელმწიფო ინსტიტუციის ჩაწერა. ზემოთ აღნიშნულ წერილში მოხსენიებული შუვალოვის ვინაობის დასადგენად მის გვარს მივაწერეთ - ალექსანდრე II, რადგან ჩანდა, რომ სასახლის კართან დაახლოებული პირი იყო. გაირკვა, რომ საუბარი იყო გრაფ პეტრე ანდრეის ძე შუვალოვზე.

ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსთან 1873 წლის 10 აგვისტოს გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი სასახლის ამალის წევრებად ასახელებს ურუსოვს, ტოლსტოებს და ტალიზინს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N132]. გვარებთან ერთად საძიებო სისტემაში ჩავწერეთ ალექსანდრე II და მივედით ვარაუდამდე, რომ საუბარია დიპლომატ ვლადიმერ პავლეს ძე ურუსოვსა და სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინზე (იხ. დანართი N8). ასევე, შეიძლება საუბარი იყოს კავკასიის დანაყოფებში მომსახურე გენერალ მიხეილ ნიკოლოზის ძე ტოლსტოისა და მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტ ალექსეი ვლადიმერის

მე ტოლსტოიზე.

იდენტიფიცირება მხოლოდ გვართ: როდესაც ბარათებში პირები მოხსენიებულნი არიან მხოლოდ გვართ ან სახელით, ამ დროს მასალის ამომწურავი ცოდნაა საჭირო. კონტექსტიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, ვინ არის ნაგულისხმები, ვისთან ჰქონდა ადრესანტს იმ პერიოდში შეხვედრები, საუბრები, მიმოწერა. ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1871 წლის 10 იანვრის წერილში გრიგოლ ორბელიანი ემადლიერება პოპორიგოპულოსა და ბარანოვსკის [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 53r]. დავადგინეთ, რომ საუბარია საიდუმლო მრჩეველზე - ალექსანდრე ივანეს ძე პოპორიგოპულოსა და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორზე - ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკიზე. იმავე ადრესატისადმი სხვა წერილში ნახსენებია თავადის ქალი შახოვსაკაია და სიმენსი. სავარაუდოდ, იგულისხმება გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკის მეუღლე - ანა მიხეილის ასული ვიელგორსკაია-შახოვსკაია და ოტო სიმენსის მეუღლე - ანა (ანეტე) ანდრიას ასული ფონკრემერ-სიმენსი.

თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტანტინე ორლოვკისადმი 1871 წლის 4 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში საუბარია სოლოგუბზე, რომელმაც დანერგა ცვლილებები პატიმართა გამოსასწორებელ სისტემაში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N409]. აღნიშნულია, რომ მისი ინიციატივით ამ თემაზე ჩატარდა კონგრესი ლონდონში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგულისხმებოდა ცნობილი რუსი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე - ვლადიმერ სოლოგუბი, რომელიც 1869 წლიდან საპატიმროთა მდგომარეობის შემსწავლელი საგანგებო კომისიის წევრი იყო.

გვხვდება შემთხვევები, როცა წერილებში გვარი განზოგადებულია და რაიმე ღირებულებასთან არის გაიგივებული. ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანთან 1871 წლის 12 ივნისს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ნევეროვები არსებობენ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, N513, 57]. საუბარია 1864-1879 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველ იანუარი მიხეილის ძე ნევეროვზე, რომელიც რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა კავკასიის გუბერნიებში და მისი სახე განზოგადებულია ამ ნიშნით.

იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნებები მოხსენიებულნი არიან გვარებით და

წერილების კორპუსში ან მწერალთან დაკავშირებულ რაიმე სხვა ინფორმაციაში ეს გვარი სხვაგანაც გვხდება, ვატარებთ კორპუსულ კვლევას. თუ ისეთი სახის დამატებითმა მონაცემებმა მოიყარა თავი, როგორც არის მამის სახელი, თანამდებობა და სხვა, პირის იდენტიფიცირება ხერხდება. მაგრამ თუ ეს პიროვნება მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და თან ისეთ კონტექსტში, რომელშიც რამდენიმე სხვადასხვა პირი შეიძლება იყოს ნაგულისხმები, მაშინ პირის დადგენა შეუძლებელია. კონსტანტინე ორლოვსკისადმი 1870 წლის 31 მარტის წერილში თავად აფხაზის სახელი ნახსენები არ არის და ძნელი სათქმელია, რომელ აფხაზს შესთავაზა ადრესატმა თანამდებობა [კკსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N408].

იდენტიფიცირება კომპლექსური კვლევით: ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1870 წლის 22 მარტის წერილში [კკსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 50r] ნახსენებია ანეტა მირსკაია. ვივარაუდებთ, რომ საუბარი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ორბელიანის წერილებში მოხსენიებული დიმიტრი და ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკების მესამე ძმის, ვლადიმერის, მეუღლეზე, რომელიც სხვადასხვა წყაროს მიხედვით, გერმანული წარმომავლობის იყო და ცხოვრობდა იმპერატორების - ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის ძმის, მიხეილ პავლეს ძე რომანოვის, მეუღლის - ელენა პავლეს ასულ ვიურტემბერგ-რომანოვას სასახლის კარზე. ვარაუდი განგვიმტკიცა იმავე ადრესატისადმი გაგზავნილ სხვა წერილში ანეტას მოხსენიებამ ყოფილ მირსკაიად და იმჟამად სიმენსად. ვლადიმერ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკების ქვრივი ცოლად გაჰყვა ცნობილ ბიზნესმენს, ოტო სიმენსს. კორპუსული კვლევის შედეგად გაირკვა ანეტას მამის სახელიც - ანდრეი. რაც შეეხება გვარს, იგი გრიგოლ ორბელიანის წერილებში არსად იხსენიება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის საქართველოში პირველად მირსკიზე გათხოვების შემდეგ ჩამოვიდა, გასაკვირი არ არის, რომ თავად ორბელიანსაც არ სცოდნოდა მისი ქალიშვილობის გვარი, რადგან გათხოვილ ქალბატონებს მეუღლის გვარით მოიხსენიებდნენ ხოლმე. სიმენსების შესახებ მოძიებული ინფორმაციიდან გავიგეთ, რომ ოტო სიმენსმა 1870 წლის 17 მაისს თბილისში იქორწინა ანეტე ფონ კრემერზე. შესაბამისად, დადგინდა ამ ქალბატონის ქალიშვილობის გვარიც.

ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათში ვკითხულობთ: „გიკითხეს ეილერამ და აგაროვამ“ [კკსხეც, გრიგოლ ორბელიანის

ფონდი, N465]. ეილერაში რომ მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლის - ოლდა თეოდორეს ასული ზადენელის ფრეილინა, ევგენი ალექსანდრეს ძე ვიტგენშტეინის მეუღლე - ელისაბედ პავლეს ასული ეილერი იგულისხმება, ამის დადგენაში დაგვეხმარა კორპუსული კვლევა. რაც შეეხება აგროვას, გრიგოლ ორბელიანი მის გვარს არასწორად მოიხსენიებს. ამ გვარის სწორი ფორმისა და პიროვნების იდენტიფიცირებაში დაგვეხმარა ფაქტი, რომ ის იყო ოლდა თეოდორეს ასულის ფრეილინა და ჩვენ მივაკვლიეთ მისი ფრეილინების სრულ ნუსხას, სადაც ნახსენები იყო არა ის ვარიანტი, როგორც პოეტი წერს, არამედ როგორც არის ნახსენები გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის სხვა ტომებში. დავადგინეთ, რომ ის არის გენერალ-ლეიტენანტ ადოლფ ვილჰელმის ძე ფონ-შაკის მეუღლე - სოფიო ნიკოლოზის ასული ოგარევა (იხ. დანართი N9).

ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსადმი 1876 წლის შემდეგ გაგზავნილ წერილში ნახსენებია ლევანის და. ვივარაუდეთ, რომ საუბარი უნდა ყოფილიყო ლევან მელიქიშვილის დაზე, რადგან ამ სახელით გრიგოლ ორბელიანის ბარათებში თითქმის არვინ გვხვდება. მაგრამ გენეალოგიურ ნუსხებში არსად არის აღნიშნული, რომ ლევან მელიქიშვილს და ჰყავდა. ამის შესახებ ინფორმაციას მივაკვლიეთ ელისაბედ დავითის ასულ ერისთავის მოგონებაში ლევან მელიქიშვილზე, სადაც აღნიშნულია, რომ მისი და - ნინო (ანა) 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, ელიზბარ ერისთავის ძმის - იასე შანშეს ძე ერისთავის მეუღლე იყო [გლსქლსმ, დავით ერისთავის ფონდი, N13481].

ზოგჯერ წერილებში ერთი და იმავე სახელ-გვარის მატარებელი პირების განსასაზღვრად მეტსახელები გამოიყენება, რაც პირთა იდენტიფიცირებას აიოლებს. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ბაკლანად მოიხსენიებს თავის ბიძაშვილს - ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს, პაჟარნი ვანოდ კი - ბიძაშვილისშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანს, მოქეიფე კაცს. იმის გამო, რომ სიტყვას „პაჟარნი“ რუსულში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს (მეხანძრე), ქართულში კი საერთოდ აღარ იხმარება, საგანგებო კვლევის ჩატარება მოგვიხდა მისი მნიშვნელობის დასადგენად. იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით „პაჟარნი“ ნიშნავს გავარდნილს, აშაღარს, გარყვნილ-გაქსუებულს. სხვა მაგალითებს შორის იოსებ გრიშაშვილი ასახელებს ილია ჭავჭავაძის ფრაზებს: „თითონ პეპოს“, ამ ზოგად გმირს

სომხის „პაქარნისას“ ქართველი არტისტები ქართველ აზნაურად მორთვენ ხოლმე, ხოლო მდიდარი არუთინა უთუოდ სასაცილო სომხის ვაჭრად გამოჰყავთ“, სწერს ჩიმიშვიანი“ („ივერია“, 1889, N27, ილიას მეთაური ჩიმიშვიანის საპასუხოდ). „აბა, ნახეთ ის ქართველი პაქარნი ნაბადწამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ“ (ილია, ტ. IV, გვ. 20) [გრიშაშვილი, 1997, 304]. წერილების კონტექსტიდან გამომდინარე, „პაქარნი ვანოს“ არაფერი ჰქონდა საერთო მეხანძრეობასთან, მაგრამ მოქეიფე კი ნამდვილად უნდა ყოფილიყო. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის VIII ტომში იბეჭდება წერილები, რომლებშიც აღწერილია ვანოსა და მისი ახალშერთული მეუღლის ჩამოსვლა საქართველოში. გრიგოლ ორბელიანის მიერ სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „წავიდა ვანო თავის პაწაწა ცოლითა... გამოსალმებაც იყო, რასაკვირველია, კინგრუსტში; მეორე გამოსალმებაც გორსა, ერისთვიანთა. ვანოს აქ ყოფნა იყო მოუწყევტელი სადილ-ვახშობა“ [ცაიშვილი, 1947, 332].

ახლობლებისთვის მიწერილ ტექსტებში ხშირად ჩანს გრიგოლის ზრუნვა ნათესავებსა და მეგობრებზე. რძლისადმი, ქეთევან ალექსი-მესხიშვილისადმი 1860 წლის 13 ივნისამდე კოდიდან მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: „დღეს მოვდიოდი, მაგრამ ბაბაღეს ავანთყოფობამ შემაყენა. თვალები, კისერი დაუსივდა და ჰსტეხს ყურთან, აქუს სიცხე, და ჰსტკივა გულის კოვზთან... ნინიკას მოჰყავს თავის შვილი, რომელსაცა თვალში უჩნდება ბისტი“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 54]. კორპუსული და შედარებითი კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საუბარია პოეტის ბიძაშვილზე - ბარბარე ორბელიან-საგინაშვილის მსახურის - ნინიკა ბაქრაძის შვილზე.

იდენტიფიცირება ნათესაური კავშირებით: ძალიან ხშირად ბარათებში ნახსენებია კონკრეტული პირის მეუღლე, შვილი, ოჯახის წევრი თუ ზოგადად, სახლობა. ტექსტოლოგისთვის, რომელსაც ხშირად უხდება გენეალოგიური ნუსხებისა და სხვადასხვა ბიოგრაფიული დოკუმენტის გამოყენება, ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იგულისხმება ამ პირებში, მაგრამ მკითხველისთვის შეიძლება უცნობი იყოს მათი ვინაობა. ამიტომ ყველგან, სადაც პიროვნებები ასეთი მინიშნებებით არიან მოხსენიებულნი, აკადემიური გამოცემის კომენტარში ინფორმაცია დაკონკრეტებული უნდა იყოს. ეს ტექსტოლოგის კვლევის სფეროა და,

შესაბამისად, ჩვენც ყველა ასეთ პირთან დაკავშირებით მაქსიმალურად მოვიძიეთ ინფორმაცია.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1870 წლის 22 მარტის ბარათში ნახსენებია ლევანის ოჯახობა და იგულისხმება ლევან მელიქიშვილის მეუღლე - ალექსანდრა მამუკას ასული ორბელიანი და მათი შვილები: ივანე, მიხეილი, გიორგი, სოფიო, პეტრე და მარიამი, ადრესატის დებში კი - ანა, გაიანე, ელისაბედი, ოლდა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 51r].

თბილისელი ვეჭილისა და საკრედიტო ბანკის თავმჯდომარის – ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნისადმი 1872 წლის 8 აგვისტოს წერილში მოხსენიებულია ივანე დავითის ძე ორბელიანის სრულწლოვანი დისშვილი ან ძმისშვილი (племянник) [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N61]. ამავე პერიოდში (1872 წლის აგვისტომდე) სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გაგზავნილ ბარათში გრიგოლ ორბელიანი ახსენებს ტასოს მიერ შვილად აყვანილ ორ გოგონას [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7517]. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით და მანანა ორბელიანების ოჯახში სამი დედმამიშვილი იყო, იმხანად უკვე გარდაცვლილ ალექსანდრეს კი შვილები არ დარჩენია, სავარაუდოდ, აქ ანასტასია დავითის ასულ ორბელიანის მიერ შვილად აყვანილ გოგონაზე უნდა იყოს საუბარი, რომლის სახელიც ჩვენთვის უცნობია.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1873 წლის 26 ივლისის ბარათში ნახსენებია ნინა ქალიშვილით და მაიკო ვაჟით - ჯამბაკურით, რომელიც გრიგოლის ნათლულია [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 70r]. საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის - სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის ქალიშვილებსა და შვილიშვილებზე. ნინო დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკის ქალიშვილის სახელი უცნობია, მაიკო დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკი-ორბელიანის ვაჟს კი მამუკა (მაკარი) ერქვა და უნდა ვივარაუდოთ, რომ „ჯამბაკურს“ მას შინაურობაში ემახდნენ, როგორც ჯამბაკურ-ორბელიანთა გვარის გამგრძელებელს. 1875 წელს გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს სწერს, რომ დამარხეს მამუკას შვილი დათიკო. აქ საუბარია მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ვაჟზე - დავითზე.

ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსადმი 1876 წლის შემდეგ გაგზავნილ წერილში მოხსენიებულია ტრუბეცკოის ცოლი სოფიო [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7516, 43].

იგულისხმება გენერალ სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოის ქართველი მეუღლე - სოფიო ირაკლის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი. იმავე წერილში საუბარია იარანალმა ლიზაზე. გრიგოლთან „იარანალი“ გენერალს ნიშნავს. გერგებლის აღებისთვის გენერალ-მაიორის წოდების მიღების შემდეგ, ის ილია ორბელიანს სწერდა: „იარანალიც შევიქენ! მე და გადღევსკი სულ ვაშე პრევოსხოდიწელსტვოს ვეძახით ერთმანეთს და გვაქვს დიდი ყოფა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 117]. შესაბამისად, „იარანალმას“ გენერლის მეუღლეს უწოდებს. ბარბარე ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ გენერალმა ალექსანდრე საგინაშვილმა ცოლად მოიყვანა ილია ჭავჭავაძის და - ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული ჭავჭავაძე. კონტექსტიდან გამომდინარე, წერილში მასზე უნდა იყოს საუბარი. იქვე მოხსენიებულ დედუფალში, ვფიქრობთ, რომ იგულისხმება სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანი, რადგან იმ პერიოდში საქართველოში სხვა დედოფალი არ ცხოვრობდა.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი წერილში ნახსენებია „თამამშევი ერთის ვაჟით და ერთის ქალითა... ამის ცოლი ერთის ქალ-ვაჟით“ [ცაიშვილი, 1947, 333]. უნდა იგულისხმებოდეს თბილისელი ვაჭარი მიხეილ იაგორის ძე თამამშევი, მისი მეუღლე - ბარბარე ვასილის ასული ყორღანაშვილი და შვილები: ელისაბედი, ეკატერინე, ვასილი და გიორგი. იქვე წერია „ივანოვნობითა აპაჩინინთა“ - საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილებზე - ეკატერინე და ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანებსა და მათ მეუღლეებზე - ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვსა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გენერალ-მაიორ ალექსანდრე სვეჩინისადმი 1871 წლის 27 ოქტომბერს მიწერილ ბარათში ნახსენებია დავით ჭავჭავაძის ოთხი და მირსკის სამი ქალიშვილი, რომელთა განმარტება მეცნიერულ გამოცემაში აუცილებელია. საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე, ასევე მარიამ და ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკებსა და ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკი-დენისაზე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N476].

ნათესაური კავშირების კვლევის დროს ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია იური ჩიქოვანის მიერ შედგენილმა გვარების გენეალოგიურმა ნუსხებმა. მათი დახმარებით

ვარკვევდით არა მხოლოდ ბიოგრაფიულ მონაცემებს (მამის სახელი, დაბადება-გარდაცვალების წლები), არამედ სხვადასხვა პირთან მიმართებას და, რაც მთავარია, ნათესაურ კავშირებს გრიგოლ ორბელიანთან. ასე დავადგინეთ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1872 წლის წერილში კონა ერისთავთან ერთად მოხსენიებული კოტეს ვინაობა. საუბარი უნდა იყოს კონა ერისთავის დისშვილზე - კონსტანტინე ივანეს ძე აბაშიძეზე.

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისადმი ერთ-ერთ ბარათში მოხსენიებულია ძმა ივანე სახლელულობით და კოწია. საუბარი უნდა იყოს ადრესატის ძმაზე - ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის ცოლ-შვილზე: ნინო, ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე და კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

ამავე წერილში ნათქვამია, რომ გაამტყუნეს კოჭლი ბუჭყიევი, რომლის შესახებაც სხვა წერილებიდან ინფორმაცია არ გვქონდა. როდესაც წერილში ნახსენებია ისეთი ფაქტი, რომელიც შეიძლებოდა ასახულიყო იმდროინდელ რუსულ პრესაში, ჩვენ კი არ ვიცით ამ წერილის ზუსტი თარიღი, ინტერნეტის საძიებო სისტემაში ჩვენთვის საინტერესო გვარებისა და ფაქტების გვერდით ვწერთ ელექტრონული ბიბლიოთეკის „ივერიელი“ საერთო მისამართს (dspace), რასაც ხშირად მივყავართ გაზეთის „Kavkaz“ რომელიმე ნომერთან და ხშირად მართლაც ვპოულობთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას. რა თქმა უნდა, შეგვეძლო მიგვეთითებინა გაზეთის სახელი „Kavkaz“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საძიებო სისტემა ვერ გარკვევდა, რომ გაზეთს ვგულისხმობთ და არა ზოგადად კავკასიას და ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის ძიება მოგვიხდებოდა ზღვა მასალაში. კოჭლ ბუჭყიევში რომ ივანე ბორისის ძე ბუჭყიაშვილი იგულისხმებოდა, სწორედ ამ სტრატეგიის გამოყენებით დავადგინეთ.

როდესაც წერილში ნახსენებია ვილაცის შვილის დაბადება, მაგრამ არ არის მითითებული სახელი, ინტერნეტის საძიებო სისტემაში ცალკე ვწერთ გვარს, და ცალკე ბრჭყალებში ვათავსებთ ფრჩხილს, დაბადების წელს და დეფისს - „(1870-“, რადგან ყველა სახის ბიოგრაფიულ ბაზაში პიროვნების დაბადების წელი ასე არის ხოლმე მითითებული. სწორედ ამ გზით გავარკვეეთ, რომ გიორგი მუხრანელისადმი 1870 წლის 30 იანვრიდან 17 მაისამდე დაწერილ წერილში ნახსენებ არლუთინსკისა და მის ახალდაბადებულ შვილში იგულისხმებოდა თბილისის გუბერნატორი ნიკოლოზ

ვასილის ძე არლუთინსკი და მისი ვაჟი - ბორის ნიკოლოზის ძე.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1873 წლის 17 აპრილის ბარათში აღნიშნულია, რომ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის საქციელმა. მან, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა ძმა და ძმისწულები, მემკვიდრედ აირჩია ვიღაც თებრო [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 56r]. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში „ივერიელი“ განთავსებულ ფოტოზე, დიმიტრი ორბელიანის ძმისშვილის - მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის წარწერის მიხედვით დავადგინეთ, რომ საუბარია მღვდლის შვილ თებრო არჯევანიძეზე, რომელსაც შამილის მეომრების კახეთზე თავდასხმის დროს მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს და თვითონაც ტყვედ წაიყვანეს. ის დიმიტრი ორბელიანმა ჯერ ტყვეობიდან გამოიხსნა და შემდეგ იშვილა. მოგვიანებით თებრო მილიონერ ნარიშკინს გაჰყვა ცოლად (იხ. დანართი N10).

1871 წლის 25 ივნისს ყაფლან ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნახსენები იაიას სათიბი თავდაპირველად ადგილის სახელწოდება გვეგონა. იმავე ადრესატისადმი 27 ივნისს მიწერილი ბარათიდან, სადაც იაიას ბიძაშვილზეა საუბარი, გაირკვა, რომ იაია ამამლოს მკვიდრი გლეხი ყოფილა [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N399].

ადრესატთა იდენტიფიკაცია: წერილებში მოხსენიებულ პირთა ვინაობის გარკვევაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია წერილების ადრესატთა იდენტიფიკაცია. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის პირველ ტომში მკვლევრებმა - ნანა რჩეულიშვილმა და მაია ნინიძემ შეისწავლეს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ადრესატი 1832 წლის წერილისა, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „უგანათლებულესო მეფის ასულო...“ და დაადგინეს, რომ ეს უნდა ყოფილიყო გრიგოლ ორბელიანის ბების - ელენე ბაგრატიონის ნახევარდა - ერეკლე II-ის ქალიშვილი - ანასტასია [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 16].

1865 წლის 25 ოქტომბერს თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილ წერილს, მართალია, მიწერილი ჰქონდა, რომ თავად ორბელიანისთვის იყო განკუთვნილი და იწყებოდა სიტყვებით: „ჩემო მეგობარო ალექსანდრე“, მაგრამ გრიგოლის ახლობლობაში რამდენიმე ალექსანდრე ორბელიანი იყო და წერილში მოცემული ინფორმაციის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გახდა საჭირო იმის გასარკვევად,

თუ რომელი მათგანისთვის იყო მიწერილი ბარათის ფრაზა: „მთელი შენი სანათესაო ჯანმრთელადაა. რამოდენიმე დღეა კნ. მანანა კოდას გაემგზავრა სახლის ასაშენებლად“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 60]. მანანა მირმანოზის ასული ერისთავ-ორბელიანი იყო ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის დედა და საგულისხმოა, რომ მისი ვაჟი იმ დროს რუსეთში მსახურობდა („რა ხანია, შენტვის მინდოდა მომეწერა ამაზედ, ვიცოდი რა, როგორ იქნებოდი დაინტერესებული აქაურის საქმეებით“). შესაბამისად, წერილში ის უნდა ყოფილიყო ნაგულისხმები.

1865-1866 წლების წერილებიდან რამდენიმეზე ადრესატის გვარი არ არის მითითებული. ერთი წერილი, რომელიც 1866 წლის 14 სექტემბრით არის დათარიღებული, ასე იწყება: „ჩემო ბატონო ბიძიავ, საყვარელო ნიკო“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 116]. ბარათიდან ჩანს, რომ ადრესატი იმხანად დაღესტანში უნდა იმყოფებოდეს („ამან მოინდომა შენთან ყოფნა... მოდის დაღესტანში“). რამდენადაც დასავლეთ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორად 1866-1876 წლებში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანის ახლობელი და მისი არაერთი წერილის ადრესატი - ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბარათი მისთვის უნდა იყოს გაგზავნილი.

გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთ უთარო ბარათში ადრესატების გვარები არ წერია და მიემართება ორ პირს: დემეტრეს და ვასილ გრიგორის ძეს. სხვა წერილებში „დემეტრედ“ ძირითადად მოხსენიებულია ხოლმე დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე. რაც შეეხება ვასილ გრიგორის ძეს, ვივარაუდებთ, რომ ისიც რაიმე სახელმწიფო სამსახურში იქნებოდა და ინტერნეტის საძიებო სისტემაში ზუსტი ფრაზის სახით ჩავწერეთ „Василий Григорьевич“ და სიტყვა „Тифлис“. ასე მივაგენით სავარაუდო ვერსიას, რომ ის შეიძლება ყოფილიყო ვასილი გრიგოლის ძე ზოლოტარევი (იხ. დანართი N11). შემდეგ კავკასიის კალენდრის საშუალებით დავადგინეთ მისი თანამდებობები. აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება 1868-1869 წლებში იყო დაღესტნის ოლქის ჯარების შტაბის უფროსი და შემდეგაც ისეთი თანამდებობები ეკავა, რომ გრიგოლ ორბელიანთან და დიმიტრი ჯორჯაძესთან შეხება მუდამ ექნებოდა. მოგვიანებით ჩვენი ვარაუდის სისწორეში დავგარწმუნა იმან, რომ ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი მიწერილი წერილიდან დადასტურდა გრიგოლისა და ზოლოტარევის ნაცნობობა. ამის მიხედვით წერილის დათარიღებაც შევძელით.

1872 წლის 15 ოქტომბრის ბარათი იწყება მიმართვით: „ჩემო გულით საყუარელო დაო ბარბარე!“. წერილის ადრესატის იდენტიფიცირება გართულდა, რადგან შინაარსიდან ჩანდა, თითქოს ალექსანდრე, რომლის გარდაცვალებაზე საუბარი იყო ბარათში, ადრესატის ქმარი უნდა ყოფილიყო. ამ აზრამდე მიგვიყვანა სიტყვებმა: „უნდა მოითმინო, უნდა ჰსძლიო შენის შვილებისათვის, რომელთაც მფარველი და მზრუნველი დღეის იქით მხოლოდ შენ უნდა იყო“. 1872 წელს, მაგრამ ცოტა უფრო ადრე, 21 მარტს, მეუღლე გარდაეცვალა გრიგოლ ორბელიანის ახლობელს – ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილს, მაგრამ მეუღლე იყო ცნობილი ექიმი - ერასტ სტეფანეს ძე ანდრეევსკი და არა ალექსანდრე. სხვა მხრივ, ყველაფერი ემთხვეოდა - ბარბარეს მართლაც ჰყავდა შვილები და მისთვის ცოტა უფრო გვიან გაგზავნილ ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი მას ზუსტად ასევე თბილად მიმართავს და „დად“ იხსენიებს: „ჩემო საყუარელო დაო ბარბარე!“ (წერილი პირობითად თარიღდება არაუგვიანეს 1876 წლისა). მივიჩნიეთ, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ადრესატს კიდევ ერთი უახლოესი მამაკაცი შეიძლებოდა დაეკარგა, რომლის იმედზეც იქნებოდა ქვრივად დარჩენის შემდეგ. გადავხედეთ ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკის გენეალოგიას და აღმოვაჩინეთ, რომ ამავე წელს, ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში ბარბარე თუმანიშვილს გარდაცვლია ძმაც - ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილი, რომელიც ჭაბუკობიდან მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან დაღესტანში. შესაბამისად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ წერილის ადრესატი ნამდვილად არის ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილ-ანდრეევსკია.

ამ წერილის მიხედვით შესაძლებელი გახდა ლევან მელიქიშვილისადმი 1872 წლის 25 ოქტომბრის ბარათში ნახსენები ალექსანდრეს იდენტიფიცირებაც. აქ აღნიშნულია, რომ გარდაიცვალა ალექსანდრე, რომელიც ყმაწვილობიდან მისი გაზრდილი იყო. აქაც საუბარია იმავე პირის გარდაცვალებაზე. გრიგოლის ნათესავის, მათა (მარიამ) თამაზის ასულ ორბელიანის ვაჟმა - ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილმა გრიგოლ ორბელიანთან სამსახური 1840-იან წლებში დაიწყო, როცა ის დაღესტანში იბრძოდა და იმ პერიოდის წერილებში გრიგოლ ორბელიანი ხშირად აცნობებს დედას მისი ვაჟის ამბავს.

გრიგოლ ორბელიანის წერილებში ნახსენებია რამდენიმე ბაბაღე, კატო, მაიკო,

ტასო, ივანე, ვარინკა და სხვა. ასეთ შემთხვევებში ხშირად გვეხმარება წერილის შინაარსისა და ამავე სახელის შემცველი სხვა წერილების შინაარსების კომპლექსური ანალიზი. ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისადმი 1865 წლის 7 აგვისტოს კოჯრიდან გაგზავნილ წერილში ადრესანტი აღნიშნავს: „ჩემი ცარიცა ვარინკა ბრწყინავს“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 48]. შესაძლებელი იყო, გვევარაუდა, რომ ვარინკაში იგულისხმებოდა ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანი, რომელსაც წერილებში ამ სახელით ხშირად მიმართავს. მაგრამ იმ წლის 30 ოქტომბერს ბარბარეს ლონდონში სწერს, რომ თანხა გაუგზავნა 9 სექტემბერს და არ იცის, როდის ეღირსება რძლისა და ძმისშვილის ნახვას [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 71]. ვფიქრობთ, კოჯორში უნდა ყოფილიყო ბარბარე ყორღანაშვილ-თამამშევა, რომელსაც სხვა წერილებშიც ამგვარად მოიხსენიებს. მაგალითად, 1866 წლის 10 ივლისს ბარბარე ორბელიანს კოჯრიდან სწერს, რომ იქ არის „ცარევნა ვარვარა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 107]; ასევე ნიკო ჭავჭავაძისადმი 15 ივლისს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ იქვეა კოჯრის დედოფალი - ვარინკა თამამშოვისა [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 101].

1873 წელს გრიგოლ ორბელიანი ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს სწერს: „საბრალო ვარინკას კიდევ ავათა ჰყავს ქალი“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N132]. როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლი ვარინკას რძალს - ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანს ეძახდა, მაგრამ ის ამ წერილში მანამდე ნახსენებია თავის ვაჟთან, გიორგისთან ერთად და თან, ისტორიულ საბუთებში გიორგის გარდა მისი სხვა შვილი არ იხსენიება. შესაბამისად, აქაც ბარბარე ვასილის ასულ ყორღანაშვილ-თამამშევაზე და მის რომელიმე ქალიშვილზე - ელისაბედზე ან ეკატერინეზე უნდა იყოს საუბარი.

ზოგ შემთხვევაში, ამ პიროვნებების დიფერენცირებაში თავად წერილის შინაარსი გვეხმარება, სადაც ნახსენებია მათი მეუღლეები, შვილები, საქმიანობა, ადგილ-სამყოფელი და სხვა. მაგალითად, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1870 წლის 15 ივნისს გაგზავნილ წერილში გვარის გარეშე ნახსენებია ბაბაღე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 52r]. ასე უწოდებს გრიგოლი ბიძაშვილს - ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანს და დისწულსაც - ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილს. მის წერილებში ხშირად ნახსენებია ბაბაღე თამამშევა. გამომდინარე იქედან, რომ წერილში საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-

ოპოზიციის ქმარსა და ვაჟზე, ჩანს, რომ ამ წერილში სწორედ მასზე უნდა იყოს საუბარი.

სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი 1872 წლის ბარათში [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7517] მოხსენიებულ ტასოში უნდა იგულისხმებოდეს ადრესატის მული - ანასტასია დავითის ასული ორბელიან-გაგარინა. რძალთან, ქეთევან ალექსიმესხიშვილთან 1873 წლის 25 აგვისტოს გაგზავნილ ბარათში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N377] ხსენებულია ტასო და ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყო ადრესატის დისწულზე – ანასტასია (ტასო) ხერხეულიძეზე.

როდესაც დოკუმენტური მასალის არარსებობის გამო პირის შესახებ ინფორმაციას ვერ ვიძიებთ, ვცდილობთ, არგუმენტირებითა და დაწვრილებითი განმარტებებით გამოვთქვათ ვარაუდი. ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსადმი 1878 წლამდე დათარიღებულ 25 თებერვლის წერილში ნახსენებია საღამო პალიბინთან. ცნობილი რუსი ბოტანიკოსი - ივანე პალიბინი თბილისშია დაბადებული 1872 წელს. ვინაიდან თბილისში პალიბინის გვარის მატარებელი ბევრი არ უნდა ყოფილიყო, ვივარაუდებთ, რომ საუბარია ივანეს მამაზე - ვლადიმერ ივანეს ძე პალიბინზე, რომელმაც 1876 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. როგორც ჩანს, 1877 წლამდე იგი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ამ წელს იგი თბილისის კლუბიდან გარიცხეს სომეხ ვაჭართა კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის გამო.

ვფიქრობთ, პირთა იდენტიფიკაციისას საკითხის ღიად დატოვებას კომენტარის გაკეთება სჯობს. ეს ვარაუდი მცდარიც რომ აღმოჩნდეს, შემდგომ კვლევას გააიოლებს. ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1870 წლის 10 სექტემბრის წერილში აღნიშნულია, რომ მამულების კუთვნილებაზე მოდავე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის - ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის ქმარს - ნიკოლოზ ივანოვს ოპოზიციის ძმის იმედი აქვს, რომელიც სენატში მუშაობს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 41v]. მართალია, ამ პირს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ განვმარტებთ, რომ ნიკოლოზ ივანოვის ქვისლს - ალექსეი პეტრეს ძე ოპოზიციის ორი ძმა ჰყავდა: ვლადიმერი და ნიკოლოზი, ორივე კონტრადმირალი. ისტორიულ წყაროებში სენატორად არც ერთი ძმა არ მოიხსენიება, მაგრამ ნიკოლოზის შესახებ ნათქვამია, რომ მან შეიმუშავა საზღვაო კანონმდებლობა და

მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფო კომისიაში.

შეცდომები ნუსხებში: პირთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში ძალიან გვეხმარება გენეალოგიური ნუსხები, მაგალითად, ინტერნეტში განთავსებული ბაზა „rodovid“. მაგრამ რამდენიმე უზუსტობამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ამ ინფორმაციის შემოწმება. გრიგოლ ორბელიანის რძლის - ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანის ორი დის გარდაცვალების თარიღი არასწორად იყო მითითებული აღნიშნულ ინტერნეტბაზაში. რძლისადმი 1864 წლის 10 დეკემბერს გაგზავნილ წერილში გრიგოლი აღნიშნავს, რომ ხშირად იხსენებს საწყალ ვერას [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 191]. ადრესატის დას - ვერას, რომელიც 1862 წელს ცოლად გაჰყვა გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის, ახალშობილი შვილი - ილია დაედუპა და თავადაც მალე, 1863 წელს, გარდაიცვალა. გენეალოგიურ ნუსხაში კი მისი გარდაცვალების თარიღად შეცდომით არის მითითებული 1903 წელი. ასევე არასწორია მათი მეორე დის - ელისაბედ ილიას ასულ ბაგრატიონი-ბაშმაკოვას გარდაცვალების თარიღი - 1890 წელი. ამ შემთხვევაშიც გრიგოლ ორბელიანის წერილი უფრო სარწმუნო წყარო აღმოჩნდა. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი 1862 წლის 27 იანვრის ბარათის მიხედვით, ელისაბედი ახალგარდაცვლილია [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 132].

გრიგოლ ორბელიანი იმავე ადრესატს 1871 წლის 5 ნოემბერს სწერს, რომ გარდაიცვალა რევაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 55r]. საუბარია გენერალ რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლეზე - ნინა ალექსანდრეს ასულ ეილერზე, რომლის გარდაცვალების წლად ზოგიერთ წყაროში არასწორად არის მითითებული 1875 წელი (იხ. დანართი N12).

დღიურებში ნახსენებ პირთა იდენტიფიცირება: დღიურების მოცულობა ბევრად უფრო მცირეა წერილებთან შედარებით, მაგრამ მათში მოხსენიებულ პირთა გარკვეული რაოდენობა დაუდგენელია და კომენტარში ისეა გამოტანილი, როგორც გრიგოლ ორბელიანის მიერ არის ტექსტში ნახსენები. დღიურებში გვხვდება პირები, რომლებიც მხოლოდ გვართ ან სამხედრო პოზიციით არიან ნახსენები; ასევე პირები, რომელთა დაბადების ან გარდაცვალების, ან ორივე თარიღი გამოცემის მომზადების დროს უცნობი იყო. შესაბამისად, მათი ვინაობის დასადგენად სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოგვიხდა. ამ პირების იდენტიფიცირებისას განსაკუთრებით დაგვეხმარა

გრიგოლ ორბელიანის წერილებში მოხსენიებულ პირებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები და ინტერნეტის საძიებო სისტემა.

1831 წლის 3 აგვისტოს ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჟამსა ამას შემოვიდა პოდპოლკოვნიკი ილინსკი და მიგვიწვია ჩაიხედ, ლაპარაკი შევსწყვიტეთ და წავედით მასთან. აქ გავიცან პოლკოვნიკი ფლიღე და დავრჩი აქვე ვახშმათ“ [ორბელიანი, 1959, 176]. ორივე პირი, ავტორის ტექსტის მიხედვით, კომენტარში განმარტებულია, როგორც რუსეთის არმიის ოფიცერი.

თეოდორე გელშერტთან 1834 წლის სექტემბრიდან 1835 წლის 12 იანვრამდე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ გრიგოლმა სტავროპოლში ნახა უბედური ნიკოლოზ ვასილის ძე ილინსკი [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 59]. რადგან დღიურის მიხედვითაც მოქმედება ხდება სტავროპოლში, ამიტომ ჩანაწერსა და წერილში ერთსა და იმავე პირზე უნდა იყოს საუბარი, მით უფრო, რომ დღიურის მომდევნო, 6 აგვისტოს ჩანაწერში მოხსენიებულია აღნიშნული წერილის ადრესატი - ლელშერტი. დავადგინეთ, რომ ნიკოლოზ ვასილის ძე ილინსკი (1890-?) იყო რუსი მაიორი, რომელიც 1820 წლიდან მსახურობდა ქართულ გრენადრეთა პოლკში, იყო თელავის მაზრის სამხედრო ხელმძღვანელი, 1824 წლიდან კი - კასპიის ზღვის ბატალიონის უფროსი და ლენქორანის ციხის კომენდანტი (იხ. დანართი N13).

პოლკოვნიკ ფლიღეში უნდა იგულისხმებოდეს რუსი გენერალ-მაიორი - კარლ იაკობის ძე ფლიღე (1785 - არაუადრეს 1841 წლისა). ის 1819 წლიდან მსახურობდა საქართველოს გრენადრეთა პოლკში, 1819 და 1828 წლებში მონაწილეობდა მთიელებთან ბრძოლაში. თეოდორე თეოდორეს ძე გელშერტი (1796-1881) მსახურობდა კავკასიის არმიაში და მიაღწია მაიორის წოდებამდე, ახლო მეგობრობა აკავშირებდა გრიგოლ ორბელიანთან [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 427].

1 სექტემბრის ჩანაწერში ნახსენები პოდპოლკოვნიკი ტიმერმანი უნდა იყოს ნიკოლოზ ანტონის ძე, შემდგომში მაიორი, ყაზარდოს ეგერთა პოლკის ბატალიონის მეთაური, რომელსაც 1839 წელს გრიგოლ ორბელიანი წერილს სწერს ნაურის ექსპედიციის შესახებ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 103-121].

1831 წლის დღიურში პეტერბურგის საზოგადო ადგილების აღწერისას გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს: „ინლეღარდის სახლში იყო ჩემს დროს მასკარადი პუბლიჩნი“ [ორბელიანი, 1959, 257]. შენიშვნებში განმარტებულია, რომ, ალბათ, უნდა

იყოს ენგელგარდტი. ნიკოლოზ ტიმერმანისადმი წერილში გრიგოლი საუბრობს ენგელგარდტზე, რომელმაც ნაურის ექსპედიციის შემდეგ ბრწყინვალე ვახშამი გამართა [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 121]. წერილიდან მიღებული ინფორმაცია დაგვეხმარა დღიურში ხსენებული პირის იდენტიფიცირებაში. განვმარტეთ, რომ ბარონი ალექსანდრე ბოგდანის ძე ენგელგარდტი (1795-1859) იყო გენერალ-ლეიტენანტი, სამხრეთის სამხედრო დასახლებების უფროსი.

1831 წლის 19 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანი წერს, რომ ქალაქ ტარსოვში შეხვდა ივანე ყორღანოვი თავისი ცოლით [გრიგოლ ორბელიანი, 1959, 213]. ზაქარია ორბელიანისადმი 1842 წლის 20 მაისის წერილში ნახსენებია ივანე ოსებიჩი ყორღანოვის ქალიშვილი და ვაჟი იოსები. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის II ტომში განმარტებულია, რომ საუბარია თბილისში დაბადებულ ივანე იოსების ძე ყორღანოვზე, რომელიც იყო პასკევიჩის პროტეჟე და განაგებდა დაღესტანს 1830 წლიდან. ნახსენებია აგრეთვე მისი ქალიშვილი, რომლის სახელიც უცნობია [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 464]. ინფორმაცია დავაზუსტეთ ინტერნეტის საძიებო სისტემის დახმარებით. ივანე ყორღანაშვილი დაბადებულია 1789 წელს და გარდაცვლილია 1852/1854 წელს, მონაწილეა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებისა. მისი მეუღლე იყო ქეთევან ბორისოვა, ჰყავდა 8 შვილი და მათგან ერთადერთი ქალიშვილის სახელია ბარბარე (იხ. დანართი N14).

ჩანაწერის მიხედვით, 1831 წლის 8 ოქტომბერს მოსკოვის დიდ თეატრში გრიგოლს შეხვდა ესტატე თარხნიშვილი [ორბელიანი, 1959, 186], რომლის ვინაობა შენიშვნებში დაუდგენელია. ესტატე დიმიტრის ძე თარხნიშვილი გენერალ-მაიორი, გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლი დაღესტანში, კერძოდ, სამურის ოლქში, იხსენიება ქეთევან ალექსი-მესხიშვილისადმი 1850 წლის 10 აგვისტოს ლეჩქიდან გაგზავნილ წერილში [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 148].

1831 წლის 12 ნოემბერს, პეტერბურგში გრიგოლ ორბელიანი ეწვია პრასკოვია ნიკოლაევნას, რომლის ვინაობა დღიურების კომენტარში განმარტებული არ არის [ორბელიანი, 1959, 222]. პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენევა-ახვერდოვა (1783-1851) იყო მიხეილ ლერმონტოვის ბიძაშვილი, არტილერიის ქართული კორპუსის უფროსის - გენერალ ფიოდორ ახვერდოვის მეუღლე. იგი 1816-1830 წლებში ცხოვრობდა თბილისში და ჰქონდა პანსიონი, სადაც აღიზარდნენ ალექსანდრე

ჭავჭავაძის ქალიშვილები - ნინო და ჭავჭავაძეები (იხ. დანართი N15).

მწერლის დღიურების პუბლიკაციაში ასევე არ არის დადგენილი შარვაშიძის ვინაობა, რომელიც 1831 წლის 30 აგვისტოს ჩანაწერში გვხვდება: „გავიცან შარვაშიძე, მომავალი პეტერბურდით, რომელიც ანაზღეულად შემოვიდა ჩემად. კარგი ყმაწვილი ყოფილა“ [ორბელიანი, 1959, 17]. სავარაუდოდ, იგულისხმება აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ საფარ-ბეის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა) (1806-1866), რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო და გრიგოლთან შეხვედრის დროს 25 წლის ყმაწვილი იქნებოდა.

ღრაფინია პასკევიჩისას სახელ-გვარი და ცხოვრების წლები კომენტარებში არ არის მითითებული. საუბარია კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, გრაფ ივანე პასკევიჩის მეუღლეზე - ელიზავეტა ალექსეის ასულ გრიბოედოვაზე (1791-1856).

1831 წლის 14 ნოემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მესამე საათზე წავედით სადილათ ფარნაოზ ბატონისშვილთან, რომელმანცა წარმადგინა თავის მეუღლას ანასთან; გავიცან მისი ქალები - სალომე და ელენა. აქვე ვნახე ბატონისშვილები ანასტასია და რიფსიმე. ყველამ სიამოვნებით მიმიღეს“ [ორბელიანი, 1959, 223]. ანას ვინაობა განმარტებულია, როგორც ფარნაოზ ბატონისშვილის მეუღლე, ელიზბარ ერისთავის ასული. გენეალოგიური ინტერნეტბაზის „rodovid“ მიხედვით კი, ფარნაოზ ბატონისშვილის მეუღლე - ანა გიორგის ასული ერისთავია, დაბადებული 1777 წელს და გარდაცვლილი 1850 წელს. რადგან ორ წყაროში მამის სახელი სხვადასხვაგვარად არის მოცემული, შევამოწმეთ დამატებითი წყარო და დავადგინეთ, რომ ანა იყო ნამდვილად გიორგი რევაზის ძე ერისთავის (ყულადარასის) ასული და ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის და [ბერძნიშვილი, 1983, 233].

1959 წლის გამოცემაში სალომე და ელენე ფარნაოზის ასული ბატონისშვილების მხოლოდ გარდაცვალების თარიღებია მითითებული - 1860 და 1867; სალომე დაბადებულია 1797 წელს, ელენე კი - 1799 წელს. ანასტასიასთან განმარტებაა - უნდა იგულისხმებოდეს ანასტასია ბატონისშვილი, ილია ბატონისშვილის მეუღლე, გიორგი XII-ის რძალი, რიფსიმესთან კი - გიორგი XII-ის ასული. ამ შემთხვევაში დავადგინეთ ანასტასიას გვარი, მამის სახელი და ცხოვრების წლები - ანასტასია გრიგოლის ასული ობოლენსკაია, 1805-1885; რიფსიმესი კი - დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები - 1776-1847.

ინტერნეტის საძიებო სისტემით მივაკვლიეთ გრიგოლ ორბელიანის პაპის, ქიზიყის მოურავის - ზაქარია ანდრონიკაშვილის (1740-1802), ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავრის - ვასილი დიმიტრის ძის (1371-1425), მოსკოვის მეფის ივანე III-ის მეუღლის - სოფიო თომას ასულ პალეოლოგის (1455-1503), კურლანდიის ჰერცოგის - იაკობ ფონ კეტლერის (1610-1682) და ზარბაზნის ჩამოსხმის ოსტატის - ანდრეი ჩახოვის (1545-1629) ცხოვრების წლებს, რომლებიც არ იყო ცნობილი აღნიშნულ გამოცემაში.

1831 წლის 15 ნოემბრის ჩანაწერს მოსდევს პეტერბურგის ვრცელი აღწერა. ქალაქის ციხის შესახებ გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს: „პეტრე პირველმან დაიწყო სამირკველი ამა ციხისა თავის დაბადების დღესა - 30-ს მაისს 1706 წელსა, ბლონდელის, ვოზანის და პალანისა პლანზე. პირველად იყო ზედამხედველი მუშაობისა იტალიანელი ანდრეი ტრესსინი...“ [ორბელიანი, 1959, 234]. ბლონდელი, ვოზანი, პალანი, ანდრეი ტრესსინი, ტექსტის მიხედვით, განმარტებულნი არიან როგორც არქიტექტორები. სამი მათგანის ვინაობა გავარკვეით ინტერნეტგვერდების საშუალებით, პაგანის კი ვერ მივაკვლიეთ. ფრანსუა ბლონდელი (1618-1686) იყო ფრანგი არქიტექტორი, ინჟინერი, დიპლომატი, გენერალი, ლუდოვიკო XIV-ის კლასიციზტური არქიტექტურის თეორეტიკოსი; სებასტიან ლე პრეტრ დე ვოზანი (1633-1677) - სამხედრო არქიტექტორი, საფრანგეთის მარშალი და მწერალი. მის მიერ აგებული ციხე-სიმაგრეები მსოფლიო მემკვიდრეობადაა აღიარებული; დომენიკო ანდრეა ტრესსინი (1670-1734) - შვეიცარული წარმომავლობის იტალიელი ინჟინერი და არქიტექტორი.

ერმიტაჟის აღწერისას გრიგოლ ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს ოთახზე, სადაც განთავსებულია ძვირფასი ქვები, ბრილიანტები, ოქრო-ვერცხლი და ლონდონიდან ჩამოტანილი, მექანიკოს კოკსის მიერ დამზადებული დიდი საათი [ორბელიანი, 1959, 253]. ჯეიმს კოკსი (1723-1800) იყო ინგლისელი იუველირი და გამომგონებელი. მან 1772 წელს ლონდონში გახსნა საათების საკუთარი მუზეუმი. ერმიტაჟში გამოფენილია ორი საათი, რომლებიც 1781 წელს იმპერატორმა ეკატერინე II-მ იყიდა ზამთრის სასახლისთვის (იხ. დანართი N16). გრიგოლ ორბელიანი მოხიბლულია ხელმწიფის ოჯახის სურათით და აღნიშნავს, რომ ეს ნახატი ანა პავლოვნასგანაა. ანა პავლოვნა (1795-1865) იმპერატორ პავლე I-ის ქალიშვილი და

ნიდერლანდების დედოფალი იყო. მეუღლის, ვილემ II-ის, გარდაცვალების შემდეგ, ვალების გადასახდელად ქონება აუქციონზე გაიტანა. ანას ძმამ - რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 13 ნახატი იყიდა და სწორედ ეს ნამუშევრები ინახება ერმიტაჟში (იხ. დანართი N17).

მწერალი ფრანგული გალერეის შესახებ აღნიშნავს: „ფრანციცულს ღალღერეაში უპირველესი კარტინკანი არიან ღრეიცისა, ლორრენისა, ფერნეტისა, პუსენისა, ღობელინისა, ფუეტისა, ლადირისა და სხვათა... კარტინა ლებრუნის ქალისგან დახატული...“ [ორბელიანი, 1959, 254]. გამოცემის კომენტარებში განმარტებულია მხოლოდ პუსენი, დანარჩენს მიწერილი აქვს - მხატვარი, ლორრენი კი საერთოდ გამორჩენილია. ლორრენის შემთხვევაში საუბარია ფრანგ მხატვარ კლოდ ჟელლეზე (ლორრენ) (1660-1682). ლებრუნის ქალი უნდა იყოს მარი-ელიზაბეტ-ლუიზა ვიჟე-ლებრენი (1755-1842) - დედოფალ მარია ანტუანეტას საყვარელი მხატვარი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, 1799 წელს, იძულებული გახდა, დაეტოვებინა საფრანგეთი. 1790-ინი წლებიდან ის მუშაობდა რუსეთში.

სხვა მხატვრების გვარების გრიგოლ ორბელიანისეული დაწერილობებით მოძიება სრულად ვერ მოხერხდა. ღრეიცში, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ფრანგი მხატვარი ჟან-ბატისტ გრეზი (1725-1805), ლადირში კი - ფრანგი მხატვარი ნიკოლას დე ლარგილიერი (1656-1746). ცნობებს მივაკვლიეთ ერმიტაჟის შესახებ განთავსებულ სტატიებში: „Эрмитаж. Искусство Франции XV-XVIII веков в собраниях музея“ და „Коллекция Эрмитажа «Французская живопись XV-XVIII веков» (იხ. დანართი N18).

ვფიქრობთ, დღიურებში ნახსენები პირების იდენტიფიცირებისას, საჭიროა მეტი ინფორმაციის შემოტანა მათზე, ვიდრე ეს მოცემულია 1959 წლის გამოცემაში. მაგალითად, 1831 წლის დღიურში მოხსენიებული ალექსანდრე საგინაშვილის შესახებ აღნიშნულია მხოლოდ, რომ 1845-1850 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში, შემდეგში კი გახდა გენერალი. არ არის მითითებული ცხოვრების წლები (1808-1887) და არც სხვა ინფორმაცია. სასურველია, დაემატოს ცნობები, რომ მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829; 1877-1878) და კავკასიის ომებში. იგი იყო გრიგოლის სიძის, მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილის შვილი და გრიგოლ ორბელიანის

ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანის მეუღლე, ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის დის - ელისაბედის (ლიზა) ქმარი.

1836 წლის დღიურში ნახსენებ მელიტონზე შენიშვნაში წერია, რომ იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა. ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომებში, აქაც საჭიროა დაბადება-გარდაცვალების თარიღების (1795-1860) მითითება; ასევე მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ იყო გრიგოლ ორბელიანის სიძე, ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს კავკასიის მთავარი სამმართველოს თარჯიმანი, 1833 წელს არჩეულ იქნა თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად და არაერთხელ შეუსრულებია თბილისის გუბერნიის მარშლის მოვალეობა.

§ 6. გეოგრაფიულ სახელთა ამოკითხვა და იდენტიფიკაცია

გრიგოლ ორბელიანის წერილებზე მუშაობისას ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ქმნის გეოგრაფიული სახელების ამოკითხვა და იდენტიფიცირება, რადგან მათში უამრავი წვრილი, ნაკლებად ცნობილი და თან დღეისათვის უკვე სახელშეცვლილი დასახლებული პუნქტის სახელია ნახსენები. რუსულენოვანი საინფორმაციო ბაზების გამოყენებისას ხელს გვიშლის შეუსაბამობები ქართულ და რუსულ დაწერილობებში. პირთა სახელები, გვარები და ტოპონიმები რუსულად და ქართულად ხშირად სხვადასხვაგვარად გამოითქმის. გრიგოლ ორბელიანის წერილების კომენტარებისას ალლოთი ვხვდებოდით, რომელი გეოგრაფიული სახელი იგულისხმებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ან როგორ შეიძლებოდა დაწერილიყო ის რუსულად. უცხოენოვანი სახელებიდან და ტოპონიმებიდან „კ“ რუსულში ზოგჯერ г-დ გადადის ჰოცო - Гоццо, ჰაჯიოვი - гаджиев, ჰუწათლი - Гоцатль, ჰარუმბეგი - Гарунбек, ზოგჯერ კი საერთოდ იკარგება, მაგალითად, ჰარახთოუ - Арахтау, აჰყომა - Акуша.

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის III ტომის მომზადებლებმა ხანგრძლივი უშედეგო შრომის შემდეგ თითქმის შემთხვევით გაარკვიეს, რა ტოპონიმი იგულისხმებოდა 1845 წლის 23 ივლისს თავისი ძმის, ილიასათვის გაგზავნილ წერილში [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 20] „გერზელაურად“ ამოკითხულ სიტყვაში. ამ პერიოდის ისტორიული წყაროების კითხვისას, ისინი წააწყდნენ

ინფორმაციას, რომ ერთ-ერთი ბრძოლა წარმოებდა ჩეჩნეთის სოფელ გერზელ აულთან (Герзель-Аул).

ყაფლან ორბელიანისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათში გრიგოლი წერს: „გეუას დიდს მოურავს უბრძანეთ, რომ პოლკოვნიკოდამ მოიტანა, თუ არა, ნამყენები?“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N404]. თავდაპირველად გვეგონა, რომ პირზე იყო საუბარი, რომელიც პოლკოვნიკი იყო. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ იგულისხმებოდა ქვემო ქართლში მდებარე სოფელი პოლკოვნიკლო. ტოპონიმის წარმომავლობაც კი დავადგინეთ. ლუკა ისარლოვის მიხედვით, დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლეს - მარიამ ივანეს ასულ ორბელიანს მამამ მზითევეში გაატანა ბორჩალოს მაზრაში მდებარე სოფელი ხიდისყური, იგივე ალაბალო, რომელსაც ეწოდა პოლკოვნიკლო, რადგან ივანე ორბელიანი პოლკოვნიკი იყო [Исарлов, 1899, 99].

კავკასიის ომის დროს გრიგოლ ორბელიანს უამრავ სხვადასხვა პატარა სოფელსა და დასახლებაში უხდებოდა ჩასვლა, რომელთა სახელებსაც, სავარაუდოდ, ადგილობრივებისაგან მათსავე ენაზე ისმენდა და წერილში ჩასაწერად შესაბამისი ქართული ვერსიის მოფიქრება თავად უხდებოდა. ამის გამო ზოგი ტოპონიმი სხვადასხვა წერილში სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება და ხშირად არც ერთი მათგანი არ არის ზუსტი: გოგატლი / გოცატლი / ჰუწათლი, ზეიზითი / ზედგზითი, სიუხი / სიუკი / შიუხი, სულაკი / სულადი, ყაზანიჯი / ყაზანიშჩი, ყანყაშურა / ყაყაშურა, კაკა-შურა, ჭუხი / ჩოხი, ზუბუტი / ზუბუტლი, კაპუჭა / კაპუჩი, ხომნი / ხუჩნი, რუღუჭა / რუღოჯაბი, უნჩუკატლი / უნჭუყათი, ასტარაბზათი / ასტრაბადი და სხვა.

როდესაც წერილებში იხსენიება ტოპონიმების ძველი სახელები, კომენტარებისათვის საჭირო ხდება მათი თანამედროვე შესატყვისების გარკვევა, მაგრამ ზოგჯერ ეს ძველი ტოპონიმებიც ბუნდოვნად ან არასწორადაა დაწერილი. მაგალითად, ზოგან წერია ასტარაბზათი, ზოგან - ასტარაბადი, ფერრიხ აბზადი - ფერრახაბზათი, ჯუნგუთი - ჯუნგუთაი, ელიზავეტოპოლი - ელისავეტოპოლი, ვისბადენი - ვილსბადენი. ბოლნისის, იმჟამად კატერინოფილდის ნაცვლად წერია „კატერინოფილდენი.“

გრიგოლ ორბელიანის დღიურებსა და წერილებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მწერალი ქართულ ტოპონიმებს რუსული სახელით მოიხსენიებს.

მაგალითად, თეთრიწყაროს - „ბელი კლიუჩად“ (1863 წლის 19 და 30 აგვისტოს წერილები), დედოფლისწყაროს - „ცარსკიე კოლოდცად“ (1877 წლის 31 ოქტომბრამდე წერილი). ძველი სახელებით წარმოდგენილი ქალაქებისა და სოფლების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხანახლარი (1826 წლის 7 და 15 აგვისტოს წერილები) - გიოიგელის იმჟამინდელი სახელია, სოლნეჩნაია გორა (1831 წლის დღიურში 14 ოქტომბრის ჩანაწერი) - სოლნეჩნოგორსკის, ორანიენბაუმი და ცარიცინი (1831 წლის დღიურში 2 ნოემბერის ჩანაწერი) - ლომონოსოვისა და ვოლგოგრადის, ვენდენი (1834 წლის 2 აპრილის წერილი) - ცესისის, დერპტი (1835 წლის 25 ივლისის წერილი) - ტარტუს, გავაზა (1852 წლის 29 სექტემბრის ანგარიში) - ახალსოფელის და სხვა.

1831 წლის დღიურის 24 სექტემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ მწერალი ნოვგოროდის სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეულ ჯარისკაცებთან ერთად ქალაქ ხმელინეცისა და იზვოლკას გავლით ჩადის ქალაქ ელეცში [ორბელიანი, 1959, 183]. ქალაქები ხმელინეცი და ელეცი მდებარეობს ლიპეცკის ოლქში. სავარაუდოდ, იზვოლკად გრიგოლ ორბელიანი მოიხსენიებს იქვე მდებარე სოფელ იზვალს. 26 სექტემბრის ჩანაწერის მიხედვით კი, ჯარისკაცებთან ერთად გაიარა სოფელი ნიკიტინსკი და დაიღამა ქალაქ ბოლოროდიცკში [ორბელიანი, 1959, 183]. ბოლოროდიცკი ტულის ოლქის ქალაქია. აქვე მდებარეობს სოფელი ბერეზოვო, სადაც არის წმინდა ნიკიტას (ე. წ. „ნიკიტინსკი“) ეკლესია და შესაძლოა, სოფელსაც ასე უწოდებდნენ.

1836 წლის დღიურის 7 ოქტომბრის ერთ-ერთ ჩანაწერში ნახსენებია „სკავინ“ [ორბელიანი, 1959, 280]. ადგილმდებარეობის მიხედვით, საუბარი უნდა იყოს ლიტვის სოფელ სკიმიანზე. ასევე 9 ოქტომბრის წერილში წერია „მესტეჩკო უციანი“ [ორბელიანი, 1959, 281] და უნდა იგულისხმებოდეს ლიტვის, კოვნოს გუბერნიის სოფელი უცინი.

1836 წლის 5 ივლისის ჩანაწერიდან ჩანს, რომ სოფელ კლაუსცუციდან ჩადის ბირჟიში ოფიცრებთან გამოსამშვიდობებლად [ორბელიანი, 1959, 265]. სოფელი ბირჟი (ბირჟაი) მდებარეობს ლიტვის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ „კლაუსცუცის“ მსგავსი დასახელების სოფელს ამ რეგიონში ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, შეცდომაა დაწერილობაში. ასევე ვერც ერთ გეოგრაფიულ წყაროში ვერ ვნახეთ ტოპონიმები: „პრამალოლკა“ (12 ივლისის ჩანაწერი) [ორბელიანი, 1959, 268], „დრასეიკი“ (20

სექტემბრის ჩანაწერი) [ორბელიანი, 1959, 272] და „სტამბუნიშვი“ (6 ოქტომბრის ჩანაწერი) [ორბელიანი, 1959, 279].

ზოგჯერ გრიგოლ ორბელიანი მეტსახელით ან ალერსობითი ფორმით მოიხსენიებს არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ტოპონიმსაც. მაგალითად, იგი ხუმრობით „შუროჩკას“ და „შურიკას“ უწოდებს თემირხანშურას, ამჟამინდელ ბუინაქსკს, კუკიას კი - „კუკას“ და სხვა. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კომენტარებში დაზუსტდეს, რის შესახებ არის საუბარი.

თითოეული ასეთი ტოპონიმის დასადგენად ხანგრძლივი კვლევის ჩატარებაა საჭირო, ყველა შესაძლო დაწერილობის შემოწმება და დაზუსტება, არსებობდა თუ არა ასეთი დასახელების გეოგრაფიული პუნქტები. თუ რომელიმე დაემთხვეოდა, შემდეგ ვარკვევდით, შეიძლებოდა თუ არა, რომ მოცემულ კონტექსტში ის ყოფილიყო ნაგულისხმევი.

§ 7. საკომენტარო მასალის მოძიება

წერილებსა და დღიურებში ხშირად გვხვდება ისეთი ფრაზები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდება კომენტირება, რომ მკითხველისთვის გასაგები გახდეს, რა იგულისხმება ამა თუ იმ მოვლენაში, რთულად მისახვედრ პასაჟებში, ვინ არის ნახსენები, მხატვრული ნაწარმოების ან ციტატის ავტორი და სხვა.

მიმდინარე მოვლენები: 1870 წლის 20 იანვარს ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მანანა და ტასო გლოვობდნენ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანზე და მის ქალიშვილზე - ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინზე, რომლებიც გლოვობდნენ 1869 წლის ბოლოს იალტაში გარდაცვლილ შვილსა და ძმას - ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 49r].

ზოგჯერ კომენტარს ვაკეთებთ ორი ინფორმაციის კვლევა-შედარების საფუძველზე. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1870 წლის 3 ივლისის წერილში ნახსენებია მამია გურიელის საქმე. აქ აუცილებელია, რომ ამის შესახებ მკითხველს ინფორმაცია მიეწოდოს. საუბარია პოეტ მამია გურიელზე, რომელიც 1870 წელს გაეყარა ცოლს, მარიამ მელიქიშვილს და, შესაძლებელი იყო, სასამართლო ამასთან

დაკავშირებით ჰქონოდა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ 1869 წელს გრიგოლი რძალს - ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს სწერდა: „გახსოვს კორხმაზ მელიქოვის ქალიშვილი? ორის წლის წინ ის, შეყვარებული მამია გურიელზედ, ცოლად გაჰყვა მას... ამასწინათ ეს შეყვარებული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩამოვიდა თბილისს საზამთროდ; აბა, ხომ იცით გურიაში რა მოწყენილობაა, რატომაც არ უნდა გაერთოს კაცი თბილისში. და რა, რაოდენიმეს დღის წინ გურიელმა მაგრა მიჰყუა იუფეროვი, სასამართლო პალატის ჩინოვნიკი, ...თვისა, ...თვისა, არ ვიცი, როგორ გითხრა, ნუ, თავი შეიქცია მის [გურიელის] ცოლთანა. ბრევმა იუფეროვმა დაწერა საჩივარი სასამართლოში, რომ იგი გურიელმა გაანაწყენა! არ ვიცი, რას გადაწყვეტს სასამართლო, მარამ თავად საქმე ძალზედ ბინძურია ორთავ მხარისთვის. გურიელმა ცოლი მიატოვა...“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 270].

ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოსადმი 1878 წლამდე პერიოდით დათარიღებულ 25 თებერვლის წერილში გრიგოლ ორბელიანი წერს, რომ ქალები გროვდებოდნენ ტოლეს მალაზიაში. თბილისში იმხანად არსებობდა ძმებ ტოლეების საპნისა და სანთლის ქარხანა, სადაც ნაკლებად სავარაუდო იყო შეკრება. გაზეთ „Кавказ“-ის 1866 წლის ნომერში მივაკვლიეთ ინფორმაციას, რომ თბილისში იმჟამინდელი გოლოვინის ქუჩაზე (ამჟამად - რუსთაველის პროსპექტი), სარაჯიშვილის სახლის გვერდით მდებარეობდა ქალის ქუდების მალაზია, რომლის მეპატრონე იყო ფრანგი ქალბატონი - ტოლე.

უცხოეთის მოვლენები: ხშირად გვჭირდება წერილებში მოყვანილი არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ისტორიული მოვლენების კომენტირებაც. ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1871 წლის 4 მარტის წერილში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 50r], გრიგოლ ორბელიანი საუბრობს საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებზე. როდესაც წერს „Решалась судьба Франции“, განვმარტეთ, რომ იგულისხმება 1871 წლის 8 თებერვალს საფრანგეთში ჩატარებული ეროვნული კრების არჩევნები, რომელზეც ხმათა უმრავლესობა მიიღეს რადიკალურმა დემოკრატებმა. წინადადებაში „Европа принимает иное положение“ - სავარაუდოდ, ლაპარაკია 1871 წლის 1 მარტს საფრანგეთსა და პრუსიას შორის დადებულ შეთანხმებაზე; ფრაზაში „Когда властитель Европы“ საუბარი უნდა იყოს საფრანგეთის იმპერატორ შარლ ლუი ნაპოლეონ III-ზე. მეორე ფრაზაში

„Отвергнутый даже друзьями“, ვფიქრობთ, გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ იმპერატორ ნაპოლეონ III-ის რეჟიმი საფრანგეთში იმდენად შერყეული იყო, რომ 1870 წლის 5 სექტემბერს ის ჯართან ერთად თავად ჩაბარდა ტყვედ პრუსიელებს.

იმავე ადრესატისადმი 1872 წლის წერილში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 62r] ნახსენებ სედანის დარბევაში იგულისხმება, რომ 1870-1871 წლებში საფრანგეთისა და პრუსიის ომის დროს გერმანული არტილერიის ძლიერებამ და 1871 წლის 1 სექტემბერს სედანთან განცდილმა საშინელმა მარცხმა აიძულა ფრანგები, დანებებულიყვნენ.

მხატვრული ნაწარმოებები და გამონათქვამების ციტირებები: გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში ხშირად ახსენებს პროზაულ ან პოეტურ ნაწარმოებებს, პიესებს, საოპერო თუ თეატრალურ წარმოდგენებს, ტექსტის სრულყოფილად აღსაქმელად კი მკითხველს სჭირდება ინფორმაცია, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ავტორის თხზულება, წარმოდგენა ან მუსიკა იგულისხმება.

ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანთან გაგზავნილ 1871 წლის 15 იანვრის წერილში ნახსენებია სპექტაკლი „მზის დაბნელება“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 53r]; მივუთითეთ, რომ საუბარია ზურაბ ანტონოვის პიესის დადგმაზე. სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი 1871 წლის ბარათში მოყვანილი პუშკინის სიტყვების „Тяжела шапка мономаха“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7517] შესახებ აღვნიშნეთ, რომ ციტატა არის ალექსანდრე პუშკინის ტრაგედიიდან „ბორის გოდუნოვი“.

იმავე ადრესატისადმი 1872 წლის წერილის ფრაზა „Таин Мадридскаго двора... Евгения императрица франциса“ განვმარტეთ, რომ საუბარია გერმანელი მწერლის - კარლ გეორგ ფიულბორნის რომანებზე „იზაბელა ანუ მადრიდის სასახლის კარის საიდუმლოებები“ და „ევგენია ანუ საფრანგეთის სასახლის კარის საიდუმლოებები“.

გრიგოლ ორბელიანი 1831 წლის დღიურში საუბრობს პეტერბურგსა და მოსკოვში ნანახი სპექტაკლების შესახებ. ტექსტის შენიშვნებში მათგან მხოლოდ ერთი - „ქალღმის მოთამაშის ცხოვრება“ განმარტებული: „პიესა არის ფრანგი დრამატურგის ვ. დიუკანჟისა (1783-1833)... იგი ევროპისა და რუსეთის მრავალ სცენაზე იდგმებოდა. ეს პიესა ქართულად თარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა ი. კერესელიძემ (1866, N8, 9, 10)“ [ორბელიანი, 1959, 526]. სხვა შემთხვევებში, კომენტარში არც ერთი პიესის ავტორი არ არის მითითებული, რადგან, სავარაუდოდ,

წიგნის შემდგენლებისთვის მათი ვინაობა უცნობი იყო.

1831 წლის 8 ოქტომბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სადამოზე წაველ დიდს თეატრში... წარმოდგენა იყო „თავისუფალი მსაჯულნი, ანუ ბარბაროსობის დრონი“... შემდეგ იყო „პირველი სიყვარული“, ვოდევილი... და მასუკან ბალეტი „ნინა, ანუ სიყვარულით გაგიჟებული“ [ორბელიანი, 1959, 186]. პიესების სათაურების გრიგოლისეული თარგმანის მიხედვით ძიებისას შედეგი ვერ მივიღეთ, საჭირო იყო, გვცოდნოდა სახელწოდებები ორიგინალის ენაზე ან რუსულად. ამიტომ საკითხის საკვლევად სხვა მეთოდს მივმართეთ. პირველ წარმოდგენასა და ბალეტზე ინფორმაციას მივაკვლიეთ მოსკოვის დიდი თეატრის რეპერტუარის შესახებ ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციით, სადაც აღნიშნულია, რომ 1831 წლის 9 ოქტომბერს წარმოდგენილი იყო მოცეკვავე დ. ს. რიშარის (ლოპუხინას) ბენეფისი და ჟან ლამარტელერის ისტორიული პიესა ოთხ მოქმედებად „თავისუფალი მსაჯულნი, ანუ ბარბაროსობის დრონი“ („Вольные судьи, или Времена варварства), ნათარგმნი ფრანგულიდან (იხ. დანართი N19).

ბალეტი „ნინა, ანუ სიყვარულით გაგიჟებული“ („Нина, или Сумасшедшая от любви“) აღმოჩნდა ორმოქმედებიანი ბალეტი-პანტომიმა ლუი მილონის სცენარით, ლუი პერსუს მუსიკითა და ამავე სახელწოდების ოპერის მოტივებზე, რომელიც დადგეს პარიზის ოპერაში 1813 წელს. მოსკოვის დიდ თეატრში წარმოდგენა გაიმართა 1831 წლის 13 თებერვალს. ბალეტმეისტერი იყო ჟოზეფ რიშარი, ნინას როლს კი ასრულებდა დარია ლოპუხინა-რიშარი. ერთმოქმედებიანი კომედია-ვოდევილის „პირველი სიყვარული“ („Первая любовь, или Дѣтскія воспоминанія“) შესახებ შევიტყვეთ, რომ ფრანგ ავტორს - ეჟენ სკრიბს ეკუთვნის და დაწერილია 1825 წელს.

1831 წლის 13 ნოემბრის ჩანაწერის მიხედვით, გრიგოლ ორბელიანი იყო მოსკოვის თეატრში, სადაც ნახა სპექტაკლი „კარლ მეტორმეტე“ [ორბელიანი, 1959, 222], რომელიც არ მოეწონა. მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრის რეპერტუარის შესახებ ინფორმაციის თანახმად, 1831 წლის იანვრიდან ამ თეატრის სცენაზე იდგმებოდა გერმანელი მწერლის - კარლ ტეპფერის ოთხმოქმედებიანი სამხედრო-ისტორიული დრამა „კარლ XII შვედეთში დაბრუნებისას“ („Карл XII на возвратном пути в Швецию“) (იხ. დანართი N20).

დღიურებსა და წერილებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა პირის გამონათქვამების ციტირებები. მაგალითად, ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი მიმართულ წერილში წინადადება „Сельские учителя Германіи победили непобедимых маршалов Франціи... аксіоме, провозглашенной Немцами“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 62r] განვმარტეთ შემდეგნაირად – არსებობს გადმოცემა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულების შემდეგ ჩრდილო გერმანიის კავშირის კანცლერმა ოტო ფონ ბისმარკმა თქვა, რომ ამ გამარჯვებას ქვეყანა უნდა უმადლოდეს არა ვინმე სხვას, არამედ პრუსიის მასწავლებლებს.

სტილი და იუმორი: წერილების კომენტირებისას აუცილებლად უნდა გავითავალისწინოთ ავტორის სტილი, განსაკუთრებით კი მისი იუმორი. პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის პირველი გამომცემელი - აკაკი გაწერელია ბარათებში გამოხატული იუმორის შესახებ აღნიშნავდა: „გრ. ორბელიანის წერილებს აქვს უეჭველი ღირსებებიც, მაგ., ჰუმორი, - ბარათები ამჟღავნებენ ავტორის გონება-მახვილობას, რომელიც ასე ცნობილი ყოფილა მის მახლობლებში“ [ორბელიანი, 1936, XXIV].

გრიგოლ ორბელიანი წერილებში ხშირად იხსენიებს ყმაწვილებს ბიძად (дядя) და დეიდად („тётушка“). როდესაც ტექსტს მეცნიერულად ვაქვეყნებთ, მკითხველი გაურკვევლობაში რომ არ აღმოჩნდეს და სხვა პირი არ ეგონოს, აუცილებლად ვურთავთ კომენტარს. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი თავის ძმისწულს - გიორგი ილიას ძე ორბელიანს ხუმრობით „ძიას“ („Георгія, моего дядю“) ეძახის, „დეიდად“ მოიხსენიებს რძალს - ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს („Моя тётушка, Сестра Варвара“) და მის ყმაწვილ დას - ოლღა ბაგრატიონი-გრუზინსკაიას („тётушка Царица Ольга“). ასევე „დეიდას“ უწოდებს ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძის ახალგაზრდა მეუღლეს - მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეს („Важно-почтенной тётушке Како“) და კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეს - ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილს („милостивая тётушка“). გრიგოლი ნათესავს - სოფიო ერისთავ-ორბელიანს, რომელიც მასზე თითქმის 30 წლით უმცროსი იყო, წერილებში „დედას“ უწოდებს („ჩემო საყვარელო დედავ სოფო“); ასევე ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ გრიგოლი თავის ბიძაშვილს - ბარბარე ორბელიან-საგინაშვილს სიყმაწვილისას „დედას“ ეძახის.

1860 წლის 13 ივნისის წერილში დიმიტრი ჯორჯაძეს აცნობებს: „სტაროსელსკი მოვიდა თავის ლამაზის ცოლითა, და შენ უყურე ახლა, სიდონია-ფურია სულ იწიწვნის“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 56]. კომენტარის ავტორი აღნიშნავს, რომ „ფურიას“ (შურისძიების ქალღმერთი) უწოდებდნენ განრისხებულ ქალს. აქ უნდა იგულისხმებოდეს დედით ობოლი ეკატერინე გურამიშვილის აღმზრდელი მამიდა - სიდონია ზაალის ასული გურამიშვილ-სავარსამიძე, რომელიც განრისხებული იყო ეკატერინეს უნებართვოდ გათხოვების გამო. დიმიტრი სტაროსელსკი და ილია ჭავჭავაძე ქვისლები იყვნენ და სიმამრმა - თადეოზ გურამიშვილმა დროულად არც ერთს არ მისცა ჯვრისწერაზე თანხმობა. ამიტომ დიმიტრი სტაროსელსკი და ეკატერინე არ დაელოდნენ ამ თანხმობას და ისე დაიწერეს ჯვარი.

პრინც ალექსანდრე ოლდენბურგისადმი 1867 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ წერილში იტალიელი პრიმადონის შესახებ ღიმილისმომგვრელ სიტყვებს ვკითხულობთ: „რუსული თეატრი ძალზედ კარგია; იტალიური ოპერა გამოირჩევა ახალის პრიმადონით, რომელიც შესანიშნავადა მღერის, მარამ ძალზედ, ძალზედ შეუხედავია, და ამის გამო მე მას ვუსტვენ. აბა, შენ რას იზამდი?“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 157].

გრიგოლ ორბელიანი ძალიან შეხუმრებული იყო თავის ნათესავებთან, რისი უგულებელყოფაც ხელს შეგვიშლის ტექსტების გაგებაში. მაგალითად, რძლის - ქეთევან ალექსი-მესხიშვილისადმი 1867-1870 წლებში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „არხიმანდრიტი აპირებს თქვენს ხილვას“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7516, 118]. წერილის ავტორის იუმორი რომ არ გავითვალისწინოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ, მართლაც, ვიღაც არქიმანდრიტი აპირებდა ჩასვლას ბორჯომში ქეთევანის სანახავად. ვფიქრობთ, რეალურად იგულისხმება არქიმანდრიტის მოსალოდნელი ჩასვლა ბორჯომში, სადაც შეიძლებოდა ის შეხვედროდა ქეთევანს.

მხატვრული შედარებები: პირთა იდენტიფიცირებისას ზოგჯერ გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შედარებები ქმნის პრობლემას, ამიტომ კარგად უნდა ვიცნობდეთ წერილის ადრესანტის ენასა და სტილს, რომ მივხვდეთ, რას გულისხმობს ის. გენერალ-მაიორ ალექსანდრე სვეჩინისადმი 1871 წლის 27 ოქტომბერის მიწერილ ბარათში მოხსენებული მშვენიერი დიანა უნდა იყოს ადრესატის მეუღლე - ლიუბოვ სერგეის ასული გოლიცინა-სვეჩინა, რომელსაც პოეტი

ქალღმერთ დიანას ადარებს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N476].

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი 1873 წლის 3 აგვისტოს წერილში ნახსენებია როტშილდი ალექსანდრე. საუბარი უნდა იყო ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე ერისთავზე, რომელიც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის აქტიური წევრი იყო და 1874 წელს ილია ჭავჭავაძემ ბანკის ერთ-ერთ დირექტორადაც აირჩია. როგორც ჩანს, ბანკირთა ცნობილ დინასტიასთან ასოცირებით, გრიგოლი მას ხუმრობით უწოდებდა როტშილდს.

1873 წლის 10 აგვისტოს ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს სწერს, რომ ბორჯომში დიდი აბესალომოვობაა, სხვა ქალებს არავინ აქცევს ყურადღებას, მხოლოდ ამას ეხვევიან [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N132]. ვფიქრობთ, გრიგოლ ორბელიანი უნდა გულისხმობდეს სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვის რომელიმე ქალიშვილის - ნინას ან მარიას პოპულარობას.

ზოგჯერ სათქმელი მხოლოდ მინიშნებას შეიცავს და ბოლომდე არ არის განმარტებული. მაგალითად, ხშირად გვხვდება რომელიმე პირთან დაკავშირებით სიტყვები: „საბრალო“, „საწყალი“, „უბედური“ და სხვა. სასურველია, რომ აკადემიურ გამოცემაში განვმარტოთ, რატომ მოიხმობს ამ ეპითეტებს ავტორი.

რძლის - ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1864 წლის 10 დეკემბერს მიწერილ ბარათში ახსენებს საბრალო ვერას და იგულისხმება ადრესატის გარდაცვლილი და - ვერა ილიას ასული ბაგრატიონი-მირსკაია. იმავე წერილში ადრესატის დისწულის შესახებ ვკითხულობთ: „სალომე სულის მთელი ყმაწვილქალური გატაცებით ეძლეოდა ცეკვებსა და თავსდა დაჰნატროდა. რარიგად ჰგავს საბრალო სოფიოს, ეგრეთვე ცეკვით გატაცებული, მხოლოდ ცეკვაზედა რომ ჰდარდობდა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 194]. საუბარია სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძის მამიდაზე - სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-ნიკოლაიზე, რომელიც 1862 წელს გარდაიცვალა. ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნისადმი 1872 წლის 8 აგვისტოს წერილში მოხსენიებულია საწყალი ივანე [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N61] და იგულისხმება მანანა ერისთავ-ორბელიანის ვაჟი - ივანე დავითის ძე ორბელიანი, რომლის სახლსაც გაყიდვა ემუქრებოდა.

დამატებითი ინფორმაცია: ბარათებში ხშირად გვხვდება მართლწერისეული ან ისტორიული ფაქტების ცდომილებით ჩაწერის შემთხვევები. ამ სახის შეცდომები

ძალიან ართულებს კვლევას და უამრავი მასალის გაცნობა და დამატებითი ინფორმაციის შემოტანა გვჭირდება იმის დასასაბუთებლად, რომ ნამდვილად შეცდომასთან გვაქვს საქმე. ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი 1870 წლის 22 მარტის წერილში [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 50r] აღნიშნულია, რომ ნაპოლეონი ცხოვრობდა სტუმართმოყვარე შვეიცარიის პატარა ციხე-კოშკში („В маленьком замке гостеприимной Швейцарии“). როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. ციხე-კოშკი ჩიზლხერსტი, სადაც 1871 წლის 1 მარტს ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა ნაპოლეონი, მდებარეობს ინგლისში, ლონდონთან ახლოს და არა შვეიცარიაში.

იმავე ადრესატისადმი ერთ-ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი ახსენებს თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის - ირაკლი ალექსანდრეს ძე ბარატიონ-გრუზინკის შორის ასაკობრივ სხვაობას. მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება, დამატებითი ინფორმაციის შემოტანა, რომ თამარი მეუღლეზე 26 წლით უმცროსი იყო.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი 1870 წლის 3 ივლისის წერილში აქვს ძმისწულს - გიორგის და დასძენს: „ვნახოთ, თუ ყაფლანისშვილობამ არ წამოუტია“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N76]. საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ გრიგოლ ორბელიანი არაერთ წერილში თავის ოჯახსა და საგვარეულოს ყაფლანიშვილებად მოიხსენიებს, რადგან მათი გვარის წარმომადგენლები ყაფლან ორბელის ძის შთამომავლები იყვნენ.

ნიკოლოზ ბეზაკისადმი 1872 წლის წერილში, სადაც სადავო მამულებზეა ლაპარაკი, გრიგოლ ორბელიანი ახსენებს სარდლის ოჯახს. ძმისთვის – ზაქარია ორბელიანისთვის 1847 წლის 27 თებერვალს გაგზავნილ წერილში თავის მამას „ზურაბ სარდლად“ მოიხსენიებს. შესაბამისად, აქაც სარდლის ოჯახში - ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანის შთამომავლები უნდა იგულისხმებოდეს.

ზოგჯერ იმისთვის, რომ ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია უფრო გასაგები გავხადოთ მკითხველისთვის, გვიხდება განსახილველ საკითხში ღრმად გარკვევა. ამ წერილში გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკს უხსნის, რატომ არ ეხება მას და მის ოჯახს ის სამემკვიდრეო დავა, რომელსაც ორბელიანების ორი შტოს წარმომადგენლები აწარმოებდნენ. ბეზაკის მეუღლის სოფიო იოანე (ყაფლანის) ასულ

ორბელიან-ბეზაკის გენეალოგია თვალნათლად აჩვენებს, რომ ის სხვა შტოს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, გრიგოლის პაპას - ნიკოლოზსა და მის ძმებს შორის მიწები ადრევე გაიყო, იმ დოკუმენტში კი, რომელზეც წერილშია საუბარი, განხილულია ნიკოლოზის შთამომავლებს შორის მამულების გაყოფის საკითხი და მისი ძმების შთამომავლები არაფერ შუაში არიან.

§ 8. ავტორისეული შეცდომები და მათი ამოკითხვის სირთულეები

ხშირად გვარისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიხედვით, მივდივართ დასკვნამდე, რომ გრიგოლ ორბელიანს გვარი არასწორად აქვს დაწერილი. წერილებში არსებულ შეცდომებს ვასწორებთ კვლევებიდან გამომდინარე. მანამდე არ გამოვთქვამთ მოსაზრებას, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ნამდვილად ის პირია ნახსენები, რომელიც ჩვენ ვივარაუდეთ.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1870 წლის 22 მარტის წერილში აღნიშნულია, რომ თბილისში ნახა სპარსელი ალიშერა, რომელიც განდევნილია სპარსეთიდან [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 50r]. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ წერილში საუბარია ირანის შაჰის - სულთან ახმედის პრემიერ მინისტრზე, მირზა მუჰამედ ალი-ხან ალა უს სულთანზე. მუჰამედ ალი-ხანი 1870 წელს გილიანის გუბერნატორობიდან გადააყენეს და გამოგზავნეს თბილისში, სადაც 1874 წლამდე მსახურობდა ირანის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში (იხ. დანართი N21).

ეკატერინე კარცოვასადმი 1871 წლის 22 დეკემბერს მიწერილ ბარათში საუბარია ნაიბ აჯიოვის მკვლელობაზე, რეალურად კი ეს პირი ნაიბი ხაჯიავ კარატელია.

ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისადმი 1875 წლის 16 მაისის წერილში ლევან მელიქიშვილთან, ბარონ მაქსიმილიან ფონ დერ ოსტენ-საკენტან, ნიკოლოზ ჭავჭავაძესთან, მიხეილ ლორის-მელიქოვთან, დიმიტრი სტაროსელსკისა და გიორგი ვლასტოვთან ერთად ნახსენებია კარმილინი. კავკასიის კალენდრის მიხედვით დავადგინეთ, რომ ეს პირი არის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინი (იხ. დანართი N22).

§ 9. სხვა პირთა მიერ გრიგოლ ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილებში დაცული ინფორმაციის მნიშვნელობა

არა მხოლოდ შესასწავლი ავტორის წერილების, არამედ სხვათა მიერ მისთვის გაგზავნილი ბარათების, მოგონებებისა და ჩანაწერების კვლევის შედეგად მჟღავნდება მრავალი უცნობი ფაქტი, რომელიც აზუსტებს მწერლის ბიოგრაფიასა თუ შემოქმედებით მემკვიდრეობას. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო სხვადასხვა არქივსა და მუზეუმში გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ბარათების შესწავლამ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიგოლ ორბელიანის პირად ფონდში ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, მანანა და ალექსანდრე ორბელიანების, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების, ივანე ანდრონიკაშვილის, ლევან მელიქიშვილის, დიმიტრი ანდრონიკაშვილის, გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელის, ალექსანდრე და დავით ყორღანაშვილების, ისაკ თუმანიშვილის, მიხეილ და კონსტანტინე რომანოვებისა წერილები გრიგოლ ორბელიანთან; ასევე ქართველ გრენადერთა, საველე სასურსათო და ნევის საზღვაო პოლკების, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის შეტყობინებები.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ხორემან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, იმერეთის დედოფალ მარიამის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია და ზაქარია ორბელიანების, მელიტონ ბარათაშვილის, ეფემია ორბელიან-ბარათაშვილის, გიორგი ავალიშვილის, სოლომონ რაზმადის, დავით და ელენე ორბელიანების წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი.

ლიტერატურის მუზეუმში ინახება ზაქარია და ილია ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ეკატერინე წერეთლის, მიხეილ ზაბოლოცკის წერილები, ასევე პლატონ იოსელიანის, მოსე არღუთინსკისა და დიმიტრი მილიუტინის წერილების ასლები.

აღნიშნული ბარათების უმეტესობა დღემდე გამოუქვეყნებელია, თუმცა პოეტისთვის გაგზავნილი წერილების ბეჭდვა მის სიცოცხლეშივე დაიწყო. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ბიძისადმი 1872 წელს ჯერ ჟურნალ „კრებულში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი გაზეთებში - „დროება“ და „ივერია“. განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებასთან დაკავშირებით, 1893 წელს პეტრე უმიკაშვილმა გაზეთ „კვალში“ დაბეჭდა ლევან მელიქიშვილის წერილი გრიგოლ

ორბელიანისადმი [უმიკაშვილი, 1893, 7-10]. ეს ბარათი მეტად საყურადღებოა, რამდენადაც ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებასა და მისი ნაწერების გამოცემას, რაც წერილის დაწერის დროს, 1846 წელს, განუზრახავთ პოეტის მეგობრებს და თანხის შეგროვებაც დაუწყიათ. ადრესანტი გრიგოლ ორბელიანს სთხოვს, გაუგზავნოს დისწულის ლექსები, თუ მოეპოვება და დაწეროს წიგნისთვის წინათქმა ლექსად. ეს განუზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებების გამოცემა მხოლოდ 1876 წელს გახდა შესაძლებელი.

ილია ორბელიანის, მელიტონ და ეფემია ბარათაშვილების წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის მწირი ბიოგრაფიის გასამდიდრებლად უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, 1938 წელს გამოაქვეყნა იაკობ ბალახაშვილმა ჟურნალ „მნათობში“ [ბალახაშვილი, 1938, 161-170].

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება მიხეილ ვორონცოვის 45 წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომლებიც სრულად გამოქვეყნდა ციალა ქირიასა და შოთა სარიას წიგნში „XIX ს. I ნახევარი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ [ქირია, სარია, 1967]. წერილები შეუგროვებია იონა მეუნარგიას. ბარათები აზუსტებს პოეტის სამხედრო მოღვაწეობის დეტალებს, მის როლს დაღესტნის ბრძოლებში და შესაბამისად, ავსებს მის ბიოგრაფიას. დოკუმენტები ამჟღავნებს მეფის მთავრობის ახალ კურსს კავკასიისა და საქართველოს მმართველობაში, მეფისნაცვლის პოზიციასა და გრიგოლ ორბელიანის მიმართებას ამ საკითხებთან. ეს წერილები ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო მოვლენების საკომენტაროდ, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მათში მოხსენიებული პირები და მათი თანამდებობები შესაძლებელს ხდის პირთა იდენტიფიცირებას ან ვინაობის დაზუსტებას. მაგალითისთვის, XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის V ტომში მიხეილ ვორონცოვისადმი გამოქვეყნებულ წერილში წოდებითა და გვარით ნახსენები პირი სავარაუდოდ, იდენტიფიცირებულია, როგორც პავლე ევსტათის ძე ბოგდანოვიჩი. მიხეილ ვორონცოვის მიერ 1851 წელს გაგზავნილი წერილიდან კი ვიგებთ, რომ გრიგოლ ორბელიანს მთიელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შესახებ მოხსენება გაუგზავნია მაიორ პავლე ევსტათის ძე ბოგდანოვიჩისთვის. ამ წერილის მიხედვით ვარაუდი დაზუსტდა.

მწერლის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია როგორც მისი წერილების ადრესატების ვინაობის გარკვევა, ისე მისთვის გაგზავნილი წერილების ავტორებისაც. 1831 წლის 20 აპრილის ერევნის კარაბინერთა პოლკის უფროსის წერილის ბოლოში დართული ხელრთვა გაურკვეველი იყო, მაგრამ შინაარსიდან ჩანდა, რომ იგი დაწერილი იყო პოლკის უფროსის მიერ, რომელიც იყო ფლიგელადიუტანტი და პოლკოვნიკი. ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაური 1823-1835 წლებში იყო ივანე იოსების ძე სიმონიჩი, მაგრამ მან 1830 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. შესაბამისად, წერილის ავტორი უნდა იყოს არა ქართველ გრენადერთა პოლკის, არამედ, ერევნის მე-13 კარაბინერთა პოლკის იმჟამინდელი მეთაური - ალექსანდრე ლევანის ძე დადიანი, რომელიც იყო როგორც პოლკოვნიკი, ისე ფლიგელადიუტანტი. ამ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ წერილი მანგლისიდან არის გაგზავნილი, სადაც მდებარეობდა ერევნის პოლკის შტაბი.

1849 წელს გრიგოლ ორბელიანმა მიიღო რუსეთის სამხედრო მინისტრის - ალექსანდრე ჩერნიშოვის 2 წერილი. პირველ წერილში ის მადლობას უხდის მისი მხატვრული ნაწარმოების გამოსაცემად ხელმოწერების შეგროვებისთვის და სთხოვს თანხის გაგზავნას დედოფლისწყაროში, სადაც იმჟამად ისვენებს [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N699]. მეორე წერილთან ერთად ადრესანტი უგზავნის მის მიერ დაწერილი პიესის პირველ ნაწილს და სურს, რომ გრიგოლმა დრო გამონახოს მის წასაკითხად. უცნობია გრიგოლ ორბელიანის პასუხი მინისტრისადმი, მაგრამ მისი გულწრფელი რეაქცია ჩანს ბარათზე გაკეთებული ვრცელი მინაწერიდან. ტექსტში ნათქვამია, რომ ზემოხსენებული წერილის ავტორი და თავადი სერგეი კუდაშოვი ეშმაკს უცდუნებია და შთაუგონებია, რომ შეძლებენ შექსპირის, შილერის, გოეთესა და ბაირონის გვერდით ადგილის დამკვიდრებას, მაგრამ სინამდვილეში ისინი ამ მწვერვალთან ახლოსაც ვერ მივლენ და ტყუილად იმეტებენ თავიანთ სახელებს მკითხველის დასაცინად [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N700].

ჩერნიშოვის გვარი ხელრთვაში არც ერთ წერილზე ბოლომდე გარკვევით არ იკითხება და სახელისაც მხოლოდ ინიციალია, მაგრამ თავისი მხატვრული ნაშრომის გამოსაქვეყნებლად ხელმოწერების შეგროვებას გენერალ გრიგოლ ორბელიანს მასზე დაბალი წოდებისა და თანამდებობის პირი, სავარაუდოდ, ვერ სთხოვდა; გენერალ ალექსანდრე ჩერნიშოვთან კი მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და, როგორც

გედეონ ბუჭყიაშვილისთვის 1849 წლის 11 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, სწორედ სამხედრო მინისტრ ალექსანდრე ჩერნიშოვზე იყო დამოკიდებული გრიგოლის ძმის, ილიასთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭება [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 126]. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ბარათი ალექსანდრე ჩერნიშოვის მიერ იყოს დაწერილი.

საგულისხმოა, რომ მეორე წერილის მინაწერში წერილის ადრესანტის გვერდით, მისსავე მსგავსად მოხსენიებულია თავადი კუდაშევი, სავარაუდოდ, ასევე ნაპოლეონის ბრძოლების მონაწილე სერგეი დანიელის ძე კუდაშოვი. ჩვენს ვარაუდს ისიც განამტკიცებს, რომ წერილის ავტორი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი ალექსანდრე ჩერნიშოვის მიერ უნდა იყოს დაწერილი. ვერ ვიტყვით, რომ მან თავად გადაიფიქრა წიგნის დაბეჭდვა თუ რაიმემ შეუშალა ხელი, მაგრამ ფაქტია, რომ 1849 და მომდევნო წლებში არც ალექსანდრე ჩერნიშოვის და არც მსგავსი გვარისა და ინიციალის მქონე სხვა პირთა პიესა არ გამოქვეყნებულა.

სხვათა წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ გვაწვდის ინფორმაციას გრიგოლ ორბელიანის ჩვენამდე არმოღწეული ბარათების შესახებ. გრიგოლ ორბელიანის ჩვენთვის ცნობილი წერილებიდან უადრესია 1832 წლის წერილი მარიამ დედოფლისადმი. დავით ორბელიანის 1829 წლის ბარათიდან ჩანს, რომ მას გრიგოლის წერილი მიუღია: „შენი წიგნი მომივიდა, რომელშიაც მწერ საყვედურსა, რომ პასუხი ვერ მოგწერე. აქ რა ამბავი იქნება ან რა შექცევა, რომ მანდ მოგწერო, ხომ იცი, ერთი ალაგი არ არის, რომ ორს საათს დრო გაატაროს კაცმა... ისევ შენ მომწერე შენი შექცევის ამბავი“.

მელიტონ ბარათაშვილის წერილში ვკითხულობთ, რომ გრიგოლს სიძისთვის 1831 წლის 8 აგვისტომდე წერილი გაუგზავნია სტავროპოლიდან [სცსსა, ფონდი 2, აღ. 1, საქმე 2115, 92]. სხვა წერილში მელიტონი აღნიშნავს, რომ მიიღო პეტერბურგიდან გრიგოლის წერილი, სადაც ის თეატრის შესახებ საუბრობს და ფულის გაგზავნას სთხოვს სიძეს. ერთ-ერთ წერილზე გრიგოლის მინაწერიდან „Ответ. 17-го Марта“ [სცსსა, ფონდი 2, აღ. 1, საქმე 2115, 90] ვიგებთ, რომ სიძის წერილს ამ რიცხვში უპასუხა.

ეფემია ორბელიანი-ბარათაშვილის ბარათებიდან ჩანს არა მარტო გრიგოლის

წერილების მიღების ამბავი, არამედ მათი შინაარსიც. 1837 წლის იანვრის წერილში საუბარია, რომ გრიგოლი დას სთხოვს, გაუგზავნოს წინდები და ხანჯალი [სცსსა, ფონდი 1446, აღ. 1, საქმე 736, 23]. ჩვენთვის ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის 8 წერილი ბიძისადმი, მაგრამ არ შემორჩენილა გრიგოლის წერილები დისწულთან. ეგემია ორბელიანი-ბარათაშვილის 1842 წლის ბარათიდან ვიგებთ, რომ 20 აპრილს გრიგოლს დისწულისთვის ქუთაისიდან თბილისში წერილი გაუგზავნია. ბარათის შინაარსიდან ჩანს, რომ გრიგოლი ძალიან წუხდა შამილის მეომრების მიერ ძმის, ილიკოს დატყვევების გამო და დისშვილს სთხოვდა, დაწვრილებით ეცნობებინა საქმის ვითარება [სცსსა, ფონდი 481, აღ. 2, საქმე 364, 158]. სწორედ ამ ბარათის საპასუხოდ მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილისგან გაგზავნილი წერილი, რომელშიც ადრესანტი ბიძას თანაუგრძნობდა შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების გამო და აცნობებდა, თუ როგორ მოხიბლა ილიამ შამილი თავისი უშიშრობით. წერილში მოყვანილია ბიძის დატყვევების განცდით დაწერილი ლექსი „მერანი“ [კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის არქივი, N646].

1832 წლის 22 მაისს მოსკოვიდან ნოვგოროდში მწერლისა და ნათესავის - გიორგი ავალიშვილისგან მიღებულ წერილში ადრესანტი ემადლიერება 30 აპრილს გრიგოლის მიერ მასთან გაგზავნილი წერილის გამო. ამ წერილით დადგინდა სავარაუდოდ აპრილით დათარიღებული გრიგოლ ორბელიანის წერილის ზუსტი თარიღი [სცსსა, გრიგოლ ორბელიანის ფონდი 2, აღწერა 1, საქმე №2115, 113]. მეორე წერილზე გრიგოლის მინაწერით „Ответ. 5-го Июля, Петербург“ ვიგებთ, რომ კიდევ ერთი წერილი გაუგზავნია გიორგი ავალიშვილისთვის, რომელიც ჩვენამდე ასევე არ მოღწეულა [სცსსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2115, 111].

სხვათა წერილები მნიშვნელოვანია არა მარტო მოვლენების საკომენტაროდ, არამედ მათში მოხსენიებული პირები და მათი თანამდებობები შესაძლებელს ხდის პირთა იდენტიფიცირებას ან ვინაობის დაზუსტებას, ასევე საკვლევი პიროვნებისადმი ურთიერთმიმართების დადგენას. მათი საშუალებით თარიღდება მოვლენები და დოკუმენტები.

თავი IV

წერილებისა და დღიურების პუბლიკაციასთან დაკავშირებული საგამომცემლო კვლევები

§ 1. გრიგოლ ორბელიანის ცალკეული წერილების პუბლიკაცია

გრიგოლ ორბელიანის წერილების გამოქვეყნება მისი გარდაცვალებიდან მალევე დაიწყო მწერლის თანამედროვეებმა. პირველად 1883 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის მიერ 1875 წლის აპრილში გაგზავნილი ორი წერილი იაკინთე ალექსი-მესხიშვილისადმი [„დროება“, 1883, 1-3]. 1885 წლის 5 სექტემბერს იმავე გაზეთში დაიბეჭდა პოეტის ორი წერილი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი [„დროება“, 1885, 1-3].

მწერლის პირველმა ბიოგრაფმა - იონა მეუნარგიამ ნაშრომის „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ წერა, მწერლის სიცოცხლეში, 1879 წელს დაიწყო და პირველად 1904-1905 წლების „მოამბის“ ნომრებში გამოაქვეყნა [მეუნარგია, 1904-1905]. 1905 წელს მონოგრაფია ცალკე წიგნად გამოიცა. ავტორი აღნიშნავს: „პოეტის ცხოვრების აღწერის მასალა საკმაოდ მდიდარია. ეს არის, დღიურს გარდა, პოეტის მიწერ-მოწერა, რომლის შავები შეუნახავს იმას სიკვდილამდის, წერილები, რომელიც იმას მიუღია ნაცნობთა და მეგობართაგან და სხვა-და-სხვა ოფიციალური მოხსენება და მოწერილობა“ [მეუნარგია, 1905, 33]. იონა მეუნარგია ბიოგრაფიას პოეტის მონათხრობსა და წერილებზე აგებს; მოჰყავს წერილები როგორც სრული სახით, ისე ფრაგმენტულად; მათ შორის, გრიგოლ ორბელიანის წერილები მარიამ დედოფლისა და მეგობარ თეოდორე გელშერტისადმი, ილია და ზაქარია ორბელიანებისადმი, სალომე ჭავჭავაძისადმი, მანანა და სოფიო ერისთავ-ორბელიანებისადმი, ლევან მელიქიშვილისა და ალექსანდრე საგინაშვილისადმი, მეფისნაცვლების - მიხეილ ვორონცოვისა და ალექსანდრე ბარიატინსკისადმი, მოსე არლუთინკისადმი, შამილისადმი და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1926 წელს ზუგდიდის მუზეუმს გადაეცა იონა მეუნარგიას არქივი, რომელიც განახევრებული იყო, გადარჩენილი ნაწილი კი დაზიანებული და ერთმანეთში არეული. მისი შესწავლა დიდ დროს საჭიროებდა. არქივში დაცული იყო გრიგოლ ორბელიანის წერილები და დღიურის ფრაგმენტი. „ეს

სწორედ პოეტის ის ბარათებია, რომელთაც მისი ბიოგრაფი თითქმის ოცი წლის განმავლობაში აგროვებდა პოეტის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში, მათი პირები გადაჰქონდა და დედნებს ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებს აბარებდა. შემდეგ მის შემგროვებელს ამ წერილების ერთ ტომად გამოცემა განუზრახავს, რისთვისაც ბევრი უზრუნია, რამდენიმე გამოჩენილ პირთა დახმარებითაც უბრძოლნია, მაგრამ მაშინდელ საცენზურო და სხვა მიზეზთა გამო მას გამოცემა არ ღირსებია“. - წერდა სოლომონ ცაიშვილი [ცაიშვილი, 1965, 148].

1922 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწულმა, ნიკოლოზ ერისთავმა გამოსცა პოეტის თხზულებების კრებული „ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“, სადაც დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი (25 ივლისი, 1835 წელი) და ეფემია ორბელიანი-ბარათაშვილისადმი (8 მარტი, 1847 წელი) [ბარათაშვილი, 1922, 242-244].

1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნდა პოეტის მიერ 1879 წელს ილია ჭავჭავაძისთვის გაგზავნილი 2 ბარათი [„ბახტრიონი“, 1922, N21].

1935 წელს კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ აკაკი გაწერელიამ შესავალი წერილითა და შენიშვნებით დაბეჭდა გრიგოლ ორბელიანის წერილები ილია და ქეთევან ორბელიანებისა და სიმონ შალიკაშვილისადმი [გაწერელია, 1935, 596-614].

1936-1937 წლებში, აკაკი გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, გამოიცა გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეული, რომელზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ. გამოცემამ გააერთიანა იმ დროისთვის მიკვლეული ყველა ქართული ბარათი, მაგრამ რამდენადაც ეს მასალა, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა საცავში იყო გაბნეული, შემდეგაც გრძელდებოდა ახლად გამოვლენილი წერილების ცალკეული პუბლიკაციები.

1938 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ აკაკი გაწერელიამ დაბეჭდა ახალმიკვლეული ბარათი სალომე დადიანი-მიურატისადმი [ორბელიანი, 1938, 4].

1941 წელს ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების კრებულში დაიბეჭდა ლუბა მეფარიშვილის სტატია „გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ“ [მეფარიშვილი, 1941, 204-205]. იმავე

წლის 23 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ სოლომონ ხუციშვილმა გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი [ხუციშვილი, 1941, 3].

1947 წელს სოლომონ ცაიშვილმა დაბეჭდა მწერლის უცნობი წერილები ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში [ხუციშვილი, 1947, 297-344].

1961 წელს ელენე აბრამიშვილმა გამოაქვეყნა პოეტის წერილები ივანე ანდრონიკაშვილისადმი ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში [აბრამიშვილი, 1961, III, 58-161].

1965 წელს გალაქტიონ სიხარულიძემ ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“ დაბეჭდა წერილები, რომლებშიც გრიგოლ ორბელიანი სწავლა-განათლების საკითხებზე საუბარობდა [სიხარულიძე, 1965, 36-38].

1966 წელს ლეილა ნანიტაშვილმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები ზაქარია და ილია ორბელიანებისადმი [ნანიტაშვილი, 1966, 76-178].

1967 წელს ნათელა იმედაძემ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტში“ დაბეჭდა პოეტის გამოუქვეყნებელი წერილები [იმედაძე, 1967, 3].

1968 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი [„მნათობი“, 1968, N8].

1969 წელს გურამ შარაძემ ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის წერილი მიხეილ ვორონცოვისადმი [შარაძე, 1969, 164-165], შალვა და გულნარა გოზალიშვილებმა კი - გაზეთში „Литературная Грузия“ რუსული წერილები მიხეილ ვორონცოვისადმი [Гозалишвили, 1969, 69-179]. ამავე წელს შალვა გოზალიშვილმა გაზეთ „კომუნისტში“ სათაურით დაბეჭდა მწერლის უცნობი წერილები [გოზალიშვილი, 1969, 4].

1973 წელს თინათინ ლეონიძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილებისადმი. როგორც პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს, ეს წერილები არ შესულა არათუ 1936-1937 წლებში გამოცემულ წერილების ორტომეულში, არამედ გამოსაცემად მომზადებულ III ტომის ბარათებშიც და მათი გაცნობის საშუალება

მისცა ორტომეულის შემდგენელ-რედაქტორმა, აკაკი გაწერელიამ [ლეონიძე, 1973, 4].

1975 წელს ნათელა იმედაძემ გამოსცა პოეტის წერილები სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში „ქურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ [იმედაძე, 1975, 358-369].

1978 წელს ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში „ქურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ ნათელა იმედაძემ დაბეჭდა ხელნაწერთა ინსტიტუტში, გრიგოლ ორბელიანის საქმეთა ფონდში დაცული, გამოუქვეყნებელი წერილების ფრაგმენტები შემდეგი ადრესატებისადმი: ალექსანდრე, სოფიო, ელისაბედ და ბაბაღე ორბელიანებისადმი; სალომე დადიანი-მიურატისა და ლევან მელიქიშვილისადმი [იმედაძე, 1978, 344-372].

§ 2. გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეული

გრიგოლ ორბელიანმა უმდიდრესი ეპისტოლური მემკვიდრეობა დატოვა. ამ მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის საქმეს კი, ისევე როგორც თხზულებების გამოცემას, უდიდესი ამაგი დასდო აკაკი გაწერელიამ. მან 1936 წელს გამოსცა პოეტის წერილების I ტომი, რომელშიც შევიდა 1832-1850 წლებში დაწერილი 157 წერილი, ხოლო 1937 წელს - II ტომი, რომელშიც გაერთიანდა 1851-1859 წლებში დაწერილი 226 ბარათი. ამრიგად, ორივე ტომში 383 წერილი დაიბეჭდა. წერილების უმრავლესობისთვის ეს გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო.

შესავალ წერილში გამომცემელი აღნიშნავს, რომ 1832 წლამდე ნაწერ ბარათებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ტომის ბოლოს დართულ დამატებით შენიშვნებში კი განმარტავს: `გრ. ორბელიანის არქივი საკმაოდ მდიდარია; ჩვენამდე მოღწეულა პოეტის ბარათების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კოლექციები... ჩვენამდე არ მოღწეულა ბევრი ბარათი პოეტისა. უპირველეს ყოვლისა, არ დარჩენილა პოეტის ყრმობის პერიოდის ბარათები, აგრეთვე წერილები 1833, 1837, 1838-1841 წლებისა (გამონაკლისს წარმოადგენს თითო-ოროლა ბარათი). უცნობია გრ. ორბელიანის მიმოწერა პეტერბურგს მცხოვრებ ბატონიშვილებთან და სხვ. დაკარგულია ზოგიერთი ბარათი, რომელიც ი. მეუნარგიას მონოგრაფიაში და ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში დაიბეჭდა~ [ორბელიანი, 1936, 313-314].

გამოცემაში მასალა ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული და

საფუძვლად უდევს პოეტის ბიოგრაფიის პერიოდიზაცია, რომელიც აკაკი გაწერელიას 1936 წელს წერილების ტომების გამოცემისას შეუმუშავებია და ლექსების თემატიკისა და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინებით პოეტის ცხოვრება სამ პერიოდად დაუყვია. I პერიოდი მოიცავს ყრმობისა და სიჭაბუკის წლებს, სამხედრო კარიერის დასაწყისისა და 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ხანას (1804-1832), II პერიოდი - პოლონეთში სამსახურის, სამშობლოში დაბრუნებისა და დაღისტანში სამხედრო მოღვაწეობის წლებს (1833-1857), III პერიოდი კი - თბილისში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის, 70-იანი წლების ლიტერატურულ პოლემიკაში მონაწილეობისა და პოეტის ცხოვრების დანარჩენ პერიოდს (1858-1883).

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ აკაკი გაწერელია წერდა: „გრ. ორბელიანის წერილები უფრო ცხოვრების დოკუმენტებია, ვიდრე პროფესიონალი მწერლის ბარათები. გრ. ორბელიანს, ალბათ, არც წარმოედგინა, თუ ისინი ოდესმე დაიბეჭდებოდა. ამიტომ სტილის სისუფთავისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ბარათები სავსეა ლექსიკური რუსიციზმებით, ზოგჯერ ვულგარული გამოთქმებითაც კი... წერილები უმთავრესად საინტერესოა მით, რომ ააშკარავებს უაღრესად საინტერესო ეპიზოდებით მდიდარ ცხოვრებას. გრ. ორბელიანის ბიოგრაფიაში ბევრია ისეთი შტრიხი, რომელსაც პირველად გადმოგვცემს წერილები და რომელსაც შეუძლია გაამდიდროს პოეტის მომავალი ბიოგრაფის ან კავკასიური ომის ისტორიის მასალაზე მომუშავე მწერლის ნაშრომები“ [ორბელიანი, 1936, XXIV-XXV].

აკაკი გაწერელიას გრიგოლ ორბელიანის ბარათების გამოცემა სამ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული. III ტომში ის ვარაუდობდა 1860-1883 წლების (სამოქალაქო პერიოდის) წერილების გამოქვეყნებას, აგრეთვე დამატების სახით იმავე ტომში გამორჩენილი, დაუთარიღებელი ბარათების დაბეჭდვას. ქართული წერილების შემდეგ, მკვლევარი გეგმავდა ქართულ ენაზე დაწერილი დღიურებისა და რუსულ ენაზე არსებული ოფიციალური და კერძო წერილების გამოცემას, რომელსაც სერიის IV-V ტომები დაეთმობოდა. გარკვეული მიზეზების გამო, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

აკაკი გაწერელიას მიერ პოეტის წერილების I ტომის გამოქვეყნება კონსტანტინე

გამსახურდიამ ამგვარად შეაფასა: „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება მე-19 ს. საქართველოს აზნაურობის ტრაგედიის მატანეა, იგი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქართული ლიტერატურის განსაზღვრულ ეტაპებსაც ჩინებულად ახასიათებს. ბარათების პირველი წიგნით საცნაური ხდება მისი მღელვარე ცხოვრების პირველი პერიოდი 1832-1850 წ. მე-19 ს. მწერალთა შორის ორ-სამ კაცს არ მოეპოვება ასეთი რთული ბიოგრაფია, როგორც გრ. ორბელიანსა ჰქონდა... ბარათები ბევრს არას მატებს ორბელიანის ლიტერატურულ სახელს, პირიქით, მისთვის სჯობდა, ბევრი რამ არც გამოქვეყნებულიყო. სამაგიეროდ, გრ. ორბელიანის ბარათები დიდი განძია მე-19 ს. საზოგადოების, ქართული აზნაურობის ბიუროკრატიული იერარქიის დამკვიდრების ისტორიის შესასწავლად...“ [გამსახურდია, 1936, 71-72].

გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომის გამოსვლას უცნაური ბედი დაჰყვა. სატიტულო ფურცელზე მითითებულია, რომ იგი გამოიცა კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით. მაგრამ წიგნის გამოსვლიდან სულ მოკლე ხანში, კოტე გორდელაძე - ჯერ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი, შემდეგ კი - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, დააპატიმრეს როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის ცენტრის აქტიური წევრობისა და, ლიდია გასვიანთან ერთად, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და ქართული ინტელიგენციისგან კონტრ-რევოლუციური ტროცკისტული ჯგუფების შექმნის ბრალდებით.

ცნობილია, რომ 1930-იან წლებში საბჭოთა ცენზურა განსაკუთრებით გამლიერდა და ტოტალური სახე მიიღო. 1936 წელს ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარმა სამმართველომ („Главлит“) ცენზურასთან დაკავშირებით გამოსცა ახალი ბრძანება, რომელსაც დაერთო ინსტრუქცია კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიევის ტერორისტულ ორგანიზაციაში ჩართული ავტორების ნაწარმოებების ბიბლიოთეკებიდან და წიგნების გავრცელების ქსელიდან ამოღების შესახებ. ბრძანებას ასევე ახლდა სია იმ ავტორებისა, რომელთა წიგნები და ბროშურები უნდა განადგურებულიყო. ამ დროიდან აიკრძალა „ხალხის მტრების“ ნაწარმოებების გამოცემა-გავრცელება და მათი მოხსენიება რაიმე სახით.

როგორც ჩანს, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით გამოცემული მწერლის წერილების I ტომის ტირაჟის ნაწილი სტამბიდან უკვე გასული იყო, რაც დაგვეხმარა წიგნის თავდაპირველი სახის აღდგენაში.

სრულყოფილია წიგნის შემდგენლის, აკაკი გაწერელიას ეგზემპლარი ავტოგრაფით, მიძღვნილი გერონტი ქიქოძისადმი, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის უნიკალურ წიგნთა ფონდში ინახება.

გიორგი შატბერაშვილის კუთვნილ წიგნში, რომელიც ასევე ლიტერატურის მუზეუმში, მწერლის პირად ბიბლიოთეკაშია დაცული, ამოჭრილია წინასიტყვაობა, ტიტულზე საღებავითაა დაფარული ცნობა: „წინასიტყვაობის ავტორი - კოტე გორდელაძე“. გამოსაშვებ ცნობებში გადამლილია რედაქტორის - კოტე გორდელაძის გვარი; ასევე სახელგამის კორექტორის - ალექსანდრე ლორდელის, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველოს უფროსის - ლიდა გასვიანისა და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის - პოეტ ნიკოლო მიწიშვილის გვარები, რომლებმაც 1936-1937 წლებში კოტე გორდელაძის ბედი გაიზიარეს.

გიორგი შატბერაშვილის ეგზემპლარში ამოჭრილია წიგნზე მომუშავე, აღნიშნული პირების მისამართით აკაკი გაწერელიას სამადლობელი სტრიქონები, რომელიც შესავალ წერილს ერთვოდა:

„რადგანაც პირველსა და მეორე ტომში შემავალი წერილები შინაარსის მხრით, ერთსადაიმავე ისტორიულ-გეოგრაფიულ არეშია მოქცეული, ჩვენ ვარჩიეთ ორივე ტომისათვის საერთო საძიებლები გავაკეთებინოთ მომავალში (საძიებლები დაიბეჭდება მეორე ტომში, იქვე იქნება მოთავსებული დადისტნის ისტორიული რუკა, რომელიც ამ წიგნში უნდა დაბეჭდილიყო).

ამ ტექნიკური სამუშაოს შეუსრულებლობა გამოიწვია აგრეთვე პირველი ტომის დაბეჭდვის ძალზე დაგვიანებამ.

გულითად მადლობას მოვახსენებ იმ პირთ, რომლებმაც ხელი შემიწვეეს წერილების გამოქვეყნების საქმეში: პოეტ ნ. მიწიშვილს, ლ. გასვიანს, კ. გორდელაძეს და შ. რადიანს, საქ. მუზ. თანამშრომელს გ. ბოჭორიძეს და ჩემს მეგობარს, ალ. ლორდელს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი შრომა აქვს გაწეული ამ წიგნზე“

(ორბელიანი, 1936, XXV).

აკაკი გაწერელის შესავალი წერილის „გრიგოლ ორბელიანის „წერილები“, როგორც ბიოგრაფიული მასალა“ ბოლო აბზაცი, რომელიც სამადლობელი სტრიქონების გვერდზე გადადიოდა, ამოჭრილია და წინა გვერდზეა დაკრული.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ ეგზემპლარს წინასიტყვაობა ერთვის, მაგრამ ავტორის გვარი წაშლილია. ტიტულზე გვარი გადარჩენილია. არსებობს ეროვნული ბიბლიოთეკის სხვა ეგზემპლარი და ბუკინისტისგან შეძენილი წიგნი, რომელშიც ამოჭრილია შესავალი, ტიტულზე და სამადლობელ სტრიქონებში საღებავით დაფარულია კოტე გორდელამის, ალექსანდრე ლორდელის, ნიკოლო მიწიშვილისა და ლილია გასვიანის გვარები.

ცნობილი ბიბლიოფილის, დამიანე ალანას, პირად ბიბლიოთეკაში, რომელიც ასევე გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება, დაცული ეგზემპლარი სრულყოფილია. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ ერთ-ერთ ეგზემპლარს წინასიტყვაობა ერთვის, მაგრამ ავტორის გვარი წაშლილია. აქვე სატიტულო გვერდზე გვარი შემორჩენილია. ეროვნული ბიბლიოთეკის სხვა ეგზემპლარსა და კერძო კოლექციაში დაცულ ბუკინისტისგან შეძენილ წიგნში ამოჭრილია შესავალი, ტიტულზე საღებავითაა დაფარული როგორც კოტე გორდელამის, ისე ტექნიკური სამუშაოს შემსრულებლების - ნიკოლო მიწიშვილის, ლილია გასვიანის და ალექსანდრე ლორდელის გვარები.

ექსპურგაციას გადარჩენილი ეგზემპლარებიდან შევძელით კოტე გორდელამის წინასიტყვაობის ამოკითხვა, რომელიც ასე მთავრდება: „გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს და დარწმუნებული ვართ, მისი გამოცემა სავსებით იქნება გამართლებული. ეს წერილები არის ერთ-ერთი საუკეთესო წყარო ყველა ისტორიკოსის და ლიტერატურული მკვლევრისათვის მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლის საქმეში“ [ორბელიანი, 1936, XIV].

პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის ორტომეულის გამოქვეყნების შემდეგ, 1938 წელს, მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობის შესახებ გიორგი ნადირაძე წერდა: „ამ წერილების გაცნობა დაგვარწმუნებს, რა დიდი ღირებულება აქვს ჩვენი

წარსულის შესწავლაში იმ მდიდარ ფსიქოლოგიურ მასალას, რომელსაც ისინი გვაწვდიან. საერთოდ წარსულის შემსწავლელი ისტორია დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. დღიურები, მემუარები, კერძო ბარათები და წერილები გვიხატავენ მწერალს შინაურობაში, ისე როგორც ის არის, აცოცხლებენ მას, სისხლსა და ხორცს ასხამენ წარსულის აჩრდილებს“ [გლსქლსმ, გიორგი ნადირაძის ფონდი, N27872-4].

§ 3. ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა და მისი მეცნიერული კონცეფცია

გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეულის შესახებ წერილში „გრიგოლ ორბელიანის წერილების სრულყოფილად გამოცემისათვის“, ელიზბარ უბილავა შენიშნავდა: „...„წერილების“ რედაქტორის, აკ. გაწერელიას ხელმოწერით მე-2 ტომის ბოლოს დართულია ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ ახლო ხანში გამოიცემოდა პოეტის წერილების მე-3 ტომიც და სამივე ტომის საერთო საძიებელი ცალკე დამატების სახით დაიბეჭდებოდა „წერილების“ მე-3 ტომში... მე-3 ტომი საერთოდ არ გამოცემულა და ცხადია, „პიროვნებათა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელზე“ ფიქრიც კი ფუჭი ოცნება აღმოჩნდა. უსაძიებლოდ, უწინასიტყვაობოდ, საარქივო წყაროების მიუთითებლად მარტო კომენტარების ამარად გამოცემული „წერილების“ ორტომეულით სარგებლობა წარმოუდგენელ სიძნელეს უქმნის ყველა იმას, ვინც ამ გამოცემას მიმართავს. ასე რომ, გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეული იმთავითვე არ აღმოჩნდა აღჭურვილი სრულყოფილი მეცნიერული აპარატით... ნუთუ არ დადგა დრო, გრიგოლ ორბელიანის წერილების სრულყოფილ მეცნიერულ გამოცემაზე ვიფიქროთ?“ [უბილავა, 1987, 3].

გრიგოლ ორბელიანის წერილების სრულყოფილად გამოცემა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. 2010 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ქეთევან გიგაშვილმა დაიწყო პროექტის „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“ განხორციელება. ამჟამად გამოცემულია 8 ტომი. I ტომი დაეთმო ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებს, II ტომიდან კი დაიწყო

გრიგოლ ორბელიანის წერილების ბეჭდვა. დღეისთვის გამოცემულია 7 ტომი, რომელიც მწერლის 727 წერილს აერთიანებს.

„ორბელიანის წერილების უმეტესობა დიდი ხნის დაწერილია, მაგრამ არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა და ამიტომაც კერძო კუთვნილება კი არ არის, არამედ მწერლობისა და საზოგადოების კუთვნილებაა, რომელიც მწერლობამ დიდ განმად უნდა მიიჩნიოს“ - ეს შეფასება მკვლევარ სოლომონ ცაიშვილს ეკუთვნის [ცაიშვილი, 1965, 143-144].

ტექსტების უმრავლესობა ავტოგრაფის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და ბევრი მათგანი პირველად გამოქვეყნდა. შესაბამისად, ჩატარებულია მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური კვლევები: ამოკითხვა, ატრიბუცია, დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია.

რუსული წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგ არის წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებითაა აღნიშნული ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს. შესაბამისად, მასალა აკადემიური პრინციპების მიხედვით არის მოცემული. ზოგადად, ეს გამოცემა წარმოგვიდგენს ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურად გამოცემის საინტერესო კონცეფციას და აქვს გამოსაცემი მასალის სპეციფიკასთან მაქსიმალურად მორგებული სამეცნიერო აპარატი.

გრიგოლ ორბელიანის წერილების ახალი, აკადემიური გამოცემა ხორციელდება ციფრულ ეპოქაში, როდესაც ჩვენ კვლევის უამრავი ახალი მეთოდი და ტექნოლოგია გვაქვს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ბევრად უფრო პროდუქტიულები ვიყოთ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს გამოცემა გამდიდრდა არა მხოლოდ გვიანდელი პერიოდის წერილებით, არამედ იმ წლების პირადი ბარათებითაც, რომლებიც, ქრონოლოგიის მიხედვით, 1936-1937 წლებში გამოქვეყნებულ ორტომეულში უნდა შესულიყო, მაგრამ არ იქნა შეტანილი.

აკაკი გაწერელიას შედგენილ და რედაქტირებულ ორტომეულში ძალიან ბევრი წერილია, რომელსაც ავტორის მიერ მითითებული ჰქონდა მხოლოდ თარიღი და არ იყო მიწერილი წელი. უმეტეს შემთხვევაში, გამომცემელს სწორად ჰქონდა დოკუმენტი დათარიღებული, მაგრამ არსად იყო არგუმენტირება იმასთან

დაკავშირებით, თუ რას ეყრდნობოდა ეს კვლევა. ამიტომ აკადემიური გამოცემის მომზადებლებს მოუხდათ არგუმენტების მოძიება და ვარაუდების გამყარება. ეს ფაქტობრივად ხელახალი დათარიღება იყო, რადგან რამდენიმე შემთხვევაში თარიღის კორექტირებაც გახდა საჭირო.

აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვანი კომპონენტია ტექსტის პასპორტი. თავად სახელდებაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასში მხოლოდ ფაქტობრივი და არა ინტერპრეტაციებზე დამყარებული, ან თუნდაც კვლევის შედეგად არგუმენტირებით მიღებული ინფორმაცია უნდა შედიოდეს.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომებში სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. გამოცემაში სრულყოფილადაა დაცული ავტორისეული სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსებია დაფიქსირებული. ტექსტებში არსებული, ავტორისთვის დამახასიათებელი, ენობრივად გაუმართავი ფრაზები არ არის ჩასწორებული.

პასპორტებში მოცემულია სრული ინფორმაცია წერილის შესახებ და იგი განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

ხელნაწერი/ავტოგრაფი: აქ მითითებულია, რა სახითაა წერილი მოღწეული - ავტოგრაფია თუ მისი ასლი, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნულია C, ცენტრალური არქივი A, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი - Z, ხოლო ლიტერატურის მუზეუმი - M ლიტერით.

თარიღი და ადგილი: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს ეს რუბრიკა;

ხელმოწერა: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: აქ მკითხველი ეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და სხვა.

ავტოგრაფის ან ასლის აღწერილობა: რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქაღალდზეა ბარათი დაწერილი, აქვს თუ არა ჭვირნიშანი ან დამლა, რა ფერის მელნით თუ ფანქრითაა შესრულებული, დაზიანებულია თუ არა, ან რესტავრირებული ხელნაწერი; არის თუ არა გადახაზული ან აღდგენილი ადგილები; ასლის შემთხვევაში, ავტორიზებულია თუ არა ის.

ადრესატის მისამართი: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. ზოგადად, გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. ასევე იშვიათადაა ადრესატის ადგილსამყოფელი წერილში დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი, ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებითაა აღდგენილი.

საკასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

შენიშვნები: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. ტექსტში სიტყვებთან ინდექსად მითითებული ციფრები შენიშვნებზე მიგვანიშნებს.

პირველი პუბლიკაცია: რუბრიკა გვამცნობს, პირველად რომელ გამოცემაში, როდის და რომელ გვერდზე დაიბეჭდა წერილი.

დათარიღება: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და წარმოდგენილია შესაბამისი არგუმენტები.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. თითოეული საკომენტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

ანბანური რიგი გვარების მიხედვითაა შედგენილი, სოციალური წოდების მქონე პიროვნებები წარმოდგენილნი არიან წოდებებისა თუ სოციალური კლასის ჩვენებით, მაგალითად, დედოფალი მარიამ, ბატონიშვილი თეკლა და სხვა. ქალები მოხსენიებულნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდით დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული - მაგალითად, ჭავჭავაძე-დადიანისა, ბაგრატიონი-ორბელიანისა და ა. შ. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვარით, მაგალითად, მაკალინსკისა. როდესაც არ არის დაზუსტებული პიროვნების ვინაობა, უცნობია გვარი ან სახელი, ის ტექსტური მონაცემებითაა წარმოდგენილი - მაგალითად, კომენსკი, კონსტანცია, ლევ პროკოფის ძე და ა. შ.

პირთა ანოტირებისას გამოცემა ეყრდნობა კომენტარებს. რამდენადაც პიროვნების ვინაობა აქ არის ახსნილი, საძიებელში პირთა სახელი მოცემულია არა ტექსტური, არამედ რეალური ფორმით - მაგალითად, არა როგორც „ნეიდლარდი“, არამედ „ნეიდგარდი“. საძიებლებში პირთა და გეოგრაფიულ სახელებს იმ შემთხვევაშიც აქვს გვერდები მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგალითად, „სიძე“, „და“, „ქალაქი“ და სხვა. გეოგრაფიული სახელების გვერდები მითითებულია იმ შემთხვევაშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია. როდესაც პიროვნება ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით (მაგ., ძალუა“), მხოლოდ სახელით (მაგ., „ქეთევანი“), მეტსახელით (მაგ., „ტატო“), სამხედრო წოდებით (მაგ., „გენერალი“) ან საქმიანობით (მაგ., „ანჩისხატის დეკანოზი“) არის მოხსენიებული, კვლევის შედეგად დადგენილი მისი სახელი და გვარი მითითებულია კომენტარებში, საძიებლებში კი იმ გვერდის აღმნიშვნელი ციფრი, სადაც ეს პიროვნება არის ნაგულისხმები, მიეთითება მისი გვარ-სახელის ანოტაციასთან. მაგალითად, გვერდი, სადაც „ანჩისხატის დეკანოზია“ ნახსენები, მიეთითება „ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი“-ს ანოტაციასთან.

საძიებელში გვერდების ნუმერაცია არ არის მიწერილი იმ შემთხვევებში, როცა

პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და ტექსტში ზუსტად არ ჩანს, ვისზეა საუბარი. წერილების გვერდები არ აქვთ ასევე მითითებული იმ ადრესატებს, ვის მიმართაც ბარათების უმრავლესობაა დაწერილი, მაგ., ზაქარია და ილია ორბელიანებს, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს, ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანს. მათ გვერდები აღნიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა წერილების მცირე ადრესატებს კი გვერდები ყველგან აღნიშნული აქვთ.

ანოტაციები არ ერთვის წარმომავლობის ცნობილ სახელებს, მაგალითად, ქართველი, რუსი, ბერძენი და ა. შ., წარმომავლობის სახელები მოცემულია მხოლოდ რიცხვში, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში შეიძლება მრავლობითში იყოს. სიტყვა შეიძლება მოცემული იყოს ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისგან პარალელური ხაზებით იმიჯნება.

ლექსიკონში გარდა ლიტერატურულისა, ასახულია სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვები.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის ტომების თანმხლები ტექსტოლოგიური რუბრიკები, მნიშვნელოვან და საფუძვლიან კვლევათა შედეგებს წარმოადგენს. ეს რუბრიკები გამოცემის განხორციელების პროცესში თანდათან იხვეწებოდა და საბოლოოდ მიიღო ისეთი სახე, რომელიც სრულყოფილად აკმაყოფილებს აკადემიური გამოცემის მოთხოვნებს.

§ 4. გრიგოლ ორბელიანის წერილების აკადემიური გამოცემის

ისტორიულ-კულტურული ღირებულება

გრიგოლ ორბელიანის, როგორც ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, ისე ერთ-ერთი საუკეთესო მწერლისა და ქართული კულტურის მოამაგის, შემოქმედება და მოღვაწეობა მრავალმხრივია და მჭიდრო კავშირშია XIX საუკუნის ქართულ ყოფასთან. მისი ეპისტოლური ნააზრევის თავმოყრით იქმნება ეპოქის არაჩვეულებრივი რეალისტური სურათი, ცოცხალი სახეებითა და ახლოდან დანახული მოვლენებით.

დაღესტანში სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, გრიგოლ ორბელიანი

სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის მართვაში. 1857 წლის ბოლოს ალექსანდრე ბარიატინსკიმ თბილისის საგენერალ-გუბერნატორო დაარსა იმ მიზნით, რომ გუბერნატორს მისი არყოფნის დროს მეფისნაცვლის მოვალეობა შეესრულებინა. ყველა ელოდებოდა, რომ ამ ადგილზე გენერალ ვრანგელს დანიშნავდა, მაგრამ მეფისნაცვალმა მოგვიანებით გრიგოლ ორბელიანი აირჩია. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის - ვასილი ინსარსკის ჩანაწერების მიხედვით, ბარიატინსკის თქმით, ასეთი არჩევანი განაპირობა იმან, რომ გრიგოლ ორბელიანი ქართველი იყო. ქართველი კი ვერასდროს იქნებოდა მეფისნაცვალი, რის გამოც არც ორბელიანი, არც მისი მეგობრები არასოდეს იოცნებებდნენ ამ ადგილზე [Инсарский, 1897, 436].

1859 წელს, პეტერბურგიდან დაბრუნებული გრიგოლ ორბელიანი, პირველად 2 თვით ასრულებდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას, 1860-1862 წლებში - მეორედ, ხოლო 1864 წელს - მესამედ. რძლისადმი, ბარბარე გრუზინსკაია ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს ისიც, რომ 1865 წლის აპრილში, მიუხედავად მისი სამართლიანი უარისა, ის კვლავ დაინიშნა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 26].

ამ პერიოდში მწერალი ხშირად უგზავნიდა წერილებს კავკასიის ყოფილ მეფისნაცვლებს - ალექსანდრე ბარიატინსკისა და მიხეილ რომანოვს. ეს ვრცელი მოხსენებები თუ მოკლე შეტყობინებები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კავკასიასა თუ ზოგადად რუსეთის იმპერიაში განვითარებული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულებაზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი 1861-1862 წლებში გაგზავნილ წერილებში მწერალი დაწვრილებით აღწერს სამხრეთ და დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებს, დამორჩილებულ ჩეჩენ-ინგუშებთან ურთიერთობების სტაბილიზაციას, მთიელთა შორის მიწების განაწილების საკითხს. ბევრ მოხსენებაში მსჯელობს აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე და აღნიშნავს აფხაზეთის ოფიცერთა კომისიის შექმნის მნიშვნელობას: „მიზეზთა გამო, რომლებიც განმარტებულია ჩემს წინა წიგნში, ვერ შედგა აფხაზთა მხრიდან კნიაზ შარვაშიძის მეთაურობით მოქმედებებისათვის განზრახული მოძრაობა ოტრიადისა. ხოლო

ოტრიადის ნაცვლად ჩუენ შევქმენით კომისია რაოდენიმე აფიცრისაგან, რომლებიც უყოყმანოდ მიიღო შარვაშიდემ თავის განსაკუთრებულ მფარველობის ქუემ... ამ კამისიას, სხუათა შორის, დაეკისრა ძალზედ სახიფათო დავალება: სუხუმიდან მთებზე გადასვლა და შეძლებისდაგუარი მიმოსვლის გახსნა კავკასიის ჩრდილოეთთან. მესმის მთელი საშიშროება, რომელიც ემუქრებათ ამ აფიცრებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კნიაზ შარვაშიდის გავლენა იქაურ ტომებზედ და ჰასან-მარგანის პიროვნება, დაიცავენ მათ მთიელთა მტრული თავდასხმებისაგან გზაზე“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 142-143].

გრიგოლ ორბელიანი აქტიურად იყო ჩართული საგლეხო რეფორმის მომზადებაში. ის იყო ავტორი რეფორმის ერთ-ერთი პროექტისა, რომელიც „უმცირესობის პროექტის“ სახელითაა ცნობილი. „უმრავლესობის პროექტისგან“ განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებდა გლეხის გათავისუფლებას უმამულოდ, გრიგოლ ორბელიანი, თავად-აზნაურობის მცირე ჯგუფის მხარდაჭერით, ითხოვდა გლეხს მიეღო საქონელი და უძრავი ქონების ნაწილი. ის საგლეხო საკითხის მიმდინარეობას ხშირად აღწერს წერილებში. ერთ-ერთი ბარათით მეფისნაცვალს აცნობებს, რომ მან აუცილებლად მიიჩნია თბილისში გუბერნიის ყრილობის ჩატარება, რასაც ბევრი ყაყანი, კამათი, უგნური პროექტების წარდგენა და მაზრის კომიტეტების შექმნის მიმართ საშინელი უნდობლობა მოჰყვა და ბოლოს თავადაზნაურობა ორად გაიყო [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 136-147].

სხვა ადრესატებისადმი წერილებშიც ჩანს გრიგოლ ორბელიანის წუხილი და ზრუნვა საგლეხო საქმის მიმდინარეობასა და თავად-აზნაურთა მდგომარეობაზე. საინტერესო მსჯელობაა ბატონ-ყმობის თაობაზე იოანე ანდრონიკაშვილისათვის 1863 წლის 28 იანვარს გაგზავნილ წერილში: „ჩუენმა ბატონყმობის საქმემ, როგორცა მოველოდი, ისე მიიძინა მშვიდობიანად... ახლა რა უნდა მოვახსენოთ ველიკის კნიაზსა? ამ ორის წელიწადში აბა რა ვქენით? - რადგანაც ჩუენ ვერ შევძელით ამის აღსრულება, მეშინიან, რომ მმართველობამ არ შეადგინოს კომისია და არ დაგვიწერონ პოლოჟენიე კაცთა, რომელთაცა არ იციან ზედმიწევნით ჩუენი და ჩუენის გლეხების მდგომარეობა და ერთმანეთის დამოკიდებულება. კახელებსა გქონდათ დიახ კარგი ჰაზრი და გყუანდათ აღმორჩეულნიცა პირნი, გამოჩენილნი გონებითა და კეთილშობილურის ხასიათითა და ქცევითა, რომელთაცა შეეძლოთ

დაბოლოება ამა ძნელისა საქმისა, რაღათ შეჰსცუალეთ ესრეთ დაწყობილება?.. ახლა ხომ კიდევ უნდა შევიყარნეთ, კიდევ უნდა უსარგებლოდ ვიყაყანოთ, ვისიც ხმა უმეტესად ღრიალებს, იმისი უნდა ისმოდეს! - როდემდის?“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 163-164].

მეტად საყურადღებოა მეფისნაცვალთან, მიხეილ რომანოვთან, 1865 წელს პეტერბურგში გაგზავნილი წერილები, რომლებიც მრავალ საკითხს აზუსტებს და ნათელს ჰფენს. გრიგოლ ორბელიანი დიდ მთავარს პერიოდულად დაწვრილებით აცნობებს საქართველოს გუბერნიებში არსებულ მდგომარეობას, სარკინიგზო სამუშაოების, მაზრებში სასოფლო სამმართველოების გახსნის, ჩეჩნების გადასახლების, არსენალის მშენებლობის მიმდინარეობას [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 31-35].

1865 წლის რამდენიმე წერილში, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი და სანდო ისტორიული დოკუმენტებია თბილისის ამქართა აჯანყების მიმდინარეობის შესასწავლად, გრიგოლ ორბელიანი თანმიმდევრობით აღწერს გადასახადებისგან შევიწროებული თბილისელი ხელოსნების ბუნტს, რომელიც მისი ბრძანებით ჩახშვეს. წერს, რომ მუდამ მშვიდობიანი თბილისი გადასახადების შესახებ ხმებმა ააფორიაქა; ის, ვიცე-გუბერნატორ ნიკო ჭავჭავაძესა და პოლიცემისტერთან ერთად, ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ქალაქისთავის სახლი გამარცხეს, მოკლეს გადასახადების შემკრები ბაშბუუქ-მელიქოვი, რის გამოც იარალის ძალას მიმართა და სისხლი დაიღვარა. აქებს გენერლებსა და პოლკოვნიკებს, რომლებიც დაეხმარნენ შფოთის სწრაფად ჩახრობაში; მეფისნაცვალს არწმუნებს, რომ ამ სამწუხარო ამბავში პოლიტიკური მიზანი არ ყოფილა. მოჰყავს იმავე საკითხზე ვორონცოვისა და პასკევიჩის მაგალითები და სთხოვს, სანამ მოსაკრებლის საქმე ქალაქის სასარგებლოდ არ გადაწყდება, მოსახლეობას ნება დართოს, ბეგარა ძველი წესით შეიტანონ, რადგან ხალხს არ ძალუძს ერთბაშად გადაიხადოს ყველა გამოსაღები [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 40-44].

ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი უფრო ღიად და გულწრფელად ჩანს არა ოფიციალური პირებისთვის, არამედ ახლობლებისათვის გაგზავნილ პირად წერილებში. ეს წერილები ოფიციალისა და გარკვეული შეზღუდვებისგან თავისუფალია. ამ ტიპის ბარათებში კარგად იკვეთება, როგორ

აღიქვამს მწერალი სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენას. თბილისის არეულობის ამბავს გრიგოლ ორბელიანი მიმოიხილავს ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანთან 1865 წლის 25 ოქტომბერს გაგზავნილ წერილშიც. ადრესატს ატყობინებს, რომ მოსკოვისა და სხვა გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველო იქცა შფოთისთავ ავაზაკთა ბუნაგად და პოლიტიკური პარტიები ცდილობენ სომხური, ქართული და თათრული სამეფოების დამოუკიდებლობის მოპოვებას და საფრანგეთის გავლენას განიცდიან, სიმართლეს არ შეესაბამება. ფიქრობს, რომ მიხეილ კატკოვს, რომელსაც არ შეუწყაველია კავკასიის არმიის სახელოვანი საქმეები, ხელს აძლევს, რომ ქართველები მოღალატეებად შერაცხოს. „რას ნიშნავს მთელი ეს ალიაქოთი ჩუენს გაზეთებში, მთელი ეს ლანძღვა ხალხებისა, რუსეთში რომ ჰცხოვრობენ? ლანძღვენ ნემცებს, - პოლიაკებზე ხომ არცა ღირს ლაპარაკი, ლანძღვენ მუსლიმებს, რომელთაც ოდენ მეეტლეობა თუ ძალუძთ, და კიდევ მათვე ემუქრებიან მართლმადიდებლებად გაქცევთო. ეს სალანძღავი მუქარები შეესატყვისება კი საღს პოლიტიკას და არ ვარდება აქაური უზენაესი ხელმძღვანელობა უხერხულს მდგომარეობაში მუსულმანებთან დაკავშირებით, რომელნიც ჰცხოვრობენ სივრცეებზედ თვით ტფილისის აბანოებიდამ ვიდრე წყნარი ოკეანის ნაპირებამდინ? და ძალუძს კი დიდს კნიაზს ტახტის ერთგულება ითხოვოს ხალხისგან, რომლის რელიგიაც თვით უნდა გაანადგუროს? ახლა სომეხთა და ქართველთა გინება დაიწყეს. რომელი ერიღა დაშთა რუსეთში შეულანძღავი? პრესის თავისუფლება ხომ ამისთვისაა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 65-66].

ადრესანტი მსჯელობს რუსეთის დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ. პარადოქსად მიაჩნია, რომ საქართველოში სურდათ სომეხთა სამეფოს პოვნა, უარყოფდნენ ვორონცოვის დამსახურებას და ეძებდნენ ნაპოლეონის გავლენას. იგი ფიქრობდა, რომ კავკასიაზე გავლენა შეუძლია იქონიოს მხოლოდ იმ ძალამ, რომელსაც ძალუძს მუდმივი არმია შემოარტყას მას. ბევრი მტერი ჰყავდა საქართველოს, მაგრამ ქვეყანა ვერ გაანადგურეს. მხოლოდ რუსეთს შეეძლო თავისი მდგომარეობით დაეპყრო კავკასია, დიდი მსხვერპლისა და ძალისხმევის შედეგად. დარწმუნებულია, რომ შფოთი მხოლოდ ახალი გადასახადების გამო მოხდა, რადგან გამოსვლას პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია, არავისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა, არც ამქრებს ჩაუყვანიათ თუშები და ხევსურები ქალაქში და არც

დიდგვაროვნებს ჰქონდათ ჩაფიქრებული დავით ჭავჭავაძის მეთაურობით მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა.

გრიგოლ ორბელიანის წერილში სოფიო ბაგრატიონი-ორბელიანისდმი ვრცლად არის განხილული საქართველოს სასწავლებლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენის განდევნის პრობლემა. მწერალი აღშფოთებულია, რომ საქართველოში აღარ იქნება საჭირო ქართული ენის ცოდნა, ქართველებმა არ უნდა ილოცონ ქართულად, სემინარიაში აღარ უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა, რადგან ვითომ არ გვაქვს მდიდარი ლიტერატურა. განსაკუთრებით აშფოთებს მღვდელი ხელაძის თავგამოდებული და მჭევრმეტყველური მტკიცება, რომ საქართველო ბედნიერი და წარმატებული იქნება, როდესაც ქართული ენის სახსენებელი გაქრება: „საქართველოში ურიები, თათრები, სომხები, ლოტრანები, ილოცვენ თავიანთ ენაზე და არავინ არის დამშლელი მათი, თვით ფრანგებიც კი ქართულს ენაზე ჰგალობენ, და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულის ენაზე ლოცვა! რათა? აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა! და ან საქართველოსა, ერთგულების მეტი, რა დაუშავებია, რომ ესოდენსა სხუადასხუა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად?“ [სცსსა, ფონდი 5, აღ. 1, საქმე 7515-ა, 117].

გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება ქართული ენისა და ზოგადად კულტურისადმი კარგად ჩანს არაერთ წერილში. ეკატერინე ჭავჭავაძისადმი 1869 წლის 1 ივლისს მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ პოეტი გაკვირვებული და გახარებულია ანჩისხატში წირვაზე ქართული გალობის მოსმენის გამო და ადრესატს ევედრება, თავის მხარეში მაინც შეინარჩუნოს და არ გააქროს ქართული გალობა, რომელსაც ერი ათასი წლის მანძილზე ისმენდა. აცნობებს, რომ ქართული ენის მოყვარულებს დიდი გეგმები აქვთ, ძველ ქართულ წიგნებს აბეჭდვინებენ და იმედოვნებს, რომ ამ კეთილ საქმეში ეკატერინე და მისი შვილებიც შეეწევიან. იქვე დასძენს: „ქართული წერილი იყო სამასის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუკი არ განჰქრა და მამა-პაპათა ჩუენთა დაიცუეს იგი დროსა საშინელის გაოხრებისა, დატყუვებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩუენის მამულისა, ეხლა ჩუენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდის მოწყალეს ხელმწიფის მფარველობის ქუემ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩუენი? ვის რა დაუშავდება, რომ სხუათა ენათა შორის

იყოს ჩუენიცა ცოცხალ?“ [გიგაშვილი-ნინიძე, 2018, 236-238].

სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა ეტაპზე, გრიგოლ ორბელიანი მსახურობდა რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ირანში. პირად წერილებში ფართოდ არის წარმოჩენილი მისი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურისადმი, განსაკუთრებით კი კულტურის არამატერიალური ასპექტებისადმი, როგორცაა ცხოვრების წეს-ჩვეულებები, ღირებულებები, იდეები და სხვა.

პოეტი ხშირად წერს ევროპის ხალხების კულტურაზე და პარალელს ავლებს ქართულ კულტურასთან. იგი აღფრთოვანებულია გერმანელთა განათლებით, ხელმომჭირნეობით, წესრიგითა და სიფაქიზით. მანანა ორბელიანისადმი წერილში აღნიშნავს, რომ ისინი „ფილოსოფიურ სულთა მპყრობელნი სათამაშოდ აღიქვამენ ყოველივე იმას, რაიც სხვებს ახალისებს და ხიბლავს. ისინი ცხოვრობენ გონებითა და არა გულითა; სწორედ ამიტომაც მათს მხიარულებას, ყველაზე ხმაურიანს, უდის სურნელი რაღაცნაირის მედიდურობისა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 49]. ახალდაქორწინებულ ძმას ურჩევს, რომ ოჯახი გერმანული ანგარიშით მართოს და ხარჯი არ გადაამეტოს შემოსავალს, რადგან ამ კანონის დარღვევა იწვევს მრავალ უბედურებას. გერმანელი ქალების შესახებ წერს, რომ, თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან, მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ბევრად უსწრებენ ქართველ ქალებს. მწერალი აკვირდება ევროპელების შრომისა და დასვენების წესებს და ნატრობს, რომ ქართველებმაც ასე გამართულად იცხოვრონ. ფიქრობს, რომ ამის მატერიალური შესაძლებლობა საქართველოშიც ბევრს აქვს, მაგრამ განათლება არ გვეყოფნის - „ჯერ უშკოლონი და უბიბლიოტეკონი ვართ“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ა, 42].

მწერალი განათლების შესახებ ხშირად მსჯელობს სხვადასხვა ადრესატისადმი მიმართულ წერილებში. მას ქვეყნის განვითარების და გადარჩენის ერთ-ერთ უპირველეს სასუალებად ახალგაზრდების სწორი აღზრდა-განათლება მიაჩნია. განსაკუთრებით ზრუნავს მემკვიდრე ძმისწულის - გიორგი ორბელიანის მომავალზე. რძალს, ბარბარე გრუზინსკაია-ორბელიანს სწერს: „ჟენევა განსაკუთრებით მომწონს; ვგონებ, ეგ ერთადერთი ადგილია ევროპაში, სადაც ადამიანს შეუძლია იცხოვროს მშვიდად, პოლიტიკური ქარიშხლებისგან განრიდებით, და დარწმუნებულ ვარ, რომ

შეირჩა სუკეთესო ადგილი გიორგის აღზრდისათვის გონებრივისა თუ სულიერის მხრივ. ჩემის ჰაზრით, უნდა შეიცვალოს სწავლების სისტემა, რომელსაც აქამომდის მისდევდნენ ტფილისსა, ანუ რასაც რუსულად ასწავლიდნენ, იმასვე ასწავლიდნენ ფრანციულად და ამგუარად იკარგებოდა ბევრი დრო. ჩემი ჰაზრი კი ეს არის, რომ მეცნიერებები ისწავლებოდეს რუსულად, ხოლო უცხო ენებზედ - მხოლოდ სიტყვიერება... მაგრამ უწინარეს ყოვლისა მეცნიერებისა, მის გულში დაამკვიდრე რელიგიური გრძნობა... რწმენის გარეშე, მეცნიერებებს ადამიანისათვის მოაქვთ მხოლოდ ტანჯვა [გიგაშვილი, ნინიძე, 2017, 185]. რძლისადმი სხვა წერილში აღნიშნავს, რომ გერმანიის, შვეიცარიისა და ინგლისის სასწავლებლები საუკეთესო განათლებას აძლევს ახალგაზრდებს და ზრუნავს მათ ზნეობრივ და სულიერ განვითარებაზე. ამიტომ ურჩევს, რომ მისმა ვაჟმა მოსკოვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა აუცილებლად გააგრძელოს ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში. „მე მსურს, რომ გიორგის ნორჩი გული განიმსჭვალოს რელიგიურის მრწამსით, ურომლისოდაც ვერ ჰპოვებს კაცი ბედნიერებას სიცოცხლეში. მე მინდა, რომ ჩემი ძმისშვილი იყოს საუკეთესო ქართველი, ევროპული მეცნიერებით განათლებული და შეურყვნელი უახლესი ფრანციცული ფილოსოფიის იდეებითა“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 84].

წერილებიდან ჩანს, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნის დროს გრიგოლ ორბელიანი რეგულარულად დადიოდა საოპერო წარმოდგენებზე და ტკბებოდა ევროპული მუსიკით. სამხედრო სამსახურის მიუხედავად, მწერალი ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა თბილისის კულტურულ ცხოვრებას და, თუ მონაწილეობას ვერ მიიღებდა, საქმის კურსში მაინც ყოფილიყო, რა ხდებოდა. 1850 წელს თავად მიხეილ ვორონცოვს მისთვის გაუგზავნია თბილისში გამართული თეატრალური წარმოდგენის „აფიშკა“ და გრიგოლი წერილით შეეცადა, ძმისგან, ილია ორბელიანისგან, ამ მოვლენის შესახებ მეტის გაგებას: „ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქართული კამედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო, გთხოვ, გამომიგზავნო ეგ კამედია, რომელიცა არ წამიკითხავს“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2012ბ, 139].

პოეტი ბარათებში ხშირად გადმოსცემს თბილისში მიმდინარე კულტურული მოვლენებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს. ჟენევაში მყოფ რძალს ქალაქის ამბებს და ეამაყება ამგვარი პროგრესი: „ტფილისი მხიარულობს მთელის ძალითა: მუშთეიდს

რუსული თეატრია, მონპლეზირში სეირნობანი, სანსუსში აგრეთვე რუსული თეატრია. ხომ მართლაც საოცარი პროგრესია?“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 151]. ნიკო ჭავჭავაძეს კი დაღესტანში სწერს: „...ქალაქის ამბებში გართული კაცი ვერ მოიცლის, მეტადრე ქართულის ხასიათით დღეს, ხვალ, და ამასთან ოპერა, კასტელი, რუსის თეატრი, ცირკი, ვეჩერები, და უფრო და უფრო კლუბი, ახალი კლუბი, რომლისა მზგავსი არა შედგენილარა თბილისში: მშვენივრად მორთული სახლი, დარბაისლების საზოგადოება, დიდკაცური სადილები, უცხო და უცხო ღვინოები სხუა და სხუა ქვეყნებიდან გამოწერილები - ახალი ქართული გახლავს - სადილს უკან ბოსტონ-იარალაშები, ბეზიკ-ბილიარტები და სხუანი და სხუანი...“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 151].

გრიგოლ ორბელიანა არაერთხელ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება და ემოცია მხატვრობის მიმართ როგორც წერილებში, ისე დღიურის სახის ჩანაწერებში. ეკატერინა კარცოვასადმი წერილში აღწერს ივანე აივაზოვსკის ნამუშევრებს; აღტაცებულია კავკასიის ხედებით, რომელიც ერმიტაჟში უნდა გამოიფინოს. სასურველად მიაჩნია, რომ ერმიტაჟში კავკასიის ხედების განყოფილებაც შეიქმნას და ყველა ნახატი ერთად განთავსდეს. ადრესატს აცნობებს, რომ აივაზოვსკის სურს არარატის, კახეთისა და ყირიმის მონახულება, გრიგოლი კი ურჩევს მას, ნახოს კახეთი, რადგან დასანანი იქნება, თუ მხატვარი ალაზნის ველის სანახავად დროს ვერ გამონახავს [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 229].

პოეტი ხშირად წერს ევროპული კულტურის შესახებ, მაგრამ ასევე ხიბლავს აღმოსავლური ხელოვნება; ხშირად სტუმრობს იტალიურ ოპერას, მაგრამ ესწრება ირანელი მომღერლის - ალასათარას ბენეფისსაც; აღფრთოვანებულია ირანელი პოეტის - საადის პოეზიით და თავის ძმას უგზავნის მისი ლექსის რუსულ თარგმანს, თან აღნიშნავს, რომ კიდევ უფრო მშვენიერი იქნებოდა ირანული ორიგინალი [გიგაშვილი, ნინიძე, 2014, 25].

1866 წელს სპარსეთის შაჰის, ნასერ ალ-დინ შახ კაჯარის, მიწვევით გრიგოლ ორბელიანი ერთი თვით იმყოფებოდა ირანში. წერს, რომ ირანის გამგებელი ბევრად უფრო განათლებულია თავის თანამემამულეებზე, სწავლობს ფრანგულს და აპირებს ევროპაში მოგზაურობას. ქართველ მწერალს უკვირს ის პატივი, რომლითაც მიიღეს და შაჰის თანდასწრებით ჯდომის უფლებაც კი მისცეს [გიგაშვილი, ნინიძე, 2018, 97-

98]. შვიდი წლის შემდეგ ნასერ ალ-დინ შახ კაჯარმა მართლაც იმოგზაურა ევროპაში. როდესაც ორბელიანმა შეიტყო, რომ ბრიტანეთიდან სამშობლოში მიმავალი შაჰი თბილისში გაივლიდა და სამი დღით დარჩებოდა, შეაწუხა იმაზე ფიქრმა, როგორ უნდა მოეხერხებინათ მისი გართობა მას შემდეგ, რაც ევროპამ აჩვენა საკვირველი სანახაობა, რომელიც შეუქმნია სწავლასა და ხელოვნებას, ძლიერებასა და სიმდიდრეს, გემოვნებასა და მორთულობას.

როგორც ვხედავთ, იმ წერილებში, რომლებიც გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემაში იბეჭდება, უამრავი საინტერესო ინფორმაციაა დაცული იმჟამინდელი როგორც ქართული, ისე საერთაშორისო მოვლენების შესახებ. ამიტომ ამ გამოცემას, გარდა მეცნიერულისა, განუზომელი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობაც აქვს.

§ 5. დღიურების გამოცემის პრაქტიკა

მწერალთა თხზულებების სრულ გამოცემებში იბეჭდება მათი დღიურებიც. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო 25-ტომეულში, რომლის მომზადებაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, პოეტის დღიურებმა 11 ტომი შეადგინა [ტაბიძე, 2006-2008]. ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა სრული კრებულის ელექტრონულ გამოცემაში მწერლის დღიურებიც შევიდა [Hugo, 2015]. ზოგჯერ ცალკე წიგნადაც გამოდის გარკვეული პერიოდის დღიურები, მაგალითად, ასე გამოიცა ფრიდრიხ ნიცშეს 1880-იანი წლების გამოუქვეყნებელი დღიურები, რომლებშიც კარგად ჩანს მისი ფილოსოფიური აზრების ჩამოყალიბების პროცესი [Nietzsche, 2017].

2016 წელს ედინბურგის უნივერსიტეტმა გამოსცა ცნობილი ინგლისელი მწერლის - ქეთრინ მენსფილდის სრული კრებულის მეოთხე ტომი, რომელშიც მოთავსებულია დღიურები და სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები. მენსფილდის დღიურები ადრეც არაერთხელ გამოცემულა ნაწყვეტების სახით, მაგრამ ეს არის პირველი მეცნიერულად დაზუსტებული და ქრონოლოგიურად დალაგებული გამოცემა, რომელსაც ახლავს კომენტარები ისტორიული, კულტურული და ბიოგრაფიული კონტექსტუალური დეტალების შესახებ. მასალაში დაცულია

მწერლის ლექსები, წერილები, ილუსტრაციები და დაუსრულებელი ტექსტები [Mansfield, 2016].

დღიურის ჟანრი მე-18 საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება საქართველოში. ამ ფორმის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ნიმუშად მიიჩნევა სულხან-საბა ორბელიანის მიერ აღწერილი 1713-1716 წლების მოგზაურობა ევროპაში, რომლითაც ქართულ მწერლობაში მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი დამკვიდრდა. მწერალი აღწერს კონსტანტინოპოლის, მარსელის, პარიზის, რომის, სამხრეთ იტალიის ქალაქების ღირსშესანიშნაობებს, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ჰავას, მოსახლეობის საქმიანობას, საყოფაცხოვრებო მხარეებს, პოლიტიკური წყობილების ფორმას, მმართველობის წესებს. აღსანიშნავია ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა და რუსეთში ალექსანდრე V-ს ელჩის - ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ნაწარმოები „მიმოსვლა“, სადაც მიტილენის, იზმირის, ხიოსის, კონსტანტინოპოლის, კვიპროსისა და ათონის მთის შესახებ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები გვხვდება.

ვახუშტი ბატონიშვილის პირველი თხზულებაა მოგზაურობის ჟანრის „პეტერგოვის აღწერა“, რომელშიც გადმოცემულია რუსეთის მეფეთა საგაზაფხულო რეზიდენციის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებანი. ამ ჟანრის თხზულებებიდან ცნობილია გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“, გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი“, გაბრიელ რატიშვილის „მცირე რამ მოთხრობა როსიისა“, იონა გედევანიშვილის მიერ ჩაწერილი 1782-1892 წლებში რუსეთსა და ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები თხზულებაში „მიმოსვლა ანუ მგზავრობა ქმნილი გედეონოვ სარდალ გაბრიელის მის იონა მიტროპოლიტისა“ და სხვა.

§ 6. გრიგოლ ორბელიანის დღიურების გამოცემის ისტორია

წერილებისაგან განსხვავებული ბედი ხვდა წილად გრიგოლ ორბელიანის დღიურებს. 1832-1839 წლებში ჩაწერილი დღიურები არ უნახავთ არა მხოლოდ მწერლის თანამედროვეებს, არამედ თავად ავტორსაც, რადგან მათი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი კი ჩამოართვეს 1832 წლის შეთქმულების შემდეგ. სოლომონ ცაიშვილის ცნობით, პოეტს იონა მეუნარგიასთვის უთქვამს: „სამჯერ დამელუპა ჩემი

დღიურები. ერთხელ ღონში ჩავცვინდით და კინალამ მეც დავიხრჩვი. მეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს, უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დამეკარგა. მესამეჯერ გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს“ [ცაიშვილი, 1940, 385].

მოგზაურობის ჟანრს განეკუთვნება გრიგოლ ორბელიანის დღიური „მოგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“. იგი ლიტერატურულად დამუშავებული ნაწარმოებია, რომელიც ავტორს სამგზავრო შენიშვნების საფუძველზე დაუწერია, შემდეგ კი გაუსწორებია და სტილისტურად დაუხვეწია. „მოგზავრობა“ პოეტის 1831-1832 წლების დღიურის პირველი ნაწილია, დანარჩენი ნაწილი კი ავტორს ვეღარ დაუმუშავებია. ის, როგორც დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი, 1830-იანი წლების ქართული დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშია.

„მოგზავრობაში“ მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ავტორის საუბარს გენერალ ივანე აფხაზთან, რომელიც მას პირველად არდონის ციხეში შეხვდა. ეს დიალოგი, რომლის თემაა საქართველოს პოლიტიკური ვითარება და მისი განთავისუფლების გზები, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა როგორც გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გასაგებად, ისე 1832 წლის შეთქმულთა პროგრამის ზოგიერთი ასპექტის გასაცნობად. გრიგოლ ორბელიანის აზრით, „საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ, იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ, არცა დაჰკლებოდეს... ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისა“ [ორბელიანი, 1959, 172-173]. გრიგოლ ორბელიანისა და ივანე აფხაზის დიალოგში დაპირისპირებულია ორი თვალსაზრისი - საქართველოს დამოუკიდებლობისა და არსებულ ვითარებასთან შეგუების. საუბარში გადმოცემულია შეთქმულთა ჯგუფების შეხედულებათა და იდეათა სხვაობა.

გრიგოლ ორბელიანის დღიურიდან ფრაგმენტები პირველად 1905 წელს იონა

მეუნარგიამ გამოაქვეყნა მონოგრაფიაში „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“. ავტორი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ორბელიანმა თავისი დღიურები დაკარგა, როდესაც გადასახლებაში მიმავალი მოსამსახურესთან ერთად დონში ჩავარდა, მაგრამ „ერთი პატარა დღიური პოეტისა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ მის ქაღალდებში და რომელიც ეკუთვნის იმ დროებს, ნათლად წარმოგვიდგენს ორბელიანის მაშინდელს ყოფა-ცხოვრებას“ [მეუნარგია, 1905, 31]. წიგნში მოყვანილია 1836 წლის 5 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე წარმოებული დღიურის ჩანაწერები კუპიურებით.

1928 წელს პავლე ინგოროყვამ მიაკვლია გრიგოლ ორბელიანის დღიურს „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ და ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა პირველი ცნობები მის შესახებ, რომელსაც დაურთო დღიურის ფრაგმენტები [ინგოროყვა, 1928, 244-253], 1940 წელს კი დაბეჭდა დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი [ინგოროყვა, 1940, 69-84]. 1936 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების ორტომეულის I ტომის შენიშვნებში აკაკი გაწერელიამ შეიტანა რამდენიმე ფრაგმენტი მოსკოვისა და პეტერბურგის შთაბეჭდილებებიდან. დღიურის უცნობი ნაწილი ჯუმბერ ჭუმბურიძემ გამოაქვეყნა 1946 წელს ჟურნალ „მნათობში“ [ჭუმბურიძე, 1946, 115-134]. იმავე ჟურნალში მოგზაურობის დღიურის ერთი თავი „მოსკოვის აღწერა“ დაბეჭდა მ. გოცაძემ 1956 წელს [გოცირიძე, 1956, 172-180], კიდევ ერთი გამოუქვეყნებელი ნაწილი კი - ვანო შადურმა წერილში „გრიგოლ ორბელიანის პეტერბურღი“ 1957 წელს [შადური, 1957, 169-177].

1958 წელს ჯუმბერ ჭუმბურიძემ წიგნში „ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ისტორიიდან“ გამოაქვეყნა გრიგოლ ორბელიანის დღიურების ფრაგმენტები [ჭუმბურიძე, 1958, 345-328].

მწერლის დღიურები სრულად გამოქვეყნდა 1959 წელს აკაკი გაწერელიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქციით დაბეჭდილ მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში. როგორც აღვნიშნეთ, აკაკი გაწერელია 1936-1937 წლებში გამოცემული წერილების ორტომეულის შემდეგ გეგმავდა გრიგოლ ორბელიანის ქართულ ენაზე დაწერილი დღიურებისა და რუსულ ენაზე არსებული ოფიციალური და კერძო წერილების გამოქვეყნებას, რომელსაც სერიის IV-V ტომები დაეთმობოდა, მაგრამ

გამოცემა შეწყდა.

ჯუმბერ ჭუმბურიძე გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის წინათქმაში აღნიშნავს: „გრიგოლ ორბელიანს... უწარმოებია დიდი ერუდიციითა და ფართო ინტერესებით აღბეჭდილი დღიურები, რომლებშიც გამოვლინდა როგორც ავტორის პირადი შთაბეჭდილებანი და მისწრაფებანი, ისე ეპოქისათვის დამახასიათებელი განწყობილებები და ტენდენციები... წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი მნიშვნელობის დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორცაა გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ [ორბელიანი, 1959, 194-195].

1959 წლის გამოცემაში დაიბეჭდა 1831-1832 წლის დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ (I და II ნაწილები), 1836 წლის დღიური და 1839 წლის დღიურის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი.

პირველი დღიური მწერალს უწარმოებია 1831 წლის 9 ივნისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე, როდესაც მან მთავარსარდალ პანკრატიევის ბრძანებით კავკასიის კორპუსის რჩეული ჯარისკაცები საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისთვის პეტერბურგში წაიყვანა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, 1833 წელს ნოვგოროდში მყოფი გრიგოლ ორბელიანი გაჩხრიკეს და სხვა ნაწარმოებებთან ერთად დღიურიც ჩამოართვეს, რომელიც შეთქმულების მასალებთან ერთად რუსეთის ჟანდარმერიის არქივში მოხვდა.

დღიურის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ ავტოგრაფები საქართველოს ეროვნული არქივის ორ ფონდშია დაცული. მწერალს ის გზადაგზა და შავად უწარმოებია, ერთ ფურცელზე სხვადასხვა დროის ჩანაწერები და მინაწერები განუთავსებია. ამას დაერთო რუსეთის ჟანდარმერიის არქივში მწერლის სხვა ნაწარმოებებთან ერთად მისი არათანმიმდევრულად აკინძვა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გასაგები ხდება, რომ ტექსტის მთლიანი სახის აღდგენა რთული და შრომატევადი საქმე იყო.

წიგნის შენიშვნებში ჯუმბერ ჭუმბურიძე წერს: „უნდა შევნიშნოთ „მგზავრობისა“ და, საერთოდ, ჩვენს მიერ აქ გამოქვეყნებული პროზაული ტექსტების შესახებ: რამდენადაც გრ. ორბელიანის ნაწერების გამოცემა მასობრივი ტირაჟით გადაწყდა,

ამიტომ აუცილებელი აღმოჩნდა სრულ აკადემიურ პუბლიკაციაზე ხელი აგველო და დადგენილ ტექსტში ზოგიერთი ცვლილება შეგვეტანა, კერძოდ, უარყოფილი იქნა არქაული ორთოგრაფია, რომელსაც ავტორი ძირითადად იცავს. ამის შედეგად შევცვალეთ ხმარებიდან ამოღებული ასოები: უმარცვლო უ, ზ, ჯ, ზ, მ, ზ, ჭ. ასევე შევცვლილი იქნა ასომთავრულები, რომლებითაც გრ. ორბელიანი ზოგჯერ იწყებს საკუთარ სახელებს (მაგალითად, იესო, ირაკლი, ივერია), ანდა საპატიო წოდების აღმნიშვნელ სიტყვებს (იმპერატორი და სხვ.) იშვიათად ასომთავრულს იყენებს სათაურისა და აზნაურის დასაწყისშიც). ავტორი უმეტესად ხაზგასმით წერს პირთა და გეოგრაფიულ სახელებს. ჩვენს გამოცემაში ამის ჩვენებაც არ მოხერხდა ასეთ აღნიშვნათა სიმრავლის გამო...“ [ორბელიანი, 1959, 517-518].

მკვლევარი აღნიშნავს, რომ გამოცემაში ზუსტადაა დაცული სტილი და მართლწერა, მაგრამ გასწორებულია კალმისმიერი შეცდომები, პუნქტუაცია, დეფისით დაწერილი კომპოზიტები და რთული ზმნები უდეფისოთაა მოცემული, ასევე, ერთად დაწერილი შემასმენელი და რა კავშირი ან სახელი და თანდებული ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ოთხკუთხედ ფრჩხილებში აღდგენილია შემოკლებული სახელების დაბოლოებები და ადგილები, გახსნილია ქარაგმები.

1959 წლის გამოცემაში შემდგენელი და რედაქტორი აკაკი გაწერელია აღნიშნავდა: „გრიგოლ ორბელიანის ნაწერების ახალი, აკადემიური გამოცემა ემყარება ავტოგრაფებსა და პირველ ბეჭდურ გამოცემებს... მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანის ნაწერების გამოცემის საქმეში დღემდე ნამდვილი ანარქია ყოფილა გამეფებული...“ [ორბელიანი, 1959, 454]. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული, ახლავს სამეცნიერო აპარატი და შენიშვნები, ამ კრებულს, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, აკადემიურ გამოცემად ვერ მივიჩნევთ.

თხზულებების აკადემიური გამოცემა აერთიანებს მწერლის მთელ მემკვიდრეობას: მხატვრულ, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, პირად და ოფიციალურ წერილებს, განცხადებებს, დღიურებსა და ჩანაწერებს, კონსპექტებს, მინაწერებს წიგნებსა და რვეულებზე, წარწერებს ნაჩუქარ წიგნებსა და ფოტოებზე, ჩანახატებს, საქმიან ქაღალდებს და სხვა. აკადემიურ გამოცემაში შედის დაუმთავრებელ-დაუმუშავებელი თხზულებები, ნაწყვეტები, რედაქციები, ვარიანტები, ყრმობისდროინდელი ნაწერები, თანავტორობით თუ უცხო ენაზე დაწერილი

ნაწარმოებები, თარგმანები. ამ სახის გამოცემაში სრულად უნდა იყოს დაცული მწერლის ენობრივი ნორმები, შენარჩუნებული უნდა იყოს სტილი, ორთოგრაფია, პუნქტუაციის თავისებურებები.

აქედან გამომდინარე, ტექსტოლოგიის თანამედროვე ამოცანების გათვალისწინებით, 1959 წლის გამოცემა უნდა მივაკუთვნოთ კრიტიკული გამოცემის მეორე ტიპს - მეცნიერულ გამოცემას, სადაც ტექსტი აკადემიურად მზადდება, მაგრამ არ არის საჭირო მწერლის ნაწარმოებებიდან ყველაფრის შეტანა; შეზღუდულია შენიშვნები და კომენტარები; შესაძლებელია, სრულად არ იყოს მოცემული ვარიანტები და მხოლოდ სავალდებულოა, ნაჩვენები იყოს ძირითადი ვარიანტული ცვლილებები. ამ ტიპის გამოცემაშიც არ უნდა იყოს დარღვეული მწერლის ენობრივი ფორმები.

1959 წლის გამოცემაზე დაყრდნობით, 1989 წელს სილოვან ნარიმანიძის რედაქტორობით, გამოქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის თხზულებების კრებული „საღამო გამოსაღმებისა“. ამ გამოცემაშიც ლექსებთან, თარგმანებთან, მხატვრულ ესკიზებთან და კრიტიკასთან ერთად წარმოდგენილია 1831-1832 და 1836 წლის დღიურები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულსაც არ ახლავს ისეთი სამეცნიერო აპარატი, რომელიც დააკმაყოფილებდა აკადემიური გამოცემის მოთხოვნებს.

§ 7. დღიურების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია და მისი მეცნიერული ღირებულება

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა დღემდე არ არსებობს. ამიტომ საჭირო გახდა მისი საგამომცემლო კონცეფციის შემუშავება თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების მიხედვით. დღიურის ჟანრთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ის მკვეთრად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოებებისგან და გამოცემოსაცემად განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს.

აკადემიური გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მწერლის თხზულებების მომავალ აკადემიურ გამოცემაში დღიურები უნდა დაიბეჭდოს ისეთი სახით, როგორც ავტორის ხელიდან გამოვიდა, სტილისტური თუ ორთოგრაფიული ჩარევის გარეშე. თითოეულ ტექსტს უნდა დაერთოს სამეცნიერო აპარატი

პასპორტით, რომელშიც მითითებული იქნება წყაროები და მათი აღწერილობა, ტექსტოლოგიური შენიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების პირველი პუბლიკატორი პავლე ინგოროყვა ჩანაწერების იმ ნაწილს, რომელშიც აღწერილია მგზავრობა თბილისიდან სტავროპოლამდე (1831 წლის 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე) და რომელიც მწერალმა რუსეთში ყოფნისას გადაათეთრა, უწოდებს „მგზავრობას“ და გამოყოფს შემდეგი ნაწილებისგან, ე. წ. „მოსკოვისა და პეტერბურგის პერიოდის“ დღიურებისგან. მკვლევარი წერს: „ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიურები დასდებია, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათს ანიჭებს“ [ინგოროყვა, 1940, 88].

ჩვენი აზრით, მკვლევარის ამგვარად გამიჯნულ მასალას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. ისინი ერთი მთლიანი დღიურის ნაწილებია, როგორც ქრონოლოგიურად, ისე შინაარსითა და განწყობილებებით. მათში დაწვრილებითაა გადმოცემული იმ პერიოდში მწერლის მიერ ნანახი და გაგონილი. გრიგოლ ორბელიანი ვრცლად აღწერს ქალაქებს, ისტორიულ ძეგლებს, ხალხის ადათ-ჩვეულებებს, ისტორიასა და კულტურას. რუსეთში მყოფი პოეტი გადმოსცემს ქართველ ბატონიშვილებთან საუბარს საქართველოს მდგომარეობაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე. აღწერს რუსული სპექტაკლებისა და იტალიური ოპერის ნახვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებსა და მსჯელობს ზოგადად ხელოვნების მნიშვნელობაზე.

დღიურში შეუფარავადაა გამომჟღავნებული მწერლის პოლიტიკური პოზიცია. მეფის რუსეთის საწინააღმდეგო განწყობა ნათლად ჩანს გენერალ ივანე აფხაზთან საუბარში. დღიურის ავტოგრაფში ეს და სხვა ადგილებიც ხაზჩამოსმულია და მიწერილი აქვს - „Перевод“, რაც ცხადყოფს, რომ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისია ამ დიალოგით დაინტერესებულა და მთლიანად უთარგმნიათ. ჯუმბერ ჭუმბურიძე აღნიშავს: „თვით პოეტს ერთ-ერთი ჩვენების დროს საგამომძიებლო კომისიისთვის განუცხადებია, რომ საკუთრივ რუსეთის ისტორიისა და ძეგლების დაწვრილობით აღწერას ის მიზანი ჰქონდა, რომ მე მსურდა თანამემამულეებისთვის გამეცნო რუსეთის სიძლიერე, რაც თავისთავად ჩანს

გვირგვინების აღწერიდან, რომლებიც რუსეთმა მოიპოვა და რომლებიც საჭურვლის პალატაში ინახებო. და თუ ჩემს კეთილგანზრახვას ყოველთვის შესაფერისად ვერ ვასრულებ, - განაგრძობს გრ. ორბელიანი, - ყოველ შემთხვევაში იქ სამსახურში მყოფ და აღზრდილ ქართველთაგან მე ვარ პირველი, რომელმაც ეს ღირსშესანიშნაობანი აღვწერეო“ [ორბელიანი, 1959, 102-103].

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ 1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისიის მიერ დღიურებზე გაკეთებული მინაწერები აღნუსხული იყოს აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატში.

ჯუმბერ ჭუმბურიძის აზრით, 1836 წლის დღიური 1834 წელს დონში ჩავარდნისას დაკარგული დღიურების გაგრძელება უნდა იყოს, თუმცა თარიღებს შორის 2-წლიანი სხვაობა გვაფიქრებინებს, რომ ამ წლებში, სავარაუდოდ, მწერალს სხვა დღიურებიც უნდა ეწარმოებინა, რომლებსაც ჩვენამდე ასევე არ მოუღწევია და, შესაბამისად, 1836 წლის დღიური 1834 წლის დღიურის გაგრძელება ვერ იქნება.

1836 წლის დღიური 5 ივლისიდან 14 დეკემბრამდე მგზავრობის პერიოდს მოიცავს. მწერლის მოგზაურობა იწყება სოფელ კლაუსცუციდან და მთავრდება დინაბურგში ჩასვლით, სადაც ის ჰოსპიტალში წვება. მგზავრობის მიზანი, როგორც ავტორი აღნიშნავს, ხან საბრძოლო მანევრებია, ხან კი - მათი ბატალიონის მიერ პოლონეთიდან ჩასული ახალწვეულების გაცილება დინაბურგამდე.

დღიური საყურადღებოა იმიტომ, რომ მასში ვრცლადაა აღწერილი გადასახლებაში მყოფი პოეტის ცხოვრების ეპიზოდები, გამოკვეთილია 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით გამოწვეული პოლიტიკური თვალსაზრისი და სოციალური შეხედულებები. ისევე როგორც წინა დღიურში, მწერალი აქაც დაწვრილებით ინიშნავს მისთვის საინტერესო და ღირსშესანიშნავ ამბებს, აკვირდება ადამიანების ხასიათსა და ფსიქოლოგიას.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების წინა გამოცემებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ცალკეული ჩანაწერის აღსაქმელად, უმჯობესი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან უფრო მკვეთრად გამოყოფა. რამდენადაც უმრავლეს შემთხვევაში ჩანაწერს არ უძღვის წინ სრული თარიღი და მხოლოდ რიცხვია მითითებული, სასურველია, ყოველი ჩანაწერის წინ კვადრატულ ფრჩხილებში იყოს მოცემული თვე, რიცხვი და წელი. ტექსტის ამგვარად დაყოფა, მოსახერხებელი იქნება როგორც

მკითხველისთვის, ისე მეცნიერებისთვისაც ტექსტის შედარებით იოლად საკვლევად.

აკადემიური გამოცემის სპეციფიკა მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ საკვლევო მასალა მეცნიერულად იყოს შესწავლილი, არამედ იმაშიც, რომ სამეცნიერო აპარატიც სწორად იყოს სტრუქტურირებული. ჩვენი აზრით, გრიგოლ ორბელიანის დღიურების ახალ აკადემიურ გამოცემასაც, მისი წერილების მსგავსად, სჭირდება კარგად ორგანიზებული რუბრიკები. აუცილებლად უნდა იყოს მოცემული ტექსტოლოგიური შენიშვნები, რომლებშიც ასახული იქნება გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით ავტოგრაფში არსებული სწორებები და მექანიკური შეცდომები. ასევე უნდა იყოს მოწესრიგებული ტექსტოლოგიური კომენტარები. სასურველია, რომ ისინი იყოს მაქსიმალურად ამომწურავი.

ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწერის დრო და ადგილი დღიურების ტექსტებში თითქმის ყოველთვის შიგნითვეა მითითებული. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ცალკეული ჩანაწერების შესრულების დროისა და ადგილის რუბრიკებად გამოტანა საჭირო არ არის. საკმარისია წყაროს შესახებ მოტანილ ინფორმაციასთან დღიურების ამ ციკლის ფართო თარიღის მითითება. დღიურებისთვისაც, ისე როგორც წერილებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებისა და ლექსიკონის დართვა.

1959 წლის გამოცემაში დღიურების შენიშვნებში გეოგრაფიული პუნქტების განმარტებები არ არის მოცემული, იმ მოტივით, რომ ისინი შედის მოხსენებულ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების შემადგენლობაში. საფუძვლად აღებულია იმდროინდელი გეოგრაფიული დაყოფა, რაც ართულებს კონკრეტულ შემთხვევაში მწერლის ადგილსამყოფლის დადგენას.

ვფიქრობთ, ანოტირებისას მეტი ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ნაკლებად ცნობილი პირებისა და გეოგრაფიული ადგილების შესახებ. ცნობილ ტოპონიმებსა და ისტორიულ პირებზე საკმარისი იქნება მხოლოდ მოკლე ინფორმაციის შეტანა, რომელიც მკითხველს დაეხმარება მათ იდენტიფიცირებაში.

პირთა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც ტექსტში ძველი ან განსხვავებული მართლწერით გვხვდება, როგორც კომენტარებში, ისე საძიებლებლებში აუცილებლად უნდა ჰქონდეს მითითებული თანამედროვე

შესატყვისები და მართლწერა.

როგორც უკვე ვთქვით, დღიურებში ჩანს არა მხოლოდ მწერლის გადაადგილება ერთი გეოგრაფიული პუნქტიდან მეორეში და მიღებული შთაბეჭდილებები, არამედ საინტერესო შეხვედრები, საუბრები და შეხედულებები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. აქ არის მოსაზრებები როგორც კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოვლენების, ისე ქვეყნის ისტორიასა და სამომავლო პერსპექტივების, სხვადასხვა კუთხის ტრადიციებისა და რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონების ცხოვრების შესახებ. გრიგოლ ორბელიანის დაბადებიდან 150 წლის შესრულების გამო აკაკი გაწერელიას ლექციის სტენოგრამაში ვკითხულობთ: „პეტერბურგში ქართველ ბატონიშვილებთან უსაუბრნია არა მხოლოდ მოცარტსა და როსინზე, არამედ (და უმთავრესად) ძველი საქართველოს პოლიტიკური რესტავრაციის საკითხებზეც; ჯიბით უტარებია არა მარტო ჯარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგმანიც დეკაბრისტი პოეტის რილევის ნაწარმოებისა „ნალივაიკოს აღსარება“ (ნოვგოროდში გაჩხრეკისას უპოვეს იგი); ჩვეულებრივ დღიურებს გარდა ფარულად უწერია პატრიოტული ლექსები და პოლიტიკური დღიურიც „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“, რომელშიაც ავტორი აშკარად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ნაციონალური რეგულარული ჯარის შექმნის იდეას“ [გაწერელია, 1950, 5].

დღიურების გამოცემის ის კონცეფცია, რომლის შესახებაც ამ ქვეთავში გვქონდა საუბარი, საფუძვლად დაედება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებულ ორტომეულს, რომელშიც შეტანილი იქნება გრიგოლ ორბელიანის მხატვრული და დოკუმენტური ნაწერები, პირადი წერილების გარდა, რადგან ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა უკვე ხორციელდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში.

დასკვნები

პირადი წერილები და დღიურები ისეთი სახის დოკუმენტური წყაროებია, რომლებიც ყველაზე მრავალმხრივად წარმოაჩენს ავტორის შინაგან სამყაროს, მის დამოკიდებულებას როგორც ახლობლების, ნაცნობებისა და კოლეგებისადმი, ისე სხვადასხვა თემის, ისტორიული პირებისა და მოვლენებისადმი. ისინი გვაწვდის ყველაზე სარწმუნო ინფორმაციას ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, ბიოგრაფიისა და ბიობიბლიოგრაფიის შესადგენად, ცხოვრებისა და შემოქმედების საკვლევად. წერილებსა და დღიურებში იკვეთება არა მხოლოდ ავტორის, არამედ ეპოქის სახეც. ამიტომ მათით ინტერესდებიან როგორც კონკრეტული ავტორის მოღვაწეობის მკვლევრები, ისე წყაროთმცოდნეები და ისტორიკოსები.

ტექსტის სწორად ამოკითხვა და ზუსტი ტრანსკრიპტის შედგენა ერთ-ერთი უმთავრესი ტექსტოლოგიური ამოცანაა. ტექსტოლოგი იკვლევს დათარიღების საკითხს, ახდენს მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციას და კომენტარს უკეთებს რთულად გასაგებ თითოეულ პასაჟს. წერილებისა და დღიურების მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება, როცა მათი ტექსტები მეცნიერულად დაზუსტებული და დათარიღებულია, მოხსენიებულ პირთა ვინაობა გარკვეული და ყველა რთულად გასაგები პასაჟი კომენტირებული. ამგვარი კვლევები ფუნდამენტური ხასიათისაა და მათი თავისთავადი ღირებულების გარდა, საფუძვლად ედება ისტორიულ-კულტურული ხასიათის შემდგომ ძიებებსაც. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში დათარიღდა რამდენიმე ათეული წერილი და მოხდა მათში მოხსენიებული ათობით პირის იდენტიფიცირება.

გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა განსაკუთრებით მდიდარია ეპისტოლური ჟანრის თხულებებით. მან საინტერესო და ენობრივ-სტილური თვალსაზრისით დახვეწილი ეპისტოლური მემკვიდრეობა დატოვა. მრავალმხრივი მოღვაწისა და პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ირეკლება ქართული ყოფის არაერთი ისტორიულ-კულტურული ასპექტი. ამიტომ მისი წერილები სავსეა განცდებით, ემოციებით, პირადი შეხედულებებითა და იმ პერიოდის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეული მსჯელობებით. ამასთან ერთად, გრიგოლ ორბელიანს

ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა დღიურების წარმოებაც. იგი თავადაც წერდა დღიურებს და სხვებსაც ურჩევდა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ფუნდამენტურად შესწავლილი და აკადემიურად გამოცემული იყო გრიგოლ ორბელიანის წერილების 6 ტომი. ასევე გამოქვეყნებული იყო დღიურების უდიდესი ნაწილიც, მაგრამ შესასწავლი და გასარკვევი რჩებოდა კიდევ ბევრი რამ და საჭირო იყო კვლევის გაგრძელება. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე აკადემიურად მომზადდა გრიგოლ ორბელიანის წერილების კიდევ ორი (VII-VIII) ტომი (იხ. დანართი N23) და დღიურები მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემისთვის. ამოკითხულ იქნა არაერთი ტექსტის რთულად გასაშიფრი ადგილი, დათარიღდა წერილები, ჩატარდა პირთა იდენტიფიკაცია და სხვა ტექსტოლოგიური სამუშაოები.

კვლევისათვის გამოვიყენეთ უახლესი ციფრული ტექნოლოგიები, ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი მეთოდები. ხელნაწერებზე მუშაობისას რთულად ამოსაკითხი ადგილების დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივმა მეთოდმა. პირთა იდენტიფიკაციისთვის ძირითადად ვიყენებდით - ისტორიულ-შედარებითი და კორპუსული კვლევის მეთოდებს, საკომენტარო მასალის ანალიზისათვის - ინდუქციურ, დედუქციურ და შემოქმედებით მეთოდებს.

გრიგოლ ორბელიანის წერილობითი მემკვიდრეობა მოიცავს როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ჟანრის ტექსტებს და ასახავს ავტორის არა მხოლოდ შემოქმედებით მოღვაწეობას, არამედ სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ამ ნაწერებშიც, ისევე, როგორც წინააღმდეგობებით აღსავსე მის ცხოვრებაში, ერთდროულად ირეკლება ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის ნოსტალგია, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა, ქვეყნის განათლებასა და კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა; მეორე მხრივ კი, რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობაში მონაწილეობა და იმპერიის ერთგული სამსახური.

გრიგოლ ორბელიანის ორიგინალურ მხატვრულ მემკვიდრეობას შეადგენს რამდენიმე ათეული ლექსი და პოემა „სადღეგრძელო“. მხატვრული პროზა მას არ

შეუქმნია, მაგრამ თარგმნილი აქვს როგორც ლექსები, ისე რამდენიმე მოთხრობა. შემორჩენილია პუბლიცისტური ხასიათის დოკუმენტური და ზეპირი გამოსვლის ტექსტებიც.

გრიგოლ ორბელიანი ავტორია მრავალი საქმიანი და პირადი წერილისა, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია ბარათებმა 1832 წლიდან გარდაცვალებამდე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც გრიგოლ ორბელიანმა დაიწყო მოღვაწეობა, დოკუმენტური ჟანრებიდან ყველაზე პოპულარული იყო სწორედ პირადი მიმოწერა და დღიურები. საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველი ინტელიგენციის დოკუმენტური ნააზრევის არეალმა პუბლიცისტიკაში გადაინაცვლა, მანამდე კი, როდესაც ქვეყანაში ჟურნალ-გაზეთები ან საერთოდ არ გამოდიოდა, ან მათი ნაკლებობა იყო, პირადი წერილები და დღიურები იკავებდა ამ ნიშას.

ავთენტური ტექსტის დასადგენად ბეჭდურ წყაროთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს. მათი აღნუსხვა ხდება აკადემიურ გამოცემებში და მათზე დაყრდნობით წარმოებს როგორც ტექსტოლოგიური, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები.

გრიგოლ ორბელიანის ლექსებისა და თარგმანების ბეჭდვა პირველმა ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა“ დაარსებისთანავე, 1852 წელს, დაიწყო. „ცისკრის“ გარდა, ლექსები ქვეყნდებოდა ჟურნალებში - „საქართველოს მოამბე“, „კრებული“, „ივერია“ და გაზეთ „ივერიაში“. გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლეში მისი თხზულებები სამჯერ გამოიცა ცალკე წიგნად: 1871 წელს „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ გამოაქვეყნა პოემა „სადღეგრძელო“, 1873 წელს პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით გამოიცა გრიგოლ ორბელიანის ლექსების პირველი კრებული. ლექსების მეორე გამოცემა ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს 1879 წელს.

გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა შეკრებასა და მათ გამოცემაზე ზრუნვა მწერლის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. 1936-1937 წლებში აკაკი გაწერელიამ ორ ტომად გამოსცა გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილები, რომლებმაც ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ გამოცემა შეწყდა და მკითხველისათვის უცნობი დარჩა ეპისტოლეთა უდიდესი ნაწილი, რომელიც ამ ორ ტომში ვერ მოხვდა.

1959 წელს გამქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული.

წინასიტყვაობაში აღნიშნული იყო, რომ ეს წიგნი გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის პირველი გამოცემაა, რომელშიც თავმოყრილია იმ დროისთვის ცნობილი ყველა პოეტური და პროზაული ნაწარმოები და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად გამოქვეყნდა. ეს კრებული გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებების აკადემიურად გამოცემის პირველი მცდელობაა და წინა გამოცემებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილი და მეცნიერულ-კრიტიკულია.

2010 წლიდან ხორციელდება პროექტი - XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა. ტომეულში გრიგოლ ორბელიანს ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა. გამოქვეყნებულია მისი წერილების 7 ტომი და დარჩენილი მასალა, სავარაუდოდ, შეადგენს კიდევ 3 ტომს. ამ გამოცემაში შესული 100 ქართული და 229 რუსული წერილი პირველად გაიცნო საზოგადოებამ, მკვლევართა მიერ დათარიღდა 156 წერილი და დადგინდა არაერთი პირის ვინაობა.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეხება დოკუმენტურ ჟანრებს - წერილებსა და დღიურების ჩანაწერებს. დოკუმენტურს მიეკუთვნება ლიტერატურის ყველა ნაირსახეობა, გარდა მხატვრული ლიტერატურისა. დოკუმენტური ჟანრებისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტური სტილი. მასში აღწერილია რეალური ფაქტები და მონაწილეობენ რეალური პირები. ყოველივე ამის გამო, დოკუმენტური ჟანრის ტექსტებს ფასდაუდებელი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. თუ მხატვრული ნაწარმოები ხელოვნების ქმნილებაა და ამ თვალსაზრისით განეკუთვნება კულტურის სფეროს, დოკუმენტურ თხზულებებში პირდაპირ ირეკლება ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა მიმართულება: ცოცხალი სამეტყველო ენა, წიგნიერებისა და განათლების დონე, ყოველდღიური ყოფა, წეს-ჩვეულებები, რელიგიური ტრადიციები, სოციალური დიფერენციაცია, ინფორმაცია სხვადასხვა ინსტიტუციის შესახებ, ხელოვნების დარგების განვითარების მდგომარეობა, სამზარეულო, ჩაცმულობა და სხვა.

ტერმინი ეპისტოლე თავდაპირველად ეწოდებოდა ისეთ წერილს, რომელიც არა რომელიმე ერთი პირისადმი იყო მიმართული, არამედ ფართო საზოგადოებისადმი. ამის საუკეთესო მაგალითია „ახალ აღთქმაში“ შემავალი ეპისტოლეები. მოგვიანებით მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და ეპისტოლურ ჟანრს მიეკუთვნა

პირადი წერილებიც.

პირადი მიმოწერის მიზანი ადრესანტის მიერ ადრესატისთვის ინფორმაციის მიწოდება იყო, მაგრამ რამდენადაც წერილობითი დოკუმენტი უძლებს დროს, მოხდა ისე, რომ ამავე ინფორმაციის მიღების საშუალება ეძლევათ საუკუნეების შემდეგ და სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ ადამიანებსაც. ამიტომ პირად წერილებს განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების გაცოცხლება.

დღიურები, პირადი მიმოწერისაგან განსხვავებით, ერთ პიროვნებაზეა მთლიანად ორიენტირებული. მისი ადრესანტიც და ადრესატიც ტექსტის ავტორია, ამიტომ ის ყველაზე დიდი გულწრფელობითა და შეუზღუდაობით გამოირჩევა. დღიურში ავტორს შეუძლია ისაუბროს ყველაზე მეტად საკრალურსა და დაფარულზე. დღიურისთვის დამახასიათებელია ყოველდღიური რეალურ-ყოფითისა და წარმოსახვით-მხატვრულის სინთეზი. ამიტომ ბუნებრივია, რომ დღიურები ფართო ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გაცოცხლების გარდა, ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული ეპოქის ადამიანთა ფსიქოტიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე, კულტურაზე, განათლებასა და ინტერესებზე.

დღიური აერთიანებს ფრაგმენტულ ჩანაწერებს, რომლებსაც ავტორი რეგულარულად აწარმოებს თავისთვის და უმეტეს შემთხვევაში მიუთითებს თარიღს. არსებობს საქმიანი და პირადი, მოგზაურობის, ყოფითი და ლიტერატურული დღიურები. განსაკუთრებული ღირებულებისაა ცნობილი ადამიანების ან მათთან დაკავშირებული პირების დღიურები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიის გარდამტეხ პერიოდებს.

მწერლის პირადი განცდები, ფიქრები და შეხედულებები აისახება როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე რეალისტურ პროზაში – დღიურებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ეს სხვადასხვაგვარი ტიპის ტექსტები გვებმარება არა მხოლოდ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილად აღქმაში, არამედ ცალკეული შემოქმედებითი პროცესების რეკონსტრუქციაშიც.

გრიგოლ ორბელიანმა საინტერესო და ენობრივ-სტილური თვალსაზრისით დახვეწილი ეპისტოლური და დღიურის ჟანრის მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეს ნაწერები საოცრად გულწრფელია. ისინი სავსეა განცდებით, ემოციებით, საინტერესო

აზრებით, ღრმა განზოგადებული მსჯელობებითა და ხატოვანი სახეებით. ხშირად მკაფიო და შესამჩნევია, როგორ სცდება ნარატივი პირადი მიმოწერის საზღვრებს და ლამობს პუბლიცისტურში ან მხატვრულში გადასვლას. გარდა ამისა, ინფორმაციული დატვირთულობა კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისთვის.

გრიგოლ ორბელიანის წერილების წყაროების მოძიებისა და შესწავლის მიზნით მივმართეთ იმ არქივებსა და ხელნაწერთა საცავებს, სადაც ეს წყაროები გვეგულეობდა ან შეიძლებოდა ყოფილიყო. წერილების დიდი ნაწილი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, შედარებით მცირე ნაწილი - ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში; რამდენიმე წერილის ავტოგრაფი, ასლი და ფოტოპირი მოსკოვის ლენინის ბიბლიოთეკიდან - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ერთი წერილი კი - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

პირადი წერილები და დღიურები იშვიათად იბეჭდება ხოლმე ავტორის სიცოცხლეში. ამიტომ მათი მთავარი წყარო ავტოგრაფებია, რომელთა ამოკითხვა სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული, როგორცაა: სპეციფიკური მართლწერა, არტეფაქტის დაზიანება, უხეში გადახაზვა-ჩასწორებები და სხვა. მსგავსი სირთულეების დასაძლევად ძალზე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მიღწევებისა და ახალი მიდგომების გამოყენება.

„ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ იქნა მეთოდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სირთულეს ითვალისწინებს და ხელნაწერის ამოკითხვის ეფექტურ ხერხს გვთავაზობს. ეს კომპლექსური მეთოდი ემყარება რთული ხელნაწერის ამოკითხვაზე ეტაპებად მუშაობას, თითოეულ სტადიაზე სხვადასხვა მიკრომეთოდისა და ტექნოლოგიის გამოყენებით. მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად უმჯობესდება, თუ ხელნაწერზე მუშაობა წარმოებს მაღალი რეზოლუციის ციფრული ასლის გამოყენებით, რაც იძლევა ტექსტის გადიდების საშუალებას გამოსახულების ხარისხის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე.

ჩვენს საკვლევ ავტორს კარგი კალიგრაფია აქვს, მაგრამ, რამდენადაც წერილები სხვადასხვა ვითარებასა და პირობებში იწერებოდა, ზოგჯერ ხელი გაკრულია და გრაფემები ბოლომდე ჩამოუყალიბებელი. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ მწერლის როგორც ქართული, ისე რუსულენოვანი ავტოგრაფების კალიგრაფია და, ტექსტების ზუსტად ამოკითხვის მიზნით, შევადგინეთ მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი როგორც ტიპური, ისე ატიპური მოხაზულობების ცხრილები.

როდესაც ხელნაწერი ძლიერ ნასწორებია, მასთან არაერთგზის გვიწევს მიბრუნება რთული ადგილების ამოსაკითხად. ზოგჯერ ამ საქმეს კიდევ უფრო ართულებს მწერლის მართლწერის სპეციფიკა, ან მის მიერვე დაშვებული უზუსტობები. ამიტომ, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია არქივზე მუშაობის დაწყებისთანავე, ავტორის ხელწერის სკრუპულოზური შესწავლა. ხელნაწერის სწორად ამოკითხვა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ამ მიზნის განსახორციელებლად მეცნიერები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ბევრად უფრო გააფართოვა ავტოგრაფის ამოკითხვისა და ზუსტი ტრანსკრიპტის შექმნის შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე გრიგოლ ორბელიანის 535 წერილი იყო აკადემიურად გამოცემული, ჯერ კიდევ მრავლად იყო გამოუქვეყნებელიც და ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის მომდევნო ორი ტომის მოსამზადებლად წარმოებულ კვლევებში. ამ წერილებშიც, ისევე როგორც უკვე გამოქვეყნებულებში, მრავალი საინტერესო ინფორმაციაა დაცული არა მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, არამედ იმჟამინდელი სოციალურ-კულტურული ყოფისა და ისტორიული მოვლენების შესახებ.

დათარიღება ტექსტოლოგიური კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის შედეგებიც საგულისხმოა შემდგომი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვისაც. მასალის ქრონოლოგიურად განთავსება აკადემიური გამოცემის მთავარი პრინციპია. ამ პრინციპით ლაგდება ტექსტები და ინფორმაცია როგორც თხზულებათა სამეცნიერო კრებულებში, ისე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში და, ბუნებრივია, რომ ამგვარად

განლაგება ვერ მოხდება ტექსტების დათარიღების გარეშე.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის 1936-1937 წლებში გამოცემულ I და II ტომებში შესაბამისი პერიოდის სამოცამდე წერილი გამოტოვებული იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა მათი დაწერის დროის განსაზღვრა; ახალ გამოცემაში კი ხსენებული წერილების დათარიღება შესაძლებელი გახდა სწორედ ციფრული კორპუსების მეშვეობით. საძიებო სისტემები დიდი მოცულობის ტექსტებშიც კი მნიშვნელოვნად აიოლებს ამა თუ იმ სიტყვის, სახელისა თუ ციფრის პოვნას. ეს საშუალებას გვაძლევს, ვაწარმოთ წერილების შედარებითი ანალიზი და დავადგინოთ უთარიღო ტექსტების შექმნის დრო. გრიგოლ ორბელიანის წერილების დასათარიღებლად მივმართეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის, გამორიცხვის, დედუქციურს, კორპუსულს და სხვა.

წერილების თარიღის დასადგენად გამოვიყენეთ შემდეგი სახის ინფორმაცია: ქალაქის ტიპი, ჭვირნიშანი, მელნის ფერი; შინაარსობრივი მონაცემების შედარება; წერილში მოყვანილი ისტორიული ან კულტურულ-საზოგადოებრივი ფაქტები; მოხსენიებულ პირთა დაბადება-გარდაცვალებისა და სახელობის დღე, ქორწინების თუ ოჯახში მომხდარი სხვა მოვლენების თარიღი; კონკრეტული პირის მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან მისი დატოვების წლები; ადრესატის ან ადრესანტის ადგილმდებარეობა; წერილში მოცემული ზუსტი თარიღითა და კვირის დღით წლის განსაზღვრა. დასათარიღებლად გამოვიყენეთ გარეშე წყაროებიც, მათ შორის: დღიურები და ჩანაწერები, სხვათა წერილები და მოგონებები, ბიობიბლიოგრაფიები და სხვა დოკუმენტები.

მწერლის დოკუმენტური ნაწერებიდან მიღებული ინფორმაცია სრულყოფილი ვერ იქნება მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიცირების გარეშე. ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევას, თუ ვინ იგულისხმებოდა ამა თუ იმ წერილში ნახსენებ სახელში, გვარში, მეტსახელში, საზოგადო სახელსა თუ ნაცვალსახელში. ხშირად წერილში პიროვნება მხოლოდ გვართ იყო ნახსენები და კონტექსტიდან ჩანდა მისი პროფესია ან თანამდებობა. ამ შემთხვევაში პირის იდენტიფიცირებაში ძალიან დაგვეხმარა ცნობარი „Кавказский Календарь“. ზოგჯერ პირი ნახსენები იყო მხოლოდ თანამდებობით და არა გვარ-სახელით. როდესაც ეს თანამდებობა დროის ერთ მონაკვეთში მხოლოდ ერთ ადამიანს ეკავა, პირის

ვინაობის დადგენა ხერხდებოდა. ხშირად ნახსენებ გვარს უკავშირდებოდა რაიმე მოვლენა და მიუხედავად იმისა, რომ თავად წერილში არ ჩანდა პირის ზუსტი ვინაობა, მოხსენიებული ფაქტი გვეხმარებოდა მის იდენტიფიცირებაში. იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნებები მოხსენიებულნი იყვნენ გვარებით და წერილების კორპუსში ან მწერალთან დაკავშირებულ რაიმე სხვა ინფორმაციაში ეს გვარი სხვაგანაც გვხვდებოდა, ვატარებდით კორპუსულ კვლევას. თუ ისეთი სახის დამატებითი მონაცემები მოიყრიდა თავს (მამის სახელი, თანამდებობა და სხვა), პირის იდენტიფიცირება ამ შემთხვევაშიც ხერხდებოდა.

ძალიან ხშირად ბარათებში ნახსენები იყო კონკრეტული პირის მეუღლე, შვილი, ოჯახის წევრი თუ ზოგადად, სახლობა. ტექსტოლოგისთვის, რომელსაც ხშირად უხდება გენეალოგიური ნუსხებისა და სხვადასხვა ბიოგრაფიული დოკუმენტის გამოყენება, ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იგულისხმება ამ პირებში, მაგრამ მკითხველისთვის შეიძლება უცნობი იყოს მათი ვინაობა. ამიტომ ყველგან, სადაც პიროვნებები ასეთი მინიშნებებით არიან მოხსენიებულნი, აკადემიური გამოცემის კომენტარში ინფორმაცია დაკონკრეტებული უნდა იყოს. ეს ტექსტოლოგის კვლევის სფეროა და, შესაბამისად, ჩვენც ყველა ასეთ პირთან დაკავშირებით მაქსიმალურად მოვიძიეთ ინფორმაცია. პირთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში ძალიან დაგვეხმარა გენეალოგიური ნუსხები, მაგალითად, ინტერნეტში განთავსებული ბაზა „rodovid“. მაგრამ რამდენიმე უზუსტობამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ამ ინფორმაციის სხვა წყაროებშიც შემოწმება.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების მოცულობა ბევრად უფრო მცირეა წერილებთან შედარებით, მაგრამ მათში მოხსენიებულ პირთა გარკვეული რაოდენობა დაუდგენელია და არსებულ გამოცემაში კომენტარში ისეა გამოტანილი, როგორც გრიგოლ ორბელიანის მიერ ტექსტშია მოხსენიებული. დღიურებში გვხვდება ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ გვარით ან სამხედრო პოზიციით არიან ნახსენები, ასევე, რომელთა დაბადების ან გარდაცვალების, ან ორივე თარიღი გამოცემის მომზადების დროს უცნობი იყო. შესაბამისად, მათი ვინაობის დასადგენად სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოგვიხდა. ამ პირების იდენტიფიცირებისას განსაკუთრებით დაგვეხმარა მწერლის ბარათებში მოხსენიებულ პირებთან დაკავშირებული კვლევები და

ინტერნეტის საძიებო სისტემა.

გრიგოლ ორბელიანის წერილებსა და დღიურებზე მუშაობისას ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ქმნიდა გეოგრაფიული სახელების ამოკითხვა და იდენტიფიცირება, რადგან მათში უამრავი წვრილი, ნაკლებად ცნობილი და თან დღეისათვის უკვე სახელშეცვლილი დასახლებული პუნქტის სახელებია ნახსენები. რუსულენოვანი საინფორმაციო ბაზების გამოყენებისას ხელს გვიშლიდა შეუსაბამობები ქართულ და რუსულ დაწერილობებში. პირთა სახელები, გვარები და ტოპონიმები რუსულად და ქართულად ხშირად სხვადასხვაგვარად გამოითქმის. გრიგოლ ორბელიანის წერილების კომენტირებისას ალღოთი თუ ვხვდებოდით, რომელი გეოგრაფიული სახელი იგულისხმებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ან როგორ შეიძლებოდა დაწერილიყო ის რუსულად.

თითოეული ასეთი ტოპონიმის დასადგენად ხანგრძლივი კვლევის ჩატარება გახდა საჭირო, ყველა შესაძლო დაწერილობის წარმოდგენა და შემოწმება, არსებობდა თუ არა ასეთი დასახელების გეოგრაფიული პუნქტები. თუ რომელიმე დაემთხვეოდა, შემდეგ ვარკვევდით, შეიძლებოდა, თუ არა, რომ მოცემულ კონტექსტში სწორედ ის ყოფილიყო ნაგულისხმევი.

როდესაც ტექსტს მეცნიერულად ვაქვეყნებთ, მკითხველი რომ გაურკვეველობაში არ აღმოჩნდეს და სხვა პირი არ ეგონოს, აუცილებლად ვურთავთ კომენტარს. ზოგჯერ კომენტარს ვაკეთებთ ორი ინფორმაციის კვლევა-შედარების საფუძველზე. ხშირად გვჭირდება წერილებსა და დღიურებში მოყვანილი არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ისტორიული მოვლენების კომენტირებაც. პირთა იდენტიფიცირებისას ზოგჯერ გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შედარებები ქმნის პრობლემას, ამიტომ ყოველთვის ვითვალისწინებდით წერილის ადრესანტის ენასა და სტილს, რომ მივმხვდარიყავით, რას გულისხმობდა.

გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში ხშირად ახსენებს პროზაულ ან პოეტურ ნაწარმოებებს, პიესებს, საოპერო თუ თეატრალურ წარმოდგენებს. ტექსტის სრულყოფილად აღსაქმელად მკითხველს სჭირდება ინფორმაცია, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ავტორის თხზულება, წარმოდგენა ან მუსიკა იგულისხმება. ამისათვისაც ვატარებდით სათანადო კვლევებს და შედეგებს ავსახავდით კომენტარებში.

წერილებისაგან განსხვავებული ბედი ხვდა წილად გრიგოლ ორბელიანის დღიურებს. 1832-1839 წლებში ჩაწერილი დღიურები არ უნახავს არა მხოლოდ მწერლის თანამედროვეებს, არამედ თავად ავტორსაც, რადგან მათი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი კი ჩამოართვეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დაკავებისას. ამ ნაწილს პირველად 1928 წელს მიაკვლიეს მეცნიერებმა და მას შემდეგ დაიწყო დღიურების ჩანაწერების ფრაგმენტულად გამოქვეყნება, ერთად თავმოყრილი კი პირველად 1959 წელს გამოიცა.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების წინა გამოცემებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ცალკეული ჩანაწერების აღსაქმელად უმჯობესი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან უფრო მკვეთრად გამოყოფა. რამდენადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ჩანაწერს არ უძღვის წინ სრული თარიღი და მხოლოდ რიცხვია მითითებული, სასურველია, ყოველი ჩანაწერის წინ კვადრატულ ფრჩხილებში იყოს მოცემული როგორც თვე და რიცხვი, ისე წელიც.

აკადემიური გამოცემის სპეციფიკა მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ საკვლევი მასალა მეცნიერულად იყოს შესწავლილი, არამედ სამეცნიერო აპარატის სტრუქტურირებაშიც. ჩვენი აზრით, გრიგოლ ორბელიანის დღიურების ახალ აკადემიურ გამოცემასაც, მისი წერილების მსგავსად, სჭირდება კარგად ორგანიზებული რუბრიკები. აუცილებლად უნდა იყოს მოცემული ტექსტოლოგიური შენიშვნები, რომლებშიც ასახული იქნება გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით ავტოგრაფში არსებული სწორებები და მექანიკური შეცდომები. ასევე უნდა იყოს მოწესრიგებული ტექსტოლოგიური კომენტარები და სასურველია, რომ ისინი იყოს მაქსიმალურად ამომწურავი.

ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწერის დრო და ადგილი დღიურების ტექსტებში თითქმის ყოველთვის შიგნითვეა მითითებული. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ცალკეული ჩანაწერების შესრულების დროისა და ადგილის რუბრიკებად გამოტანა საჭირო არ არის. საკმარისია წყაროს შესახებ მოტანილ ინფორმაციასთან დღიურების ამ ციკლის ფართო თარიღის მითითება. დღიურებისთვისაც, ისევე როგორც წერილებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებისა და ლექსიკონის დართვა.

გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა დღემდე არ

არსებობს. ამიტომ საჭირო გახდა მისი საგამომცემლო კონცეფციის შემუშავება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიური გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მწერლის თხზულებების მომავალ აკადემიურ გამოცემაში დღიურები, ისე როგორც წერილები, უნდა დაიბეჭდოს ისეთი სახით, როგორც ავტორის ხელიდან გამოვიდა, სტილისტური თუ ორთოგრაფიული ჩარევის გარეშე. თითოეულ ტექსტს უნდა დაერთოს სამეცნიერო აპარატი და პასპორტი, რომელშიც მითითებული იქნება წყაროები და მათი აღწერილობა, ტექსტოლოგიური შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები.

შენიშვნა: ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის (NDP2016_18, პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“) ფარგლებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აბაშიძე, გ. (1977). გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და პოეტის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა. წიგნში: აბაშიძე, გ., და ასათიანი გ. (რედ.). ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (I ტ.). (გვ. 133-185). თბილისი: მეცნიერება.
2. აბაშიძე, კ. (1898, N5). ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან - თ-დი გრ. ორბელიანი. მოამბე. გვ. 40-69.
3. აბზიანიძე, ზ. (2009, 26, ივნისი). ქართული მემუარული პროზა. ლიტერატურული გაზეთი. გვ. 7.
4. აბზიანიძე, ზ. (2012, 25-31, ოქტომბერი). ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები - გრიგოლ ორბელიანი. ახალი განათლება. გვ. 6-7.
5. აბრამიშვილი, ე. (1961). დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. 3: 58-61.
6. ანჯაფარიძე, შ. (2002). ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მოტივები გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.
7. ასათიანი, ლ. (1946). გრიგოლ ორბელიანი. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
8. ასათიანი, ლ. (1960, N6). გრიგოლ ორბელიანის ლექსი. მნათობი. გვ. 100.
9. ბალახაშვილი, ი. (1936, N12). ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები. მნათობი. გვ. 161-170.
10. ბალახაშვილი, ი. (1940, N10). გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე. ჩვენი თაობა. გვ. 54-55.
11. ბარათაშვილი, ნ. (1922). ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. ტფილისი: სახელმწიფო სტამბა.
12. ბაღსარაშვილი, გ. (1883, 17, აპრილი). მასალები ცხოვრების დასაწერად გარდაცვალებულის პოეტის, თ-ის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა. დროება. გვ. 2-3.
13. ბაღსარაშვილი, გ. (1883, 22, აპრილი). მასალები ცხოვრების დასაწერად

- გარდაცვალებულის პოეტის, თ-ის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისა. დროება. გვ. 2-4.
14. ბერძნიშვილი, მ. (1983). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. (II ტ.). თბილისი: მეცნიერება.
 15. ბერძნიშვილი, ნ., უმიკაშვილი, პ., და წერეთელი, გ. (1869, 25, დეკემბერი). დროება. გვ. 1.
 16. ბიძია დონიკე (კერესელიძე, ი.) (1871, N2). სადღეგრძელო, თქმული ლექსად თავ. გრ. ორბელიანისაგან, დაბეჭდილი მარტირუზიანის სტამბაში, გამოც. ივ. კერესელიძისაგან. ცისკარი. გვ. 113-131.
 17. ბოცვაძე, ი. (1974, 19, ივლისი). წარსული ფურცლები (გრ. ორბელიანისა და მ. ვორონცოვის მიმოწერიდან). სახალხო განათლება. გვ. 4.
 18. გამსახურდია, ვ. (1936, N7-8). გრ. ორბელიანის წერილები. საბჭოთა ხელოვნება. გვ. 71-72.
 19. გაწერელია, ა. (1935). გრიგოლ ორბელიანის წერილები. წიგნში: აღნიაშვილი, ლ., ასათიანი, ვ., და ლეონიძე გ. (რედ.). ლიტერატურული მემკვიდრეობა. (წ. I). (გვ. 596-614). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 20. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2012ა). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (II ტ.). თბილისი: საარი.
 21. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2012ბ). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (III ტ.). თბილისი: უნივერსალი.
 22. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2013). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (IV ტ.). თბილისი: უნივერსალი.
 23. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2014). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (V ტ.). თბილისი: უნივერსალი.
 24. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2015), XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (VI ტ.). თბილისი: საარი.
 25. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2017). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. (VII ტ.). გამომც. თბილისი: ჯეოპრინტი.
 26. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.). (2018). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, (VIII ტ.). თბილისი: უნივერსალი.

27. გიგაშვილი, ქ., და გოცირიძე, გ., (2019). ძალაუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კონტექსტი გრიგოლ ორბელიანის წერილების მიხედვით გორის სასწავლო უნივერსიტეტის შრომები. 17: 680-697.
28. გოზალიშვილი, შ., (1969, 15, აგვისტო). დიდი მემკვიდრეობა. კომუნისტი. გვ. 4.
29. გოცაძე, მ. (1956, N3). გრიგოლ ორბელიანის მოსკოვის აღწერა, მნათობი. გვ. 172-180.
30. გრიშაშვილი, ი. (1997). ქალაქური ლექსიკონი. (გვ. 175-176). თბილისი: სამშობლო.
31. დიმიტრიძე, ნ. (ყიფიანი, ნ.) (1871, 27, თებერვალი). ბიბლიოგრაფია. დროება. გვ. 1.
32. დროება. (1867, 7, აპრილი). 25 და 26 მარტი ტფილისში. გვ. 1, 3.
33. დროება. (1878, 12, ივლისი). გვ. 1.
34. დროება. (1878, 23, ნოემბერი). სადილი ახლად შემოერთებულ ქართველებისათვის. გვ. 1.
35. დროება. (1878, 24, სექტემბერი). მილიციონერების სადილი. გვ. 1.
36. დროება. (1881, 28, მაისი). მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის გამოთხოვება. გვ. 2.
37. დროება. (1883, 27, მარტი). „ჩვენ მივიღეთ ბ. ზაქარია ჭიჭინაძისაგან შემდეგი წერილი...“. გვ. 4.
38. დროება. (1883, 7, სექტემბერი). მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის: ორი წერილი თ. გრიგოლ ორბელიანისა. გვ. 1-3.
39. დროება. (1885, 5, სექტემბერი). ორი წერილი თ-დის გრ. ორბელიანისა. გვ. 1-3.
40. ევგენიძე ი. (1995). გრიგოლ ორბელიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: მერიდიანი.
41. ვახანია, ნ. (2012). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: ჩხეიძე, რ. (რედ.). ჩვენი XIX საუკუნე. ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. (გვ. 151-266). თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების გამომცემლობა.
42. ზანდუკელი, მ. (1926, N7). გრიგოლ ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები. მნათობი. გვ. 47-64.
43. ზანდუკელი, მ. (1926, N9-10). გრიგოლ ორბელიანი და მისი შემოქმედება. მნათობი. გვ. 177-209.
44. ზანდუკელი, მ. (1932). გრიგოლ ორბელიანი დიმიტრის (ზურაბის) ძე. წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურა (გვ. 175-226). ტფილისი: პედაგოგიური ინსტიტუტის

გამომცემლობა.

45. თუმანიშვილი, გ. (შემდ.). (1878). შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალთვლება. წიგნში: აღმანახი. (I). ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.
46. თუშაბრამიშვილი, თ. (2015). დარდიმანდი გრიგოლ ორბელიანი ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. ენა და კულტურა. 13:146-149.
47. ივერია. (1888, 8, აპრილი). ახალი ამბავი. ივერია. გვ. 1-2.
48. იმედაძე, ნ. (1967, 17, მარტი). უცნობი ფაქტი გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებიდან. თბილისის უნივერსიტეტი. გვ. 3.
49. იმედაძე, ნ. (1975). გრ. ორბელიანის წერილები სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები. 159(4): 358-369.
50. იმედაძე, ნ. (1978). გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები. VI: 341-350.
51. ინგოროყვა, პ. (1928, N6-7). გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები. ქართული მწერლობა. გვ. 232-233, 244-253, 258-267.
52. ინგოროყვა, პ. (1940, N2). გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“. მნათობი. გვ. 69-84.
53. იოსელიანი, ეგ. (1883, აპრილი N4). ქართული ლიტერატურა (წერილი პირველი), გრიგოლ ორბელიანი. ივერია. გვ. 70-90.
54. კიკაჩიშვილი, თ. (რედ.). (2005). გრიგოლ ორბელიანი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (1860-1899). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
55. კოტეტიშვილი, ვ. (1959). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: გამეზარდაშვილი, დ. (რედ.). ქართული ლიტერატურის ისტორია. (გვ. 175-226). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
56. ლეონიძე, თ. (1973, 5, იანვარი). გრიგოლ ორბელიანის წერილები. ლიტერატურული საქართველო. გვ. 4.
57. მალრაძე, ე. (1967). გრიგოლ ორბელიანი. თბილისი: ნაკადული.
58. მახარაძე, ა. (1944). გრიგოლ ორბელიანი. თბილისი: საბლიტგამი.
59. მეგრელიძე, შ. (1979). ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები. თბილისი: მეცნიერება.
60. მეუნარგია, ი. (1904, N2-8, 10, 12). ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა. მოამბე. 1904. N2, გვ. 55-82. N3, გვ. 39-64. N4, გვ. 1-37. N5, გვ. 1-9. N6, გვ. 25-38. N7, გვ. 37-39. N8, გვ. 1-14. N10, გვ. 20-38. N12 გვ. 22-31.

61. მეუნარგია, ი. (1905, N2-3). ცხოვრება და ღვაწლი თ-დი გრიგოლ ორბელიანისა. მოამბე. 1905, N2, გვ. 1-14. N3, გვ. 58-70.
62. მეუნარგია, ი. (1905). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. ტფილისი: წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობა.
63. მეუნარგია, ი. (1941). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. წიგნში: ცაიშვილი, ს. (რედ.). ქართველი მწერლები. (გვ. 31-164). თბილისი: საბლიტგამი.
64. მეუნარგია, ი. (2010). ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. წიგნში: კვარაცხელია, ზ. (რედ.). თხზულებები (I ტ.). (გვ. 55-296). თბილისი: არტანუჯი.
65. მეფარიშვილი, ლ. (1941). გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების კრებული. I: 202-206.
66. მეძველია, კ. (1946). გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილი. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები. VI: 19-48.
67. მწერალთა ავტობიოგრაფიების ორტომეული (2013). (I ტ.). თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.
68. ნანეიშვილი, ალ. (1888, 9, აპრილი). ...ბატონმა ი. მეუნარგიამ ორი ლექცია უძღვნა... ივერია. გვ. 1.
69. ნანიტაშვილი, ლ. (1966, N11), გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები, მნათობი. გვ. 76-78.
70. ნატროშვილი, გ. (1941). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: კიკნაძე, ვ. (რედ.). ლიტერატურული ეტიუდები. (გვ. 62-89). თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
71. ნინიძე, მ. (თებერვალი, 2013). გრიგოლ ორბელიანის წერილების დათარიღება. ტექსტოლოგიური კვლევები. <http://textologi.blogspot.com/2013/02/xix-xx.html>. (მოძიებულია 30.IV.2018).
72. ნინიძე, მ., და გიგაშვილი, ქ. (2018). ტექსტოლოგია, სახელმძღვანელო სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის. თბილისი: პრინტჯეო.
73. ნუცუბიძე, ჯ., და ფიოლია, ნ. (შემდგ.), ნაკაშიძე, თ. (რედ.). (1985). ორბელიანი გრიგოლ - ბიობიბლიოგრაფია. თბილისი: წიგნის პალატა.
74. ორბელიანი, გრ. (1858, N1). ვირი და ბულბული. ცისკარი. გვ. 11-12.
75. ორბელიანი, გრ. (1858, N10). იარალისადმი. ცისკარი. გვ. 63-66.

76. ორბელიანი, გრ. (1858, N11). ჩემს დას ეფ... ცისკარი. გვ. 121-126.
77. ორბელიანი, გრ. (1860, N11). კ. ჭ... ცისკარი. გვ. 254-256.
78. ორბელიანი, გრ. (1879, N5-6). ფსალმუნი. ივერია. გვ. 151.
79. ორბელიანი, გრ. (1852, N2). ეკატერინა ჭავ..., ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე!, ღამე, გამოსალმება. ცისკარი. გვ. 2-8.
80. ორბელიანი, გრ. (1859, N11). მოგონება, ცისკარი. გვ. 184-185.
81. ორბელიანი, გრ. (1860, N3). სოფელნი და მდინარე. ცისკარი. გვ. 197-198.
82. ორბელიანი, გრ. (1860, N9). სადამო გამოსალმებისა. ცისკარი. გვ. 528.
83. ორბელიანი, გრ. (1860, N10). ო...დარდები. ცისკარი. გვ. 125-128.
84. ორბელიანი, გრ. (1860, N12). მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავისუფლება სუფევდეს. ცისკარი. გვ. 430-431.
85. ორბელიანი, გრ. (1861, N1). ალბომში - ღ.ოპ..., ცისკარი. გვ. 118-119.
86. ორბელიანი, გრ. (1861, N3). მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი (ვასილი ჟუკოვსკის ლექსის თარგმანი). ცისკარი. გვ. 414-415.
87. ორბელიანი, გრ. (1861, N5). გამოსალმება, ჟ. ცისკარი, ცისკარი. გვ. 31-32.
88. ორბელიანი, გრ. (1861, N7). მუხამბაზი (ნუ მასმევ ღვინოს...). ცისკარი. გვ. 234-244.
89. ორბელიანი, გრ. (1861, N8). ნი...ადმი (თუ ტურფანი...). ცისკარი. გვ. 327.
90. ორბელიანი, გრ. (1861, N11). ანტ...ადმი, ცისკარი. გვ. 331-332.
91. ორბელიანი, გრ. (1862, N12). ეპიტაფია მირზაჯანასი, ჩემი ეპიტაფია. ცისკარი. გვ. 287-288.
92. ორბელიანი, გრ. (1862, N1). ნ...დმი (მნათობო თვით შენ აღმიხსენ...). ცისკარი. გვ. 29-30.
93. ორბელიანი, გრ. (1862, N3). თაყვანისმცემელთ როს გუნდი. ცისკარი. გვ. 232.
94. ორბელიანი, გრ. (1862, N11). ნ... (ჰე, საყვარელო ვის მიერ...). ცისკარი. გვ. 143-144.
95. ორბელიანი, გრ. (1863, N1). მუხამბაზი (სულით ერთნო...), ცისკარი. გვ. 54-56.
96. ორბელიანი, გრ. (1863, N2). ლოთური მუხამბაზი. საქართველოს მოამბე. გვ. 187-188.
97. ორბელიანი, გრ. (1863, N2). პუმკინის მიბაძვა: სიცოცხლევ ფუჭო.... ცისკარი. გვ. 233-234.
98. ორბელიანი, გრ. (1863, N9). სავათნავას მიბაძვა: ჭიანურო, მალლად, ტკბილად დაუკარ... ცისკარი. გვ. 71-72.

99. ორბელიანი, გრ. (1863, N10). სალ... ბეჟანას მაგიერ. ცისკარი. გვ. 147-148.
100. ორბელიანი, გრ. (1864). ლოთური მუხამბაზი, იარალისადმი. წიგნში: ლორთქიფანიძე, კ. (შემდგ.), ჩონგური. (გვ. 101-103, 124-127). პეტერბურდი: სამეცნიერო აკადემიის ტიპოგრაფია.
101. ორბელიანი, გრ. (1864, N2). ნ..დმი (მნათობო თვით შენ აღმიხსენ...), ახ, ვითა გშვენის.... ცისკარი. გვ. 91-94.
102. ორბელიანი, გრ. (1865, N2). მთანი მაღალნი (იოჰან გოეთეს ლექსის თარგმანი). ცისკარი. გვ. 26-27.
103. ორბელიანი გრ. (1868, N2). ეპიტაფია. საქართველოს სასულიერო მახარობელი. გვ. 64.
104. ორბელიანი, გრ. (1870, N1). იარალისადმი. ცისკარი. გვ. 33-37.
105. ორბელიანი, გრ. (1871). სადღეგრძელო. ტფილისი: მარტირუზიანის სტამბა.
106. ორბელიანი, გრ. (1871, N1). სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოეს. კრებული. გვ. 1-38.
107. ორბელიანი, გრ. (1871, N1). ლოპიანას დარდები. ცისკარი. გვ. 44-45.
108. ორბელიანი, გრ. (1873). ლექსები. ტფილისი: მელიქიშვილის და ამხანაგთა სტამბა.
109. ორბელიანი, გრ. (1874, N7-8). პასუხი უღირსთა შვილებთა. ცისკარი. გვ. 1-8.
110. ორბელიანი, გრ. (1874, N9-10). მგზავრობა სვანეთისკენ გ: წ: განხილვა. ცისკარი. გვ. 188-189.
111. ორბელიანი, გრ. (1877, 7, N4). თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში. ივერია. გვ. 5-6.
112. ორბელიანი, გრ. (1877, 14, N4). მუშა ბოქულაძე. ივერია. გვ. 8-9.
113. ორბელიანი, გრ. (1877, 30, ივნისი). ხმა ლოპიანას საფლავიდან. ივერია. გვ. 6.
114. ორბელიანი, გრ. (1879). ლექსები. მეორე გამოცემა. ტფილისი: ქართულ წიგნთა გამომცემი ამხანაგობა.
115. ორბელიანი, გრ. (1882, N4-5). ჰეი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით? (ვასილი ჟუკოვსკის ლექსის თარგმანი). ივერია. გვ. 62.
116. ორბელიანი, გრ. (1884). ლექსები. მესამე გამოცემა. თბილისი: არ. კალანდაძისა და ამხ. სტამბა.
117. ორბელიანი, გრ. (1904). ლექსები. წიგნში: ქართველი პოეტების რჩეული ლექსები (სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით). (II წ.). (გვ. 65-98). თბილისი: ცოდნა.

118. ორბელიანი, გრ. (1904). რჩეული ლექსები სკოლებში და ოჯახში სახმარებელი. თბილისი: ცოდნა.
119. ორბელიანი, გრ. (1922, 3, დეკემბერი). წერილები ილია ჭავჭავაძესთან. ბახტრიონი. გვ. 2.
120. ორბელიანი, გრ. (1928). ლექსებისა და წერილების სრული კრებული. ტფილისი: ქართული წიგნი.
121. ორბელიანი, გრ. (1930). ლექსები. წიგნში: ეკალაძე, ი. (რედ.). ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია (III ტ.). (26-58). ტფილისი: გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“.
122. ორბელიანი, გრ. (1935). ლექსები. მეხუთე გამოცემა. ტფილისი: სახელგამი.
123. ორბელიანი, გრ. (1936). წერილები. (I ტ.). თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
124. ორბელიანი, გრ. (1937), წერილები. (II ტ.). თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
125. ორბელიანი, გრ. (1938, 30, ივნისი). წერილი სალომე დადიანი-მიურატისადმი. ლიტერატურული საქართველო. გვ. 4.
126. ორბელიანი, გრ. (1940). ლექსები. თბილისი: საბლიტგამი.
127. ორბელიანი, გრ. (1948). ლირიკა, ეპოსი, თარგმანები. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
128. ორბელიანი, გრ. (1951). პოეტური ნაწერების სრული კრებული. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
129. ორბელიანი, გრ. (1959). თხზულებათა სრული კრებული. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
130. ორბელიანი, გრ. (1968, N8). წერილი ილია ორბელიანისადმი. მნათობი. გვ. 5.
131. ორბელიანი, გრ. (1989). სადამო გამოსაღმებისა. თბილისი: მერანი.
132. ორბელიანი, გრ. (2013). პოეზია, პროზა, წერილები. თბილისი: ლიტერა.
133. რჩეულიშვილი, ნ. (2013). გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების რომანტიკული ასპექტები. ინტელექტი. 3:102-103.
134. საბანისძე, ი. (1978). წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი. წიგნში: აბაშიძე, გ. (რედ.) ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
135. საითიძე, გ. (2018). გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი. წიგნში: სონდულაშვილი, ა. (რედ.). ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში. (გვ. 13-19). თბილისი:

უნივერსალი.

136. სიხარულიძე, გ. (1965, N7). გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან (პოეტის შეხედულებები აღზრდა-განათლების საკითხებზე). სკოლა და ცხოვრება. გვ. 36-38.
137. სკანდაროვი, გ. (შემდგ.). (1875). სალხინო საზანდარი. თბილისი.
138. სკანდელი, ნ. (ნიკოლაძე, ნ.) (1871, N3). ჩვენი მწერლობა. კრებული. გვ. 145-202.
139. სოფია, ა. (1952). გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი. სუხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები. 6: 73-90.
140. ტაბიძე, გ. (2006-2008). საარქივო გამოცემა ოცდახუთ ტომად. (XIII-XXIII ტ.ტ.). თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი.
141. უბილავა, ე., (1987, 11, თებერვალი). გრიგოლ ორბელიანის წერილების სრულყოფილად გამოცემისათვის. წიგნის სამყარო. გვ. 3.
142. უმიკაშვილი, პ. (1893, 17, იანვარი). ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე. კვალი. გვ. 7-10.
143. ფერაძე, ი. (1914, N2). გრიგოლ ორბელიანი და რომანტიკული მიმართულება ქართულის პოეზიაში. განათლება. გვ. 114-120.
144. ფერაძე, ი. (1914, N3). გრიგოლ ორბელიანი და რომანტიკული მიმართულება ქართულის პოეზიაში. განათლება. გვ. 194-196.
145. ფერაძე, ი. (1914, N4). გრიგოლ ორბელიანი და რომანტიკული მიმართულება ქართულის პოეზიაში. განათლება. გვ. 281-284.
146. ფერაძე, ი. (1914, N5). გრიგოლ ორბელიანი და რომანტიკული მიმართულება ქართულის პოეზიაში. განათლება. გვ. 373-380.
147. ფურცელაძე, ა. (1872, N8). ათი მტერს, ერთი მოყვარეს. მნათობი. გვ. 169-212.
148. ქერელი ბექა (ფურცელაძე, ან.) (1863, N3). ქართული ლიტერატურა, საქართველოს მოამბე, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები. ცისკარი. გვ. 440-441.
149. ქირია, ც., სარია, შ. (1967). მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის წერილები გრიგოლ ორბელიანისადმი. წიგნში: დუმბაძე, მ. (რედ.). მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX ს. I ნახევარი). (გვ. 119-186). თბილისი: მეცნიერება.
150. ქიქოძე, გ. (1947). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: კალანდაძე, ლ. (რედ.). ქართული ლიტერატურის ისტორია, მე-19 საუკუნე. (გვ. 48-53). თბილისი: სახელმწიფო

გამომცემლობა.

151. ღარიბაშვილი, ი. (2008). გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა. დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი.
152. შადური, ვ. (1956, N6). გრიგოლ ორბელიანის პეტერბურდი. მნათობი. გვ. 169-177.
153. შარაძე, გ. (1969, N7). გრიგოლ ორბელიანის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი. მნათობი. გვ. 164-165.
154. ცაიშვილი, ს. (1940). ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის. წიგნში: ლეონიძე, გ. (რედ.). ლიტერატურის მატთანე (წ. 1-2). თბილისი: ტექნიკა და შრომა.
155. ცაიშვილი, ს. (1947). გრიგოლ ორბელიანი. ზუგდიდის მუზეუმის შრომები. I: 297-345.
156. ცაიშვილი, ს. (1953, 5). გრიგოლ ორბელიანის უცნობი ავტოგრაფები. დროშა. გვ. 13.
157. ცაიშვილი, ს. (1965). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: ხოშტარია, ი. (რედ.). ლიტერატურული ნარკვევები. (გვ. 130-171). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
158. ცერცვაძე, მ. (2017). XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი), დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
159. წერეთელი, გ. (1863, N5). ცისკარს რა აკაკანებდა. საქართველოს მოამბე. გვ. 59.
160. წერეთელი, ა. (1865, N9). რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ. ცისკარი. გვ. 16.
161. წერეთელი, ა. (1875, 8, იანვარი). პატრიოტის აღსარება. დროება. გვ. 1-2.
162. ჭავჭავაძე, ი. (1883, სექტემბერი N9). შინაური მიმოხილვა. ივერია. გვ. 96-112.
163. ჭავჭავაძე, ი. (1991). ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზე. წიგნში: ციციშვილი, გ. (რედ.). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (V ტ.). (გვ. 19, 26). თბილისი: მეცნიერება.
164. ჭავჭავაძე, ი. (1991). სფირიდონისა და თადეოზის თარგმანი. წიგნში: ციციშვილი, გ. (რედ.). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (V ტ.). (გვ. 81). თბილისი: მეცნიერება.

165. ჭავჭავაძე, ი. (1991). „ცისკარი 1857 წლიდან - 1862 წლამდინა“. წიგნში: ციციშვილი, გ. (რედ.). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. (V ტ.). (გვ. 592). თბილისი: მეცნიერება.
166. ჭილაია, ს. (1946). გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის. წიგნში: ჯიბლაძე, გ. (რედ.). ლიტერატურული წერილები. (გვ. 3-27). თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
167. ჭუმბურიძე, ჯ. (1945, 20, N4). გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი უცნობი ნაწარმოების შესახებ. ლიტერატურა და ხელოვნება. გვ. 4.
168. ჭუმბურიძე, ჯ. (1946, N7). გრ. ორბელიანის დღიურის გამოუქვეყნებელი ნაწილი. მნათობი. გვ. 115-134.
169. ჭუმბურიძე, ჯ. (1954). გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 53: 179-204.
170. ჭუმბურიძე, ჯ. (1958). გრიგოლ ორბელიანის დღიურები. წიგნში: ორჯონიკიძე, რ. (რედ.). ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ისტორიიდან. (გვ. 345-362). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
171. ხახანაშვილი, ალ. (1913). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: კარიჭაშვილი, დ. (რედ.). ქართულის სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე). (გვ. 24-32). თბილისი: ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა.
172. ხუნდაძე, ს. (1882, 2, დეკემბერი). ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში. ივერია. გვ. 98-114.
173. ხუნდაძე, ს. (1933, 29, აპრილი). პოეტი-სარდალი. სალიტერატურო გაზეთი. გვ. 4.
174. ხუნდაძე, ს. (1934, N3). პოეტი-სარდალი - გრიგოლ ორბელიანის პროფილი. მნათობი. გვ. 119-139.
175. ხუციშვილი, ს. (1941, 23, ივნისი). ორი პოეტის ურთიერთობიდან. ლიტერატურული საქართველო. გვ. 3.
176. ხუციშვილი, ს., და ტატიშვილი ნ. (1941). გრიგოლ ორბელიანის უცნობი კონსპექტი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XI-B: 227-229.
177. ხუციშვილი, ს. (1945, 23, ივნისი). გრიგოლ ორბელიანის თარგმანები. ლიტერატურა და ხელოვნება. გვ. 4.

178. ხუციშვილი, ს. (1947). გრიგოლ ორბელიანის პროზაული თხზულებები. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. II: 93-94.
179. ხუციშვილი, ს. (1969). გრიგოლ ორბელიანი. წიგნში: კანდელაკი, ნ. (რედ.). ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები. (გვ. 97-104). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
180. Filaretus. (2016, 2, მარტი). Анна Павловна Романова -Дочь Российского Императора Павла I. <https://filaretuos.livejournal.com/282967.html>. (მოძიებულია 2.09. 2018).
181. GENi. (2017, 13, აპრილი). Нина Александровна кн. Андроникова. <https://www.geni.com/people/Нина-Александровна-кн-Андроникова/6000000027556697578>. (მოძიებულია 10.07.2019).
182. Hugo, V. (2015). Complete works. Delphi Classics. <https://www.kobo.com/us/en/ebook/complete-works-of-victor-hugo-delphi-classics>. (მოძიებულია 8.VII.2018).
183. Iverieli. ციფრული ფოტომატიანე. თებრო არჯევანიძე-ნარიშკინა. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/226469>. (მოძიებულია 22.02.2019).
184. Katherine Mansfield, K. (2016). The Collected Works (vol. 4). The Diaries of Katherine Mansfield: Including Miscellaneous Works. Edinburgh: University Press.
185. KudaGo. (2013, 4, დეკემბერი), Коллекция Эрмитажа «Французская живопись XV-XVIII веков» (<https://kudago.com/spb/event/francuzskaya-zhivopis-ermitazh-spb/>) (მოძიებულია 5.09. 2018).
186. Nietzsche, F. (2017). The will to power: selections from the notebooks of the 1880s. London: Penguin Books.
187. Nekropolural. Золотарев Василий Григорьевич. <https://sites.google.com/site/necropolural/goroda-rossii/sankt-peterburg/nikolskoe-kladbise/alfavitnyj-spisok-zahoroneni/zolotarev-vasilij-grigorevic> (მოძიებულია 5.12.2018).
188. Бердзенов, Н. (1859, 5, Июнь). Грузинская литература, беглый обзор 12 книжек журнала «Заря» с янв. по декабрь 1858 г. Кавказ. ст. 122-123.
189. Гозалишвили, Ш., и Гозалишвили, Г. (1969, N11-12). Неопубликованные письма Григола Орбелиани. Литературная Грузия. ст. 169-179.
190. Городские головы. Руководители Харьковского городского самоуправления.

- <https://www.city.kharkov.ua/ru/o-xarkove/istoriya/gorodskie-golovyi.html> (მომიებულია 28. 03. 2019).
191. Инсарский, В. (1897, Ноябрь). Записки. Русская Старина. ст. 436.
192. Исарлов, Л. (1899). Письма о Грузии. Тифлис: типография М. Шарадзе и К.
193. Информационная система «Архивы ран». Зинченко Игнатий Клементьевич.
<http://isaran.ru/?q=ru/fund&guid=1728F5C2-5E85-47C0-A02B-521AE493E7A8&ida=24>.
(მომიებულია 2.Х.2018).
194. Историко-культурно-познавательный журнал о Санкт-Петербурге. (2010, 24, მისი).
Эрмитаж. Искусство Франции XV-XVIII веков в собраниях музея.
<http://www.ilovepetersburg.ru/content/ermitazh-iskusstvo-frantsii-xv-xviii-vekov-v-sobraniyakh-muzeya>. (მომიებულია 13.08.2019).
195. Кокс, Джеймс. (2015, 27, დეკემბერი).
<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D0%BA%D1%81,%D0%94%D0%B6%D0%B5%D0%B9%D0%BC%D1%81>. (მომიებულია 2.09.2018).
196. Колюбакина, А. (1894). Воспоминания. https://www.baku.ru/enc-show.php?id=151386&cmm_id=276. (მომიებულია 18.02.2019).
197. Мирза Мухаммед Али-хан Ала ус-Салтане. (2017, 17, მისი).
https://ru.wikipedia.org/wiki/Мирза_Мухаммед_Али-хан_Ала_ус-Салтане. (მომიებულია 17.08.2019).
198. Мон. Лазарь (Афанасьев). Ахвердова Прасковья Николаевна. <http://lermontov-slovar.ru/relatives/Axverdova.html> (მომიებულია 12.08. 2018).
199. Наш Баку. История Баку и бакинцев. (2012, 11, აგვისტო). Ильинский 2-й Николай Васильевич, майор.
https://www.ourbaku.com/index.php/Ильинский_Николай_Васильевич,_майор_-_командир_Каспийского_морского_батальона). (მომიებულია 10.08.2018).
200. Российская Государственная Библиотека. (2019). Степан Александрович Талызин [1825-1878]: (Некролог). <https://dlib.rsl.ru/viewer/01003648710#?page=1>. (მომიებულია 15.02.2019).
201. Репертуар Большого театра (Москва).
[https://ru.wikipedia.org/wiki/Репертуар_Большого_театра_\(Москва\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Репертуар_Большого_театра_(Москва)). (მომიებულია

28.07.2019).

202. Репертуар Малого театра 1830-1840 гг.

<https://www.maly.ru/pages?name=repertuar183040>. (მოძიებულია 29.07.2019).

203. Список фрейлин российского императорского двора.

https://www.wikiwand.com/ru/Список_фрейлин_российского_императорского_двора.

(მოძიებულია 22.02.2019).

204. Энциклопедический словарь по истории Кубани (1997). Кармалин Николай.

Николаевич. <http://www.skunb.ru/node/5498>. (მოძიებულია 21.06.2019).

205. Энциклопедия фонда «Хайазг». Корганов Иван сипович.

http://ru.hayazg.info/%D0%9A%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%BE%D0%B2_%D0%98%D0%B2%D0%B0%D0%BD_%D0%9E%D1%81%D0%B8%D0%BF%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87. (მოძიებულია 23.12.2018).

საარქივო მასალები

1. გლსქლსმ, დავით ერისთავის ფონდი, N19799, ელისაბედ ერისთავის მოგონება, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, დავით ერისთავის პირადი ფონდი N19799.
2. გლსქლსმ, გიორგი ნადირაძის ფონდი, N27872-4, გიორგი ნადირაძე, გრ. ორბელიანის წერილები, 1938, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გიორგი ნადირაძის პირადი ფონდი N27872-4.
3. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N1307-დ, გრიგოლ ორბელიანის წერილი დიმიტრი მილიუტინს, 23 მარტი, 1862, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N1304-დ.
4. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N1307-დ, გრიგოლ ორბელიანის წერილი დიმიტრი მილიუტინს, 23 მარტი, 1862, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N1309-დ.
5. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N1318-დ, გრიგოლ ორბელიანის წერილი დიმიტრი მილიუტინს, 21 დეკემბერი, 1861, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N1318-დ.

6. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16263-ბ. გრიგოლ ორბელიანის წერილი დიმიტრი ჯორჯაძეს, 21 აგვისტო, 1854, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი N16263.
7. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16264, გრიგოლ ორბელიანის წერილი ნიკოლოზ ასტაფიევს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N16264.
8. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16265, გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N16259, 2v.
9. გლსქლსმ, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N16396, ალექსანდრე ორბელიანის მიმართვა იმპერატორ ალექსანდრე II-ს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N16396.
10. გლსქლსმ, სოლომონ ცაიშვილის ფონდი, N28800-101, გრ. ორბელიანის დღიურიდან ფრაგმენტი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, სოლომონ ცაიშვილის პირადი ფონდი, N28800-101.
11. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N153, 51r, გრიგოლ ორბელიანის წერილი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანს, 22 მარტი, 1870, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N153, 51r.
12. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N61, გრიგოლ ორბელიანის წერილი ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნს, 1872, 8 აგვისტო, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N61.
13. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N117, გრიგოლ ორბელიანის წერილი სალომე დადიან-მიურატს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის ფონდი N117.
14. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N132, გრიგოლ ორბელიანის წერილი ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს, 10 აგვისტო, 1873, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი, N132.
15. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N487, გრიგოლ ორბელიანის წერილი ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოს, 10 აგვისტო, 1874, კორნელი კეკელიძის სახელობის

- ორბელიან-საგინაშვილს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N461.
36. კვსხეც, გრიგოლ ორბელიანის ფონდი, N464, გრიგოლ ორბელიანის წერილი ბარბარე ორბელიან-საგინაშვილს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გრიგოლ ორბელიანის პირადი ფონდი N464.
